


მანთავს



Ⅴ მათი და ივნისი Ⅵ



21
31



შინაარსი: 1) ფსიხოლოგიის შედგენილობის (ოტტო ჯანსონი) — **ლ. ბოცვა**
 2) ხატვა-ხაზვა — **კოტე სენიაშვილი** 3) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჭივი
 ადამიანის მუცლის ჭივი — **ილია ალხაზიშვილი** 4) სქესობრივი კითხვა, ანუ სქეს
 ბრივი ზნეობა (ფორელის წერილიდან) — **ლ. ცაგარელი**. 5) კერპები (რომენ როლანის
 წერილი) — **დ. ქადაგიძე**. 6. ომი ებრაელებში და მათი დამოკიდებულება მეზობ
 ხალხთან — **მდგ. კ. ანთაძე**. 7) ევალდი, ანსამნის ბუნები (გადმოკეთებული) — **კა
 ბაქ — ძე**. 8) გაუნარხავი ლექსები — **დ. თურდოსპირელი**. 9) მუნჯის აღსარება —
გოგია. 10) სხეული — **ლალა გეგეჭკორი**. 11) უკვდავება — **გ. ლეონიძე**. 12)
 ნების წიადში (ესკიზი) — **ს. ტაიფუნი**. 13) მშვენიერი ღამე — **ს. აბულაძე**. 14)
 უკანასკნელია — **მ. ჭრელაშვილი**. 15) ორი სიმღერა — **ილ. გოგია**. 16) „ჭე
 რიტ გზასზე (შიდლერ მიხაილფიდან) — **ნ. გიგაურის ასული ვაბეგ-ვაბაონელი**
 17) დიოგენის კვალით (ნადსინიდან) **ილ. ფერაძე**. 18) ოჰ, შემეძლეს! — **ს. ვარდ
 შვილი**. 19) მადი, კარგო!, — **გელა**. 20) ღაღა ბზვანელს — **ვაჟა-ფშაველა**.
 აკაკის — **ლ. ძიძიგური**. 22) აკაკი — მწაფე და იმ დროის სკოლა — **პროკლე ტაბი**
 23) სეუდის შვილი — **მის. ბოკორიშვილი**. 24) ძვირფას მასწავლებლის ნიკო ლამ
 რის ხსოვნას — **მ. კაკაბაძე**. 25) მბედადონისცევის აზრი მასწავლებლებზე — **ლალ
 ბზვანელი**. 26) ჩვენი დროის გმირი შედგენები (მასხვად გ. ჯაფარიძეს და ი. ზე
 გინიძეს) — **ლ. ბოცვაძე**. 27) ბიბლიოგრაფია — **Яковъ Гогобашвили**. „Русск
 слово“ Часть первое, издание 24-ое — **ილ. ფერაძე**. 28) მწერილი ამბები
 წერილი მეფურისგვიდან) — **ბაგრატ ბეთანელი**. 29) განცხადება.

დამატება: კ. შ. წ. — კ. განცხადებები საზოგადოების ზეგუდიდის განყოფილება
 1914 წლის ანგარიშზე განცხადება.

რედაქციას ჰქვავს აგენტები შემდეგ ადგილებში:

კავკავში — ქართული სკოლა გრ. მაჭავარიანი. **ბაქოში** — ალ. ერაზ. გვარამ
 ძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. **ბანძაში** — ესტატე მონიავა. **თელავში** — ნინ
 გოგენიაშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მალაზიაში. **გორში** — ნინო ანტ. ლომი
 ურის ასული, **ყვირილაში** — სიმონ ორჯონიკიძე. **ჭიათურაში** — ი. გომელაურ
ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძე, ლადო ბზვანელი და ლაზ. ხმალიძე. **სამტრ
 დიაში** — წ. კ. საზ. კიოსკში. მინა კობალეიშვილი. **ხონში** — ვლადიმერ ნადარე
 შვილი. **ახალ-სენაკში** — სპ. ენუქიძე. **აბაშაში** — ვასილ ქობულია, **ძველ-სენა
 ში** — პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, **ფოთში** — მდ. ლ. წულაძე და იას
 ალექსიშვილი. **ბათუმში** — წიგნის მალაზია „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრი
 ინასარიძე, **ლანჩხუთში** — პლატონ იმნაძე და კალინიკე ჟღენტი. **ახალციხეში**
 კოტე. გვარამაძე. **სიღნაღში** — წერა-კით. საზ. განყ. წიგნის მალაზიაში — ი. კრა
 შვილი და „კახეთის ხმის“ რედაქციაში — კ. ტყეშელაშვილი. **ოზურგეთში** — პარმენ თ.
 თიბაძე. **სოხუმში** — ნიკო ჯანაშია. **ჩოხატაურში** — ს. თავათრქილაძე და ბართლო
 მეგრელიძე (ხიდისთავში). **ონში** — რაისა ჯაფარიძე, **ვანჯაში** — ლუკა ხარაძე, **ზე
 დიდში** — უფასო სამკითხველოში. **რისტოვში** — სტ. სვ. ელიაძე. **ხაშურში** — გ.
 იოსელიანი. **ზაქათალაში** — გრ. ჟღენტი, **ნაოლაღეში** — არჩილ სულავე და ურ

განათლება

(წელიწადი მერვე)

V-VI

მანისი და ივნისი

1915 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი

40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** „წერა-
კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская**
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

ოტტო ლიჰმანი

ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

V

გრძნობათა ბიოლოგიური მნიშვნელობა. გრძნობითი კილას ცვლა. რეგორი
ხელმძღვანელობა უნდა გრძნობათა სიცოცხლეს. გრძნობა და მეხსიერება.
გრძნობათა პედაგოგიკის მიზანი. გრძნობითნი გრძნობანი. უმაღლესნი
გრძნობანი. ეთიურნი გრძნობანი. სიმპატიისა და ანტიპატიის გრძნობანი.
თავისი თავის გრძნობა. აფექტების დასასიათება. აფექტების თვისებანი.
აფექტების პედაგოგიკა. ვნებანი.

ქვეყნიერება და ყველაფერი, რაც
მასში ხდება, სრულიად უმნიშვნელო იქ-
ნებოდა ჩვენთვის, თუ რომ ჩვენი სულიერ-
ი ცხოვრება მხოლოდ ზემონაჩვენებ
ელემენტებისაგან, შეგრძნობათა და წარ-
მოდგენებისგან ყოფილიყო შემდგარი;
მაგრამ ქვეყნიერება ჩვენთვის საინტერე-
სოა და ჩვენც მის მოძრაობას მივყვებით
მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი შეგრძნო-
ბანი და წარმოდგენანი შეფერადებულია

განსაზღვრულის გრძნობადი ელფერით,
რადგანაც ჩვენი განცდანი ბევრ შემთხვე-
ვაში ან სიამოვნებას ან უსიამოვნებას,
უკმარობას გვაგრძნობინებს. ამ სახით
ჩვენ ვუახლოვდებით ჩვენი სულიერი
ცხოვრების **ემოციონალურ მხარეს.**

ემოციონალური მხარე არაოდეს ღრ-
არის განცალკევებული, იგი ყოველთვის
დაკავშირებულია მსჯელობის, გონების
და საზოგადოთ ინტელექტუალურ მხა-



რესთან. არიან, რასაკვირველია, შეგრძნობანი და წარმოდგენანი, მოკლებულნი გრძნობადს ფერებს, მაგრამ გრძნობანი თავისთავად, გარეშე მათ გამომწვევ შეგრძნობათა და წარმოდგენათა, არ არსებობენ. იმ შემთხვევაში, როცა გრძნობანი გრძელს „გრძნობით მდგომარეობაში“ (Gefühlslage) ან სულიერ განწყობილებაზე, **გუნებაზე** გადადიან, ეს იმაში გამოიხატება, რომ ყველა შეგრძნობანი და წარმოდგენანი უკმაყოფილებისა და კმაყოფილების ელფერით შეზავდებიან, ან მიმდგომარეობაში უპირატესად ისეთი შეგრძნობანი გადადიან და წარმოიშვებიან ისეთი წარმოდგენანი, რომელნიც შეესაბამებიან ამა თუ იმ გრძნობადს მდგომარეობას, გუნებას. იმ ადამიანებს, რომელთაც მეტი მიდრეკილება აქვსთ სასიამოვნო გუნებაზე ყოფნისა და რომელთაც განსაკუთრებით სასიამოვნო წარმოდგენები აქვსთ მომავალზე, **ოპტიმისტებს** უწოდებენ; მოპირდაპირე ბუნების ადამიანებს-კი — **პესიმისტებს**.

მაშინ, როცა, როგორც შეგრძნობათ ისე წარმოდგენებსაც ობიექტიური ხასიათი აქვსთ, გრძნობანი სრულიად **სუბიექტიურია**, შეგრძნობანი და წარმოდგენანი გარშემო ქვეყნის სურათის თვისებებს გვაძლევენ, გრძნობანი-კი აღნიშნავენ ჩვენს განცდასთან დამოკიდებულებას.

Wundt-ი და მისი მოწაფეები გარდა სიამოვნებისა და უსიამოვნებისა აღნიშნავენ კიდევ აღძვრასა და დამშვიდებებსა და აგრეთვე ძალასა და გადაწყვეტას, როგორც გრძნობათა ცალკე კლასებს. სხვა ფსიხოლოგებს-კი, რაც-კი შეესაბამება ფსიხიურ მდგომარეობის ამ ოთხ სახეს, ჰგონიათ, რომ იგი დამოკიდებულია არა სპეციფიკურ გრძნობებზე, არამედ შეგრძნობათა და წარმოდგენათა ხასიათზე.

საზოგადოთ და უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის ის შეგრძნობანია სასიამოვნო, რომელნიც აღძვრისათანავე განსაზღვრულის ძალით მოქმედებენ შესაფერ ორგანოზე; პირიქით, არა სასიამოვნოა ის შეგრძნობანი, რომელნიც აღძვრისათანავე ძლიერის ან სუსტი მოქმედებისათვის ძალას ატანენ შესაფერ ორგანოს, მოკლედ რომ ვსთქვათ: შეუფერებელის ხარისხით. საჭიროა დავუმატოთ „გაჩენის თანავე“, რადგანაც რომელიმე გაღიზიანება, შეიძლება სასიამოვნოც იყვეს, მაგრამ **ბოლოს** ორგანიზმს ვნება მოუტანოს. იგივე შეიძლება ვსთქვათ, მაგრამ უკუქცევით, სასიამოვნო გაღიზიანების შესახებაც: არის გემოთ უსიამოვნო წამალიც და გემრიელი საწამლაიც.

შეგრძნობათა გრძნობადი ელფერის მსგავსად, შეიძლება ბიოლოგიურად ავხსნათ გრძნობადი ელფერი წარმოდგენათა, კომბინაციები წარმოდგენათა — ურთიერთშორის და შეგრძნობასთან, და გრძნობადი ელფერი ასოციაციებისა.

განსაკუთრებულ როლს სიამოვნების გრძნობანი ასრულებენ, რომელნიც დაკავშირებულია ცალკე ერთ რიგზე გამწკრივებულ გაღიზიანებათა მიმდგომარეობასთან; იგი ორნამენტებისა და რიტმის **ესთეტიურ** მნიშვნელობის საფუძველია. მათი სასიამოვნო თვისება, ბიოლოგიურის თვალსაზრისით, უეჭველია, იმით აიხსნება, რომ შემადგენელ ნაწილების სიცხადე ხელს უწყობს კერძო შთაბეჭდილებათა ერთ მთლიანად შეერთებაში. სხეულის რიტმიული მოძრაობანი (ცეკვა, სიარული) უფრო სასიამოვნოა, ვიდრე არა რიტმიული, ამიტომაც ფიზიკური მუშაობაც რიტმის დაცვით უფრო სასიამოვნოა, როცა გარეგანის მხრით ცალკე მოძრაობანი ემორჩილებიან მთელს მუშაობას, მის მიზანს.

გრძობანი ისე მტკიცედ და განუყრელად არ არიან შეკავშირებულნი შერძობებთან, წარმოდგენებთან და ასოციაციებთან, რომ რომელიმე შერძობა, რომელიც ოდესღაც სასიამოვნო იყო ჩემთვის, სხვა ყოველგვარ გარემოებაშიც უსათუოდ ასეთი იქნება. ჩვეულებრივად წყალსა ვსვამ უნდომლად, ან და მისი გემო ჩემთვის განუარჩეველია; მაგრამ ზაფხულში, ხანგრძლივის სიარულის შემდეგ, ერთი ყლაპი ცივი წყლისთანა სასიამოვნო სხვა არ არის რა; განსაკუთრებით თუ გრძობადი ტონი შერძობისა ან წარმოდგენათა ძლიერ იცვლება მასთან დაკავშირებულის წარმოდგენათა გრძობად ტონად, ეს აგრეთვე უაღრესად ცნობილს ესთეტიურს გრძობებს ეხება. განსაკუთრებით სწრაფი და უეცრივი ცვლებადობა ბავშვებს ეტყობათ, არამც თუ პატარებს, არამედ „მოზრდილ“ ქალებსაც—14 წლამდის. ეს გამომიხატება არა მარტო იმაში, რომ ერთი და იგივე ნივთი, ან რამე სამუშაო, თამაში ამ წამს სიამოვნებას აგრძობინებს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი მოსაწყენია, არამედ გუნების სწრაფად შეცვლაშიაც, რომელიც აღტაცებულ სიამოვნებიდან „გულსაკლავ სევდად“ გადაიქცევა ხოლმე.

გრძობათა ასეთი სუსტი კავშირი სხვა ფსიხიურ ელემენტებთან ჰქმნის გრძობაზე შთაგონებით მოქმედების პირობებს. შეიძლება ზოგიერთებს ჩააგონო, რომ ესა თუ ის საკველი, რომელიც მათ არ მოსწონთ, სხვებს ყველას მოსწონს, მაშასადამე მათაც გემრიელად უნდა ეჩვენოს. დიდი სიამოვნება, რასაც ბევრნი თამბაქოს წვევის დროსა გრძობენ, თავდაპირველად იყო მდლოლად შედეგი ძლიერის შთაგონებისა; პირველი სიგა-

რა, უეჭველია, ისეთი სასიამოვნო იყო, მაგრამ სხვების მაგალითმა, მოდამაინც ჩააგონა, რომ თამბაქოს წვევა სასიამოვნოა, და ბოლოს მართლაც მისთვისაც სასიამოვნო შეიქმნა. საზოგადოთ მოდის არსებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი მაგალითი ჩვენს გრძობაზე და, როგორც შემდეგაც დავინახავთ, ჩვენს საქციელზედაც ისე მოქმედებს, როგორც შთაგონება.

ამ სახით ჩვენ შეგვიძლია შთაგონებით აღზრდელობითი გავლენა მოვახდინოთ გრძობაზე: მაგრამ თითქმის თვითოეულს მაგალითსაც კი, თუნდაც ცხადად არეტყობოდეს მას ნიშანი შთაგონებისა, მაინც აღზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ადამიანის საქციელს რომ მივსდიოთ, რაოდენადმე შეგვიძლიან დავასკვნათ, თუ რა გრძობანი აქეზებდნენ მას, რა გვარ გრძობითს ფერებში გამოისახა მიმღეობა და წარმომდგენანი, რომელთაც მოქმედება გამოიწვიეს. თუ ეს ადამიანი—როგორც აღმზრდელს შეეფერება—საიდელად მიაჩნია მოწაფეს, მაშინ იგივე მიმღეობანი და წარმოდგენანი მოწაფეში ძლიერ აღვილად იღებს ისეთს გრძობადს ტონს, როგორსაც აღმზრდელში ხედავდა მისი მოქმედების მიმხედვით. შემდეგ გრძობათ კავშირი აქვს მათ გამომხატველ მოძრაობასთან და მასთანვე ერთნაირი ურთიერთობა აქვს, ასე რომ მოძრაობა, რომელიც გრძობასა ჰხატავს და გამოწვეულია სხვა და სხვა მიზეზის გამო, მაგ. მიბაძვით, იწვევს თვითონ გრძობას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოძრაობათა ამოფხვრაც, რომელიც ეხება მაგ. ტკივილს, ყვირილს, აგრეთვე ამცირებს ტკივილს. აქედან ცხადია თავის შეკავების აღზრდის მნიშვნელობა, რომ არა ვსთქვათ რა



ეთიურს მოტივებზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარს პირად საქმეს სხვას თავს არ უნდა ვახვევდეთ. უსიამოვნო გრძობის თავიდან ასაცილებლად სხვა საშუალებად გულის ყურის განრიდებაა: როცა უსიამოვნო შეგრძობა ან წარმოდგენა გვშორდება, შემეცნებიდან ჰქრება უსიამოვნების გრძობაც: ხან და ხან მხოლოდ გუნება რჩება. საჭირო პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს გრძობის **მეხსიერებასთან** დამოკიდებულებას. ამის შესახებ უნდა შევნიშნათ: ა) შთაბეჭდილებანი, შეფერადებული განსაზღვრული გრძობადი ელფერით—როგორც სასიამოვნოთი, ისე უსიამოვნოთი, უკეთ და უფრო დიდხანს რჩებიან მეხსიერებაში, ვიდრე განურჩევლნი და ბ) როცა გრძობადი ელფერით შეფერადებულს ჩვენს განცდათ გამოვსატყვამთ, ხელახლად ჩნდებიან შესაბამი გრძობადი ნაკვებები; მაშასადამე ამ აზრით მაინც არსებობს გრძობათა მეხსიერება. პედაგოგიურად გამოყენება ამ ორი ფაქტისა შემდეგში გამოიხატება: პედაგოგი უნდა ცდილობდეს, რომ მოწაფის განცდა, რომლის დახსოვნებასაც დიდს მნიშვნელობას აძლევს, განსაკუთრებით სასწავლო მასალა, რაც კი შეიძლება ძლიერ გაფერადებული იყვეს განსაზღვრულის გრძობადი ელფერით,— და უკავშირებოდეს რაიმე სასიამოვნო წარმოდგენას, მაგალ., ბავშვის თამაშობას, და ამ სახით ბავშვს სასწავლო საგნისადმი ხალისს უღვიძებდეს. მეორე დებულება გვაძლევს ფსიხოლოგიურს საფუძველს **ქებისა და ძაგებისას, საჩუქრისა და დასჯისას** ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. თუ ხელახლად წარმოგვიდგება, ან ხელახლად ჩნდება საქციელი, რომლის გამო ვინმე ოდესღაც

უკიათ კიდევ, ან — შეცდომანი, რომელიც გამო დაუსჯიათ, მასთან ერთად ერთსა და იმავე დროს შემეცნებაში მასთან შეერთებული პედაგოგიური შემოქმედებით მიღებული გრძობადი ტონიც ჩნდება ხოლმე.

ჩვენ განვიხილეთ, რომ შესაძლებელია აღმზრდელითი გავლენა გრძობათა სიკოცხლეზე, ახლა შეუდგეთ გრძობათა აღზრდის მიზნებს. პირველი მიზანი გრძობის **სიძლიერეს** ეხება: ერთი მხრით გრძობის სიკოცხლე არ უნდა იყვეს ძლიერ სუსტი, რადგანაც გრძობის სიკოცხლეში ინდეფერენტიზმს, როგორც შემდეგშიც დავინახავთ, საქციელშიაც განურჩევლობა (ინდეფერენტიზმი) მოჰყვება; იგი ადამიანს **ფლეგმატიურად, უმოქმედოდ და ზარმაცად** ჰხდის. იგი გულ-გრილად უტკეპრის მის გარშემო ქვეყანას, ცოცხალსა და მკვდარს. მეორე მხრით გრძობის სიკოცხლე არ უნდა სჭარბობდეს გონებას. მეტის-მეტად **მახვილი** სიკოცხლე გრძობისა ჰბადავს **ოცნებობას** და **სანტიმენტალობას** და ასუსტებს შებრძოლებას ცხოვრების უკუღმართ პირობებთან. რასაკვირველია, ადამიანთან სიმპათიისა და ანტიპათიის გრძობის ამოფხვრა ჩვენში არ შეიძლება: მაგრამ იგი პირველ რიგზე არ უნდა იდგეს იმდენად, რომ არ შეგვეძლოს დამშვიდებითა და გონების თვლით დავაფასოთ მოყვასი. ხშირად მოხდება, რომ თუ კაცი გვიყვარს, მისი საქციელის შესახებ სულ სხვანაირად ვსჯით, თუ მეგობრული განწყობილებაც გვაქვს, ან ჩვენს სიმპათიას წარმოადგენს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადამიანი ჩვენთვის უსიმპათიოა ან საზიზღარიც. ამ შეცდომას, რომელიც ყველას თანდაყოლილი აქვს, **უსამართლობას** ვუ-

წოდებთ. აღმზრდელი, რომელსაც სურს განუვითაროს ბავშვს **სამართლიანობის** გრძნობა, რასაკვირველია, თვითონ უნდა ცდილობდეს ამ გზას არ გადაუხვიოს, რაც ყოველთვის ადვილი არ არის; მაგრამ პედაგოგიკის არც ერთს დარგში მაგალითი იმდენად სასარგებლო და მავნებელი არ არის, როგორც ამ შემთხვევაში.

შემდეგი დანიშნულება პედაგოგიკისა— არის განსაზღვრა გრძნობის მიმართულებისა, ე. ი. იმოქმედონ მოწაფეზე იმ აზრით, თუ რომელი ჯგუფი წარმოდგენათა არის მისთვის სასიამოვნო და რომელი—უსიამოვნო.

წარმოდგენათა და შეგრძნობათა მიხედვით, რომელთანაც გრძნობას კავშირი აქვს, მათი დაჰყოფა რამდენსამე კლასად შეიძლება. თავდაპირველად ჩვენ ვარჩევთ გრძნობადს (*sinnliche Gefühle*) და მაღალს გრძნობებს (*höhere Gefühle*). **გრძნობადთა** შორის ვარჩევთ: სპეციალს, რომელიც დამოუკიდებლად შეკავშირებულია ცალკე გრძნობად შეგრძნობასთან (*Sinnesempfindungen*) და მის შესაბამ წარმოდგენებთან, და საზოგადოს, რომელსაც მიჰყვება დიფუზიური (შერეული) ორგანიზული შეგრძნობანი, სხეულის შინაგან ორგანოებიდან გამომდინარე. უკანასკნელ გრძნობათა შეერთება არის გრძნობის სიცოცხლის საფუძველი (*Lebensgeföhls*), ჩვენი ორგანოების საღ ან სნეულ მდგომარეობისა, ძალისა ან საზოგადო მოქანცულობის გრძნობა და სხვა. ეს სიცოცხლის გრძნობა, უქვევლია, შეადგენს აგრეთვე მეტად არსებითს ნაწილს იმისას, რასაც ჩვენ გუნებას ვეძახით. გრძნობადი გრძნობის (*des sinnlichen Geföhle*) ცალკე კლასს შეადგენენ ხშირად გრძნობითად წოდებული, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნე-

ლობის—**სქესობრივი** გრძნობანი, რომელნიც უერთდებიან სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და მის შესახებ წარმოდგენებს. თავდაპირველად ეს გრძნობანი, როგორც სქესობრივი მოთხოვნილებაც, ბავშვებს არ აქვსთ და კარგიც იქნება, რამდენადაც მისი განვითარება გვიან მოხდება. როცა ბავშვი წამოიზრდება, ჩვენებურს კულტურულს პირობებში საშიში ის არის, რომ ჩვეულებრივად დაფარვას არა სასურველი შედეგი მოჰყვება ხოლმე—სქესობრივი პროცესები, როგორც ყველაფერი აკრძალული, ძლიერ აღძრავს ფანტაზიას. ამიტომ, როცა ბავშვი საკმარისად მომწიფდება, რაც სხვა და სხვა ბავშვებს სხვა და სხვა წლოვანებაში შეეცუბათ,—აღმზრდელი კარგად მოიქცევა, თუ შესაფერისი განმარტებით სქესობრივს საკითხს საიდუმლოების ფარდას ახდის, არ მისცემს ბავშვის ფანტაზიას მასალას და სწორის გზით წარმართავს მას, აუხსნის გააგებინებს, რომ ეს პროცესები სრულიად ბუნებრივია და თავისთავად საგულისხმოც. თუ მშობლები, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს თავიდანვე ამ საკითხის განმარტება, ვერ იკისრებენ სქესობრივი საკითხის განმარტებას, ეს შეიძლება სკოლას შიაც ბიოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებით.

უმალღეს გრძნობებს ეკუთვნის ინტელექტუალური, ეთიური და ესთეტიური გრძნობები.

ინტელექტუალური გრძნობები ჩვენი სულიერი ცხოვრების საინტელექტუალო ფუნქციებს უერთდებიან, მიმღეობის, წარმოდგენისა და ასოციაციის პროცესს; მაგრამ უფრო კი აზროვნებას. ასე რომ სიამოვნების გრძნობა შედეგია ჩვენთა მიმღეობათა და წარმოდგენათა სიკმაღლი-

სა, ნათლად გარკვეულობისა, თუ კი შევიძლებთ უფრო ვრცელისა და კავშირიან მთელისადმი დამორჩილებას; სხვანაირად რომ ვსთქვათ—გავიგებთ მათ ყოველ ამოცანისა და ქვეშარიტების შეგნების გადაწყვეტის დროს. უსიამოვნების გრძნობას თან დაჰყვება გაურკვეველი და არეული მიმღეობანი და წარმოდგენანი; უსიამოვნების გრძნობა ექვს ჰბადავს, თუ ცოდნის წყურვალნი არ იქმნა დაკმაყოფილებული (**ცნობის მოყვარეობა**). ბავშვის ინტელექტუალური გრძნობა სიამოვნებისა უჩნდება აგრეთვე ესრედ წოდებულის ექსპერიმენტების დროს თამაშობის სახით (Experimentierspielen), რომელნიც მეტის-მეტად უმდიდრებენ ცოდნას.

ესთეტიური გრძნობები უმეტესად მხედველობისა და სმენელობის მიმღეობათა ცნობილ ჯგუფებს უერთდებიან, ისინი უმთავრესად სიმშვენიერისა და საზიზღრობის გრძნობაში გამოიხატება. ჯერ ჩნდება სიამოვნების გრძნობა რიტმის დროს, შემდეგ—სიმხიარულე მუსიკით. შედარებით ადრე სიამოვნება სიმმეტრიისაგან ჩნდება, მხოლოდ შემდეგ ცოცხალ ფერადებისაგან. მაგრამ ესთეტიური გრძნობის შესახებ, ე. ი. განსაკუთრებით პატარა ბავშვების ესთეტიურად „განმსჭვალვაზე“ (Enföhlung) ხელოვნებაში ლაპარაკიც არ შეიძლება. ამიტომ სიმშვენიერის შეტანას ბავშვის ცხოვრებაში აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც იგი ეხება მხატვრულ ხელოვნებას, იმიტომ რომ რაც-კი მიზან შეწონილია და იმავე დროს ლამაზიც, მაგ. ლამაზი მორთულობა გემოვნებას უფითარებს ბავშვს, მაშინ როცა, პირიქით, არა ესთეტიურ მორთულობას ადვილად შეუძლია ბავშვს გემოვნება სრულიად დაუმახინჯოს.

ეთიური გრძნობანი იმდენად დაახლოვებულია სხეულის გრძნობასთან (Körperliche Geföhle), რამდენადაც ისინი განისაზღვრებიან მოყვასთა სახიერებისა და ტანჯვის ღირებულობით: ან მასზე დაბლაა, თანასწორი ან მაღლაა, ვიდრე თავისი საკუთარი მე-ს კეთილმდგომარეობა. თუ საკუთარი სიამოვნება და უსიამოვნება მეტს როლს ასრულებენ, ვიდრე სხვა ადამიანთა გრძნობა, მაშინ ჩვენ ვაბობთ **ეგოიზმის** შესახებ; ეგოისტიური გრძნობანი—უმთავრესად ისინია, რომელთა შინაარსი საკუთარი სხეულის დაფარვა და კეთილმდგომარეობაა, ის გრძნობანი, რომელთაც მუცლის პატივისცემა, ანგარება, სიძუნწე მოჰყვება ხოლმე და სხ. ეგოისტურთ გრძნობათ პირის-პირ უდგას ალსტრუისტული გრძნობანი, რომელნიც იწვევენ ჩვენში სხვა ადამიანთა გრძნობებს და რომელნიც, მაშასადამე, დაკავშირებულნი არიან ჩვენს მიმღეობა—წარმოდგენებთან მოყვასთა და მათ ჯგუფთა საკეთილოდ. თუ ეს გრძნობანი ეხებიან სოციალურს ერთეულს, რომელსაც მე ვეკუთვნი, ჩემს უთამომავლობას, სამშობლოს, მამულს, მაშინ ვამბობთ—ეს სოციალური გრძნობააო.

რამდენადაც ჩემი „მე“ ჩართული ამ გრძნობებში, იმდენად ეს სოციალური გრძნობები წარმოდგენენ ეგოისტურ გრძნობათა სხვა და სხვა სახეს, იგივე ეგოისტური გრძნობაა მხოლოდ ფართე მოცულობით. სოციალურ გრძნობათა პედაგოგიური განვითარებაც ეგოისტურ გრძნობებიდან უნდა გამომდინარეობდეს, წმინდა ბავშვის ეგოისტური სიყვარულიდან (Kindesliebe) ოჯახის სიყვარულზე გადასვლით (familienliebe) და სხ. წმინდა სოციალური გრძნობის თავდაპირველ განვითარე-

ბისათვის არსებობს **საბავშო ბაღი**, რადგანაც იქ ბავშვი ისეთს სამუშაოს აკეთებს, რომელიც სასარგებლოა არა მარტო მისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს. იგივე შეიძლება ვსთქვათ **კოლექტიურ თამაშობის** შესახებაც. სამწუხაროდ სკოლა ან არ მისდევს მსგავსს მიზანს, ან ძლიერ სუსტად ასრულებს მას. მაინც თუ კი სკოლაში საქმე სოციალურ განვითარებას ეხება, რაც **ამხანაგობაში** გამოიხატება, ეს მრავალ შემთხვევაში მასწავლებლის სურვილის წინააღმდეგ ხდება. მხოლოდ ზოგიერთი ახალი სააღმზრდელო დაწესებულებანი წარმოადგენენ გამონაკლისს, სადაც ამხანაგური გრძნობა იმდენად განვითარებაშია, რამდენადაც მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის კარგი განწყობილება სუფევს. სოციალურს გრძნობებს ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ **მორალურიც**, რადგანაც ყოველგვარი მორალი მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი, და ამნაირად მორალურ გრძნობას ის განიცდის, ვინც საზოგადოების წევრად ითვლება.

თუ ალტრუისტული გრძნობანი ვრცელდებიან კერძო ინდივიდუუმებზე, ან რომლისამე ჯგუფის ინდივიდუუმებზე, ან მთელს ჯგუფზე, რომლის **გარედ** ვდგევართ, მაშინ ჩვენ **სიმპათიის** გრძნობაზე ვლაპარაკობთ (Sympathische Getühle); ეს სიმპათიური გრძნობებია **გულშემმატკივრობა** და **თანაგრძნობა**. თუ ეს გრძნობები განსაკუთრებულის ძალით მუდმივ ეხება კერძო განსაზღვრულს პირებს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ხალხთან გვაქვს კეთილი სურვილი, მეგობრობა და სიყვარული.

სრულიად განსაკუთრებულ ჯგუფს

შეადგენენ ის ზნეობრივი (უფრო კუჭნეო) გრძნობანი, რომელთაც **სიმპათიური** გრძნობის საპირდაპიროდ ანტიპათიური გრძნობა ეწოდება. მისი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მოყვასთა ვაება და მწუხარება კმაყოფილებას, სიამოვნებას იწვევს, მხიარულება კი—უკმაყოფილებას, უსიამოვნებას; მაშასადამე ეს გრძნობაა **ძვირისნდომობისა, მტრობისა**. თუ ვისმე შესახებ განვიცდი ძვისნდომობასა და მტრულ გრძნობას, მაშინ ვამბობ, ის კაცი **მეზიზღება მეთქი**.

გრძნობას, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ სხეულის ყველა გრძნობის ჯამად (Körpergetühle), რასაც ერთსა და იმავე დროს განვიცდით, ინტელექტუალურს, ეთიურსა და ესთეტიურს გრძნობებს, ჩვენ ვუწოდებთ **თავისგრძნობა**, გუნება (Selbstgefühl oder Jchgefühl) და ეს თავის გრძნობა შეიძლება სასიამოვნოც იყვეს და უსიამოვნოც; შეიძლება თავისი თავის კმაყოფილების გრძნობა გამოწვეული იქმნეს საკუთარის ჯანსაღობით, სილამაზით, ძალით, გარშემო არსებულთა მიზან-შეწონილობით, საკუთარის ჰკუით, განათლებით, სიკეთით ან მოკლედ რომ ვსთქვათ საკუთარის ღირსებით, რასაც გვისახავს აწინდელი იდეალი. რამდენად თავს დაშორებულად ვგრძნობთ ამ იდეალზე, იმდენად ჩვენი თავის გრძნობა უფრო ძლიერ უსიამოვნო ელფერით წარმოგვიდგება.

ადამიანის თავის-გრძნობის დაფასება (Selbstgefühl) (და პედაგოგიური გავლენა) ორნაირად არის შესაძლებელი. პირველად შეიძლება მსჯელობა ვიქონიოთ ამ თავის-გრძნობის **შემადგენლობაზე**, ე. ი. იმაზე, თუ რა ძალას შეიცავს გრძნობათა კერძო ჯგუფები, ან როგორ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ რას წამოად-



გენს ამა თუ იმ კაცის იდეალი. მეორედ, თავის—გრძნობის დამახასიათებელია, სწორედ არის დაფასებული მანძილი ამ იდეალისა, დაფასებულია მეტად თუ ნაკლებად იმაზე, რაც უნდა ნამდვილად იყვეს. რაც შეეხება მსჯელობის პირველ პრინციპს, ისეთს ადამიანს, რომელსაც სხეულის გრძნობა სჭარბობს თავის-გრძნობაში, ჩვენ ვუწოდებთ გრძნობადს, ამასთან ვგულისხმობთ გრძნობადი ტონის მეტად გაძლიერებას სიმდიდრისა და გარეგნულის პატივისცემასთან. მაშასადამე, გრძნობადი ადამიანი ბევრ შემთხვევაში ეგოისტია. აგრეთვე ალტრუისტულ გრძნობებში, თუ სოციალური გრძნობები. გადაჭარბებულია სიმპატიურ გრძნობებთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ ერთ გვარის ეგოიზმის შესახებ (ოჯახური ეგოიზმი, შოვინიზმი).

თუ ვისმე ესთეტიური გრძნობა მეტად განვითარებული აქვს (ეს იმ გრძნობათაც ეხება, რომელნიც აღიძვრიან თავისი საკუთარის სხეულით), ასეთს კაცს **ესტეტს** ვუწოდებთ. მსჯელობის დროს ისეთის ადამიანის შესახებ, რომელშიაც ინტელექტუალური ან ეთიური გრძნობები უსათუოდ სჭარბობს სხვებს, ყოველთვის ჩაუვრთავთ საძრახავ სიტყვებსაც; სრული არ ყოფნა სხეულთა გრძნობებისა, უმაღლეს გრძნობებთან შედარებით, აბსოლუტური არ არსებობაც გრძნობიერობისა არ ეგუება ჩვენს იდეალს დღევანდელის ადამიანის შესახებ (Vollmensch). იმისთვის, რომ სხეულის გრძნობებმა გადაჭარბებული აღგილი არ დაიჭირონ შემეცნებაში, უკვე ურჩევნ ბავშვთა სხეულის მოთხოვნილებანი აღრე დააკმაყოფილონ, ვიდრე გაძლიერდებოდეს: არ შეიძლება მშიერს მოსთხოვო, რომ მის

შემეცნებაში პირველ რიგზე ინტელექტუალური ან ეთიური გრძნობები იყვეს. უკუქცევითი ზომების ხმარებით სხეულის გრძნობებს საპატიო აღგილს უთმობენ თავის—გრძნობის აგებულობაში: მაგალითად თუ არსებულს (შემცდარად წარმოდგენილს) ინტელექტუალურს ან ეთიურს გრძნობებს რითიმე სასუსნავით აჯილდოებენ. გრძნობიერობის ჭარბად განვითარებას (Sinnlichkeit) მოჰყვება თავის-მოყვარეობა (Selbstsucht). თავის—გრძნობის შემადგენელ ნაწილებს, შეჯგუფებულს წარმოდგენათა კომპლესის გარშემო სოციალურს მთელში საკუთარი მდგომარების შესახებ, ან განგებ წარმოდგენათა გარშემო მომავალ მდგომარეობის შესახებ, ჩვენ ვუწოდებთ **პატივის-მოყვარეობას**; ჩვენ მას ვუწოდებთ ზომაზე მეტს და **მეძიებლობად** (Streberei) გადაგვარებულს, თუ შედარებით ამ თავის—გრძნობის ნაწილს მორალური გრძნობანი შორს უდგანან.

აღმზრდელიობითი გავლენა თავის-გრძნობის არსებითს მხარეზე უმთავრესად იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მოწაფეს წინ დაუყენებენ რაიმე იდეალს, ეს იქნება თვითონ აღმზრდელი, რომელიც ღირსია ბავშვისთვის საიდულოდ გახდეს თავისი ყოფაქცევითა და აზრით, რასაც ის იტყვის, ან რომელიმე ისტორიული პირი, ან მხატვრული სახე, ან მრავალ პირთა კერძო თვისებანი.

მეორე ზემოწავენებ მსჯელობის პრინციპისა თავის-გრძნობის შესახებ, მსჯელობისა მისი გრძნობადი ტონის შეწონილობის შესახებ, ჩვენ უნდა გავიგოთ, სასიამოვნო იგი, თუ არა, და შეესაბამება თუ არა იგი რომელისავე პირის იდეალზე დაშორებას, ე. ი. როგორ უყურებს ეს პირი თავის მდგომარეობას იდე-

აღთან და როგორს მოქმედებას იჩენს ამ მდგომარეობის გამო. იმ ადამიანზე, რომელიც თავის თავს **ძლიერ ახლო** გრძნობს იდეალთან, ვაშობობთ **დიდგულა, ქედმაღალი, მედიდური, გორაზილი**. გორაზი თავის თავში იდეალის განსახიერებას ხედავს! თუ ადამიანი ნაკლებ ფასს ხედავს იდეალიდან თავის დაშორებაში, ჩვენ მას მშვიდს ვუწოდებთ. **სწორ** დაფასებას ჩვენ **თავის**—შეგნებას ვეძახით (Selbstbewusstsein), იმედს თავის დროზე იდეალისადმი მიახლოებისას—**თავის** რწმენას გულდაჯერებულობას (Selbstvertrauen), მისს განშორებას, **სულ მოკლეობას** და **გაუბედაობას**. სურვილს სხვის თვალში ეთიურად მაღლა ეკავოს თავი, ვიდრე ნამდვილად არის, ჩვენ ვეძახით **ცბიერებას**, ფარისევლობას, მუზმუზნელობას (Scheinheiligkeit); მისწრაფებას ნაკლებ ღირსეულად უჩვენოს თავის-თავი ვისმესთან შედარებით (რომ გაადლიეროს უკანასკნელის ღირსება და ამით აამოს მას), ჩვენ ვუწოდებთ თავის დამდაბლებას (Kriecherei). წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ჩვენს ღირსებას სწორედ აფასებენ სხვები, აკმაყოფილებს ჩვენს სიამაყეს (Eergefühl); დაუკმაყოფილებელი სიამაყე შეიძლება გაჩნდეს, როგორც შედეგი **ქედმაღლობისა** ან **უფლების-მოყვარეობისა**; **ჯიუტობა** ხშირად წარმოსდგება იმის გამო, რომ საკუთარ ინტელექტუალურ ნიჭს მეტს ფასს სდებენ სხვების ნიჭთან შედარებით.

ბავშვს, რადგანაც ჯერ კიდევ იგი სრულიად დამოუკიდებელი არ არის, არ აქვს თავის თავისადმი საკმარისი რწმენა; თავისი მოქმედების შედეგები (Leistungen) უმაგრებენ მას თავისთავისადმი რწმენას და თანდათან ხელს უწყობენ გრძნობის თავის „შემიძლია“-ს შემუშავებას (des

eigen Könnens). ამაშია თამაშობის მაღალი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რამდენადაც ეს თამაშობა **თვითმოქმედებას** შეიცავს. ამიტომაც საჭიროა, რომ, შეძლების დავგარად, ბავშვმა სათამაშოები თვითონ შექმნას. სწავლის დროსაც ამ მხრით სანაქება ის პედაგოგიური ზომა, როდესაც მოწაფეს თვითონ შეამუშავებინებენ იმას, რაც უნდა ისწავლოს. (ამასთან ზემონაჩვენების მიზნების მიხედვით, ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ბავშვმა არ შექმნას უსწორ-მისწორო ასოციაციები).

მეორე მხრით ბავშვს ისეთს ამოცანას აძლევენ, რომლის გადაწყვეტა მას არ შეუძლია, ეს ჰბადებს სულმოკლეობასა და გაუბედაობას.

თუ იმ განცდაში, რომლის შესახებაც ვმსჯელობდით აქამდინ, ადვილად შესაძლებელია ინტელექტუალურისა და ემოციონალური ელემენტების გაცალკევება ერთმანეთისაგან, მეორე მხრით არსებობს გრძნობათა და შეგრძნობათა ისეთი მტკიცე კომპლექსები, უფრო ორგანიულს შეგრძნობაში, კუნთებსა და სახსრებში, რომელთა გაცალკევება არამც თუ ძნელია, შეუძლებელიც არის. მათი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მეტად ძლიერ უფლობენ ჩვენს შემეცნებაზე, მათ **აფექტებს** უწოდებენ. ასეთი აფექტებია, მაგალ., ნეტარება, აღტაცება, წყრომა, სიფიცხე, მწუხარება, ელდა, იმედი, (Hoffnung), შიში, გაოცება. აფექტების კლასიფიკაცია უძნელესი ამოცანაა ფსიხოლოგიაში, ამიტომ ჯერჯერობით საკმარისადაც არ არის გამოჩვენებული.

ასეთი დანაწილების არის მაგალ., როცა ერთის მხრით გრძნობადი ტონის მიხედვით არჩევენ სასიამოვნოსა და უსიამოვნო აფექტებს, მეორე მხრით შეგრძნობათა ელემენტების კვალობაზე—აღმ-



ძვრელსა და ჩამქრობ აფექტებს. მაგრამ, როგორც სჩანს, ასეთს ოთხნაწილოვან სქემაში ყველა აფექტები ვერ მოთავსდებიან.

აფექტების დამახასიათებელი თვისება, როგორც ვსთქვით, ის არის, რომ სანამ იგი გრძელდება, მთლად იპყრობს ჩვენს შემეცნებას. აფექტები იმით განსხვავდებიან სხვა ძლიერ გრძნობისაგან, რომ ჯკანასკნელი შემეცნებაში სრულიად განცალკევებული არ არის, მისი შეკავება შეიძლება, მაშინ როცა აფექტი შეკავებულია, იგი მაშინვე ჰკარგავს წმინდა აფექტის ნიშანს.

ყოველ გვარს გამოცდებზე, რომელზედაც დამოკიდებულია რამე საყურადღებო, შიშისა და იმედის აფექტები, შეერთებული გამოცდების დასასრულის შედეგის წარმოდგენასთან, რასაკვირველია, დიდს როლს ასრულებენ. ზოგიერთების შემეცნებას ეს აფექტები ისე შეიპყრობს, რომ გამოცდის დროს ნაკლებ ცოდნას იჩენენ, ვიდრე ნორმალურს პირობებში, რის გამოც, რასაკვირველია, ასეთი გამოცდების მნიშვნელობაც თავის მოტყუებაა.

აფექტის დროს შემეცნების ავსება ხდება:

ა) იმის გამო, რომ შეგრძნობა და წარმოდგენა, რომელიც აფექტის შინაარსს შეადგენენ, მთელს ყურადღებას თავისკენ იზიდავს და

ბ) იმის გამო, რომ წარმოდგენათა წარმოება, რომელიც აფექტს წინაღუდღებოდა, ჩამქრალია, ხოლო გამაძლიერებელ წარმოდგენათა წარმოება გაადვილებულია.

ამ სახით აფექტურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ერთი რომ ნაკლებ ღებულობს იმას, რაც მის გარშემო ხდება,

ვიდრე მშვიდი ადამიანი და მეორე განმარტავს იმას, რასაც იღებს თავისი აფექტის მიხედვით. თუ რისმე იმედი მაქვს, მიდრეკილებაც მაქვს არ გავაქაჯანო შემეცნებაში ისეთი მიზნები, რომელიც უსაფუძვლოდ ჰხდის ჩემს იმედს. თუ შიში მაქვს რისმე, მაშინ მოვლენაც უსაშინლესად მომეჩვენება, ვიდრე ნამდვილად არის. ამისდაგვარად წარსულ შემთხვევისა და მის გამომწვევი აფექტის მოგონება, თუმცა მკვიდრია, მაგრამ მეტისმეტად საეჭვოა სინამდვილის მხრით. აფექტის მდგომარეობათა განთვისებულება იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამი წარმოდგენები მეტის-მეტად მკვიდრად არის ერთმანეთზე გადაკვანძული, ასე რომ თითო მათგანს ძლიერი მიდრეკილება აქვს წარმოშობის დროს მეორეც თან გაიყოლიოს.

როგორც ყოველ-დღიურ გამოცდილებით ვიცით, აფექტები ძლიერ ცხადად ადამიანის ფიზიკურ მოვლენებში იჩენს თავს, აფექტი თავის არსებობას გვამცნებს ადამიანის მიხრა-მოხრით და სხვა გარეგანი ნიშნებით. აღძვრის აფექტები ხასიათდება კუნთების ტონის ენერჯის ამაღლებით და სპეციალად კანის ძარღვების დაჭიმვით, გულის ცემის მოცულობის გახშირებით, ზედა ტანის, უფრო თავის კაპილიარების გაფართოებით. აფექტებისათვის დებრესიები—(დაწვევა) მნიშვნელოვანია—გულის-ცემის მოცულობის შემცირება, სისხლის დაკლება ძარღვებსა და კანში. სხვა და სხვა აფექტისათვის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი მოვლენანი: გაჯავრების დროს—მუშტი, მხიარულობის დროს—სიცილი, მწუხარების დროს—ტირილი, მოლოდინის დროს—თვალის გაშტერება.

აფექტებისადმი მიდრეკილებით და სა-

ზოგადოთ იმით, არსებობს თუ არა ამა თუ იმ აფექტისადმი მიდრეკილება, ჩვენ აღვნიშნავთ ადამიანში ამა თუ იმ **ტემპერამენტს**. ტემპერამენტსაც ისეთი დამოკიდებულება აქვს აფექტთან, როგორც გუნებას გრძნობასთან.

ის ადამიანი, რომელსაც მიდრეკილება აქვს ხშირისა და ძლიერის აფექტისადმი, სდგას კულტურის დაბალს საფეხურზე. აღზრდის მიზანი უნდა იყოს ხელი შეუწყოს აფექტების დაცხრომაში, მის განვლებაში და ამით თვით აფექტების შესუსტებაშიც. ეს აღზრდის იდეალი არაოდეს არ უნდა აურიონ გრძნობის ფარგლების გულგრილობაში (Gefühlsindifferenzismus).

ვისმე შეუძლია მეტის-მეტად ცოცხალი და ძლიერი გრძნობა გამოიჩინოს ჭეშმარიტებისა და სიცრუისადმი, კეთილისა და ბოროტისადმი, მშვენიერისა და საზიზღრობისადმი, გულთთ მხიარული იყვეს და ღრმად მწუხარეც უიმისოდ, რომ ეს გრძნობანი გადაგვარდენ წარმტაც აღტაცებად ეკზალტაციად, ან მწუხარე დაცემად, დებრესიად და სხ. რომლის დროსაც სულის ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა სრულიად ირღვევა. მეორე საკითხია, რა საშუალება აქვს პედაგოგიკას ამ იდეალის განსახორციელებლად: ბავშვებს, რომელთაც მიდრეკილება აქვსთ აფექტებისადმი და რომელნიც ადვილად აღიძვრებიან, მოაშორებენ აფექტების მიზეზებს; მათ უფრო მყუდრო და ერთგვარ სადგომში ათავსებენ, იფარავენ და აშორებენ ყველაფერს, რასაც აღმძვრელობითი

გავლენა აქვს, მაგ. ერთის მხრით მაგარი სასმელი, და მეორე მხრით აღმძვრელი კითხვები, ძლიერი და ცხადი გაღიზიანება გრძნობათა. შემდეგ, თუ საჭირო იქნება, წინ აღუდგებიან აფექტის აფეთქებას, ეს მისი გამომხატველი მოძრაობა იქნება, თუ საქციელი; ერთიც და მეორეც იმდენად შემაღდენელი ნაწილია აფექტისა, რომ მათის გაქრობით ჰქრება თვით აფექტიც. ადვილად წარმოსადგენია, რომ ნათქვამი აღძვრის აფექტებს ეხება, როგორც არის გაჯავრება და სიფიცხე; მაგრამ ასეთს აფექტებსაც, როგორც აღტაცებაა, იმედი, შიში, მწუხარება, ადამიანი მთლად ვერ მიეცემა, რომ მთლად დაჰკარგოს უფლება თავის სულიერს ძალაზე. შიშისა და გაოცების აფექტებისაგან უზრუნველყოფილ ადამიანებს ჩვენ ვაფასებთ გულმაგრობისათვის.

თუ აფექტები და გრძნობანი, რომელნიც წარმოდგენათა თუ მოქმედებათა რომელსამე ჯგუფთან არიან დაკავშირებულნი და ისე ძლიერნი არიან, რომ ადამიანის ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ, იმდენად, რომ ადამიანს სურს უარპყოს სხვა ყველაფერი, ამისთანა ადამიანს **ვნება**, წყურვილი აქვს ამ გვარის მოქმედებისადმი. ასე ამბობენ ნადირობის, თამაშობის ვნებაზე და სხვა, როგორც არა საზნეობრიო თვისებაზე, მაგრამ მეორე მხრით, მაგ. ამბობენ ცოდნის წყურვილის ვნებაზედაც.

ლ. ბოცვაძე.



სატვა-საზვა

(საკუთარის გამოცდილებით)

„Сложенные руки лежать
предь ними на столѣ“...
Видеманъ.

შე უამად ჩემი წერილის აზრს შეადგენს, რაც შეიძლება, მოკლეთ შევეხე სატვა-საზვის შესწავლას ჩემდამი რწმუნებულ ერთ-ერთ სკოლის გამგეობას დაკვირვებიდან. ამ საგანზე წერა, რაიმე აზრის გამოთქმა, გამოცდილება, დაკვირვება, მგონია შეტი არ უნდა იყოს. რამდენათაც ეს ხაზანი თავის შინაარსით და დიხსებით საინტერესოა, იმდენად ის აბუჩათა ავლებული და უმნიშვნელოაა მიტოვებული მისი სწავლება ჩვენს სკოლებში.

ეს კი იმის ბრალია, რომ რასაც ჩვენ ვერ ვცნობთ, იმას სხვისთვის საუკრადლებოდ ვერ ვაზნობთ; რასაც ჩვენ ფასს არა ვსდებთ, იმას ჩვენ არაფრად ვაგდებთ, აი სწორედ ამ საგნის სწავლებას ჩვენ სკოლებში ჯერ კიდევ საზოგადოებრივი სახე არ მიუღია.

ჩვენ რომ „სატვა საზვის“ დიდი მნიშვნელობა ვათვალისწინებულნი ვგქონდეს, გვიზიდავდეს ცხოვრებისკენ მისი აუცილებელი საჭიროება ჩვენის სკოლების სასიკეთოდ, მაშინ საქმისადმი სიუარული შეგვაქმენვიობდა ჩვენ უველაფერს და სულ მოკლე ხანში, რი-სამი თვის სწავლების შემდეგ, „სატვა საზვის შემოდებით, ჩვენს სკოლებში ისეთი ახალს, გამაცოცხლებელს სხივების შექმნილით, რომ ბავშვთა მთელი გრძნობა-გონება, ესთეტიური მისწრაფებანი დაგვეტობა და მათის შემოქმედებითი ნიჭისთვის ფრთები შეგვესხა. სულ მოკლე ხანშივე, ერთის წლის შემდეგ, სკოლის კედლებსაც კი დავამშენებდით მათის ნახატებით. ასეთი დიდ

მნიშვნელოვანია „სატვა-საზვა“ და ამას კი გვერდს უხვევენ. და რომ შემოვიღოთ ამ საგნის სწავლება ჩვენს სკოლებში და საზოგადოებრივი სახე მივცეთ, განა ძნელია? სრულიადაც არა. სადაც სურვილია, იქ უველაფერი იქნება. მით უმეტეს „სატვა“ თავისი სისტემით ისეთი კანკრეტული და რეალურია, რომ იმისი სწავლება არც ისეთი ძნელი გასაღვთ, როგორც სხვებს ჰგონიათ. მასთან „სატვა“ ეს ხომ მეცნიერება არ არის, რომ რთული, გაუგებარი, მიუწვდომელი და ფილოსოფიური იყოს ბავშვთათვის, ეს არის „ხელოვნება“ დამყარებული ვარჯიშობაზე და დაკვირვებაზე. და თუ სხვები ამ საგნის სწავლებას სხვა სახით ჰხსნიან, სწორედ იმის გამოც უძნელდებოთ ამის სწავლება და ხშირად კიდევ იმიტომ გაიძახიან ხოლმე: „მინდა ვასწავლო „სატვა“, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი და როგორ ვასწავლო“. ბევრი იმასაც ამბობს: ვასწავლიდი, მაგრამ ბავშვები მეტის-მეტად სჯობნიდნენ, ნახატი ნახატს არა ჰგვანდა, უძნელდებოდათ და თავი გავანებოე, მიზანს ვერ მივასწავლიდი. ბევრ ამ გვარ მიზეზებს ასახელებენ ამ საგნის სწავლების შესახებ, რომელთაც მე აქ არ ჩამოვთვლი და არც ადგილი აქვთ. მაგრამ უფრო-კი უმთავრეს მიზეზად იმას აღიარებენ, რომ „თვითონ მე არ ვიცი სატვა და როგორ ვასწავლო“. ამ გვარათ თავის მართლებაც დიდ შეტდომად უნდა ჩათვალოს და აი რათა:

ნათქვამია: „სწავლა კაცს სიბერემდის არ

მისჯარბდებოა“ , ,თუ გული გულბს, ქადა
ორი ხელით იტყუებოა“. თუ მასწავლებელს
შეგნებთა აქვს გათვალისწინებული ამ საგნის
მნიშვნელობა, მერწმუნოს, რომ სულ მოკლე
ხანში შეისწავლის მშენიერს ხატვას.

მხოლოდ აქ უნდა მასწავლებელს ვარჯიშო-
ბა; მუდამ სილამითი, რომ თითო სიათი
ივარჯიშოს, ორი-სამი თვის შემდეგ შესაფე-
რისი ხატვა ეტოდინება, ბოლოს-კი ისე მი-
იზიდავს მას ეს საგანი, რომ სახლისოც-კი
შეიქნება მისთვის.

მე თვითონ არ შეხერხებოდა ხატვა, მაგ-
რამ ბოლოს დროს ისე უზრუნველ ვუყავი
ჩემი თავი, რომ სწავლის დროს ბავშვთა ფე-
ველ მოთხრობების სიამოვნებით ვაკმაყოფი-
ლებდი. საქმე ასე გახლავთ, ხატვა დიდ ნიჭს
არ მოითხოვს, ამის შესწავლა დამყარებუ-
ლია მხოლოდ ვარჯიშობაზე და დაკვირვება-
ზე. ეს კი ადვილად შეგვიძლიან შევასრუ-
ლოთ ჩვენ ვეგვამ. მით უმეტეს ბავშვთა
ხალისიანი და დაუდგრომელი ბუნება ამასვე
მოითხოვს, რის შემდეგაც დანამუხლად უნდა
ჩაკვირვავდეს, თუ ამით ამ მისწავლებაში
ხელს არ შეუწყობთ.

მიზანი ხატვისა.

ხატვა ეს ისეთი რამ ხელაწინებია, რომელიც
ვეგვას ბავშვს იზიდავს თავისკენ. ბავშვის
ჯერ კიდევ წარჩი ბუნებაც ისეთი ფატნას-
ტიურია, რომ ხატვარობიდანვე მასში თვით-
მოქმედების და რაღაც მიმბაძველობითი ნიჭი
ინების ხელმე თავს. ხშირად შეგვიმჩნევია
ბავშვში, რომ რაღაცას ჩხირკველვობს, რა-
ღაცას აშენებს, ვითომ დუქანს, ხიდს, წის-
ქვილს, სახლს და სხვა მრავალ ამგვარს.

ვამჩნევთ მასში რაღაც საქმიანობას და
მოუხერხებობას. მან ხახა რაღაცა, განიძახა
მისი შესრულება, შესრულა კიდევ და მის
სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ახა ვცადოთ და ახლა ქადაგდი და ფანქა-

რი მივცეთ ბავშვს. ის მაშინვე რაღაცას და-
ხატავს. რომ შევეკითხნეთ მან დასწავლა,
მიუხედავთ იმისა, რომ ხახატს არც თავი
უჩინს და არც ბოლო, გვიმასუხებს: სახლია,
ცხენია და სხვა, მან თავისი ფანტაზია ამი-
თი დაიკმაყოფილა. ზოგი ბავშვი ქადაგდსაც
არ სჯობობს. ხახა ხის სახლი, ან ბელე-
ლი, მოსდგება და ხახშირით აჭრელებს მის
კედლებს. ჰხატავს: კაცს, სახლს, ცხენს და
სხვა მრავალს ფანტასტიურს. ვეგვას ბავშვში
არის ხატვის ამგვარი ნიჭი, მისწავლება, და
თუ ჩვენ მასში განვავითარებთ, ამით ჩვენ
ბავშვში უზრუნველ ვეყოფთ ყოველ ხატვის
გრძობის და შემოქმედებითი ნიჭის განვითარ-
ებასაც.

აი რასა სწავრს ხატვის შესახებ გამოჩინი-
ლი მროფესორი რეინი: „აღზრდის მიზანია
მოამზადება ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ხასია-
თისა. გემოვნების გრძობათა განვითარებით,
იზრდება ადამიანში სიმშატიური გრძობა
მშენიერებისადმი. ამ მიზანს კი ვახწევთ
განვითარებულ და შეგნებულ მხედველობის
შემწევით.

ამიტომ აღზრდა განვითარებულ გემოვნე-
ბისა, არის ამავე დროს აღზრდა და განვი-
თარება შეგნებულ მხედველობისა. შეგნებულ
მხედველობის განვითარებისთვის-კი ხატვის-
თანა უკეთესი საშუალება არა არის რა.

ხატვა ავითარებს ბავშვში საზოგადოებრი-
ვი სულის განწყობილებას და სიყვარულს სამ-
შობლოსადმი“.

გიორგიც ასეთსვე აზრს დასაკვინის: „სამ-
ყარო, ეს განხორციელებული ერთეულია,
რომელიც თხოულობს შესწავლას დაკვირვების
მხრით“.

ხატვას ბევრი ამგვარი მიზანი აქვს, რე-
მელიც ავითარებს თითქმის ადამიანის ხუთსა-
ვე გრძობას. ხატვის დროს დიდს მონაწი-
ლეობას იღებს თავალები და ხელეები. ამით
ორივეს მწეობრი მოქმედება-კი ავითარებს



ბავშვში დაკვირვებას, სრულ წარმოდგენას ნახსნ რომელიმე საგნისას. დაკვირვება კი ავითარებს ბავშვში ესთეტიურ გრძობას, სიყვარულს, თვით მოქმედებას და შემოქმედებით ნიჭს.

ხატვას უკანასკნელად იქამდის მიჭყავს ბავშვის გრძობა, რომ ბოლოს ის ისეთს ფანტასტიურ სურათს ქსატავს, რაზედაც კარგა ვრცელი ამბავი დაიწერება. ხატვის მარტო ამ გვარს შედეგებს ნუ ვიკმარებთ. ბავშვი, როდესაც რომელსაზე საგანსა ქსატავს, ამ დროს ის მასზე ყველაფერს განიცდის, მის თვალწინ ამ საგნის მთელი ისტორია იხატება.

ხატვა ეს ბავშვის სულიანკვეთების დიაგნოზია, ამის შემწეობით ჩვენ შევკვიდვით გამოვივლით ბავშვის მთელი წარმოდგენა რაიმე საგანზე, მისი სულის კვეთება, ნიჭიერობა და უნიჭობა, ამით-კი საშუალება ეძლევა მასწავლებელს ადრევე გამოასრვიოს ბავშვის გონების ფიზიონომია.

მასთან ხატვას ბავშვში სულ ახალი, აღმოფრთხვანებული სიტყვის შეაქვს. ვისაც განუცდა ეს წუთები, ის დამეთანხმება, რომ ბავშვი არც ერთ გაკვეთილზე ისე თამამად და მხიარულად არა ჰგრძობს თავს, როგორც ხატვის გაკვეთილზე. ამ დროს მთელი მისი გრძობა-გრძობა მთლად ამოძრავდება, მხოლოდ მაშინ განიცდის ტუბილ წუთებს, მხოლოდ მაშინ ფიქრობს და მოქმედობს თავისუფლად.

ხატვა აყვარებს ბავშვს საგანს, ბუნებას, წაკითხულ მითხრობათა გმირებს, ასურათებს მათ, შეაქვს შიგ თავისებურება და სხვა. აი ასეთი მამოძრავებელი და გამომამოხიზლებელი ძალაა ხატვა ბავშვთათვის და ამას კი ჯეროვანი უურადდება არა აქვს მიქცეული ჩვენს სკოლებში.

რა უნდა უძღოდეს ხატვას წინ.


ბუნება თავისი სინარჩარით და სიკვლეურით მრავალფეროვანია. ამიტომაც მისი თანდათა-

ნობითი შესწავლაც უფელ ნაბიჯად სრულად დაკვირვებით უნდა სწარმოებდეს. სიჩქარით გერაფერს გავაკეთებთ. ბავშვის წინ ბევრგვარი სურათები და საგნები იხატებიან. მას ყველაფერი იზიდავს, ცნობის მოყვარეა, უნდა ყველაფერი გაიგოს. მაგრამ მას ამგვარ ცნობის მოყვარეობაში ერთი რამ ნაკლებეფანება სდევს. უეურებს საგანს, აცქერდება, ითვისებს მის გარკენულს ფორმას, სჯერდება ამას. რაც შეეხება იმას თუ, რას გვაგრძობინებს, რას წარმოგვიდგენს, რას განიცდის მის თვალწინ გადაშლილი სურათი. ამას ვერ ამჩნევს. ეს კი ხდება იმიტომ, რომ მას განვითარებული არა აქვს შეგნებული მხედველობა და დაკვირვება.

საგანი მარტო იმას კი არ მითხვავს, რომ თვალთ დაჯანხვით და შევითვისით მისი გარკენული ფორმა ისე ზერეფეთ. ეს საკმარისი არ არის. მას სული უნდა ჩავუდგათ, შევითვისით. თუ საგნის მარტო გარკენულ ფორმას ვაცქერდებით და ისე ჩვენ არაფერს გვაგრძობინებს, მაშინ ჩვენი წარმოდგენა მასზე ხორც შეუსხმელ ჩინჩხს წარმოდგენს და ჩქარაც ჰქრება ჩვენის წარმოდგენიდან.

და თუ ჩვენ მასზე დაკვირვებას განვიცდით, შევქმნით მას არსებითად, ის მაშინ გვაგრძობინებს კიდევ თავის ნამდვილს რეალურს სახეს.

სახოგადით ხატვის დროს უბრალო საგნებიც-კი: ხე, ვაშლი, სოკო, მისხალი, ბოლოკი, სტათუილო და სხვა ამგვარნი სრულს თავის ფორმის გამოხატვას და რეალურს სახეს მითხვვენ, თუ სრულს არა ნახევრებით მაინც. და რომ ხატვის დროს საგნის სრული სახე დავიცვათ და დაკვირვებაც ვიქმნით, ამ შემთხვევაში ხატვას უეტკველათ წინ უნდა უძღოდეს მეძერწვა თინისაგან დასახატავ საგნების. მეძერწვა აადვილებს ხილვას, რეალურს სახეს აძლევს საგანს. ავიდით მაგალითისათვის თუნდა ვაშლი. ის ჩვენს წინა




ბავშვების ნახატის ნიმუშები.

დეგს, ვუუერებთ, ვათვადიერებთ მის ფორმას. ის ჩვენ შეესტაშეთ, გაჭქრა ვაშლი. ჩვენს მესხიერებაში დაჩა იმაზე მხოლოდ მარტო ის, რომ ვაშლი აქ იღო, ჭქანდა მცწითაღო ფერი და მორგვალა ფორმა.

ჩემთვის კი რომ ეთქვათ შექერწვე თიხისა შენს წინ მდებარე ვაშლიო, მაშინ ვაშლს ზი-რისაკენ-კი არ ვუგარვდი თავს და კბილების მსხვერპლს-კი არ გავხდიდი, არამედ მას უუ-რადლებით მოვექცეოდი, დავაკვირდებოდი სრულ მის რეალურს ფორმას და სრულის ჩემის შთაბეჭდილებით უბრალო თიხის შემ-წეობით ისეთსავე ვაშლს შექერწვდი, როგორც ჩემ წინ იღო. შემდეგ შეკვადრებთ ორივეს. აქ დაკვირვება მეტ უნარს იჩენს. ვამჩნევ,

რომ ორივეს სრული მრგვალი ფორმა აქვს, თავში და ბოლოში შედრეკილებია, ბოლოში ოღნავ, თავში უფრო დრმაღ; ორივე კუნწი ერთ გვარი აქვს, ბოლოში აქვთ ზატარა კუ-ჭი. ორივე მიემსგავსება ერთმანეთს. თუ ამ შექერწვილს თიხის ვაშლს გავახმობ, გამოგ-წვაჟ და ავაფერადებთ თანდათანობით ნამდვილი ვაშლის ფერით, მაშინ-კი სავნები რეალურის სახით უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ სახით, შექერწვის შემდეგ ჩემწინ მდებარე ვაშლი განეებუელ ფორმით კი აღარა მაქვს წარმო-დგენილი, როგორც შეჭმის შემდეგ, არამედ ხორც შესხმულად, გაცოცხლებულად. ამის შემდეგ, რაკი შექერწვის დროს ივარჯიშა ხელმა, თვალმა, დაკვირვებამ, გრძნობამ და



გემოვნებამ (სიმშვენიერისამ), დასატვა ვამ-
ლისა მიაღვიდებოდა, საგანი ჩემ თვალში მთე-
ლი სინხადით იხატება. აქ კი შეგნებული
შხედველობა მეტს უნარს იხენს. აქ ვაშდის
შესახებ უბრალო მაგალითი იმიტომ მოვიყვან-
ნე, რომ ცხად შეყო თუ რამოდენათ რეალურ
სახეს იღებს საგანი და თვალსაჩინოდ ხდება
შეძერწვის დროს და ის თუ რამოდენათ დამ-
ხმარე საშუალებას შეძერწვა ხატვის დროს.

შეძერწვით ყველა საგანი ამას განიცდის,
რაც ზემოთ მოვიყვანე და ხატვაშიაც კონკრეტ-
ულია გარეგნობით. მაშ თუ გვინდა, რომ
ხატვა მეტი შიშობიდეული გავხადოთ ბავშვთა-
თვის და მათს ფუნქციას მეტი სიცოცხლის
ძალა მივცეთ, ხატვას წინ უნდა უძღოდეს
შეძერწვა, როგორც დამხმარე საშუალება. შე-
ძერწვა შეიძლება ყველა საგნებისა, შეიძლება
შეძერწვითვე დასურათება მთხრობის გმირ-
ებისა და სხვა. შეძერწვის შემოდება ადვილია,
ყველა მასწავლებელს შეუძლიან შემოდოს,
მხოლოდ მას მეტი უნარი მართებს და უნდა
იზიდავდეს, როგორც არის თითხვნა თიხისა.
ამაშიაც ჭმარებებს ვარჯიშობა.

რაც შეეხება მომზადებას შეძერწვისთვის,
ადვილია. საჭიროა კარკათ ახელილი თიხა,
თიხა უნდა იყოს ღაბობიანი; საჭიროა თხელი
პატარა ფიცრები, სიგრილი ექვსი ვერშოკისა,
სიგანით ვერშოკისა; საჭიროა ხის დანები,
მავთულის ხრიკები; ამოსატრელ-შესლამაზებ-
ლათ; ამეებს მოწაფეები გააკეთებენ. პირვე-
ლად უბრალო ფორმის საგნებს სძერწავენ,
შემდეგ ცოტა მოძნელდეს. თუ საგნის შეძერ-
წვა უძნელდება მოწაფეს, შესაძერწავი საგანი
წინ დაევენება, ან სურათი საგნისა. უფრო-
კი საგანი სჯობია. ასეთს საშუალებას იშვიათად
უნდა მიჭმართოს მასწავლებელმა. მოწაფეებ-
თან ერთად მასწავლებელიც უნდა სძერწავდეს
უეჭველათ, ეს აცხადებებს ბავშვთა მოქმედ-
ებას. რასაც შესძერწავს მასწავლებელი, მოწა-
ფეთ უხვენებს სრულს ფორმით; ეს უკანას-

კნელი მოწაფეთაც უნდა ეხმარებოდეს შეძერ-
წვაში.

მასთან მასწავლებელს წინათვე ჩამოწერილი
უნდა ჭქნდეს რიგზე შესაძერწავი საგნების
სია, ასე ყოველ გაკვეთილის წინათვე. პირ-
ველ ხანებში ისეთი საგნები უნდა შეძერწვან
ბავშვებმა, რომელიც ადვილი და სასადისო
იქნება. თუ ბავშვმა ვერ მოიგონა შესაძერწავი
საგანი, მასწავლებელი მოაგონებს. ყოველ
გაკვეთილს დროს მასწავლებელმა წინათვე
უნდა იცოდეს თვითვეული მოწაფე რას შეს-
ძერწავს.

თუ განზრახული საგანი მოწაფემ ვერ შე-
ძერწვა, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს და
უეჭველათ უნდა დათავებინოს დასახელებული
საგანი, თუ იმ გაკვეთილზე ვერა, შემდეგზე
მანც. ბავშვი ამით ეჩვენებს მუყაითობას. კარ-
გათ შეძერწვილი საგნები მასწავლებელმა უნ-
და მიიღოს და კლასშივე ჭქნდეს დასაკებუ-
ლი განსაკუთრებულ ამისთვის დამზადებულ
თარხზე. კარგი იქნება, თუ ბავშვთა შეძერ-
წვილი საგნები გამოიწვევს და შემდეგ აფე-
რადდება. ეს საგნები ხატვაში დიდ სამსახურს
უწევს მოზარდ ბავშვს.

მაგალითად: თუ ჭხატვას შეძერწვილს
საგანს და უძნელდება, დროგამოშვებით მას-
წავლებელი ხსენებულს საგანს თვალსაჩინოდ
გაჭხადის მის წინაშე.

ხატვას თუ ამ მხრით დავიწყოთ, მიზან-
საც მივახწევთ.

მომზადება ხატვისთვის.

სახოგადოთ შედაგოგიური პრინციპია, რომ
როდესაც ბავშვებისთვის რაიმე ცოდნის გა-
დაცემა უნდა მასწავლებელს, ხსენებულ საგან-
ში წინათვე უნდა მოემზადოს ხოლმე. მით
უმეტეს ხატვა ისეთი რამ ხელაფნებაა, რომ
თუ პირველათვე თანდათანობა არ დაიცო მას-
წავლებელმა ამ საქმეში, შეიძლება პირველი
უხერხულობა ბოლომდის სენათ გარდაიქცეს

და ხსნა არსიდან ექმნეს. ეს რომ არ მოხდეს, მასწავლებელი, როგორც სხვა საგნებში წინასწარ ემზადება, ამ საგანშიაც სიფრთხილით უნდა მოიქცეს და მოემზადოს. მომზადება კი მდგომარეობს შემდეგში: ხატვის დაწვებამდის ბავშვებმა უნდა იცოდნენ მის ახლად მეოფე საგნების ჩამოთვლა, მათი კონტრეტიულობა დალაგება, შედარება და განსხვავება, მასთან უნდა იცოდნენ საგნების ფორმები: მრგვალი მოყვანილობისა, წოწოლა, ოთხკუთხიანი, სამკუთხიანი, კონუსისა და ცილინდრის მსგავსები*). ამ გვარ ფორმის საგნების ჩვენება თვალსაჩინოთ უნდა სწარმოებდეს.

შემდეგ ბავშვები დასახელებენ რამდენსამე ამგვარ ფორმის საგნებსა. გამახატვა ამ გვარ ფორმებისა დაფაზე მასწავლებლის მიერ, შემდეგ მოწაფეებიც გამახატვენ ამასვე დაფაზე და შემდეგ ჭერში—როდესაც მოწაფეები ზერახსებულის ცნებებს შეითვისებენ, შემდეგ ხატვაში მასწავლებელმა სან გვარი წესი უნდა დაიცოს: მიმბაძველობითი ხატვა, ხატვა თვალსაჩინო და თავისუფალი ხატვა. მიმბაძველობითი ხატვა საჭიროა იმიტომ, რომ აჩვენებს ბავშვს ხატვის ტექნიკას თუ როგორ უნდა ხატოს ხატვის რამედიმე საგანი. მიმბაძველობითი ხატვის დროს მასწავლებელი უხატავს მოწაფეებს დაფაზე რამე ადვილი ფორმის საგნებს; თვალსაჩინო ხატვა საჭიროა იმიტომ, რომ აჩვენებს ბავშვებს ცხადთ დაუკვირდეს საგანს, მის ნამდვილს ფორმას, რადენობას და განსაზღვრას; ხატვა ზეპირი ანუ თავისუფალი აჩვენებს ბავშვებს აზროვნებას,

*) კერძოთ დახატვა სახატავ რვეულებში მრგვალი ფორმისა, ოთხკუთხისა, კონუსისა სამკუთხისა, სწორკუთხ-ოთხკუთხისა, წოწოლა ფორმისა, ცილინდრისა, სწორე ხაზებისა უმნიშვნელოა; ამეების ხატვა ბავშვს არაფერსა სძენს. ამ გვარ ფორმის შინაარსი მაშინ ეძლევა, როდესაც საგანის ფორმასთან დამოკიდებულება აქვს რამე.

დაკვირვებას და თავის შთაბეჭდილებებს გადმოცემას საგანზე. მიმბაძველობითი ხატვა მდგომარეობს შემდეგში: მასწავლებელი ჭხატავს დაფაზე მაგალითად*) ხეს, ვაშლს, მსხლს, ფოთლს, ტიქას, სტაფილს, ბოლოკს, სოკოს, ბალახს, ბოდს, ტოტს, ბუტის, სამეცნეს, კიბეს, გვერცხს, საშაქრეს, გიწვაქიანს, ცუტს, ჩაქუჩს და სხვა.

ამ გვარ უბრად ფორმის საგნებს, რასაკვირველია რომეღისამე ერთ-ერთს ჭხატავს, ვეეღას და ხატვა ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება. ამათში ვეეღასზე ადვილი უნდა ამოაჩინოს მასწავლებელმა, ისეთი-კი, რომ ჰირველ დახატვითვე მოწაფე არ გატრუგდეს. ამათში ვეეღასზე ადვილი და უფრო შინაარსიანი დასახატვისა ჩემის გამტრდილებით ხე. როგორც უნდა უხეიროთ დახატოს მოწაფემ ხე, მაინც მიემეზავსება ხოლმე ცოტათი. მას მაგალითად მასწავლებელმა დასახატავთ ამოიჩინა ხე. ჭხატავს დაფაზე კახტათ, მოწაფეთა უურადლება დაფისკენ არის. დახატვის შემდეგ, მოწაფეები შეადარებენ სურათს ხეს. შემდეგ მასწავლებელი ამავე სურათს მოწაფეებს რიგ-რიგთ ახატვინებს დაფაზე; შემდეგ სხვა საგანს ამოიჩინევენ**).

თავისუფალი ხატვა, ანუ ზეპირი მდგომარეობს იმაში, რომ მოწაფე თავისი სურვილი

*) არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასწავლებელი, როდესაც ხატვას პირველ ხანებში მიმბაძველობითი წესით ასრულებს, მუდამ რამე საგნის დაფაზე დახატვამდის ეკითხება ბავშვებს; როგორი ფორმა ექნება დასახატავ საგანს.

მოწაფეებს რაკი გაგება ექნებათ საგნების ფორმაზე და მოყვანილობაზე, პასუხს ადვილათ გაუგებენ. ხატვა ამის შემდეგ იწყება დაფაზე.

**) კარგი იქნება თუ მასწავლებელი პირველ ხანებში მრგვალი ფორმის საგნებს დაახატვინებს.

ამ გვარი ფორმის საგნების ხატვა ძალიან უადვილდებათ.



ლით ჭხატავს რაიმე სურათს, ან მასწავლებლის მიცემულს თემაზე. ამ დროს მოწაფე თავისუფალია, ჭხატავს ისე, როგორც უნდა და როგორც ეხეჩება. მისი ნახატი უნდა გასწორდეს მაშინ, როდესაც დაამთავრებს, გადასწორებაც მის თვალწინ უნდა მოხდეს ან მაშინვე ან შემდეგში. ყოველ შემთხვევაში-გი მოწაფის თავისუფალი ნახატის გასწორება უიმისოდ არ უნდა მოხდეს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ მიმბაძველობითი ხატვის დროს ზოგიერთი მოწაფეები გამოიჩენენ ხელმე ნიჭსა და თავიანთის აზრით ჭხატვენ სხვა და სხვა საგნებს. ასეთს მოწაფეებს ნება უნდა მისცეს მასწავლებელმა ხატონ შეფარდებით მგზავსი საგნები. საჭიროა, თუ ისინი სახატავ მასალას ვერ მოიგონებენ, მასწავლებელმა ამათი ნიჭის და მიხედვით მისცეს სახატავი მასალა. დასახატავ საგნების თუ სურათების სია ბოლომდე უნდა ჭქონდეს ჩამოწერილი მასწავლებელს. ეს აუცილებელი საჭიროა.


მასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ როდესაც მასწავლებელი ხატავს ზემო ხსენებულ სამგვარის წესით ასრულებს, ამ დროს უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მიმბაძველობითი და თვალსაჩინო ხატვიდან ჩქარა გადავიდეს თავისუფალ ხატვაზე, ამას თვით მოწაფეთა ნიჭიც აგრძნობინებს მასწავლებელს. რაც შეეხება კერძოთ მოწაფეთა ნახატებს, მასწავლებელი უეჭველად უნდა ასწორებდეს, გაუსწორებელ რეკულებზე ხატვა არ უნდა სწარმოებდეს, ხატვის ნება არ უნდა მისცეს მასწავლებელმა არც იმ მოწაფეს, რომელსაც მიცემული სამუშაო არ დაუთავებია და მაინც მათხმავს ახალი რამ სურათის დახატვას. ყველა ნახატები კარგათ იქნება თუ ცუდათ, უნდა დამთავრდეს და მოლოთ მაშინ მიეცეს ნება მოწაფეს დახატოს ახალი რამ სურათი.

ხ ა ტ ვ ა

ყოველივე ამის შემდეგ, რაკი ხატვას წინ

უძღვის ზემოთ დასახელებული წესი, ის მაშინ თავის თავად ცხადი ხდება და საქმიანად აღვიდლება. მე ჩემის დაკვირვებით და გამოცდილებით ასე ვასწავლიდი და ახლაც ასევე ვასწავლი და მიზანსაც ვხსწევ. მართალია, ხატვა ზირველ ხანებში მეტის მეტად უხერხულად გვეჩვენება, ბავშვები უმზგავსოთ ჭხატვენ, სკანნი სკანს არ მიემგზავსება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. მათს ყოველ უმზგავს ნახატს ანგარიში უნდა გავუწიოთ; ღეე, ჭხატონ ისე როგორც მათ ეხერხებათ, მასწავლებელმა მაინც განაგრძოს ხატვა, სამაგიეროთ შედეგი მუდამ და ყოველთვის კარგი მოხდეს. რომ ეს საქმიანად ცხად ვჭეო, აქვე იხილავთ ჩემი მოწაფეების ნახატებს *). რომ დაუგვირდეთ ყველა სურათებს საგნების ნამდვილი რეალური სახე აქვთ მიღებული. ცოტადენის განხსკავებით. ყველა ეს ნახატები ბავშვთა ფანტაზიის ნაყოფია, ყველა მათ შექმნეს და თავიანთი აზრის და დაკვირვების სახე მისცეს. ყველა ნახატები თავისუფალი ხატვის შედეგებია, თვითონ ბავშვები იგონებდნენ რაიმე სურათს და ჭხატავდნენ ისე, როგორც უნდოდათ; ჭხატავდნენ ყველაფერს. ზოგს თუ კარგათ, ზოგს უხეიროთ, ჩვენ მაინც ამ ორივე გარემოებას ანგარიშს ვუწევდით. ჩვენ მათი უხეირო ნახატები იმედს არ გვაკარგვინებდნენ, ვიცოდი რომ ამას კარგი შედეგი მოჰყვებოდა. ხატვის გაკვეთილები კვირასში ორჯელა გვქონდა, მუდამ და ყოველთვის ხატვა ბავშვთა მეტის სიცოცხლით, გამომეტყველის სახით და ზიროზე დიმით მიმდინარეობდა. ზოგჯერ თუ ჭხატავდნენ დაფაზე მიმბაძველობითი წესით და თვალსაჩინოთ, ჭხატავდნენ მეტ წილად ზეპირად. ბოლოს და ბოლოს ხატვამ ისე მიიზი-

*) სამწუხაროდ ყველა ნახატების კლიშეების დამზადება ვერ მოვახერხეთ; თუმცა ნახატები, როგორც პირველი ცდა ფრიად საყურადღებოა. **რედ.**



და ემაწვილები, რომ ხატვის გაკვეთილებს მიტოვება ცოდვად მიაჩნდათ, ზოგჯერ თვით მე გუნებაზე არა ეოფილვარ, მაგრამ იმათ დაჟინებულ სურვილს მაინც აუძულებივარ ხატვის გაკვეთილი ქქონდათ. დასახატავ მასლას მოწაფე წინათვე მოიგონებდა ასე, რომ ხატვის დროს მას გათვალისწინებული ქქონდა რა უნდა დაეხატა. ხატვას ზემოთ დასახელებულის წესით სისტემატიურათ პირველ ოთხ წელიწადს ვასწავლიდი და ამას ისეთი შედეგი მოჰყვა, რომ ბევრჯერ განცვიფრდი: ნუ თუ პირველ უმზგავსობას ასეთი რეალობა მოჰყვა? თვით ის ბავშვებიც კი, რომელთაც უბრალო რამ სავანას დახატვა არ შეეძლოთ, სხვა მოწაფეთა ნიჭმა ისინიც წაითრია და ბევრჯერ მშენიერს სურათებსაც კი ჰხატავდნენ ხელმე. ბევრმა მოწაფეებმა ხატვაში ისეთი ნიჭი გამოიჩინეს, რომ მოთხრობების და ზღაპრების გვირგვინიც კი ჰხატავდნენ და სკლასო რვეულებშიაც მიტეხულ სამუშაოებს ასურათებდნენ.

აქ მოთავსებული სურათები განკებ არჩეულები არ გახლავთ, არც რამდენიმე მოწაფეს ეკუთვნის; ეს ნახატები ეკუთვნის 2, 3 და მეოთხე განყოფილების მოწაფეთ.

აქ მოყვანილ ნახატებიდან თვითეულ მოწაფეს ეკუთვნის ერთი ან ორი სურათი. განკებ ასე იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ნათლად გვეჩვენებინა ყველა მოწაფეთა ნიჭის სახე და ის თუ სადამდის მიჰქვავს თავისუფალ ხატვას ბავშვთა ფანტაზია. გვინდოდა მოგვეთავსებინა პირველი განყოფილების მოწაფეთა ნახატებიც, მაგრამ მათი ყველას ფოტოგრაფიულად გადაღება ხარჯს მოითხოვდა, ჯერ ისეც ამის გამო სხვა ბევრი ნახატებიც ვერ მოვათავსეთ, გვინდოდა მოგვეთავსებინა ამასთანავე სურათები მოწაფეთა შეძენილ საგნებისა, მაგრამ ისე ბუნდოვანათ აღმოჩნდა გადაღებული, რომ გადაბეჭდვის შემდეგ მნიშვნელობას კარგავდა.


დასასრულ მოგახსენებთ, რომ რაგონ ხატვა თავისუფალ ხატვის სახეს მიიღებს, რაინც ნახევარი წლის ვარჯიშობის შემდეგ მოხდება ხელმე, (ზოგიერთი მოწაფე ასეთს ნიჭს ადრეც გამოიჩინეს ხელმე) ამ შემთხვევაში მასწავლებელს სახატავი მასალა ბლომით უნდა ქქონდეს ხამწერილი, აქედან ამოარჩევიანებს მოწაფეს რომელს დაჰხატავს, რომელს ვერა. რომელსაც ერთი ვერა ჰხატავს, იმას მეორე ასრულებს; შემდეგ ასეთსავე სახატავ მასალას თვით მოწაფეებიც იგონებენ.

მოწაფეს ხატვის დროს ძალდატანება არ უნდა, რომ ესა და ეს სურათი ან სავანი უმჯობესად დახატეთ. ეს იმიტომ, რომ ყველა სავანი ბავშვს ერთგვარათ არ აინტერესებს და არც აკვირდება. იმის ხატვას შესძლებს ხელმე, რომელმაც ის დაინტერესა. რომ ძალდატანება არ მოხდეს, სჯობს თვითონ ბავშვმა ამოიჩინოს სახატავი სავანი.

თუ ბავშვმა ამოიჩინა სახატი მასალა და ვერკი შესძლო სრული მისი დახატვა, აქ მასწავლებელი უნდა დაეხმაროს და დათავუბინოს, აკრძობინოს ბავშვს, რომ მიზანს მიახწია. ყველა ნახატები უნდა გასწორდეს ბავშვის ნიჭის მიხედვით, უცბად მის ნახატს მასწავლებელმა რეალური ფორმა არ უნდა მისცეს. მასთან ყველა ნახატები უნდა აფერადდეს, რომელი ნახატიც უკეთესი იქნება, მასწავლებელმა უნდა მიიღოს და შემდეგ კლასში გამოეჭვიდოს. ამით ბავშვები ეცნობებიან ამხანაგების ნამუშევარს.

ამით ვათავებ ნემს წერილს ხატვის სწავლების შესახებ. კარგი იქნება თუ სხვა მასწავლებლებიც გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საგნის სწავლების შესახებ თუ როგორ ასწავლიან ხატვას თავიანთ სკოლებში. ამით საშუალებას მივცემთ გავცნოთ ერთმანეთის აზრსა და დაკვირვებას ამ საგანში.

კოტე სენნიაშვილი.





კივიენა

(წერილი მეშვიდე)

3. ადამიანის მუცლის ჭიები

(Vermes)

მს საზიზლარი პარაზიტები სცხოვრობენ ადამიანის და აგრეთვე შინაურ ცხოველთა გვამში. უფრო ხშირად ხვდება:

I. ცესტოდესი ანუ გრძელი პრტყელი ჭია. თასმა ჭია.

II. ტრემატოდესი ანუ მწოველი ჭიები და

III. ნემატოდესი ანუ მრგვალი ჭიები. ეს მუქთა ხორა პარაზიტები ადამიანის ძლიერ ხშირი სტუმრები არიან და თუ კი ერთი როგორმე შემოგვეხიზნენ და მოი-

კალათეს, მაშინ თქვენი მტერი, ნამუსზე ხელს იღებენ, ძნელად და მოვიშორებთ ხოლმე თავიდან.

უფრო ხშირად ადამიანს ცხოველები-საგან გადაედება ხოლმე ჭია— უმთავრესად კი ძაღლისაგან და საკლავ საქონელისაგან. მაგალითად როდესაც რომელიმე ცხოველის ხორცსა ვსჭამთ (ძროხის ხორცი, უფრო კი ღორის ხორცი) შეიძლება ამ ხორცში ისხდეს რომელიმე ჭიის კვერცხები ანუ უკვე ჩასახული ბლარტი ჭიისა. ეს საზიზლრები შეიძლება აგრეთვე ჩავყოლოთ როცა წყალსა ვსვამთ ამ მწვანოილს და სხვა რამ მოუხარშავ ბოსტნე-

*) ტილებისა და ჯდობას შესახებ შეკითხვა მივიღე: 1) ძუძუთა ბავშვს წამწამებში ჯდობა გაუხნდა და სიცრდავ ბაღდს დღე და დამ მსხვერუბას არ აძლევს. 2) იგივე შემთხვევა, მხოლოდ ბავში თერთმეტი წლისა და სიმწვავით სულ თვალის ქუთუთაებს იგდევჯავს. 3) ჩვენი ჯარის-კაცები შეშეკითხნენ— ისე რომადაც არ გვაწუხებს ზოზიციებზე რეგორათაც ამ ტილებმა გაგვიჭირეს საქმე.

უველასე ძლიერ იმ ძუძუთა ბავშვის ყოფამ შემაწუხა, შემადწუნა. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერაფერი წამალი ვერ გამოვხსენე სამკურნალო მეცნიერებაში, ჯდობას მოკვლას წამლით ადვილია, მაგრამ იმავე დროს თვალის დაიღუპება. აი ერთი საშუალება:

ჯდობა წამწამს და წამწამს შუა ზის, ჩაკვდება ხოლმე ქუთუთის კიდე. უნდა აიღოთ ზაწია ზინტეტი (ქაღბათინი, მასის ჭკავს) და თითო-თითოდ ამოგლიჯოთ ჯდობა, თანაც

ეცადეთ ჯდობა იმ წამსვე დასწვით ცეცხლში, ან ანთებულ სანთელზე— ეს იმიტომ, რომ სხვას ადარავის გადასდოთ.

რაც შეეება ტილებთან ბრძოლას, ამ ომიანობამ ძლიერ დააფიქრა ზროფეოსრები და დოქტორები.—საკითხი მართლაც რე ძლიერ სერიოზულია, —ერთი უშეუფონ ჯარის კაცებს რომელთაც ტილები მსხვერუბას არ აძლევს არც დღე და არც ღამე.

ზარაზიტებთან საბრძოლველად ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულია შემდეგი საშუალებანი:

1) დაიზიდეთ ტანი ვაზელინით. ეს იმიტომ ხდება ტილებს, რომ სასუნთქი მილები ესშობათ ვაზელინისაგან და უჭაეროდ იხრჩობიან.

2) აიღეთ რომელიმე ეთერიანი ზეთი მაგალითად:

- მიხაკისა (ol. earyophyll).
- ღარჩინისა (ol. cinnamom).

ულს ვსკამთ. შეიძლება ისეც, მარტო შეხებით შეგვეყაროს ჭია რომელიმე შინაურ ცხოველიდან, რომელიც ჩვენთან ერთად სცხოვრობენ—ძაღლი, კატა და სხვ...

ზოგს ადამიანს ისეთს პირობებში უხდება ცხოვრება, რომ აუცილებლად გადაეკიდება ამ პარაზიტ-ჭიებს, მნიშვნელობას არ არის მოკლებული აგრეთვე ადამიანის ჰასაკი, სქესი და მოხელოება. მაგალითად ხშირია ჭია ბავშვებში და სულით ავადმყოფებში, რაც უეჭველია, გამოწვეულია უსუფთაო ცხოვრებით—

ანისუნისა (ol. anisi)

ბერგამოსი (ol. bargamot.)

ლავანდულასი (ol. lavand.)

ამათში რომლის სუნიც უფრო მოგეწონათ და გეშთებოდესთ აიღეთ 10 წილი ზეთი და 90 წილი სპირტი ან არაყი (და თუ გაჭირდა წყალიც შეიძლება) კარგად აურიეთ და ამით ასხურეთ საცვლები (პერანგი და მისი ამხანაგი) და ქვეშსაგები (შეწარი, ბალიშის პირი და სხვ.) შეიძლება ტანზედაც წაისვათ, სრულებით არას გავნებთ და პარაზიტებისაგან კი დაგინსნით—აღარც ტიღი მოგეკარებათ და აღარც რწიელი.

მომზადება რომ არ დაგზარდეთ (ვინ იცის ქართველი კაცი ხართ), საქმეს უფრო გაგიაღვილებთ. აიღეთ მაგალითად დარინინის ზეთი ერთი კოფი (შეჭამანდისა) ასე 5—6 მისხალი და ერთს ზატარა ბოთლ არაყში თუ სპირტში ჩაასხით, მაგრად შეანჯღრიეთ და ისმარეთ. ამით შეიძლება ტანიც კი დაიზიდათ.

აქ ჩამოთუღილი ზეთები უვეჯა ძვირად ღირს. ხალხ სიათვისათვის შემდეგ რეცეპტებს იძლევიან (თანაც, რცა მთელი ჯარი უნდა გავკურნოთ (100 ან 1000 კაცი) იქ წამალიც ბლამად არის საჭირო.

ფაქიზად არ ინახვენ ხელებს, თიფებს, ფრჩხილებს; საქმლის ავკარგიანობას არ დაგიდევინ და სხვ. და სხვ...

აგრეთვე ყასპები, მზარეულები, დასახლისები თავიანთ ხელობის გამო უნებლიეთ, ხშირათ ხდებიან ჭიების მსხვერპლად.

შენიშნულია, რომ ზოგს ქვეყანაში ანუ პროვინციაში ერთი რომელიმე ჭია (პარაზიტი) არის ხოლმე გავრცელებული—თითქმის ყველანი ერთისა და იმავე ჭიით ხდებიან ავად. ეს აიხსნება იმით, რომ იმ დაბა-სოფლებში უმთავრესად სჭამენ ერთსა და იმავე ცხოველის ხორცს (ლორის

აიღეთ: ერთი ბოთლი კუპრი (дегётъ) და 9 ბოთლი წყალი. კარგათ აურიეთ, დასაჯდრეთ და ამ კუპრიან წყალში დაალებთ პერანგი და მისი ამხანაგი. გაწურეთ და ისე ჩაიხვიეთ—აღარაფერი ტიღი აღარ მოგეკარებათ.

უკეთესია თუ რომ კუპრის მაგიერ აიღებთ ინგლისურ კრეოლინს (Creolin Pearson), მხოლოდ კრეოლინი კუპრზე უფრო ძლიერია და ამიტომ საკმარისია ერთი ან ორი ჭიქა (ჩაის სტაქანი) კრეოლინი ერთ ვედრა (25 ბოთლი) წყალში გახსნათ. ნამდვილი კრეოლინი წყალს რძესავით გაათეთრებს და თუ ეს არ მოხდა, იცოდეთ, რომ თქვენ უაღბო კრეოლინი მოგვიღეს.

კარგს იზამთ თუ რომ მოასვენებთ და ამ კვანდად მომზადებულ კრეოლინის ან კუპრის წყალში გაულებულ საცვლებს კვირასი ორჯერ მანინც იხმართ. მაშინ სრულებით დაიხსნით თავს პარაზიტებისაგან. მხოლოდ ის არის, რომ კუპრსაც და კრეოლისსაც ცოტა მძიმე სუნი აქვსთ, მაგრამ არც თუ საზიზღარია.

ბუკრია კიდევ სპეციალური რეცეპტები, რისთვისაც შეგიძლიათ ექიმებს და აფთიაქებს მიმართოთ. ი. ა.



ხორცი, თევზი, საქონლის ხორცია—იმა-
საც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს
ამ ხორციელიდან, ვინ როგორ და რა
ხერხით ამზადებს საქმელს.—

ხოლო რაც შეეხება ადამიანის მკამელ
ჭიების გეოგრაფიულ გავრცელებას, ეს,
რა თქმა უნდა, აიხსნება იმ ცხოველების
გეოგრაფიულ გავრცელებით რომელთა
ხორცსაც ადამიანი საკმლად ხმარობს,
იკვებება. რადგან პარაზიტებიც ამითგან
უნდა შეიძინოს.


საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ ცნო-
ბილ მეცნიერის ვ. ჯინსტაფის აზრით
ადამიანის მუცლის პარაზიტები (პრტყე-
ლი და მრგვალი ჭია) მავნებელნი არიან
არა მარტო იმით, რომ მექანიკურად
გვაწუხებენ და მთელის თავის ტანით
ჯანსა სწოვენ, არამედ იმითაც, რომ ეს
პარაზიტი ჭიები თავის სხეულიდან გამო-
უშვებენ ხოლმე შხამიან წვეს და მით
სწამლავენ ადამიანის ორგანიზმს, სხეულს.

I. პრტყელი ჭიები. თასმები.
(Cestodes)

წარმოიდგინეთ გრძელი თასმა ანუ რამ-
დენიმე არშინი სიგრძე თეთრი ლენტის,
გარდიგარდმო დაჭდეული და სიგანით
არა უმეტეს გოგრის თესლისა. მართლაც
და თითქოს ათასამდე გოგრის თესლი
აუკინძიათო პრტყლათ, სიპრტყეზე რომ-
ლის ცალი წვერი თანდათან ვიწროვდება
და ბოლოს თმის სისხოთ თავდება. აი
ასეთი ფორმისაა სრულიად განვითარებუ-
ლი მუცლის პრტყელი ჭია, თასმია. ერ-
თი ბოლო ძაფის სისხოთ აქვს გაწვრილე-
ბული და აქ უზის მრგვალი თავი, იმდე-
ნად პაწია რამ, თუ არ მიკროსკოპით,
ვერც კი შეამჩნევთ.—

ძლიერ გამადიდებელ შუშის ქვეშ კი
სჩანს, რომ ჭიას თავზე აქვს გარსშემომ-

წკრივებული (მაგალითად ტენიას) ცხი-
ტუჩი მისაწოვებულად, ხოლო ზედ თავზე
ასხია გვირგვინის მსგავსად 26 ჩანგალ-კავი,
რომლებითაც ცხოველი (ჭია) ძლიერ მა-
გრად მოეკიდება ხოლმე ლორწოიან გარსს
ადამიანის ნაწლევში. აქვს აგრეთვე ხორ-
თუმი, რომლებითაც ჭია ამოძრავებს იმ
ჩანგალ-კავებს.



ნასახი ძლიერ მუცლის პრტყელი ჭია.
გადიდებული

პრტყელი ჭიები ფსქესოვან პარაზი-
ტებს ეკუთვნიან—ერთსა და იმავე ჭიის
გვამში იმყოფებიან ორივე სქესის ორგა-
ნოები და საშიფლოსნოც.

მეტად საინტერესოა პრტყელი ჭიის
აღორძინება და განვითარება.

როგორც ვსთქვით, თასმიას, პრტყელ
ჭიას თავი თმის სისხო აქვს და ბოლო კი
გოგრის თესლის სიგანე. ადამიანის ნა-
წლევში მცხოვრები პრტყელი ჭია, რო-
დესაც სრულიად განვითარდება, პრტყელ
ბოლოდან ნაკუწ-ნაკუწებად დაჭდეულებ-
ში ადვილად სწყდება და სქელ ნაწლევში
გადადის, საიდანაც განავალთან ერთად
ცოცხალი ნაკუწი გარეთ გამოდის. ზოგს
ადამიანსაც იმდენად განვითარებული ჭია
უზის ნაწლევში, რომ ისეც თავისთვის
არხენიდაც რო იჯდეს (კაცი) და ბასობ-
დეს, ჭიის ნაკუწები უკან კარიდან გამო-
ცოცდებიან და უბეს უვსებენ.—ერთის
სიტყვით გამოვიდა გარეთ ჭიის ნაკუწი,
გოგრის თესლის ოდენა. ეს მომწიფებუ-
ლი ნაკუწი ცოცხალია ჩაკვერცხილია ან
უკვე ზის შიგ ჭიის ნასახი ბლარტი.—ამ

ნაკუწს ზრგჯოტიდი ჰქვიან. მოძრაობს, შეუძლიან ბალახზე აცოცდეს, უყვარს თბილი და ნოტიო ადგილი, უწმინდურებაში დაბუდება, ზოგჯერაც შეიძლება სასმელ წყალში ჩავარდეს. ერთი სიტყვით პროგლოტიდებს შეუძლიათ თავისთავად რამდენსამე ხანს სიცოცხლე, ცხოვრება, ასე გასინჯეთ იზრდებიან კიდევ, მაგრამ მალე კვდება პროგლოტიდი და კვერცხებს კი სტოვებს. ახლა საჭიროა რომ ამ კვერცხმა პატრონი იშოვოს— რომელიმე ცხოველის გვამი.



მრგვალი მუცლის ჭია.

საქონელი ბალახს მოსძოვს ან წყალს დაღვეს და კუჭში ჩაგზავნის ჭიის კვერცხებს, აგრეთვე ღორი შესჯამს განავალს (არც თუ ქათამი ერიდება) და ჩაგზავნის კუჭში ჭიის კვერცხებს. განა ადამიანს კი არ შეუძლიან წყალს რო დაღვეს ჭიის კვერცხებიც ჩააყოლოს ანუ მწვანოლის და სხვა ბოსტნეულის ჭამის დროს ჩაგზავნოს კუჭში ჭიის კვერცხები*) ერთი

*) აი ამიტომ არ ვარკა მთუდუღარი წყლის დაღვეა და მოუსარშავი ბოსტნეულის ჭამა. განა არ შეიძლება მწვანოლი ხელად ამოავლოთ მდუღარე წყალში.

მე არ წამიკითხავს და გამიგანია კი ავლანარში ერთს სასაფლავს ქვაზე სწერია: „ჩემი ცოდო მიეცეს, ვინც პრასა ხელგაუსმელო სჭამოს“ ე. ი. პრასისთვის რაღაც ჭია ჩაუფლებია და კაცი მოწამლულა, მომკვდარა. აი ესეც ხაჯისის სიბრძნე.

პრასის ფოთოლი იზრდება გრძლად ღარივით. აი ამ ღარში გრძობება, სცხოვრობენ პაწია ჭიები, რომელთა შორის შეიძლება შესამიანებიც ერიოს.

სიტყვით ჭიის კვერცხი ეცადა და ცხოველის კუჭში ჩავარდა. წამსვე კვერცხს კუჭის წველის დახმარებით გარეთა კანი (გარსი) შორდება და ჭიის ნასახი გამოიჩეკა. ეს ბლარტი ქინძის თესლივით მრგვალია და სამი წყვილი ჩანგალ-კავები ასხედს, რომელთა შემწეობითაც გზას იკვლევს და შედის ცხოველის გვამში. უფრო კი სისხლის ნაკადულის შემწეობით შეესევა ხოლმე უფრო ხშირად ღვიძლს, აგრეთვე ფილტვებს, კუნთებს, ზოგჯერაც ტვინში შედის (ცხვარი). ამ ახალ ადგილებში ჩანგალ-კავებს თავიდან იშორებს, სისქეში მატულობს და გარდაიქმნება ხოლმე ბუშტად. აი ამ ბუშტს ეწოდება ფინია (ბუშტის ჭია). ვიდრე კვერცხიდან ფინია შეიქნებოდეს, რამდენიმე კვირა დრო უნდა, ზოგჯერაც რამდენიმე თვე სჭირდება მის სრულს განვითარებას.

ასე და ამ გვარად ფინიები*) უკვე მზათა გვყავს, აგერ სხედან საქონლის (ძროხის) ხორცში და უფრო ხშირად კი ღორის ხორცში. ახლა ფინია უცდის მოხერხებულ დროს, რომ ახალი პატრონი იშოვოს და მის გვამში პრტყელ ჭიად გარდაიქცეს. აგერ ადამიანმა სჯამა ფინიანი ხორცი და კუჭში ჩაგზავნა თავისდა საუბედუროდ. —

ფინია წამსვე შედის ნაწლავში და ღორწიან გარს ჩაეწმანება, მოეკიდება, ჩააკვდება ხოლმე მაგრად. ბუშტს სრულებით იშორებს, თანდათან უგრძელდება

*) აღარ მახსოვს სად წავიკითხე. იმერეთში იცანს სასჯელი ფინიასი— ფეტვივით რა აყრია დორის ხორცს. თუ მართლად უკვე სუფევს ქართულს ენაზე ტინია-ს ტერმინი, გთხოვთ უმთრჩილესად „განათლების“ რედაქციას აცნობოთ.



კისერი, რომელსაც მერმე და მერმე თითო-თითოდ ემატებიან (იზრდებიან) ზრდა-გლტობები, ჯერ ვიწროები, მერე უფრო და უფრო პრტყელი ეხდება და ბოლოს კი ქალმნის თასმის სიგანე. ასე იზრდება ჭია და ემატება ათასამდე პროგლოტიდი, როგორც ზემოთ ითქვა, სრულიად განვითარებული ჭია ბოლოში მოიწყვეტს ხოლმე პროგლოტიდს თითო-თითოდ, რომელნიც ადამიანის უკან კარიდან გარეთ გამოდიან ახალ სიცოცხლის განსავითარებლად.

მაშასადამე ახლა უკვე ვიცით, რომ

ადამიანი გადაეკიდება ხოლმე პრტყელ ჭიას იმ მიზეზით, რომ ფინებით სავსეს ღორის ხორცსა სჭამს. გარდა ღორისა ფინიანი ხორცი ხვდება ძროხისა, ხარისა, ქათმისა და ასე გასინჯეთ ზოგჯერ თევზსაც უსხედს ფინები. ეს ცხოველები არ არიან დამნაშავე, რადგან იმათ შეეყარათ ფინები, როდესაც სასმელს და საჭმელს ჩაყოფენ პრტყელი ჭიის კვერცხები. —

რამდენი ჯურა პრტყელი ჭია ბუდობს ადამიანის გვამში ამაზედ შემდეგ წერილში ვიბაასოთ.

ილ. ალხაზიშვილი.

სქესობრივი ეთიკა ანუ სქესობრივი ზნეობა

(ფორქლის წერილიდან)

ზნეობის და უფლების საზღვრები ძნელი აღსანიშნავია. ერთი შეხედვით, ამ საზღვრების გავლება უფრო ადვილი იყო უფლების ძველებურად ახსნის დროს, განსაკუთრებით კი სასამართლოს სასჯელის როგორც სამაგიეროს მიგების აღსარების ხანში. მაგრამ, სწორედ ძველმა უფლებამ მოახდინა სარწმუნოებრივი მეტაფიზიკურ დოღმების საფუძველზე აუარებელი ჩარევანი ზნეობრივ სწავლის სფეროში; ეს იმაში გამოიხატა, რომ იგი სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულებათა და ცრუ მოწმუნებათა საწინააღმდეგო განძრახვებს დანაშაულად აცხადებდა ხოლმე. პირიქით, ნამდვილ უზნეო მოქმედებათ და კანონებს კი ადასტურებდა (სანქციას უკეთებდა) მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სარწმუნოებრივ დებულებათ ეყრდობოდნენ; ამის გამო ძველი უფლების წყალობით სავალდებულოდაც კი გადაიქცეოდნენ ხოლმე.

მეორე მხრივ, თუ უფლებას მხოლოდ როგორც საზოგადოებისა და პიროვნებათა მავნებელ განძრახვებისაგან დასაფარ-დაწესებულებას ისე გაეშინჯავთ, მაშინ იგი ეთიკასთან მჭიდროთ არის გადაბმული და მისგან, როგორც წმინდა დოღმატიური სკოლა ირწმუნება, მკაფიოდ არ გამოისაზღვრება, რადგანაც, რა არის საკუთრად ეთიკა, ნამდვილი ადამიანური ზნეობა?

ჰაი ჰაი, არსებობს დოღმატიური ეთიკა (სწავლა ზნეობაზე, რომელიც ვითომდა ღვთაებრივ ბრძანებათა კრებულს წარწარმოადგენს. სარწმუნოებანი ხშირად წამოაყენებდნენ ხოლმე ღვთაებისადმი მოთხოვნილებათ, — მოთხოვნილებათ, რომელნიც ზოგჯერ სავსებით არა-ადამიანურს წარმოადგენდნენ. აქედგან წარმოსდგა წინააღმდეგობა ვითომდა ღვთაებისაგან გამოცხადებულსა და წმინდა ადამიანურ ეთიკის შორის. ყოველ სარწმუნ-

ნოებას მოეპოვება საკუთარი ღვთაებრივი მცნებები. როცა ვხედავთ, რომ მაღალილების ღმერთი მტრების გულების ქამასა ჰბრძანებს; რომ იეღოვა შურის მძიებელი და იკვენეულია, გამოსცდის აბრამს შვილის მსხვერპლად მიტანის ბრძანებით, მთელ ერებს ჰქლევტავს თვისი რწმუნებულების იარაღით და საქვეყნო წარღვნის ღროს ადამიანთ სრულიადაც კი ახრჩობს წყალში, ქრისტიანთა ღმერთი კი უფრო გულ-ღმობიერი და უფრო შემწყნარებელია; როცა ვხედავთ, რომ ჰალახი, პირიქით, ფატალურად (წერის რწმუნით) მართებლობს და ქრისტიანთა ხოცვას უწერს და დასათრობ სასმელებიდან თავის შეკავებას აწესებს, ქრისტე-კი მტერთა სიყვარულს ქადაგებს და ღვინის ხმარებას ნებას ჰრთამს—წყალს ღვინოთაც კი გადააქცევს;—როცა ვხედავთ, რომ ინდუსების ღმერთი ქვრივის ქმართან სამარეში ცოცხლად ჩაყოლას უბრძანებს, ბევრი სხვები კიდევ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას მოითხოვენ,—მაშინ, თქვენ და უნებლიეთ, უნდა დამეთანხმოთ, რომ, სხვა და სხვა სარწმუნოებრივ ეთიკების საფუძველზე, საექვოა რაიმე კავშირის და მწყობრის შექმნა. საკუთრად სქესებრივ საკითხში პოლიგამიის (მრავალ-ცოლობა) და მონოგამიის (ერთ ცოლიანობა) ვითომ და ღვთაებრივი წარმომდინარეობა მკაცრად ეწინააღმდეგება ერთი მეორეს.

ამ უბრალო საფუძვლის გამო სარწმუნოებრივი ზნეობა გამოცხადებისა სხვა და სხვა სარწმუნოებათა და აღსარებათა ქურუმებს დავუთმოთ, რომელნიც ირწმუნებიან, ვითომც მას უშუამვლოთ ღვთისაგან მიიღებენ, და აქ კი წმინდა წყლის ადამიანური ზნეობა ვიკმაროთ. მაგრამ ეს ზნეობა თავის მხრივ, რაიმე ფორმალურ

დოღმატიკაზე კი არ უნდა ფუძნდებოდეს, როგორც პირველი სარწმუნოებრივზე, არამედ ადამიანთა ბუნებრივ ცხოვრების ურთიერთობათაგან უნდა გამომდინარეობდეს. ეს-ეს არის დავინახეთ თუ როგორ არის იგი უფლებასთან დაკავშირებული. აგრეთვე მჭიდროთ უახლოვდება იგი ჰიგიენასაც. სადაც, ერთის შეხედვით, ეთიკის და ჰიგიენის შორის წინააღმდეგობაა, იქ ეს იმიტომ ხდება, რომ მოსაზრებაში მარტო პიროვნულს და არა საჯარო ანუ სოციალურ ჰიგიენას აიღებენ ხოლმე. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ექიმი მოვალეა უპირატესობა სოციალურ ჰიგიენას მისცეს პიროვნულს წინაშე, ე. ი. კერძო პირთა ჰიგიენური სიკეთე საზოგადოების ჰიგიენურ სიკეთეს დაუქვემდებაროს. ამ სოციალურ ჰიგიენის და ადამიანურ ეთიკის შორის არ უნდა იყოს და არც შეიძლება რაიმე შინაგანი წინააღმდეგობა.

ახლა შევეკითხოთ ჩვენს თავს, რას ვგულისხმობთ ზნეობის ანუ ეთიკის ცნებებში? რამდენადაც კი შესაძლებელია, ყოველ გვარ ჰიპოტეზებიდან განწმენდილი ეთიკა გამოკვლევა იმისა, რაც ადამიანთა ყოფაქცევაში კარგი და ცუდია; პრაქტიკულად კიდევ, ზნეობა (მორალი),— მოვალეობა ვაკეთოთ კარგი და არ ვაკეთოთ ცუდი. მაგრამ ეს ცოტას რასმე გვეუბნება, რადგანაც არ ვიცით რას ვუწოდოთ კარგი და რას ცუდი? არამც თუ ერთნი კარგად სთვლიან იმას, რასაც სხვებს ცუდად მიაჩნიათ, არამედ სიტყვებიც, რომლებსაც გიოტე მეფისტოფელის პირით წარმოსთქვამს:

„მე ნაწილი ვარ იმ ძალისა, რომელსაც მუდამ ბოროტი უნდა, და მუდამ სიკეთეს კი ჰქმნისო“, თავის ღრმა სიმართლეს შეინარჩუნებენ. ამ სიტყვებს თუ



შევატრიალებთ და ვიტყვი: „რომელიც ხშირად ჰქმნის სიკეთეს, ჰსურს რა ბოროტება“, მაშინ ნამდვილ დახასიათებას მივიღებთ იმისას, თუ ჩვენი საქმიანობის კეთილი ან ბოროტი შედეგები როგორ ნაკლებად შეესაბამება ჩვენი მოტივების (იძულებითი მიზეზი მოქმედებისადმი) კეთილ ან ბოროტ თვისებათ. უკუღმა დებულებად აგრეთვე მართალია; რადგანაც სიკეთის მსურველი ძალები, როგორც ვიცით, არა იშვიათად ამავე დროს ბოროტებას ჩაიდენენ ხოლმე, ამიტომ მოვალენი ვართ ეთიური მოტივები გულმოდგინებით გამოვყოთ ხოლმე საქციელის კარგ ან ცუდ შედეგებიდან.

ქვევით გარჩევის დროს (ანალიზის) ჩვენ იმასაც კი დავინახავთ, რომ ერთი და იგივე საქციელი შეიძლება ერთისთვის კარგი იყოს, მეორისთვის კი ცუდი. მგელი რომ ბატკანს შესჭამს, მაშინ ეს კარგია მგლისთვის და ცუდია ბატკანისთვის. ჩვენც თვითონ არ შეგვიძლიან ისე ვიცხოვროთ, რომ სხვა, მცენარეთა ან ცხოველთა სიცოცხლე თუ არა ვსპეთ. ფული, რომელიც მუშაობით მოიპოვება, სხვების ჯიბეებიდან ამოდის, რაიც უკანასკნელთათვის ყოველთვის სასარგებლო არ არის ხოლმე და სხ. მაშასადამე ზნეობა (მორალი) შეტოლებითია (относительное) და ჩვენი შემსწავლელი (კოდნის) ნიჭი რაიმე აბსოლუტურ კარგს ან აბსოლიუტურ ცუდს ვერ გამოგვიჩვენებს. რასაც ჩვენ ადამიანები მივახწევთ, ვაფუზიარებთ რა ერთმანეთს, სიბრძნეს და კეთილ ნებას, ეს ის არის, რომ ერთმანეთს რამდენიც შეიძლება ნაკლებ ბოროტებას და რამდენიც შეიძლება მეტ სიკეთეს მივაყენებდეთ, ე. ი. ხორციელ და სულიერ ტანჯვათა რიცხვს შევაცოტავებდეთ; ვაუმჯობესებთ რა, შეძლებისადაგვარად, ჩვენის მეცადი-

ნეობით ცხოვრების პირობათ, ამავე დროს საზოგადოდ კეთილსაც ვამრავლებთ. ამის ასრულება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნება კეთილს და ბოროტს კაცობრიობით შევზღუდავთ და სხვა არსებათა ცხოვრების პირობებზე და განვითარებაზე, საერთოდ, არამც თუ არა ვზრუნავთ, არამედ, პირიქით, უსინიდი-სოდ ვისარგებლებთ მათით საკუთარ საქიროებათათვის. როგორც დავინახეთ, პრაქტიკულად სოციალურ სიკეთის ცნების გავრცელება ყველა ეხლა მცხოვრებ კაცობრიულ რასებზე მეტისმეტად ძნელიც კია, რადგანაც ზოგიერთი მათგანი იმდენად ნაყოფიერი არიან და ამავე დროს იმდენად დაბალი ღირსებისანი, რომ, თუ ჩვენის გულკეთილობით და სიყვარულობით სრულიად გაუფრთხილებლივ ნებას მივცემთ გამრავლდნენ ჩვენ შორის, მაშინ ისინი მალე გავგაძევენ დედამიწის პირიდან. ამავე დროს ხელახლად გაბატონდება ყველაზე უფრო მკაცრი ბარბაროსობა, რომელიც მათ აღდგომა (ინსტიტუტში) ფესვ მომაგრებული. რის მაგალითსაც ზანგთა გაიტის რესპუბლიკა გვაძლევს. ამ რიგად, შემცდარ საფუძვლებიდან გამომდინარე და ჩვენ მხრივ გარდამეტება ცხოვრებაში გადატანილ ეთიურ გრძობისა, შედეგში ცხოვრებაში მეტის-მეტად დიდ ზიანს მიაყენებდა ზნეობას. დაუმატებთ სისრულისთვის, რომ ერთსა და იმავე საგანს შეუძლიან პირველად წყენა მოგვაყენოს, მეორედ კი სიკეთე, ან პირიქით, როგორც მაგალ. არა სასიამოვნო სიმსუნაგის ვნების ზედ-მეტი დაკმაყოფილება საქმელებში.

ამ მეტად სადა მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობანი მხოლოდ შეტოლებითია და რომ მათ არ შეუძლიანთ ერთნაირის ხა-


რისხით და ერთნაირის ძალით ვალდებულნი გაგვხადონ ყველა ცოცხალ არსებათა, ყველა ადამიანების წინაშეც კი; უამისოდ უმაღლესის მდარესთვის შეწირვა მოგვიხდებოდა. თეორიულად, კაცობრიულ ზნეობის (მორალის) განსაზღვრა, ამ შემთხვევაში, სწორე, ე. ი. სოციალურ სიკეთის და მისგან კერძო პირებისადმი წაყენებულ მოთხოვნებთანაა მეცნიერულ განსაზღვრაში მდგომარეობს; პრაქტიკულად კიდეც—სოციალურ სიკეთის მეტ განვითარებაში და პიროვნულ და საზოგადოებრივ მეცადინეობის წყალობით ზნეობის ძლიერად განხორციელებაში. სოციალური სიკეთე უწინარეს ყოვლისა ყველაში კეთილნების და ალტრუისტულ (მოყვასისადმი სიყვარული) გრძობათა აღზრდას მოითხოვს. არა დარიგებებით და ქადაგებებით, არამედ საქმით, მაგალითით, თვით ცხოვრებით შეიძლება ამისთანა აღზრდის განხორციელება.

ეთიურ მოქმედების უმაღლესი მიზანი მომავალ თაობათა საბედნიეროდ შრომაა.

სწორედ გაგებული ეგოიზმი და ალტრუიზმი წინააღმდეგობას არ წარმოადგენს, ან, მაინცადამაინც, მხოლოდ შეტოვებითი წინააღმდეგობას წარმოადგენს. თუ შეცდომა იქნებოდა სოციალურ წესის დამყარების ცდა ყველა ჩვენ ეგოისტურ წადილების მიჩნევაზე და მათთვის შეუზღუდველ თავისუფლების მინიჭებაზე, მაშინ აგრეთვე უგუნურება იქნებოდა გაზვიადებულ და ბუნების საწინააღმდეგო ასკეტიზმის (სხეულის ჩაკვლა) მოთხოვნილება დაგვეყენებინა ამ წადილების პირისპირ, სახელდობრ—ასკეტიზმის, რომელშიაც ალტრუიზმის მხოლოდ გადამახინჯებული იდეალი გამოჰკრთის. როცა ფუტკარი ან ჭიანჭველა საკუთარ კუჭი-

დგან ამხანაგებს თავლით მკვებავს, ეს მათ სიამოვნებას აგრძობინებს. შესწირავენ რა თავის სიცოცხლეს საზოგადოებას, ისინი ალტრუისტულ ალღოს იკმაყოფილებენ, რომელიც ვნებად აქვთ გადაქცეული. განა არ შეუძლიანთ ადამიანებსაც ისეთივე სიხარულით მისცენ, როგორითაც მიიღებენ? საზოგადოდ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ თვით შეწირვის, ნებაყოფლობითი გმირობა (ღვაწლი), როგორ ავხნათ მოწამე, რომელიც სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, მეცნიერებისთვის იტანჯება ან კვდება, თუ რომ ადამიანებს გამხნევება—კმაყოფილების გრძობა—არ წააქვზებდეს საამისოდ, ან საერთოდ თუ ამაში შინაგანი სიკეთის წადილი კმაყოფილებას არ პოულობდეს? ვცდილობთ რა გამოვნახოთ საშუალებანი ადამიანური, ჯერეთ კიდეც მტაცებელი ეგოიზმი, საზოგადოებრივ შეგუების გზით როგორმე გავაკეთოთ შობილოთ, კანონიერ ე. ი. აუცილებელ ზომამდის ავიყვანოთ და, რამდენიც შეიძლება, უფრო ძლიერად მომქმედ, მსხვერპლისთვის მზა ალტრუიზმით და კარგ სოციალურ ჩვეულებებით შევამკოთ, ამით ჩვენი ჩამომავალთა ცხოვრებისთვის სააქაო სამოთხეს მოვამზადებთ; მართალია იგი ჯერჯერ კიდევ მეტად შეტოვებითი იქნება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელსაც, ინტერესთა თანამედროვე ანარხიულ (უწყესრიგო) ბრძოლასთან შედარებით, დიდი უპირატესობა ექნება.

უმეტესად ყოვლისა ერთი რამ გვაკლია,—ჩამომავლობით კარგი ღირსების ადამიანთა პიროვნებანი, რადგანაც ეს ღირსება ახლა შემთხვევითი შერჩევით განისაზღვრება; ამის გარდა ჩვენი ბავშვების ნების და ხასიათის აღზრდაა ჩამაფიქრებელი. ჩვენმა სკოლამ და სარწმუნოე-



ბამ ხალხი ბარბაროსობიდან ე. ი. უხალისობიდან (აპატია), უხეშ გრძობებიდან, უხასიათობიდან და უფიცობის და ცრუმორწმუნოების ჭაობებიდან ვერ გამოიყვანა. ცხადია, კულტურამ და ეთიკამ განვითარებამდის მიგვიყვანეს; მაგრამ ზნეთა ცნობილ ეკლესიის და სკოლების მეთოდებმა თავისი დრო მოჰკამეს და ჩვენთ დროთ მოთხოვნილებებთან და ცოდნასთან შეგუებულნი აღარ არიან, განსაკუთრებით კი მომავალის მოთხოვნილებებთან.

ზემო გადმოცემულ ბუნებრივ ადამიანურ ზნეობის საფუძველზე გვესაჭიროება სქესობრივ ეთიკის ანუ სქესობრივ ზნეობის აგება, და მისი ნათლად წარმოდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ, პირველ ცამეტ თავში განხილულ ფაქტებს და დამოკიდულებათ ამნაირ შუქით მოვფენთ. საქციელთა მოტივებს რომ ყური არ ვათხოვოთ, ისინი სოციალურად დადებითად შეგვიძლიან ჩავთვალოთ, ე. ი. სასარგებლოდ, სოციალურად ნეიტრალურად ე. ი. ბედენად, და სოციალურად უარყოფითად ე. ი. მავნებლად. ესეც კია, საქციელი უკვე პატარა წრეში შეიძლება ერთ ან რამდენიმე სხეულისთვის იყოს კარგი (დადებით), ცუდი (უარყოფითი) ან ბედენა. მაგრამ როგორც უკვე ნათქვამი იყო, ეთიკას არამც თუ მარტო საქციელთან, როგორც ასეთთან, არამედ უწინარეს ყოვლისა შინაგან წამქეზებელ მოტივებთან აქვს საქმე. საერთოდ, ადამიანისთვის ძნელია სოციალურად დადებითი საქმეების შესრულება, თუ იგი ეთიურ გრძობას მოკლებულია, ე. ი. სინიდისს, მოვალეობის გრძობას. მეორეს მხრივ ტუტუცს, მოუხერხებელ, შემცდარად მსჯელ, ზნეობრივ წამქეზებელ მოტივების ყურის მგდებელ ადამიანს შეუძლიან სო-


ციალურად მეტად უარყოფითი მოქმედებანი ჩაიდინოს და, პირიქით, ადამიანს, ზნეობრივად უკუღმართ მოტივებით გაგულისებულს, შემთხვევით ან სხვათა შორის, შეუძლიან სოციალურად დადებითი საქციელების შესრულება. მაგ., თავმომწონეობის ან შურისძიების მიზეზით, შეიძლება საერთო სასარგებლო მიზნებისთვის ქონების „მაღალსულოვანი“ ანდერძი დაიწეროს, რომელიც ავენებს კერძო პირს და სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. სრულიად გადაუმახინჯებელი მოტივებიც შეიძლება აგრეთვე ეგოისტურნი, პატივის მოყვარეობითნი იყვნენ და საზოგადოებისკენ მხოლოდ ანგარიშიან ეგოიზმის გამო მიმართულნი.

ალტრუისტ ადამიანებად ისეთ ადამიანებს ჰსახამენ, რომელთაც ძლიერი დადებითი ეთიური გრძობანი მოეპოვებათ და მათ განხორციელებას კარგს სოციალურ საქმეში ცდილობენ. წმინდა ეგოისტებად ისეთ პიროვნებათ ჰგულისხმობენ, რომელთა სიმპატიური გრძობები მხოლოდ საკუთარ სანუკველ ჭე-სკენაა მიმართული. თავის თავად ეგოისტი ეთიურად ბედენაა, ვიდრე სხვებს არ ავენებს, ალტრუისტს კიდევ თავის მხრივ ეგოიზმის საკმაო ნაწილის უქონლად არსებობა ვერ შეუძლიან. ამ რიგად სოციალურ გრძობის იდეალი ეგოიზმის და ალტრუიზმის ერთიერთზე ზეგავლენაში მდგომარეობს, რაც საზოგადოების და მის წევრთა მოთხოვნილებებთან სავსებით შეგუებულია. როგორც ჰიანჭველებშია, ისე ადამიანებშიც ეგოისტურ და სოციალურ გრძობათა და წადილთა შორის სრულიად გამათანასწორებელი მოწესრიგება (რეგულიაცია) უნდა დამყარდეს. ეგოისტის წინააღმდეგ (პირისპირობას) ეთიურად გათახსირებული ანუ-

ეთიურად უარყოფით მომქმედი ადამიანი წარმოადგენს. ჰაი ჰაი, ეგოიზმი ისე შეუკავებლივ აიძულებს ადამიანს სხვას ვნება მიაყენოს, საკუთარ კმაყოფილების გულისთვის, რომ წმინდა წყლის ეგოისტი იშვიათად შეიძლება ეთიურის მხრივ სრულიად ბედენა დარჩეს. უკვე მარტო ამის გამოა შეუძლებელი სოციალური წესი წმინდა ეგოიზმზე დავამყაროთ, როგორც სასურველად მიაჩნათ ზოგიერთებს.

ამ მოსაზრებათაგან სქესობრივი ეთიკა თავის თავად გამომდინარეობს. სქესობრივი წადილი თავის თავად ეთიურად ბედენაა. მხოლოდ დიდმა, სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღმოცენებულმა, ცნებათა აღრევამ მიგვიყვანა იქნობამდისინ, რომ გამოთქმა „ზნეობა“, საზოგადოდ მორალა და მორალური (ე. ი. აღებულ დოღმის თვალთა-ხედვით უმწიკვლო) ყოფაქცევა სქესობრივ სფეროში თითქმის ერთ მნიშვნელოვანნი შეიქმნენ. სქესობრივ ანესტეზიის (ცვედნობა) მქონე ადამიანი თავის თავად ცხადია, რომ სქესობრიობის მხრივ უმაღლესად „ზნეობრივი“ ადამიანია, მაგრამ ამასთანავე შეიძლება უდიდესი სალახანაც იყოს მის სქესობრივ გულ-ცივობას და აუღელვებლობას არავითარი ეთიური ღირსებულეობა არა აქვს. თუ ურწინგი ქალწულს ვერ შეაცდენს, ეს ჰაი ჰაი, მის ზნეობრივ სისპეტაკეს არ შეადგენს დას. სქესობრივი წადილი ეთიკასთან მკაცრ შეტაკებამდისინ (კონფელიკტამდის) მიიყვანს ხოლმე საქმეს, რადგანაც სიამოვნების საგნად სხვა ადამიანებს მოიხმარს. მხოლოდ ფეტიზიზმს (და ცხადია სოდომიასაც) არ შეუძლიან ამ კომფლიკტამდინ მიყვანა ზნეობასთან, რადგანაც აქ სქესობრივი წადილი მიმართულია უსულა

საგნებზე ან ცხოველებზე. თუ რამდენად სხვა და სხვა გვარი შეხედულობანია სქესობრივი ეთიკაზე, ამას, მაგალითად, ჩასახვის საწინაშო საშუალებათა ხმარების უზნეობაზე მრავალთა აზრი გვიჩვენებს; ამავე დროს ესევე ადამიანები როსკიპობას ძაან ხშირად დაიცავენ ხოლმე. ის კაცი, რომელიც ქორწილს გარეშე ბავშვის დაბადებას უმაღლესად უზნეოდ სთვლის, დაქორწილებულთა შორის განუწყვეტელ შვილიერებით, ცოლების სიცოცხლის განსაცდელში ჩადებას ზნეობრივად სთვლის. ზნეობის სხვა მქადაგებელნი, სასულიერო პირნიც კი, ჰკიცხამენ ჭაბუკს, თუ თავის საყვარლის შერთვა მოისურვა, და მოითხოვენ, საყვარლისაგან და ქორწილს გარეშე ნაყოლ ბავშვისაგან განსაზღვრულ ფულის რაოდენობით დაახწიოს თავი და სხ. არ გვსურს გამეორება. ადამიანთა უთანდათანობა სქესობრივ ურთიერთობაში, ვითომდა ეთიურ ცნებათა შეტანის ილეთებში, პირდაპირ დაუჯერებელია და ყოველ ნაბიჯზე ეხსნება ხოლმე ფთილამათ თავებში აღირევა პირმოთნეობა, მისტიკა, წვრილმანობა, ცრუ მორწმუნეობა, მოღა, საზოგადოდ მიღებული, ეგრედ წოდებული, კეთილ ზნეობის წინაშე ქედის მოხრა, ფულის წყურვილი და ღმერთმა იცის კიდევ რა, და სალ სოციალურ ეთიკის ცნებას სრულიად აპრევ-დარევენ. საკმარისია მხოლოდ მშობელთა უსიამოვნება დავინახოთ, როცა მათი შვილები დაბალწოდების ან უფულო პირებს შეიყვარებენ და სხ. ამ დროს ადამიანები სრულიად ვერ გრძნობენ თავიანთ უზნეობას, რომელიც ზნეობის ბაი-რალის ქვეშ გამოსჭუის. ეთიურის თვალთა ხედვით, მაშ რას უნდა მივესწრაფოდეთ სქესობრივ სფეროში? ასეთია ის



ერთად ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება ცრუ მორწმუნოებათგან თავისუფალმა და, ამავე დროს, ნამდვილ ეთიურ გრძნობის მქონე ადამიანმა დაუსვას თავის თავს.

პირველ მის ძირითად დებულებად ცნობილი საექიმო: „უწინაეს უფლისა არ ანათ“, უნდა იყოს, მერეკი: „რამდენადც შესაძლებელია პირფრენი და სხვაგანაგებრივი სარგებლობა ქვეყნით.“ ამ რიგად სოციალურ ზნეობის მცნება შემდეგი იქნება: „არც ცაქკე ზიკებს, არც განსაკუთრებით კაცობრიობას შენის სქესობრივის წადილით და სკუთარ სქესობრივ მქმედებით არ კი უნდა ანათ, არამედ ხელი უნდა შეუწყოს ბედნიერებაში ერთსაც და მეორესაც“.

სქესობრივ წადილით და სიყვარულის ნიჭით დაჯილდოვებული, სოციალური ადამიანი მოვალეა ერთიც და მეორეც საერთოს და თვის თავის სასიკეთოდ გამოიყენოს, რამდენადაც კი შესაძლებელია. თუ კაცი ამას პატიოსნურად ჰკიდებს ხელს, მაშინ იგი სრულიადაც ადვილ მიზანს არ ისახამს; სამაგიეროთ მით უფრო სრული იქნება კმაყოფილება, რადგანაც კეთილ საქმეს თვითვე ახლავს თვისი ჯილდო. იგი მოვალეა იქონიოს თვალ-წინ მაგ., შემდეგი სურათები:

1. ღირსებით ცუდი კაცი ხორციელ ვნების წამში შეაცდენს ქალწულს, დააორსულებს და გაქცევით იხსნის თავს. ამ დროს იგი ავნებს ქალს და თავის თავსაც ვნებას აყენებს და არა სარგებლობას. ასეთი საქციელი როგორც ეთიურად, ისე ეგოისტურად უარყოფითი და დასაძრახისია.

2. ოცნებოვანი, კეთილი ქალიშვილი სარწმუნოებრივ—ეთიურის მოტივების გამო თავადებულ ლოთს მისთხოვდება,

რათა დაიხსნას იგი. ამისთანა დახსნა იშვიათად ან სრულად ვერ ხერხდება ხოლმე. ეს ეგოისტურად უარყოფითია, ალტრუისტულად კიდევ, თუმცა მოტივების მიხედვით ძალიანაც დადებითია, მაგრამ თავის შედეგებით საზოგადოებრივობის მხრივ უფრო მეტად უარყოფითია. იქნებ იღბლიან შემთხვევაში, ლოთის ხსნა მოხდეს; მაგრამ თუ შვილები დაიბადნენ; მაშინ ეს ქალი შეუგნებლად ჩაიდენს მათს მიმართ მძიმე ცოდვას და მისი საქციელი მის ჩამომავლობაზე იქნება შურძიებული.

3. ცუდ ჩამომავლობითი მიღრეკილებით დატვირთული, იმპულიური, სულით აშლილი კაცი, ძრიელ სქესობრივ წადილის მფლობელი, ძან შესაფერისად და მოხერხებულად სთვლის კარგ ოჯახის მშვენიერ ქალწულზე ჯვარის დაწერას და მასთან შვილების ყოლას. ეს საქციელი ეგოისტურად დადებითია, რადგანაც კაცი თავის სანუკარ მე-ს უჭველად ანიჭებს სარგებლობას, ეთიურად კი, პირიქით, დიდათ უარყოფითია, რადგანაც კარგს ქალს უბედურად ჰხდის, და ერთ მხრივ მაინც უბედურ, ცუდ მიღრეკილებიან ბავშვებს წარმოჰშობს (ასეთი მოლოდინი სიმართლესთან ძან ახლო იქნება).

4. ნიჭიერი, შრომის მოყვარე, იდეალურ შეხედულებების და სხეულით სადი კაცი ეძებს და შეჰხვდება შესაფერ მეგობარს სიცოცხლეში. ორივე არ ცდილობს ცხოვრება მსუბუქ რამედ გარდაიქციოს. მრავალ მუშაობით იტვირთავენ თავს, განსაკუთრებით სოციალურად სასარგებლო მიზნებით და შესაფერ ხნის განმავლობაში იმდენს შვილებს იყოლიებენ, რამდენიც შეუძლიანთ წარმოშონ, ცოლის სიცოცხლის და ჯან საღობის-

თვის უვნებლად. ეს არის დადებით ალტრუიზმის დადებითი ეგოიზმთან შეუღლების იდეალი.

ჰაი ჰაი, ყველას არ ეღიროსება უკანასკნელ კომბინაციის ასრულება. მაგრამ ნაკლებ ხელშემწყობ პირობებშიაც შეუძლებელი არ არის დადებითი სქესობრივი ეთიკა. ნერვიან პსიხოპატებს (სულით შერეკილებს) და სხეულით მლივ ადამიანებს ზემო ნაჩვენებ ილეთით შეუძლიანთ უშვილო ქორწინებანი მოახდინონ და გულ-ნაკლულობა ერთ მხრივ სოციალურ მიზნების გულ-მოდგინე სამსახურით შეივსონ, მეორეს მხრივ — სხვის ობლების აღზრდით. დადებით ეთიკასთან სავსებით შესაფერისად ვთვლი, თუ მახლობელ ან შორს მიმავალში, არა ბუნებრივ პირის ბუნებრივ პირთან შეუღლების შემთხვევაში, უკანასკნელს ნება დართული ექნება შვილები მესამე უზადო პირისაგან იყოლიოს ხოლმე.

ერთი სიტყვით, ის, რომელიც ნამდვილ სქესობრივ ეთიკას შეივსებს, ყოველთვის იპოვნის გზებს და საშუალებათ განახორციელოს იგი, ე. ი. ერთ მხრივ ჰქმნიდეს დადებითი სიკეთეს, მეორეს მხრივ გაუბრძოდეს დადებით სიბოროტეს; ამავე დროს უფლება აქვს იკმაყოფილოს თვისი ბუნებრივი წადილები, თუ ესენი პირდაპირ ცუდი და დამახინჯებულები არ არიან.

უწინარეს ყოვლისა ასეთი ადამიანი თავის დღეში არ გახდება საზოგადოებრივ ბიწიერების მონაწილედ, როგორებიცაა საროსკიპო სახლები, როსკიპობა და ყველა ის, რაც ამასთან არის დაკავშირებული; პირიქით, ამ ბოროტებასთან იბრძოდებს კიდევ. იგი გაუფრთხილდება სქესობრივობის მხრივ მეორე არსებას ავნოს რამე, და თუ ვნება მოუფიქ-

რებელ საქციელამდის მიიყვანს, მაშინ ყველაფრით ეცდება მისი შედეგები გამოასწოროს.

მოსეს ათ მცნებაში სქესობრივი ეთიკა ორჯელ არის მოხსენებული:

მეშვიდე მცნება: არა იმყოფო.

მეათე მცნება: ნუ გული გითქვამს ცოლისა მოყვასისა შენისა, ნუცა გული გითქვამს სხვისა მოყვასისა შენისა, ნუცა ქვეყანასა მისსა, ნუცა მონასა მისსა, ნუცა ხაზსა მისსა, ნუცა კარაუღსა მისსა, ნუცა უოკელსა სანჯავასსა მისსა, ნუცა უოკელივე რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

მაგრამ ქრისტეს მეთერმეტე მცნების დებულება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, დაახლოვებით იმავე თვალსაზრისს გამოსთქვამს, რომელზედაც თანამედროვე ეთიკა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე სოციალური ცოდნა უფრო სრულ განსაზღვრას მოითხოვს, დაახლოვებით შემდეგს: „კაცობრიობა უფრო მეტად უნდა გიყვარდეს, ვიდრე შენი თავი, და მოკვდე ხარ შენი ბედნიერება მის მომავალ ბედნიერებაში სიძინა“. ამ დებულებიდან გამომდინარეობს ჩვენი, ზემო მოყვანილი, სოციალური ეთიკის მცნება.

პირიქით, მოსეს მცნებაში ქალი უწინარეს ყოვლისა, როგორც საკუთრება ისე მიიჩნევა, და სხვის ცალზე ძვირის განძრახვა ღვთისაგან სასჯელის შიშით აღიკრძალება, როგორც მის საკუთრებაზე ძვირის განძრახვა. ამ გვარი ცნებები, თავისთავად იგულისხმება, გულდასმით გადასინჯვას მოითხოვს, რადგანაც ღღეს ქალი ითვლება და პატივი ეცემა, როგორც თავისუფალ, კაცის თანასწორუფლებიან არსებას. ჩვენ ვნახეთ, რომ ერთთურთის თანხმობით, ზოგიერთ ქორ-



წილის აღთქმის დარღვევანიც კი შეიძლება ეთიურად დადებითი იყოს.

მიუხედავად ამისა სქესობრივ ეთიკის უმთავრეს მიზნად ყოველთვის იქნება კაცის საკუთარ ეროტიულ-ზოლიგამიურ წადილების თავის დაჭერა, რადგანაც მათ სხვის ბედნიერების ვნება შეტის-შეკრად შეუძლიანთ. განსაკუთრებული შემთხვევები. რომლებიდანაც ვნება არავის მიაღება, როგორც ნათქვამი იყო, გამონაკლისებად რჩება (იხ., მაგალ., დამატებაში: „Moucle“ და კუვრერის „Lagraine“).

ჩვენი სიტყვა-კაზმული ლიტერატურა, როგორც დავინახეთ, მიდრეკილია სრულიად ექსტრა ორდინალური (არა ჩვეულებრივი), მომეტებულ შემთხვევაში ტრადიციული და საბედისწერო (ფატალური) ეროტიული კონფლიქტები გაარკვიოს, ხშირად მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველთა მგრძობიერება გააღიზიანოს. საკუთარ სქესობრივ ეთიკის შენობა ამისთანა წაკითხულების საფუძველზე არ უნდა შენდებოდეს. საშუალო და ბუნებრივი, უფრო მაღალ მიდრეკილებიანი კაციც კი, ჩვეულებრივ, სრულიადაც იმდენად ავხორცი არ არის, როგორც რომანების მომქმედი პირნი არიან ხოლმე. იგი არამც თუ უარყოფილ სიყვარულის გამო თავს არ იკლავს, არამედ (ქალებიც კი), რამოდენიმე ხნის შემდეგ, საბადლოს პოულობენ, რომლითაც თავს ინუგეშებენ. ბოლოს და ბოლოს დაზოასაც აგრეთვე წამალს გამოუნახავენ. გაზვიადებულად გამოდის აგრეთვე, ერთმხრივ ჩაგონებაზე და თვით ჩაგონებაზე დამყარებული, სიყვარულის ეთიკის მოთხოვნილება, რომლის თანახმადაც ორი ადამიანი მოვალეა მთელს სიცოცხლეში და საიქიოსაც-კი სრულიად შეაერთონ თავიანთი „მე“-ები. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ამ გვარი

ეთიკა მწყვილის ეგოიზმამდის ჩამოქვეითდება და კაცობრიობის ბედნიერების იდეალს სრულიადაც არ წარმოადგენს; რამდენადაც ცოლ-ქრმული ეთგულება თავის თავად კარგია, იმდენად ცუდია მისი გაზვიადება, რომელიც მხოლოდ კერპთ თაყვანისცემის მაგვარად ერთი პირის, ცოცხლის ან მკვდრის კულტს (თაყვანის ცემის ფორმები) აღიარებს, და დანარჩენ ქვეყნიერებას გულ-გრილად ან ზიზღითაც კი უტკეპრის.

ჩვენ მიგითითეთ ზევით, რომ ადამიანის ალტრუისტული გრძობანი სქესობრივ წადილს და სპეციალურად სქესობრივ სიყვარულის პირდაპირი ან არა პირდაპირი შტოებია—მეთქი. მაშასადამე სქესობრივ ეთიკის ნამდვილი საიდუმლოება სქესობრივ სფეროში ალტრუიზმის კულტში მდგომარეობს. მაგრამ ეს კულტი ეთიურ ფრაზებიდგან კი არ უნდა შესდგებოდეს; არამედ ეთიურ საქციელებიდან. ადამიანთა სისუსტის სავალალო დამტკიცება იმ თანამედროვე ეთიკაშია, რომელიც დარბაზებში (სალონებში) ლაპარაკით ან დაუსრულებელ საჯარო სიტყვებით და ლექციებით სწყდება. იგი მშვენივრად ცხოვრობს მეტად წმინდა წყლის ეგოიზმის გვერდით. სოციალურ მუშაობის გარეშე ეთიკა არ არსებობს.

ცხოვრებისთვის ბრძოლა წინეთ ბუნების, ნადირთა და განსაკუთრებით, მტრულად გაწყობილ ადამიანთა წინააღმდეგ სწარმბოვება ხოლმე. ახლანდელ დროში პირველნი მორეულნი არიან, ომები კი სახელმწიფოთა შორის უშველებელ ბრძოლად გარდაიქცა, რომელმაც თავი თვისი მალე ad *) absurdum-ამდეს უნდა მი-

*) ჭაი ჭაი, შეიძლება ვსთქვათ, რომ ერთ და იმავე სქესის მეგობრული კავშირები სში-

სქესობრივი ეთიკა

იყვანოს. მარტო ამ საფუძვლის გამო, როგორც ზევით ვსთქვით, ომის ღმერთის ეთიკამ და სამშობლურმა შოვინიზმმა დასაყრდობი ნიადაგი უნდა დაჰკარგოს სამუდამოდ. ნამდვილი სოციალური ეთიკა უკვე კაცობრიობის საერთაშორისო სოციალურ ეთიკად გარდაიქცა და სულ უფრო მეტად და მეტად უნდა გარდაიქცეოდეს ასეთად. იმგვარადვე, როგორც ძველ დროის გმირი, ვინმე ჰექტორი ან ვინკლერიდი, თავის ცოლისადმი სიყვარულს სამშობლოს სიყვარულს შეუერთებდა, რომ საკუთარ იდეალებისთვის ბრძოლაში ძალ-ღონე მოეპოვებინა, ამ გვარადვე ჩვენი თანამედროვე სიყვარულის იდეალიც სიკეთისთვის სოციალურ ბრძოლაში უნდა იწრთოს. აქ ქალი და კაცი ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა იბრძოდნენ; ეს ორთავედგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნაწლევებზე ფეხის დადგმით მუშაობას მოითხოვს. მაგრამ სწორედ ეს მუშაობა გადიქცევა მათვე სასიკეთოდ: იგი შეეშველება და ამაგრებს არამც თუ მარტო სხელს, არამედ უპირველეს ყოვლისა სულს, თავის ტვინის ენერჯიას. სიკეთისთვის სოციალური ბრძოლა უმაღლესს და მეტად იდეალურ სიხარულს განგვაცდევინებს. ადამიანს იგი საკუთარ არსებასთან ბრძოლას ასწავლის, ე. ი. თავის ბუნებრივ სიზარმაცის, სიამოვნები-

სადმი ვნების, ყოველგვარ ცუდ ჩვეულებათ და დაბალ წადილებისაგან დამონების, მორევნას; აღზრდის ნებას, სუსტ, ცუდ და ეგოისტურ წადილებს ახშობს და სიკეთის და სასარგებლოს შექმნის ნიქსკი, პირიქით, ავითარებს. ამ ბრძოლის წყალობით საშუალო ტვინიც-კი სულ უფრო მეტად და მეტად გამოსადეგ სოციალურ იარაღად ხდება.

ესლა ვკითხულობ, ცხოვრების ამ გვარ პირობებში ადამიანი იპოვნის დროს იმ გვარი სქესობრივი სიყვარულის დრამები წარმოგვიდგინოს, როგორებიც ქუჩურ რომანებით მიეწვდებოდა, სულიერ საზრდოს მნიშვნელობით, დღემუდამ ჩვენს ქალებს და კაცებს,—გიპასუხებთ: „თუ ეს ბუნებრივი ადამიანია,—არა!..“

მიუხედავად სიკეთისთვის ენერჯიულ მუშაობისა, მხოლოდ მეტად აღზნებულად მგრძობიერნი და ავადმყოფურ ვნებიანი ბუნებანი დარჩებიან საკუთარ ვნებათა შეკავების და დრო-ჟამის განმავლობაში მათი მორევნის ვერ შემძლენი. სხვები კი, სრულიად ან ნახევრად ბუნებრივნი, ხელოვნურად მოიყვანებიან სქესობრივ სფეროში ასეთ ოცნებობამდისინ უქმად ყოფნით, ცუდ, სქესობრივ წადილის აღმძვრელ და სანტიმენტალურ რომანების კითხვით, და აგრეთვე ცალმხრივი მოქმედებით და ქალაქურ ცხოვრების სხვა და სხვა არაბუნებრივობით.

ჩვენ აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ უბრალო მუშაობა საკმარისი არ არის, სოციალური მუშაობაა საჭირო მართლაც, დღიურ ფასის საშოვნელად, სპეციალურ ხელობის ერთგვარ მოსაწყენ მუშაობის მუდმივი ზეგავლენის გამო, ან გინდაც რომელიმე განსაკუთრებულ მეცნიერულ სპეციალობის მეცადინეობი-

რად და აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებათა ფილოზოფიკურ განვითარების საფუძველს ევრდნობა ხელმე; ამის უარყოფას სრულიადაც არ განვიძრავს. მაგრამ თვით სიმშატიის გრძობანი, რომელთა საფუძველზეც შეეძლოთ მარტო მეტობრულ ურთიერთებათ განვითარება, — მხოლოდ შტოებისა პირვანდელ, სქესობრივ მისწრაფებაზე დაშვარებულ, ერთი პირის მიმართის სიმშატიის გრძობისა.



სა, თვით თავის ტვინიც ცალ-მხრივი ხდება. ამის გამო ეთიური გრძობანი იფიტებიან (ატროფია ხდება). შემდეგ ხელ-ფასის აღებისთვის მუშაობის ცალ-მხრივობა ადვილად უკავშირდება სიყვარულში (არა სქესობრივ წადილში) გამოწვევისას. ამ შემთხვევაში ხშირად ეგოისტების წყვილი (ხანდისხან რამოდენიმეც: მთელი ოჯახი) საზოგადოების საქსპლტაციოდ ერთად იღვწის ხოლმე. ამათ შეუძლიანთ ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ და შედარებით ბედნიერად იცხოვრონ, ვიდრე ცოცხალნი და ჯანმთელნი არიან, ვიდრე საქმეები წარმატებით მისდით, მარცხი არ შეხვდებოთ შეილები ცხოვრებაში და სხვების ეგოისტური გეგმები მათს ანგარიშებს არ ჰფუშავს. მაგრამ, შემდეგ? პირიქით, ვინც მთელ სიცოცხლის განმავლობაში თავის ცოლ-ქრმულ სიყვარულს კაცობრიობისადმი მომქმედ სიყვარულს უერთდებდა, ის ბედის უუსასტიკეს თავ-დატეხის შემდეგაც კი პოულობს მასში მანუგეშებელ ანაზღაურებას. იგი არ გამძვინვარდება, სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, სჯაბნის თავის მწუხარებას, ურიგდება ადამიანთ და არაფერს გამოელოდება მათგან, რადგანაც მთელი თვისი სიცოცხლე მიჩვეულია იშრომოს ანაზღაურებისთვის.

თუ შემესიტყვებიან, რომ მე მიუწოდომელ იდეალებზე ვოცნებობ, მაშინ თავ-გამოდებით წინ აღუდგები ამას: კარგნი ჩვეულებანი მიუხწვევლნი არ არიან; მეტად თავ-დაცულ ადამიანებშიც კი, როგორებიც არიან მუშები და გლეხები, ისეთი ალტრუისტულად მცხოვრები პირები მოიპოვებიან, რომელთაც ზემოდანაბრებული იდეალი ესმით და ფაქტიურადაც ახორციელებენ კიდევ. მე-XVII თავში

დავინახამთ, როგორ შეიძლება დასაქმროც არის ამ აზრით განვავითაროთ ბავშვის ბუნებრივი ნასახნი. მაგრამ თავის თავად იგულისხმება, რომ ისეთი წმინდა ეგოისტების და ეთიურად ისეთ მომქმედ უარყოფითების, ე. ი. საზოგადოებისთვის მავნებელ ბუნებათა, რომელნიც ასეთები ღრმად ჩანერგილ ჩამომავლობითი მიდრეკილებათა წყალობით არიან, თავის დღეში არ შეიძლება ალტრუისტულ აზრით აღზარდოთ. საბედნიეროდ ესენი უმეტესობას არ შეადგენენ. მოდუნებულ და გულ-გრილ ადამიანთა უმთავრეს მასას სოციალურ მუშაობის გზით და შესაფერ აღზრდით შეუძლიან შეტოლებით უკეთეს მიეჩვიოს; ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ცუდისკენ მიმზიდველი გარეშე ძალები, როგორებიცაა ალკოგოლიზმი და ფულის ბატონობა, აგრეთვე მათი წყაროები, მოსპობილი და იმისთანებით იქნება შეცვლილი, რომლებიც კეთილ საფუძვლებს განავითარებენ.

და ბოლოს, როგორც უკვე ნათქვამია, კაცობრიობის მთელი ყურადღება სამართლიან შერჩევაზე უნდა იყოს მიმართული, რომ კარგ და სასარგებლო მიდრეკილებიანი ადამიანები გამრავლდნენ, ცუდნი და სუსტნი კი თანდათან შეცოტავდნენ. მაგრამ ეს მრავალ საუკუნეთა განათლების და მუშაობის საქმეა, საქმე, რომლის ეხლა მხოლოდ დაწყება შეგვიძლიან. აქ ადამიანის ბუნების უმთავრეს სისუსტეს წავაწყდებით: გახალისების და მუშაობის ნიჰს მხოლოდ იმისთანა წარმატებათათვის, რომელთა განხორციელებას მოსიყვარულე „მე“ თავისეგოცენტრულ (თავის განდიდება) სიცოცხლეში იმედოვნებს.

თუ ეს პატარა „მე“ დაუყოვნებელ შე-

დევებს ვერ ჰხედავს თავისთვის, მაშინ იგი მოეშვება, გაცბუნდება, ზურგს შეაქცევს რეფორმას და ზანტად წაილულლულდება: „რას იზამ, ადამიანები მეტად ცუდნი არიანო“, მხოლოდ ერთი მაგალითი: ერთი ჯიელი გიმნაზიელი ალკოგოლიზმის მოსპობის იდეამ გაიტაცა. ორი წლის განმავლობაში იგი გულ-მოდგინეთ მუშაობდა, ყოველ შემთხვევით სარგებლობდა, მოციქულად გამოსულიყო. შემდეგ სტუდენტი შეიქმნა. ერთხელ, რამდენიმე მარცხების შემდეგ, ერთბაშად მიატოვა საქმე და განაცხადა: „ვხედავ, რომ სიფხიზლის სასარგებლო მოძრაობას მომავალი არა აქვსო“. ამის შემდეგ ამაში მონაწილეობის მიღება მოსპო. ცხადია, მოძრაობა უიმისოდაც თავის გზით მიდიოდა. რამდენისამე წლის შემდეგ, მას ჩააცვივდნენ ნამუს ქვეშ ეთქვა, რატომ მიანება მართლა თავი საქმეს, და იგი გამოტყდა, რომ იმას არ უნდოდა თავისი თავი თითოთ საჩვენებელი გაეხადნა. იგი დასთანხმდა, რომ დასათრობ სასმელებს მორიდების მიზეზით, მშვენივრად გრძნობს თავს. ერთის შეხედვით რამოდენადმე გაცოცხლებული იყო, როცა გაიგო, რომ მოძრაობა უიმისოდაც დიდის წარმატებით მიიწევს წინ; დაინახა, და ბოლოს თავისი შეცდომა, და დაჰპირდა სიფხიზლის 'სასარგებლო ბრძოლაში ხელახლა მონაწილეობის მიღებას. ამ გვარ ყოველდღიურ, შემოძლიან ვსთქვა, წვრილმალ ფაქტებშია ჩამარხული კარგ სოციალურ რეფორმების ნელად განხორციელების საიდუმლოება. ადამიანები, რომლებიც ადვილად მხნევდებიან ამ რეფორმებით, ყოველთვის ფიქრობენ, რომ სინამდვილეშიაც ყველაფერი ისე მალე უნდა განხორციელდეს, როგორც მათს ფანტაზიაში; ისინი იბუზებიან და

გულს იცვლიან, როცა დაინახავენ ხალხს, რომ უმეტესობის აყოლება არც თუ ისე მალე შეიძლება, — რადგანაც მათ არ შესწევთ პირადი გაბედულება და ხასიათის სიმტკიცე უმცირესობაში დარჩენ.

იმავე ხასიათის სიმტკიცის და გამჭვრეტელობის ნაკლებულობას, რომელიც სიფხიზლის ჩვენ ქაბუკ მომხრეში აღმოვაჩინეთ, ვხვდებით, სხვათა შორის, ბავშვების აღზრდის დარგშიც. მხოლოდ ძაან ნელა ნელა შეიძლება ამ დარგში ადამიანების უფრო უკეთეს და ცხად შეგნებადის მიყვანა.

ჩვენ, როგორც ეტყობა, გადაუხვივეთ ჩვენს საგანს, რადგანაც სიყვარულის იმ ანარეკებს მიყვავით ხელი (იხ. თავი V) რომელიც სოციალურ გრძნობათა საგანს შეადგენს, ე. ი. საერთოდ ეთიკისას. თუმცა, ამ სწორედ გაგებულ და სწორედ მომქმედ სიყვარულის სოციალურ ანარეკნიდგან შეიქმნება ჯებირი, რომელიც ბუნებრივ სქესობრივ წადილს სოციალურად მავნე გადამახინჯებათ ხელს უშლის და ბუნებრივ ეთიურ მონიოსკენ (კალაოტისკენ) მიჰპართავს მას. არც ეგრეთ წოდებულ, მკაცრ ზნეების კანონების გარეგნულ ძალ-დატანებას, არც ჯოჯოხეთის ტანჯვებით მუქარას და სამოთხის დაპირებათ, არც მღვდლების ზნეობრივ ქადაგებათ და ასკეტიურ ზმანებათ ვერ შეუძლიან სქესობრივ სწორ ეთიკის აშენება. არ მსურს აქ იმის გამეორება, რაც მე-X, XI, XII, XIII თავებში ვილაპარაკე. არა სიტყვებით, არამედ ნაყოფებით უნდა გაიშინჯოს ზნეობრივ სწავლათა ღირსებანი. ყოველ შემთხვევაში შეიძლება მტკიცედ დადგენილად ჩავთვალოდ, რომ ადამიანთა სქესობრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინ ამაღლდება, როცა მისტიურ, სარწმუნოებრივი დოღ-



მატიურ საფუძველზე კი არ იქნება აშენებული, არამედ ნამდვილ ადამიანურ ეთიკის საფუძველებზე, რომელიც კაცობრიობის ბუნებრივ მოთხოვნილებათ ანგარიშს უწევს და ამავე დროს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ჩამომავლობის ბედნიერება აქვს სახეში.

ქორწილი ერთ და იმავე დროს უნდა მივიჩნიოთ, როგორც სქესობრივი წადილის ბუნებრივად დაკმაყოფილების საშუალება და იმავე დროს, როგორც ცხოვრების ეთიურ სოციალური სკოლა, და არა როგორც ერთი ან მეორე. შრომის განაწილება, მოვალეობათა გაყოფა, სრული თანასწორ უფლებიანობა და ერთად სოციალური მუშაობა ისეა შეგუებული, რომ მეუღლეთა შორის სქესობრივი კავშირი უფრო მეტად განამტკიცონ. ამადღებული სოციალურ—ადამიანური შეგნება დაგვეხმარება ეგოისტურ გრძობათა, და უწინარეს ყოვლისა დაზოგს დათრუგნაში. ბედნიერებისთვის ერთად მუშაობის წყალობით, და სპეციალურად, სხვების ბედნიერებისთვის, ასეთი მეუღლენი ისწავლიან სხვა ადამიანების სქესობრივ სისუსტის შენდობას და პატიებას. ისინი მოსპობენ ქედმაღლობით და ზიზღით მოკიდებას ქორწილ გარეშე შვილ-ნაყოლ ქალწულთან, ქმარ-გაყრილ ქალთან, კონკუბინატთან, საბრალო ურინგთანაც კი და თავის თანამომე ადამიანების სხვა სქესობრივ სისუსტეებთან და ნაკლებთან; ამის მაგივრად ეცდებიან ამათი ბედ-იღბალი გაუმჯობესონ, ე. ი. უშველონ იმათ, რომლებისთვისაც შველა ჯერ კიდევ ნაყოფს გამოიღებს. ისინა ამაშიაც აგრეთვე უუმაღლეს სიხარულს იპოვიან, და თუ მათგანნი ვინმე თვით გამოიჩინს სქესობრივ სისუსტეს,

მაშინ, პირველად—მას ადვილად ამატიებენ ამ სისუსტეს, მეორედ—იგი ადვილად მოუღრეცს კისერს საკუთარს სისუსტეს. დრო აღარ ექნებათ ცუდ გუნებით და წვრილმალ ცოლ-ქრმულ ძიძგილაობებით ერთმანეთს სიცოცხლე უწამლონ. ქმარი ბატონისა და მბრძანებელის როლს შეასრულებს, ცოლი კიდევ სიცრუეში აღარ დაიწყებს ხსნის ძებნას და აღარ დამცირდება იქნობამდისინ. სარწმუნოებრივი დოღმები აღარ განაცალკევებს და დაშორებს ცოლ-ქმარს; აღარ იქნება ქორწილში მღვდლების ჩარევა და, ბოლოს, მოიშორებენ სიკვდილის შიშს, სიკვდილს ისე დაუწებენ ცქერას, როგორც მუშაობის გათავების და კარგათ გამოყენებულ სიცოცხლის მოვალეობათა შესრულების შემდეგ სანუკარ მოსვენებას.

არ შემიძლიან განუვითარებლობა, პირდაპირ ტუტუცობაც-კი არ უკეთინოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამგვარ იდეალს მიუხწეველ ზმანებად, გამოუცდელ მეოცნებეთა ბოღვით სთვლიან. იმ ადამიანთათვის, რომელთაც უკუღმართი განათლება მიუღიათ, რომელნიც ბუნებით ცუდნი არიან, სიზარმაციით, ბიწიერებით და სიამოვნებათა წყურვილით გათახსირებულნი, ვისმა ტვინმაც უკვე დაკარგა, ან არა დროს არ ჰქონია მოქნილობა (ელასტობა) და განათლების ნიჭი, იგი სწორედ რომ მიუხწეველია. მაგრამ საუკეთესო ადამიანებს უკვე ხშირად მიუხწვენიათ ამისთვის, ამიტომ საჭიროა ბავშვებზე მოვახდინოთ გავლენა (იხ. თავი მეშვიდე) და, შერჩევის და აღზრდის საშუალებით, ვეცადნეთ სულ უკეთესი და უკეთესი ახალგაზრდობა წარმოვშვათ:

„ჭაღახს აღარ ესაჭიროება ქმნა, ჩვენს ქვეყანას ჩვენ თვითონ შევქმნით.“

მე-XV თავის დამატება.

შემთხვევა.

ამ წიგნის გამოცემის კრიტიკაში (Seh midts Jahrbücher der Medizin, 1905) მიზოგინი (ქალების მოძულე) ექიმი პ. ი. მებიუსი, ავტორი „ქალის ფიზიოლოგიურ სუსტოანერებისა“, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „ხანდისხან საფრთხეები იბადება, მაგალითად აბოლიციონების (ადამიანის ღირსების შემლანძღველი კანონის ან დაწესებულების მოსპობის მომხრე ადამიანი) სასარგებლოდ ფორელის გულმოდგინეობის გამო, იმის სქესების „თანასწორ უფლიანობის“ ოცნებებით. ცალკე ადგილები მართლაც რომ განსაცვიფრებებია ამ წიგნში, მაგალითად სქესების პსიხოლოგია: კაცის ინტელექტი (ტვინი) მეტია; სქესთა გრძნობანი სხვადასხვანაირნი, მაგრამ თითქმის თანასწორად ძლიერებია, თუმც ქალის ნება უფრო ძლიერია (რადგანაც ოჯახში მას თავის ნება დღემუდამ ვაჟყავს)“.

აუხვევ რა მხარს გულუბრყვილო დასაბუთებას, ქალის ნების შესახებ ჩემი აზრის გამო მებიუსი მე მაწერს, და რომელსაც ამ წიგნის გულისყურიანი მკითხველი მემტყუებთა, რომ შეჰხვდეს სადმე, არ დავიცამ თავს ამ კრიტიკისაგან. პასუხის მაგვარად მხოლოდ შემდეგს შემთხვევას მოვიყვან, რომლის სისწორით გადმოცემის თავდები ციური ხელი ბ. იულიუს ფ. ედ. ვუნდზამია. სულით და გულით მაღლობელი ვარ ვუზღამისა ამ საგულისხმიერო ამბავის შეტყობინებისთვის და მის აქ მოყვანის ნებადართვისთვის. აქედგან შეგვიძლიან დავინახოთ თუ ჩვენი თანამედროვე სქესობრივ ზნეობის შინაგანი ღირებულება რამდენად დიდია:

„ერთი ჩემი ნათესავი, იმ დროს ავსტრიის საზღვაო ახალგაზრდა აფიცერი, რამდენიმე თავის ამხანაგებით ტუნისის ბორდელში შევიდა. იმის შესვლის თანავე ერთმა ქალთაგანმა შეჰკვივლა და თავის ოთახისკენ გაიქცა, ჩაიკეტა კარი და აღარ გამოვიდა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ კამპანია წავიდა. ამ უცნაურ ამბით განცვიფრებულს, ჩემს ნათესავს, მისი მიზეზის გაგება უნდოდა და მარტოკა დარჩა იქ, მიიმალა უშიშარ ადგილას, ვიდრე ქალი დარბაზში არ გამოვიდა. იგი შეუუმჩნევლად მიუახლოვდა მას და მოულოდნელობით მთლად დაბნეულმა, სამშობლო ქალაქის ერთ კარგ ბიურგერის (მოქალაქის) ოჯახის ქალიშვილი კი იცნო მასში.“

ეხლა დამალვა აღარ მოხერხდებოდა, და ატირებულ ქალს სთხოვა ეამხნა მისთვის, როგორ მოხდა ეს. მხოლოდ დიდის მერყეობის შემდეგ, და როცა აფიცერმა აღუთქვა საიდუმლოება შეენახა, მოახერხა ქალისაგან მის ბედის ისტორიის გაგება.

ქალმა უამბო, რომ მათ ქალაქის გარნიზონში (ქალაქში მდგომი ჯარი) მსახურ ერთ აფიცერთან სასიყვარულო კავშირი ჰქონდა და, დაბოლოს, დაჰნებდა კიდევ მას. შეამჩნია, რომ კავშირი შედეგებით გვირგვინდებოდა, ქალი ჯერ თავის სატრფოს გამოუტყდა, — რომელმაც ამის შემდეგ მალე ტრიესტში გადასვლა გაჩაღხა! მშობელთ მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიგეს ქალიშვილის მდგომარეობა, რადგანაც იგი მუცლის შეკვრის საშუალებით მდგომარეობის დაფარვას ცდილობდა.

გამოაშკარავების შემდეგ, მამისაგან შეურაცხყოფილი და ოჯახიდგან გაძევებული უბედური ქალწული ტრიესტში გაემგზავრა, ჰფიქრობდა თავის საყვარელ-



თან და შემცდენელთან ებოვნა მფარველობა. აქ მას პირველი და მეტად მკაცრი გაცხუნება ჰხვდა წილად, რამაც მის გულში საწამლავის პირველი წვეთი ჩააწვეთა. — საყვარელმა გამოუცხადა მას, რომ არც დაქორწინება შეუძლიან, არც თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანა, და ფული შესთავაზა იმ აზრით, რომ ქალს ტრიესტისთვის თავი მიენებებინა და „გაჭირვებიდგან“ დაეხსნა იგი! საკუთარ მდგომარეობის მიუხედავად, ქალმა ფულზე უარი უთხრა, რადგანაც მიჰხვდა, რომ იმ კაცს, რომელსაც თავბრუ დამხვევ სიყვარულით და უსაზღვრო ნდობით მიეცა, შეთავაზებულ ფულის რაოდენობით მომავალ მოვალეობიდგან თავის გამოსყიდვა ჰსურდა.

თვათნაც სახსარი ნაკლებად მოეძიებოდა, შინ დაბრუნება არ შეეძლო და არც ჰსურდა, — ამიტომ ადგილის მონახვა დასჭირდა. მისი მდგომარეობა — ორსულობის ბოლოს მოახლოვება — ამას მეტად საძნელოდ ჰხდოდა. ქალმა მშობელთა ყოფილ მზარეულ ქალს მისწერა წერილი, ის ფიუმელ ტრაქტირის პატრონზე გათხოვდა, გამოუტყდა თავის მდგომარეობაში და ნებას სთხოვდა მასთან მისულიყო. მართლაც იპოვა მასთან თავშესაფარი — ლოგინობის მოლოდინში სახლოსნობაში ჰმეველოდა. ლოგინზე დაწოლა უდროოთ მოუხდა, — ბავშვი მკვდარი დაიბადა, — და თვითონაც რამოდენიმე თვე ლოგინად ჩავარდა. თუმც ამ ოჯახში მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში მიიღო იგი და მთელ ავადმყოფობის დროსაც შეინახა, მაგრამ სამუდამოდ საცხოვრებლად აქ დარჩენა შეუძლებელი იყო; მატროსთა ტავერნაში მოსამსახურის ადგილი ზიზღსა ჰგვრიდა. ერთი აგენტის საშუალებით, რომელიც დღემოდამ ტრაქ-

ტირში დაძვრებოდა, ქალს იმედი ჰქონდა გენუაში ერთ ნემეცურ ოჯახში კარგი ადგილი ეშოვნა, — სადაც მას შემთხვევად ეძლეოდა აგრეთვე ფრანგული და იტალიური, ენები შეესწავლა. „ნემენცური ოჯახი“ საროსკიპო სახლი აღმოჩნდა, საიდანაც რამოდენიმე თვის შემდეგ ტუნისში ამოაყოფინეს თავი.

უკვე ერთი წელიწადია რაცა სცხოვრობს, გამოტვინებულა, თავის ბედს ნახევრად შეჭრივებია, რადგანაც სხვა გზაზე გასვლის ყოველი იმედი მოჰსპობია. ამისთანა მდგომარეობაში შეჭხვდა მას ჩემი ნათესავი. შეხვედრამ უბედურში გავლილის მოგონება აღძრა, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, რალაც ცივებ-ცხელების ბოდვად წარმოუდგებოდა ხოლმე, და ჩემი ნათესავი ამბობდა, რომ ქალის სასოწარკვეთილება, რომელმაც ამ შეხვედრის წყალობით ერთბაშად შეიგნო თავისი მდგომარეობა, შესაზარი იყოვო.

მან ურჩია გამხნევებულიყო და წინადადება მისცა საკონსულოს დახმარებით დაეხსნა ამ მდგომარეობიდგანო. მაგრამ ქალი თურმე გადაჭრილ უარზე დადგა, მას დაბრუნებისა ეშინოდა, რადგანაც ეშინოდა შერცხვენისა!

ქალის გაუგებრად, ჩემმა ნათესავმა მიჰმართა შემცდენელს, არწმუნებდა მას, რომ პატრონების მოვალეობა მოითხოვდა ქალზე ეზრუნა რამე. შემდეგ ნანობდა ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგანაც წერილის უპასუხოდ დატოვებამ დაარწმუნა თუ რა ჯურის მოკემესთან ჰქონდა საქმე. — მაშინ, ქალს შეუტყობნელოდ, მან ვენაში ერთ ნაცნობ ოჯახს მიჰმართა, და ქალისთვის გამდელის ადგილი გამოსთხოვა. ქალის ბედ-იღბლიდგან მხოლოდ ის შეატყობინა, რომ ქალწული

უბედურ სასიყვარულო ისტორიის გამო სახლიდგან წავიდა და ეხლა, საყვარლისაგან ხელ-აღებული, მეტად გაქირვებულ მდგომარეობაში არისო, არ მოიხსენია ის თუ უბედური ქალი რამდენად ღრმად არის დაცემული; და ჩაიღინა ეს, როგორც ჩემს საყვედურების პასუხად მითხრა— იმიტომ, რომ ერთ მხრივ ეშინოდა ოჯახის მხრივ დაუძლეველ ცრუმორწმუნოებას არ წასწყდომიყო, მეორეს მხრივ კიდევ, რომ სირცხვილის გრძობა ქალწულს ადგილს ვერ ათავებინებდაო.

ამ დახმარებაზე ქალი ჯერ უარზე იყო, რადგანაც თავს მეტად ღრმად დაცემულად ჰგრძობდა ხელახლად პატიოსან ქალწულის მდგომარეობაში ჩავარდნისთვის. ჩემმა ნათესავმა გულის მომწყვლელ წინადადებებით დამიხატა ქალის სულიერი ბრძოლა, გაღვიძებული იმედი და თავის აწმყო მდგომარეობის გულის მღრღნელი ტყვიასავით მძიმე შეგნება.

დიდის წვალებით მოახერხა მან მომავლის ახალი რწმენა ჩაენერგა ქალისთვის და დაერწმუნებინა, რომ გამობრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ქალის ბორდელიდგან განთავისუფლებისათვის მისი მეცადინეობა იმ გარემოებით ძნელდებოდა, რომ იგი იძულებული იყო საროსკიპოს პატრონისგან ემალა თავის გულნადები, რათა ქალის გადაყვანა სხვა საროსკიპოში თავიდგან აეცდინა, რაიც უსათუოდ მოხდებოდა, თუ მის მისვლა-მოსვლის აზრს ნაადრეულად გაიგებდნენ. ეჭვით ადევნებდნენ მას თვალს, რადგანაც, იმის სიტყვით, ამისთანა სახლებში ყოველ ღონეს ღონობენ, რომ ქალმა ძაან ხშირად არ იქონიოს საქმე ერთსა და იმავე ვაჟებთან.

ნო. უნდობლობა პატრონებისაგანსაკუთრებით იმისთანა შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს, თუ ისინი რწმუნდებიან, რომ დამოკიდებულება ჩვეულებრივ ხორციელების ნიადაგზე არა ხდება.

იმის გამოცხადების შემდეგაც კი, რომ იგი ქალის ყველა ვალებს იხდის, ქალის განთავისუფლებას მხოლოდ მაშინ მიახწია, როცა შეატყობინა რომ იგი ავსტრიის ფლოტის აფიცერია და დაემუქრა, უარის თქმის შემთხვევაში, დახმარებისთვის მთავრობას მიემართავო.

ვენაში ქალი მეგობრულად იყო მიღებული და კარგად ექცეოდნენ. ჩემი ნათესავი ქალს მეტჯერ აღარ შეჰხვედრია. ტუნისში მოგზაურობის შემდეგ, სადაც ერთ საზღვაო ექიმთან უბრალო სტუმარი იყო, იგი შორს საცურავოდ უნდა გამგზავრებულიყო.

თავიდგან ქალი საკმაოდ ხშირად სწერდა მას და სამადლობელ წინადადებებით აღწერდა თავის ბედნიერ, მშვიდობიან ცხოვრებას; მისი მეტად კმაყოფილნი იყვნენ და როგორც ღვიძლ შვილს ისე ექცეოდნენ. წერილებში ჩემი ნათესავის შემთხვევით კითხვებზე ქალწულს დიასახლისიც აგრეთვე მეგობრულ აზრის წინადადებებით იხსენიებდა პასუხებში, სადაც სრულ კმაყოფილებას გამოჰხატავდა ხოლმეო.

სამშობლოდგან შესამჩნევ მანძილის მიზეზით, წერილების მიწერ-მოწერა უფრო იშვიათი შეიქმნა, და უკანასკნელ თვეებში, ევროპაში დაბრუნების წინა ხანში ჩემი ნათესავი სრულიად უცნობო დარჩა. ისიც აღარა სწერდა და, დაბრუნდა რა პოლკში, გადასწყვიტა ვენაში შეველო და თავის მოულოდნელ მისვლით ყველანი სახტად დაენარჩუნებინა. ქალწული ოჯახში ველარა ნახა. იგიც მეტად



ცივად მიიღეს, და მის კითხვაზე, ქალწული ოჯახში რატომ აღარ არის, დიასახლისმა უსაყვედურა მას, რომ ჩიქილა მოხდილი ქალი მოათავსა მათთან, რომელიც—როგორც მან იცოდა—უკვე საროსკიპო სახლში იყო ნამყოფი.

ქალწულს სრულის ნდობით ეკიდებოდნენ, როგორც ღვიძლ ქალიშვილს—და მასზე სამღუჭავის თქმის შემთხვევა ანაღწახს ანა ჭქანათ. გატარებულ ცხოვრებას დაფარვას იგი მშვენივრად ახერხებდა,—ვიდრე მისი წარსული შემთხვევით არ გამოძეიდა, მას შემდეგ, რაც ქალწულმა ერთი წელიწადი მეტი დაჰყო ამ ოჯახში.

„შემთხვევაც“ ასეთი იყო: დიასახლისის ქალი, ტრისტუმი ნათესავებთან ყოფნის დროს, კაპიტან ნ. გაეცნო და ხანმოკლე გაცნობის შემდეგ დანიშნენ კიდევ. ჩამოვიდა რა ვენაში, რათა დანიშნულის მშობლებს პირადად გაჰსცნობიყო, ოჯახში კაპიტანი ჩვენს ნაცნობ ქალწულს შეხვდა და იცნო იგი. როგორც ეტყობა, ქალწულმაც იცნო იგი, რადგანაც აღელვებული იყო და ნებას ითხოვდა თავის ოთახში დარჩენილიყო შეუძლოების მიზეზით. კაპიტანი ნ. ვენაში ერთი დღე დარჩა და ქალწულს აღარ შეჰხვედრია. ნ. წასვლის რამოდენიმე დღის შემდეგ წერილი მიიღეს მისგან ახსნით, ვითომც ის მოვალედ ჰრაცხდა თავის თავს ახსნა ზოგი რამ იმ ქალწულის შესახებ, რომელსაც სახლში შეჰხვდა, რადგანაც ფიქრობს, რომ მათი ორთავეს შეძრწუნება შეყრის ჟამს, ალბად, შემჩნეული იყო ყველასაგან. იგი იცნობდა ამ ქალწულს რამოდენიმე წლას წინეთ, კაი ოჯახიდან იყო, მაგრამ შემდეგ ქალი დაეცა და ცუდს გზას დაადგა. ის თვითონ შეჰხვდა ერთხელ ტრისტუმი

ყავახანაში, შემდეგ კი ერთ მეგობრისაგან ნამდვილი ცნობები მივიღე, რომ ფრ. ხ. პ.-დან ტუნისში საროსკიპო სახლში არისო!.. იგი დარწმუნებულია, რომ ოჯახმა ქალწულის წარსულისა არაფერი არ იცის, თორემ, ცხადია, მას ოჯახში არ შეუშვებდნენ. მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ საქმის ნამდვილ მდგომარეობაზე გაჩუმების ნებას არ მაძლევს დანიშნულის პატიოსნება, რადგანაც ახალგაზდა ქალწულისთვის, ჰაი ჰაი, სულ ერთი არ არის დღემულამ ვისთან ექნება თანახმობა.

ჩემს ნათესავს თითონ წაუკითხავს წერილი. კაპიტანი ნ. სწორედ ის აფიცერი იყო, რომელმაც ქალწული შეაცდინა და შემდეგ მიატოვა.

ამ წერილის შემდეგ, იგი კაპიტნის სურვილის თანახმად—მაშინვე მშვიდობიანად დაითხოვეს და ერთი თვის ჯამაგირის წინეთ მიცემა დააპირეს.

თავის წერილში ეს პატივცემული ვაჟბატონი თხოვნას იმ მოსაზრებით—როგორც განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩემი ნათესავი—ასაბუთებდა, რომ „ყოველ შემთხვევაში ეს უბედური ქმნილებაა და მაინც და მაინც შებრალების ღირსიაო“.

ქალმა ანგარიში მიიღო, მიზეზები არ უკითხავს, იცოდარა თავისი დანაშაულობა, იგი ყოველგვარ ახსნას გაურბოდა, მაგრამ შეთავაზებულ ერთი თვის ჯამაგირზე კი უარი სთქვა „ამპარტავნობისა და ქედ-მაღლობის გამო“...

ამის შემდეგ მასზე აღარავის არაფერი გაუგონია, და არავინ იცის, რა დაემართა.

ჩემი ნათესავის ძებნამ ამაოდ ჩაიარა.

ვერ მოუხერხდა საბრალო ქალწულს უბედურ მდგომარეობიდან დახსნა,—სამაგიერო დიასახლისის ქალიშვილის

დახსნა კი... მშენიერ კაპიტანზე ჯვარის წერიდგან მოახერხა“.

აი ბ. ვუნდაზმის ამბავი. ამას ჩვენ დავუმატებთ: „დეკ უშველას ამ უბედურ ქაღუჭის მწამებამ იმას, რომ სქესობ... რიგ საკითხში ჩვენმა სამარცხვინო ცბიერმა,

ოფიციალურმა ზნეობამ ადგილი ახალს დაუთმოს“. მიღებულ სქესობრივ ეთიკისთვის ეს შემთხვევა უფლების სქესობრივ საკითხთან დამოკიდებულებათა სფეროში ფრიდა კელერის pendant-ს შეადგენს.

ლ. ცაგარელი.

კერპები.

რომენ როლანის წერილი

(თარგმანი)


რომაც საუკუნეზე მეტია, რაც დიადი ადამიანები მიისწრაფებოდნენ განეზიარებინათ მოპოვებული თავისუფლება თავის მოძმეებისათვის; მათი სურვილი იყო განეთავისუფლებინათ კაცობრიობა ყოველ მონობისაგან, ესწავლებინათ მისთვის, როგორ უნდა შეეთვისებინათ სინამდვილე შიშსა და ცთომილების გარეშე; უკუ ეგდო ცრუ ამაყობა და ცრუ თავმდაბლობა და ისე შეეხედნა თავის თავისთვის, გაეცნო თავისი სისუსტე და ძალა; რომ ესარგებლნა ამით და უცილობელად განესაზღვრა თავისი ადგილი სამყაროსა შინა. ეს დიადი ადამიანები ანათებდნენ ვარსკვლავისებურად გზას თავის სამაგალითო ცხოვრების და აზრის შუქით.

მაგრამ მათი ცდა დაიმსხვრა. რომაც საუკუნეზე მეტია, რაც კაცობრიობა მონობის ქვეშ იმყოფება; მე აქ ბატონთა წინაშე მონობაზე არ მოგახსენებთ (ეს მონობა ხორციელია და დღეს თუ ხვალ დაინგრევა), მე ვგულისხმობ მონობასთვის ჭკუის მოჩვენებათა წინაშე. კაცობრიობის მონობა სწორედ ამაშია. ამა-

ოდ ცდილობენ, დაამტვირონ ამის ბორკილები. კაცობრიობა ხელახლა ჰქმნის ბორკილებს, რათა უფრო მაგრა შეჰბოქოს თავისი თავი. თავისუფლებისათვის ყოველ მებრძოლს კაცობრიობა ჰხდის თავის ბატონად—და ყოველ იდეალს, რომელსაც იგი უნდა გაენთავისუფლებინა, ისახავს ტლანქ კერპად. კაცობრიობის ისტორია—ეს კერპთა და მათი ბატონობის ისტორიაა. შეიძლება ითქვას: რაც უფრო ბერდება კაცობრიობა, მით კერპთა ძალა უფრო ფართოვდება და უფრო მომაკვდინებელ ხასიათს იღებს.

პირველ ხანებში კერპებად იყვნენ ხისა, ან ქვისა, ან ლითონის ღმერთები. ამათი მოსპობა ადვილად შეიძლებოდა ცულით, გინა ცეცხლით. ამათ მაგიერ მოვიდნენ სხვა კერპები; ამათი მოსპობა აღარაფრით არ შეიძლებოდა, რადგან მათი ქანდაკება დაბინავდა უჩინარ ინტელექტში; ამ კერპებმა დაიწყეს მისწრაფება მთელი ქვეყნის დაპყრობისაკენ. ჩვენმა საუკუნემ შეჰქმნა ორი ახალი კერპი.

ერთი კერპი,—რასად წოდებული, და



მეცნიერთა გულ-უბრყვილო ოცნების ნაშობი,—მათ ლაბორატორიაში გარდაიქცა მოლოხად, რომლის სახელით 1870 წლის გერმანია დაეცა საფრანგეთს; მოლოხის სახელითვე ისარგებლებენ გერმანიის მტრები და მოისურვებენ აწინდელ გერმანიის წინააღმდეგობას. უკანასკნელი კერპი არის შეთხზული გერმანიის მეცნიერებისა, რომელსაც ძმურად ხელი გაუწვდენია მრეწველობისა, ვაჭრობისა და კრუპის ფირმისათვის; ეს კერპი კულტურისა, რომელსაც ჰდარაჯობენ ქურუმები—გერმანიის ბრძენნი.

საერთო თვისება კერპთ-მსახურებისა არის იდეალის შეგუება ადამიანის ქვენა ინსტიქტებთან. ადამიანი ასაზრდოვებს სიბილწეს, რომელიც მას ხელს უწყობს, და ამ სიბილწეს აკანონებს კიდევ; ადამიანს არ უნდა ხელი აიღოს გარყვნილებაზე; მაშ, ერთი-ღა დარჩენილა: სათაყვანებელ საგნად გაიხადოს გარყვნილება. ამის გამო საუკუნეთა განმავლობაში ადამიანი სულ იმის ცდაში იყო, რათა თავისი სიბილწე და თავისი უნიკობა შეეთანხმებინა. ამას ადამიანი ყოველთვის ახწევდა. ბრბო ამას ადვილად ახერხებს,—რადგან თვის სათნოებას არ უპირისპირებს თვისივე გარყვნილებას და თვის გამირობას თვისსავე ბოროტებას. ვნებათა ძალა და დროთა მღელვარების ნიაღვარი ლოგიკას უბნელებს ბრბოს.

ხოლო ინტელიგენციის რჩეულ ნაწილს არ შეუძლიან ასეთნაირად დაკმაყოფილდეს. ეს იმიტომ-კი არა, რომ ინტელიგენცია ნაკლებად განიცდის ვნებას; ასე რომ ვიფიქროთ—ეს ღრმა შეცდომა იქნებოდა. რაც უფრო მდიდარია ცხოვრება შინაარსით, მით უფრო მეტი საკვები ეძლევა ვნებათა მღელვარებას.

და ისტორიაც გვიმტკიცებს ამას; განმაცვიფრებელი და უსაშინელესი ვნებათა მღელვარება განუცდიათ სჯულის დიად მქადაგებლებს და არა ნაკლებ დიად რევოლიუციონერებს. მაგრამ ეს ის მუშაკნი არიან, რომელნიც თანდათანობით და მეტის სიფრთხილით მსჯელობენ და ზიზლით უყურებენ ბრბოს არეულ-ღარეულ აზროვნებას. დიადი ადამიანები ცდილობენ შეჰქმნან იმ გვარი მტკიცე ქსოვილი, სადაც ალლო (ინსტინქტ) და იდეა ისე იყოს შეწონილ-შეთანხმებული, რომ მათ შორის არავითარი ნაჩვრეტიც კი აღარ რჩებოდეს. ამ შემთხვევაში ისინი ჰქმნიან შესანიშნავ ნაწარმოებს. როგორც გინდა იდეალი იყოს და რაც გინდა ქვენა ვნება აიღოთ, ინტელიგენტი ყოველთვის გამოიხატავს საშუალებას, რათა ერთი მეორეს დაუკავშიროს; ღვთისადმი სიყვარული და სიყვარული კაცისადმი ხშირად მოწოდებად ქცეულა ქვეყნის გადაბუგვისა, მკვლელობისა, მტაცებლობისა. 93 წლის ძმობა და წმინდა გილიოტინა ხელ-ჩაკიდებული ჰმოქმედობდნენ. ჩვენ დროშიაც არიან ეკლესიის ისეთი წარმომადგენელნი, რომელნიც სახარებაში ეძებენ ბანკებისა და ომის დასაბუთებას და სამართლიანობას. ამ ერთი თვის წინ ვიურტემბერგის პასტორი ჰქადაგებდა: „არც ივანე—ნათლისმცემელი, არც იესო ქრისტე და არც მოციქულნი მილიტარიზმის წინააღმდეგნი არიყვენო“*); გაიძვერა ინტელიგენტი აზრთა ჯამბაზია... „აწც რა ხელში, აწც რა. სახელებში!“ უუდიდესი

*) პასტორი შჩენკის წერილი: ომი და ახალი აღთქმა; ამ წერილს აღტაცებით მიეგება პასატ. კ. კორაფონი „Zuo Journal religieux“ (14-ს ნომერს).

დამსახურებაა, თუ ადამიანი შესძლო ყოველ აზრში გამოახოს მისივე მოპირდაპირე დებულება: ძმათა მკვლელობა დასკვნას ქრისტეს ქადაგებიდან; ან არადა, ინტელექტუალურ ინტერნაციონალიზმის ოცნება გაუთანასწოროს კაიზეროს სამხედრო დიქტატურას, როგორც ამას ადასტურებს პროფეს. ოსტვალდი. ამ გვარ რობერტ გუდენებისათვის ეს ხომ ბავშვური თამაშობაა!

მაშ, გავსინჯოთ პროფეს. ოსტვალდის სიტყვები; ოსტვალდი ხომ მესიანიზმის ივანე-ნათლისცემლად გამოგვეცხადა, ხოლო სამხედრო ჩაჩქანში.

აი უმთავრესი კერპი—კულტურა (made in Germany,) „რომელიც იწყობა დიდი სწორე ასოთიო“—მწერს მიგუელ დე უნამუნო. ამ კერპის გარშემო ამავე კერპიდან გამოსული პატარ-პატარა ღმერთებია: Kulturstaat, Kulturbund, Kulturimperium (კულტურული სახელმწიფო, კულტურული კავშირი, კულტურული იმპერია)...

„შე ავიხსნით—ამბობს პროფ. ოსტვალდი*)—გერმანიის დიად საიდუმლოს, ჩვენ ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გერმანიის რასამ აღმოვაჩინეთ შეკავშირება—შეთანხმების პრინციპი. დღეს სხვა ხალხი ინდივიდუალიზმის რეჟიმის გავლენას განიცდის, ჩვენ კი უკვე მჭიდრო ორგანიზაცია შექმენით; ხალხი შეკავშირება—შეთანხმება ცივილიზაციის მაღალი საფეხურია“.

აშკარაა—და განა ეს მართალი არ არის?—რომ, როგორც მისიონერები ფლოტის და ზარბაზნიან ჯარის დახმარებით წარმართთა ქვეყნებში ავრცელებენ ქრისტეს სჯულს და აქვე არსებენ

სავაქრო სანახებს,—ასევე ნემენცების ინტელიგენციასაც არ ჰსურს, მთელი თავისი საუნჯე მარტო თავის თავს მოახმაროს: ეს ინტელიგენცია მოწოდებულია გაანათლოს მთელი ქვეყანა...

„გერმანიას ჰსურს ევროპაში ნამდვილი წეს-წყობილება შემოიტანოს, რადგან ევროპის ცხოვრება აქამდის მოწყობილი იყო. გერმანიაში ცდილობენ, რომ ყოველ ადამიანს, რაც შეიძლება შეტი გააკეთებინონ, რათა სწავლავდებოდნენ რაც შეიძლება შეტი მოკება სწავს. ამაშია ჩვენი, სუგუთესა სწავით გამოხატული, თავისუფლება“,—ასე ბჭობს ოსტვალდი.

როგორ მოგწონთ ასეთი მასლათი კაცობრიობის „კულტურის“ შესახებ? გეგონებათ, აქ ლაპარაკი იყოს ხოლო ისპანახსა და არჯაკელზე! პრ. ოსტვალდს, ვითომ-და, სურვილი აქვს, გერმანიაში შექმნილ კულტურით მოპოვინოს ევროპის დანარჩენი ქვეყნებიც: ბედნიერებაში ამყოფოს ეს ქვეყნები, მიანიჭოს დიდი სარგებლობა, მიახწვეინოს „მწარმოებლობის მაქსიმუმს“ და სხვა. მაგრამ რადგან ეს ქვეყნები იმდენად განათლებული არაა, რომ აღტაცებით მიიღონ ყველა ეს, ამიტომ—ჰფიქრობს პროფ. ოსტვალდი—„ამი თავის მჭიდრო წესთა შემადგენლობის სწავით აძულებს ამ ქვეყნებს დაეწაფნენ ჩვენ უფრო მაღალ ცივილიზაციას“.

პოლიტიკოსად და სტრატეგად გარდაქცეული ფილოსოფოსი—ქიმიკოსი (ოსტვალდი) თავისებურად ასურათებს გერმანიის გამარჯვების შედეგებს და თავისებურად სწყვეტს ევროპის მომავალ ბედობას: ევროპის სახელმწიფოებიდან უნდა შესდგეს შეერთებული შტატები; ეს შტატები უნდა დაემორჩილოს შეიარაღებულ კაიზერს; მიწასთან გასწორებული ინგლისი, იარაღ აყრილი საფრანგე-

*) ოსტვალდის საუბარი შევდურ გაზეთის »Degen“-ის რედაქტორთან.



თი; დანაწილებულ-განადგურებული რუსეთით. (მისი კოლლეგა ჰეკელი ამთავრებს ამ სასურველ სურათს ბელგიის, ბრიტანიის იმპერიისა და ჩრდილო საფრანგეთის დანაწილებით)... ხოლო არც ჰეკელი და არც ოსტვალდი არას გვეუბნებიან იმის შესახებ (ეს-კი სამწუხაროა!), შედიოდა, თუ არა, მათ გვემაში იპრის ბაზრების მოსპობა, ლუვენის წიგნთსაცავის დაღუპვა და რემისის ტაძრის დანგრევა? ღირს შესანიშნავია ოსტვალდის სიტყვები: „გეცოდინებათ მე ჰაიფისტი ვარ“... ეს სიტყვები ითქვა იმის შემდეგ, რაც ოსტვალდმა აღიარა ევროპაზე გამარჯვების, მის დაყოფის, განადგურების საჭიროება, არ ვიცი, თავის სიტყვების შხამიანობას გრძნობდა თუ არა, ოსტვალდი?...

როგორც გინდა გატაცებულნი იყვნენ მთავარი ქურუმები რომლისამე კულტისა, ისინი—სჯულ-წესების აღსრულების დროს—დიპლომატობას იჩენენ და ფრთხილად იქცევიან, რასაც მოკლებულია დანარჩენი სამღვდლოება. ასევე დემართა კულტურულად ადამიანისადმი კულტს (Kulturmenschen). მღვდელ-მთავართა გულ-ახდილ და თავდაუქრელ მოქმედებას არა ერთხელ დაუფიქრებია და დაუმთხვია მოსე და აარონი (იგულისხმება ჰეკელი და ოსტვალდი). მე არ ვიცი, რას ჰფიქრობენ ეს მეცნიერნი შესახებ ტომას მანნის წერილისა, რომელიც დაიბეჭდა Neue Rundschau-ს ნოემბრის წიგნში ამ სათაურით: აზრები ომის დროს (Gedanken im Kriege). ხოლო ძალიან კარგად მესმის, თუ რას იფიქრებს ამ წერილის შესახებ ფრანგი ინტელლიგენტი; ამ წერილით გერმანიამ თავის წინააღმდეგ საუკეთესო იარაღი მისცა თავის მტერს.

ბრაზმორეული და სიამაყით გატაცებული მანნი ვერაფერ სამსახურს უწევს გერმანიას: მანნი თავის უგნური საბუთებით უფრო დიდ ბრალსა სდებს თავის სამშობლოს, როდესაც ვიღაცა ოსტვალდი ცდილობს კულტურა შეუთანხმოს ცივილიზაციას, ამავე დროს გამოტყვევება მანნი და აცხადებს; „კულტურასა და ცივილიზაციის შორის არაფერი საერთო არა არის-რა; ეს ომი ომია კულტურისა (ე. ი. გერმანიისა) ცივილიზაციის წინააღმდეგ“-ო. გაშმაგებული, გონება-დაბნეული მანნი ასე განმარტავს ცივილიზაციას: ცივილიზაცია არის გონიერება, განათლება (Vernunft Aufklärung), სიწყნარე (Sänftigung, Sittigung), სულიერება (ДУХОВНОСТЬ) (Auflösung, Geist); ხოლო „კულტურა“-მისი აზრით—ქვეყნის დამაკავშირებელი, წეს-რიგის დამამყარებელი სულიერებაა, რომელიც ბარბაროსულ სისხლის ღვრას აკანონებსო. კულტურა ბატონია ზნეობის, გონების და მეცნიერებისა“-ო.

როდესაც ვიღაცა ოსტვალდი ან ჰეკელი მილიტარიზმს უყურებენ, როგორც საშუალებას, იარაღს, რომლითაც კულტურა იმარჯვებს, ამავე დროს მანნი ამტკიცებს: კულტურა და მილიტარიზმი ძნები არიან, მათი იდეალი ერთი და იგივეა და აღიარებენ საერთო პრინციპსო; მათ ჰყავთ საერთო მტერი; ეს მტერი არი მშვიდობიანობა, ეს მტერი არი—გონებაო („Ja, des Geist ist zivil, ist brüngerlich). ბოლოს და ბოლოს თავის თავისა და სამშობლოსათვის დევიზად იღებს შემდეგ ტაყს: „კანონი უძლურთა მეგობართა, იგი აერთიანებს კაცობრიობას; ხოლო ომი ჰქმნის ძალასო“...

Das Gesetz ist der Freund des Schwachen,
Möchte gern die Welt verfläehen,

Aber der Krieg lässt die Kraft erscheinen..

ძალადობის ამგვარ ბილწურ დაფასება-ში ტომას მანსაჟი გადააჭარბებს. ოსტვალდი ჰქადაგებდა კულტურის გამარჯვებას ძალის საშუალებით, თუ ამას მოითხოვდა საჭიროება. მანნი ამტკიცებდა, რომ კულტურა—ძალააო. აღმოჩნდა სინილისზე და ნამუსზე ხელაღებული ადამიანი და სთქვა: „ერთად-ერთი ძალაა. დაე ყველაფერი დანარჩენი სდუმდესო!“ თქვენ უთუოდ წაიკითხავდით მაქსიმლიან გარდენის ურცხვ წერილს, რომელშიაც თავის მთავრობას უსაყვედურებს, რომ მთავრობა უხეირო საბუთებით ცდილობს იმართლოს თავი ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო. გარდენი სწერს:

„რისთვისაა მთელი ეს აურ-ზაურნი?... ძალა ჩვენთვის უფლებას ჰქმნის... რადგან უფლებას, რომ მძლავრი დაჭმოდნებოდეს უძლურთა ბრბოს მისწრაფებას და გრძნობას?“...

აი ნიშანი უგუნურებისა, რომელმაც გერმანიის ინტელიგენცია გააამაყა და ჩაითრია ბრძოლაში; აი ზნეობრივი არევე დარევა იმპერიისა, რომლის აგებულობა მოსწონს თვალს, თუმცა თვითონ ბეცია! ვინ ვერა ჰხედავს თავის მთავრობის სისუსტეს, იმ მთავრობისას, რომელმაც სოციალისტურ პრესას პირში ჩვარი ჩასწარა და რომელიც ამდენ შეურაცმყოფელ მხილებას ითმენს? და, რაც უფრო სავალალოა, მთავრობა ვერ გრძნობს, რომ მაგვარი სიტყვები მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სახელს გაუფუჭებენ გერმანიის კაცობრიობის წინაშე? საწყალი ინტელიგენტი ოცნებობს, რომ გაცოფებულ ნიცშების მარკიანობით ის ჰქნის გმირობას და ამ გმირობას ანიჭებს მთელ ქვეყანას! ინტელიგენტი კი მხო-

ლოდ აზფოთებს ქვეყანას. ინტელიგენტს უნდა, რომ ნდობა დაიმსახუროს მას მეტად ენდობიან კიდევ, სიამოვნებითაც ენდობიან. გონება-დაბნელებულ რამდენიმე მწერლის წყალობით მთელი გერმანია პასუხის მგებელია.

გერმანიას თავის ინტელიგენციაზე უარესი მტერი არა ჰყავს.

წინდაწინვე განზრახულად არ ვლაპარაკობ. მე არ ვამაყობ ფრანგთა ინტელიგენტებით: მათი ბოროტ-განზრახვით თავყანის-ცემა რასის, ან ცივილიზაციის, ან ლათინობას კერპისადმი მე არ მაკმაყოფილებს, არავითარი კერპი არა მწამს, კაცობრიობაც კი მძულს კერპის სახით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემ თანამემალეთა კერპები არც თუ ისე საშიშონი არიან და არც იერიშის მიტანას ჰფიქრობენ სხვებზე; ამასთანავე ჩვენ ინტელიგენტთა ამაყობით გატაცებულ ნაწილს უფრო მეტი გონიერება აქვს, ვიდრე ნემენცის ინტელიგენტს, რომელსაც სრულიად დაუკარგია სალი აზრი. მაგრამ—სიმართლე რომ ითქვას—ვერც ერთი ქვეყნისა და ვერც მეორის ინტელიგენციამ ვერ ისახელა თავი ინტელიგენტობით და ვერ დაახწია თავი ძალადობისა და უგუნურობის ქარტეხილს. ამ გზაკვალ დაბნეულ ინტელიგენტს ძალზე ახასიათებს ემერსონის შესანიშნავი სიტყვები:

»Nothing is more rare in any man than an act of his own“. (ადამიანში ისე იშვიათი არა არის-რა, როგორც მოქმედება მისივე სურვილზე დამოკიდებული.)

ინტელიგენტთა მოქმედება და ნაწერები წაბაძვითი თვისებისაა: ნაკარნახევი საზოგადოების ბრმა და ქადილ მით-



ქმა-მოთქმისა. მე სრულებით არა მსურს უსამართლოდ მოვექცე მათ, ვინც იძულებით გაჩუმდა: ესენი ან ჯარში მოემწყვდინენ, ან არა და ცენზურამ შეუკრა კრიჭა. მაგრამ მაინც აზრის წარმომადგენლებმა ყველგან გზა დაუთმეს საერთო უგზურებას და გამოიჩინეს ისეთი გაუგონელი სისუსტე, რაც ხოლო უხსნათობის ნიშანია.

ჩემ წიგნებში სხვა და სხვა ადგილას გაფანტულმა პარადოქსებმა ზოგი-ერთებს საბუთი მისცეს ესაყვედურებინათ ჩემთვის, ვითომ მე წინააღმდეგი ვიყო ინტელექტუალიზმისა. ეს გაუგებრობაა: მთელი ჩემი სიცოცხლე შემეწირნია აზრის კულტისათვის. მართალია, ინტელექტუალიზმი მომეტებულ შემთხვევაში აზრის კარიკატურად მიცვნიან, დამიგზავსებია დამახინჯებულ და დასახინჯებულ აზრს, აზრს გაქვავებულს და იმდენად ჯღონოს, რომ არა თუ უხელმძღვანელობია ცხოვრებისათვის, არამედ მისი შინაარსის გაგებაც-კი ვერ შესძლებია. ცხოვრების აწინდელმა მდგომარეობამ და ფაქტთა მსგელობამ უკეთ დაამტკიცა ეს, ვიდრე მე მქონდა წარმოდგენილი. ინტელიგენტი გარდამეტებულად აჩრდილთა და იდეათა სამეფოში ცხოვრობს. იდეას თავისთავად არსებობა არ შეუძლიან, თუ მისი შინაარსი არ შეიცავს ან ცდას, ან იმედს: ეს ის დასკვნანი ან ჰიპოტეზებია, ან ჩარჩოებია იმისა, რაც ყოფილა, ან არა-და რაც უნდა დამყარდეს; ეს ხელსაყრელი და უსაჭიროესი ფორმულებია, ის ფორმულები, რომლებიც გვიჩვენებენ ცხოვრების და მოქმედების გზას. ხოლო უბედურება იმაშია, რომ ამ ფორმებიდან გამოჰყავთ შემბორკავი რეალობა; და ამას ისე ხელს არავინ უწყობს, როგორც ინტელიგენტი, რა-

დგან პროფესიონალურად დასახინჯებულ ინტელიგენტი ბოროტად იყენებს თავის ხელობას: სინამდვილეს უმორჩილებს ფორმებს. თუ ამას საერთო ვნებაც დაერთო, მაშინ ინტელიგენტი ბრმავდება; ვნება იპრყობს და აცხოველებს იდეას; იდეა საუკეთესოდ ემსახურება ვნებას, რომელიც თავისით სისხლს აწვეთებს იდეაში; ხოლო იდეა ქებათა-ქებას ასხავს ვნებას. ამ რიგად ადამიანში რჩება ხოლო მისი აჩრდილი, შექმნილი მისი ჭკუით და ბოდვა მისი გულის და მისი აზრისა. ამიტომაცაა, რომ ინტელიგენტი ყველაზე მეტად გაიტაცა აწინდელი ომის კრიზისმა და ყველაზე მეტად ხელს უწყობდა ომის საქმეს. დავუმატებ (სწორედ ამაშია მისი სასჯელი), რომ ინტელიგენტმა ყველაზე მკაცრად და ხანგრძლივად უნდა განიცადოს ომის გავლენა. ეს ასეც უნდა იყოს: როდესაც მდაბიო ხალხი ცხოვრების და მუდმივ შრომის უღლის სიმძიმის ქვეშ ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორეში, ეს ხდება ბუნებრივად და მას სინიღისი არა ჰქენჯნის, ხოლო ინტელიგენტი უფრო და უფრო იხლართება თავისივე ჭკუის ქსელში და ყოველი მისი ნაწერი მეტი ბორკილია მისთვის... დანამდვილებით შეიძლება ითქვას: როდესაც მდაბიო ხალხში გაჰქრება მენსიერება ამ უგზურ ომის შესახებ, ინტელიგენტის გულში განრისხების ნაპერწკალი კიდევ დარჩება...

ვინ დაამსხვრევს „კერპებს?!“ კერპების ფანატიკოს მომხრეებს ვინ აუხელს თვალებს? ვინ შეაგნებინებს, რომ მათ მიერ შექმნილი ღმერთი—რელიგიური თუ საეროყოვლად შეუძლებელია ძალად შეაწამონ სხვებს, თუ გინდ ეს ღმერთი—მათი აზრით—საუკეთესოც იყოს? ან რა


უფლებით უყურებენ სხვებს ზიზღით? ვთქვათ, თქვენ კულტურას შეუძლიან აღზარდოს გერმანიის ნასუქ ნიადაგზე ყოვლად ნოყიერი და ყოვლად დიდ-მშვენიერი ადამიანური მცენარე (ЧЕЛОВЕЧ. РАСТЕНИЕ), მაგრამ საზოგადოდ ადამიანის აღზრდით მებაღეობის უფლება ვინ მოგცათ? შეიმუშავეთ თქვენი ბაღი, ჩვენ ჩვენსას მოუვლით. არსებობს საღვთო ყვავილი, რომელსაც არ გავცვლიდი თქვენ შუშაბანდებში ნაზარდ ყველა მცენარეებში: ეს ყვავილია თავისუფლების ველური ია. თქვენ არ უვლით ამ ყვავილს, თქვენ ფეხ ქვეშ სთელავთ მას. მაგრამ არ მოკვდება ია, იგი უფრო დიდ ხანს იცოცხლებს, ვიდრე თქვენი უმშვენიერესი ყაზარმები და მცენარეთათვის შუშაბანდები; იას არ ეშინიან ქარისა, მას ბევრი ქარიშხალიც გამოუტლია; იგი იკვლევს ეკლიან გზას და ამოჰხეთქს დამპალ ფოთოლთა შორის...

გერმანიის ინტელიგენტო, ინტელიგენტო საფრანგეთისავე, მოხანით და სთესეთ მინდვრები თქვენი სულისა! ხოლო პატივი ეციოთ სხვის მინდვრებსაც. მინამ ქვეყანას მიაწვებდეთ, დიდი შრომა დაგვირდებათ, რათა წეს-წესობილება შეიტანოთ თქვენსავე სულიერ საღაროში. შეეცადეთ, თუ ეს შესაძლებელია—დაივიწყოთ ერთი წამით თქვენი იდეები, რომ უფრო კარგათ დაინახოთ თქვენი თავი! და რაც უფრო საჭიროა—დაგვიანახოთ ჩვენ! გერმანიის რასის და ლათინობის გმირებო, გმირებო კულტურისა და ცივილიზაციისავე, მტრებო, მეგობრე-

ბო, შევხედოთ ერთმანეთს თვალდებში... ძმაო ჩემო, ვერა ჰხედავ იმათში გულს, როგორიც შენია, იმავ ტანჯვას, და იმავ იმედებს, იმავ მიკერძობას (ЭГОИЗМЪ) და იმავ გმირობას, იმავ ნიქს ოცნებისას, რომელიც დაუსრულებლად ჰქმნის ქსელისებურ ქსოვილს?... მოხუცმა გიუგომ ერთ-ერთ თავის მტერს უთხრა: „განა ვერ ჰხედავ, რამ შენ და მე ერთნი ვართო?..“

ჰეშმარიტი ინტელიგენტი, ჰეშმარიტად განათლებული ისაა, ვინც თავის თავსა და თავის იდეალს არა მკითხვედ სავალდებულოდ არ უხდის ქვეყნიერებას; ვინც მიმოიხედავს—რა ირგვლივ, დარწმუნდება, რომ ათი-ათასობით პატარ-პატარა ვარსკვლავები ერთად ანათებენ და შეადგენენ ირმის ნახატებს (МЛЕЧНЫЙ ПУТЬ); ვინც არა თუ ამ მნათობთა გაქრობას შეეცდება და თვით იკისრებს გზის ჩვენებას, არამედ სჯულისაებრ განიმსჯვალება იმ აუცილებლობით, რომ ამ მნათობთა და სხვათა საერთო სინათლე ყოვლად საჭიროა. აზრის მუშაობა—თუ გულის მუშაობა თან არ სდევს—არაფერია. აგრეთვე უმნიშვნელოა აზრის მუშაობა, თუ მას სულის თქმა და სალი მოსაზრება არ ემოწმება, ის სალი მოსაზრება, რომელიც ყოველ ხალხს, ყოველ სულდგულს მთელ სამყაროში კუთვნილ ადგილს მიუჩენს, ის სულის—თქმა (ДУХЪ), რომელიც მსჯავრსა სდებს მშობლად მსჯელობას და კაპიტოლიის ეტლის უკან მდგომ იმ მეომარს, რომელიც ცეზაროსს მოაგონებს, რომ იგი, ცეზაროსი, მელოტია.

დ. ქადაგიძე.



ომი ებრაელებში და მათი დამოკიდებულება მეზობელ ხალხთან (წერილი მესამე)

აბაღების ისტორიულ წიგნებშია მოთხრობილი ისტორია ებრაელების საწმუნებრივ-ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ცხოვრებისა, დაწებული ქანახის ქვეყნის დაპყრობიდან ისუ ნავენის დროს (1480—1442 წ.); თავდება ის ებრაელების დაბრუნებით ბაბილონიდან ნეემის მეთაურობით არტაქსერქის დროს. ამ ხნის განმავლობაში ხან ამაღლებოდა და ხან დაეცემოდა ზოლიტიკური მათი ცხოვრება. ათას წლგვანი ხანა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო რამდენიმე ცალკე-ცალკე ებრაელები იყოფებოდა. ისუ ნავენის დროს ებრაელებმა დაიბურეს ჰალესტინა, ურასტანი; ამ დროს მათ მიატოვეს მხეტილი ცხოვრება და გადავიდნენ მშობნობარობაზე. პირველ ხანებში ასეთი წესი მტკიცე ნიდაგზე არ მდგარა. ისუნავენის სიკვდილის შემდეგ, მათ აღარ ჰქუდათ სახლადი, რის გამო თორმეტ საკუთარ ცალკე რესზუბლიკად გაიყვეს; დაჰკარკეს ეროვნული ერთობის თვითცნობიერება. იგინი თან და თან დაშორდნენ ერთი მეორეს და სიმძულვარესაც იხედნენ ურთიერთ შორის, სცხოვრობდნენ თვითეული თავისთვის ისე, რომ საერთო უბედურების დროს შემწეობის ხელს არ უწოდებდნენ ერთმანეთს. ასეთსვე სვავალდომდგომარეობაში იყო ზნეობრივ-საწმუნებრივი ცხოვრება მათი. ზნეობრივად დაცემა საზოგადო მოვლენა იყო: სოღომ გომორის ცოდვები ცათამდე დადადებდნენ. ნამდვილ საწმუნებობის აღაგო დაიჭირა ცრუ-მორწმუნებობაში. მუღმივის სახელმწიფოს უფლებისა და საწმუნებობის დავარკვით ხალხს უკიდურესობამდი მივიდა, მაგრამ ამ უკიდურესობაში მოამზადა ნიდაგო მეფის უფლების შემოღებისა. სამუელ მსაჯულმა იმდენი იმეცადინა, რომ გააერთიანა ყველა ებრაელები.

საულის გამეფებით მიეცა დასასრული ტომებრივ შუღლსა და მტრობას მათ შორის: მისი მოწოდებით იკრიბებთან ამხნიტელ კასთან ისრაელები. საული უფრო მეტი კი ანა, მთავარ-სადადი იყო, და კიდევ გამართლამან ეს სახელ-წოდება: მრავალ გზის გაიმარჯვა მეზობელ ხალხზე და როგორც გმირი სული დალია ომში გელვის მთებზე. მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ განახლდა სიმძულვილი ერში: იუდას ტომმა, რომელიც დღემდე განცალკევებული იყო სხვებიდან, თვის მეფედ აღიარა დავით, დახარჩენებმა კიდევ აიჩიეს მეფედ საულის ძე იობესთე. შვიდ წელიწად ნახევარის შემდეგ ყველა ებრაელებზე მართვა იგდო ხელში ისევ დავითმა, რომლის დროს შეერთდა ყველა ტომები ერთად, დავითი მტკიცედ იჯდა თვის ტახტზე. ამ შეერთებას ხელს უწყობდა აგრეთვე მუღმივი ომები, — როგორც საზოგადო სახალხო საქმე, — ამის გამო ეროვნულ ერთობის შეკნებას მათში მტკიცე საფუძველი ჩაყარა. ამისათვის მან აგრეთვე სახელმწიფო მართვა-გამგებაში მრავალი რეფორმები შემოიტანა. მაგალითად, ამ დროს დაარსდა მუღმივი ღაშქარი, თორმეტ ნაწილად გაყოფილი, იგი ყოველ თვიურად ვადებული იყო იერუსალიმის ემისხურა. ნეიტრალური ქალაქი იერუსალიმი გადაკეთდა საწმუნებრივი და მოქალაქეობრივ ტენტრად, რომლის გარშემო ყოველი ტომი თანასწორი იყო. ყველა ხალხს დაენიშნა ერთნაირი მსაჯულნი — ლევიტელნი და თვითეულს ტომს დამოუკიდებელი თვითმართველობა ჰქონდა. სამართალში გათანასწორობული იყვნენ ყველანი. თუმცა ტომთა შორის თანასწორუფლებიანობა შეჰქონდა მეფეს, მაგრამ ამავე დროს შემოსილი იყო იგი თვითმურობელი

მონარქიულის უფლებით. მის ხელში იყო: სამხედრო და სამოქალაქო უფლება. ზირველის წარმომადგენელი იყო ჯარის მთავარ-სარდალი იოანე, ხოლო მეორეს მღვდელ-მთავარი სადოკი, ლეგიონებს — მსაჯულთ უხუცესი.

დავითის შემკვიდრის, მეფე სოლომონის დროს, საქმე სხვანაირად დატრიალდა. სოლომონის სასახლე დიდს ფუფუნება-განცხრომაში იყო, რამაც გამოიწვია აურებელი ხარჯი; ეს მძიმე ტვირთად აწვა ხალხს. ხალხის ნაწიგუნდადი საზოგადო-სახელმწიფო საქმეს კი არ ხმაძრებოდა, არამედ მეფის და მისი ვარის კაცების საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიდიოდა. ამავე დროს დავითის დროინდელი სამართალი გამრუდდა; მოსიზო თანასწორობა ვუკლასი და თვითულისა სჯულის წინაშე. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ხალხის უკმაყოფილება, რომელიც გადავიდა შემდეგ აშკარა წინააღმდეგობაზე. თუმცა სოლომონმა ხალხის ამხედრება შეახერხა, მაგრამ რობოამის დროს ამ ამბობსებამ კვლავ იზინა თავი და დაბოლოვდა იმით რომ 10 ტომი გამოეთიშა ცალკე. ზირველი და უკანასკნელი მიზეზი ხალხის ამბობებისა იყო მძიმე ხარკი, რომელიც დააღო სოლომონმა მას.

ერთის საშეფოს ორად გაყოფით, — ისრაელებისა და იუდეელებისა — შემოუსრა ებრაელების ძალა, რომლის შედეგი იყო ათ ტომისი საშეფოს ბედკრული ისტორია. იუდასთან ომმა ამას ძალ-ღონე გამოუღია. ეს ომი დაიწყო რობოამის დროს, გავრძელდა აბასს დროს, რომელმაც გასწვიტა 500,000 ისრაელი და აიღო რამდენიმე ქალაქები; ომი შესწვდა დროებით სას დროს, რომელმაც სირიელ ბენდადის შემწეობით ამოყალიტა აინუსა, და ნასა, აბელ-ბეთ-მაქისა და ნეფთელი მას ქვეყნის მკვიდრნი. ამ 60 წლის ომის ცრუდი შედეგი დაბოლოს ორივე მხარემ შეიგნა: აქაბი და იოსეფატო ერთი მეორეს დაუკავშირდებიან, იორაბის ძემ შეერთო აქა-

ბის ასული გოთოლია. მაგრამ ვერ გადავიარ მოშუშებულიყო ომისკან ჭრილობები, რომ იფეთქა ომისა ისრაელებსა და სირიელებს შორის. ეს ომი გავრძელდა აქაბის, იორამის, იუიის, იოაქაზის და იოასის დროს და იმდენად შეასუსტა ისრაელები, რომ იოაქს შერხა მხოლოდ 50 ცხენოსანი ჯარი, 10 ეტლი და 10,000 ქვეითი ჯარის კაცი. დანარჩენი მთლად მტვრად აქცია სირიის მეფე აზაილმა. ამავე დროს ისრაელები ეომებოდენ იუდეელებსაც და იორამ II-ის დროს წართმეული ადგილები დაიბრუნეს უკანვე. გამუდმებული ომებისკან ილაჟ გამოლეულმა ისრაელებმა დაბოლოს ვეღარ გაუძლეს კარზე მომდგარ მტერს ასირიელებს და კიდეც მოისზო ათ ტომისი საშეფოს არსებობაც. ეს საშეფო დაემხო. სხვანაირ მდგომარეობაში დაჩნა ორი ტომის საშეფო, იგი არამც თუ დაუძლურდა, არამედ გაძლიერდა კიდეც. წინაშირველად მათ ჰყავდათ 180,000 მეომარი და ასეთი ცოტა ძალით ვერ შესძლეს შეებმა ეგვიპტელ ფარანსუსუხამკიმს, რომელმაც აიღო იუდეელების გამაგრებული ქალაქები, გაძარცვა თვითონ იერუსალიმი, და გაიხნა იუდეელები თავის ქვეშევრდომებად...

შეიარადებული და სამხრად გამოსადეგ ჯარისკაცთა რიცხვი გადაიღდა იორაბამ I-ის სარწმუნოებრივი რეფორმით უკმაყოფილო ისრაელებით, რომელნიც გადავიდნენ რაბაამის მხარეზე, გაამაგრეს და დაიკავეს მისი საშეფო. აბამ წაართვა იორაბამს I ბეთილი, იუშონი და ეფრანი შაკავშირე ქალაქებისად და მისმა შემკვიდრემ ასამ ზარიამ ეთიოფლანეს წინააღმდეგ გამოეყვანა 580,000 მეომარი. სისუსტე სასი გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ ერთმა ვერ შესძლო ეომნა ბასთან და შემწეობა სთხოვა სირიელი ბენდადას. იოსეფატის დროს ორტომისი საშეფო კვლავ გამტკიცდა. იოსეფატო არ გაუტანია




ომს, მას სურდა შინაური სახელმწიფო საქმეების მწიქსრიგება, უნდოდა გაუმჯობესობა ერის ზნეობრივ-საწმინდობრივი ცხოვრებისა, ზრუნავდა ერის განათლებისათვის, აშენებდა ახალ-ახალ ციხე-სიმაგრეებს და სს. ასეთი დიდი საქმეების ცხოვრებაში გასტარებლად საჭირო იყო მშვიდობის ჩამოგდება მეზობელ ერებთან, ათ ტომიან სამეფოს კი დაუკავშირდა ზოლიტიკურად და ნათესაურად. ასეთს კავშირს მტკიცად დიდი უბედურება. ამ დროს ჩამომორდა სამეფოს ილუშია, იუდეია და თვით იერუსალიმი გაიძარცვა ფილისტიმლანელებისა და არამელებისგან. ქალაქ ლიფნის მკვიდრნი გაიფიცნენ, სირიელებთან ომში უშედეგოთ ჩაიარა. ამ ორ ტომიან სამეფოს დაქცევა შეჩერდა მღვდელ-მთავარმა იოლიამ, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ ახრდა იგი. მეზობლები ხშირად ეცემოდნენ და იკლებდნენ მას. სახელდობრ, ფილისტიმლანელებმა ტუვედ ჩაიკდეს იუდეელები და გაჭვიდეს, როგორც მონები; ილუშინელები ხშირად შეესევოდნენ ხოლმე იუდეის და სასტიკად ეპურებოდნენ ტუვეებს; უკანასკნელად, სირი-ახალიაჰმ აიღო გეთი, მიაქცია მახვილივით იერუსალიმზე და კვლავ იუდეელების სამეფომ გამოიკადა თავისუფლება შეუფის სახელისა და ტაძრის სამკაულის გაუიდვით. ამასთან დროს დაშვარდა მშვიდობა, ხოლო იზიარდ იოთამის დროს ორ-ტომიან სამეფოს კვლავ დაუბრუნდა ის ბრწყინვალე ხანა, რომელიც მიენიჭა მას დავით და სოლომონის დროს. იზიამ სამხრეთით ილუშელები დაიბურა და ხელთ იგდო ნავთ-სადგურა ელათომი, დასავლეთით შემუსრა ფილისტიმლანელების ძალა, აღმოსავლეთით ამონიტინელებს დააღო ხარკი. ოზი ისეთი ძველმისილი იყო, რომ იგი თეგლათ ფელასარ III-ს გაუმკლავდა. გარედან რომ ძალა მოიხვეჭა, ის მერმე შიგნით შეეცადა ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესობას, რისთვისაც ზირვედ ყოფილის შეიქნა სასტიკი

და მხურვალე დამცველი ხალხის შექმნა. ვაჭრობა-მრეწველობაც აუვავდა ამ დროს. როგორც თვითონ იყო დიდებული, ასეთივე შესანიშნავი იუოზის შემკვიდრე იოთამი. იმათ დროს იუდეელების სამეფომ მოკრიფა ძალა და დონე ასირიელებთან საბრძოლველად. აქაზმა მოიწოდა თეგლათელასარი, რომ დაეცო იგი რეცინის, ფაკიას, ილუშელანელებისა და ფილისტიმლანელებისაგან. თეგლათელასარმა აქაზი განათავისუფლა მტრებისაგან, მაგრამ ამავე დროს მას დააღო ხარკი. სამართა დემო, ეზეკიამ უარი უთხრა ასირიელების ხარკის გადახდაზე, იგი გადავიდა ეგვიპტელების მხარეზე. ამის შემდეგ ადგილად შესაძლო იყო სამეფოს დაზერობა. ეგვიპტესთან კავშირის გამო შეიქმნა ომი ჯერ ასირიასთან და მერმე ბაბილონთან. ასირიელებთან ომში დაუძლეურა იგი, ხოლო უკანასკნელებთან-კი სამუდამოდ მოსზო. იუდეიას შეესია სენაქირიმი. მან დაიბურა 46 ქალაქი, ხელთ იგდო მრავალი სურსათი, სამხედრო ნადავლი და ტუვედ წაიყვანა 200,150 კაცი. გარდა ამისა დააღო უარებელი ხარკი იუდეუს. მანასია მეფე ეგვიპტესთან კავშირს მაინც არა სწევებდა. ამისათვის ასარგადონის შემოსევის დროს, იგი შეიქნა მოხარკე მისი, ფეხებში ბოროლი გაურილი გაგზავნილ იქნა ბაბილონს. ასურმანიშელის დროს ასირია დაუძლეურდა. იოსიამ შეჩერა ეგვიპტის ფარიონის ნესაოს მისწრაფებანი, მაგრამ მუვიდონთან ომის დროს დაიღუბა. მისი სიკვდილის შემდეგ იუდეია ეგვიპტის ვასალური ქვეშევრდომი შეიქნა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ აიძულა იგი შებრძოლებოდა ბაბილონს. ნესამ, ისარგებლა რა ნინევიის დამსობით, მოინდომა ეფრატის გარშემო მდებარე ადგილებში ჩაგდება, მაგრამ ნაბუქოდონოსორმმა აოტა იგი. 604 წ. ქრისტეს დაბადებამდე ნესაო დაიჭრა. ოთხი წლის შემდეგ ნაბუქოდონოსორმა გაილაშქრა ეგვიპტეში და, რომ

გაემკვრებინა ზურგი, დაიმტკიცა შეუყვები; მათ რიცხვში ითავიყუ იუდეელი. ეგვიპტიდან იუდეის გადავიდა ბაბილონიელების ხელში. ითავიყუს შემკვიდრემ სედევია ნახუქოდონისონს გაუდგა, რის გამოც ბაბილონიელები

შეესივნენ მას და, რადგან შემწყვდებულნი იყვნენ ეგვიპტის ფორსონ ოფრისიგან, მათი მტკლულ იქმნა და მთელი მისი სახელმწიფოც დაემხო. (Толковая Библия).

მღვ. კ. ანაძე.



ქ. ევკლდ.

იასამნის ბუჩქი

(გადმოკეთებული)

იასამნის ბუჩქში რალაცა არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. მართალია ქარი არა ჰქროდა, მაგრამ ტოტები წამდაუწუმ ირხეოდა, ფოთლები თრთოდა: სწორედ თავ-ბრუს ახვევდნენ ადამიანს. პატარა ნიბლია ჩამომჯდარიყო იასამნის ბუჩქზედ, უნდოდა ცოტა თვალი მოეტყუებინა, მაგრამ ტოტი ისე ინძრევა, რომ თვალიც ველარ მოხუჭა და შეშინებული გაფრინდა ბუჩქნარში.

— რა დავმართა იასამნის ბუჩქს? — ჰკითხა მან თავის მეუღლეს. მაგრამ მას პასუხისათვის არა სცალოდა: კვერცხებზედ იჯდა. ნიბლია ახლა თავის მებობელს ღობემძვრალას შეეკითხა; ღობემძვრალამ ქოჩორი მოიფხანა და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა:

— ბუჩქების ენა მე არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ კი, რალაც მომხდარა. ეს დილასვე შევნიშნე, როცა მის ტოტზე ვიჯექ და ვჭიკჭიკობდი. სთქვა ეს თუ არა ორნივე კუნელის ტოტზე წამოსკუბდნენ და გულ-მოდგინეთ თვალყურს ადევნებდნენ იასამნის ბუჩქის ყოველ მოძრაობას.

უბედურება ის იყო, რომ ბუჩქის ფესვები გაჯავრებით ბურტყუნებდნენ:

— იჯექი აქ, ამ ჯურღმულში და გამოჰკვებე მთელი ოჯახი“, მთელი საქმე ჩვენ გვაწევს კისრად. ჩვენ უნდა გამოვკვებოთ ტოტებიც, ფოთლებიც, ყვავილებიც და გავამაგროთ, ქარმა რომ არ მოიტაცოს. ყველაზედ ჩვენ ვზრუნავთ, ჩვენზედ კი—არავინ, თუმცა მუყაითად ვემსახურებით ყველას. არც ერთ ვაჭბატონს, რომელიც ზემოთ წამოსკუბულა, არ მოუვა ფიქრად, რომ ჩვენც გვინდა სიამოვნება და მხიარულობა გვეცმის მათი ლაპარაკი გაზაფხულისა, მზისა და სხვათა შესახებ. ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. არც-კი ვიცით რა არის მზე, მზის შუქი. ვიცით მხოლოდ ის, რომ გაზაფხულზედ ყველა იმ ვაჭბატონს იმისთახა მალა აქვთ რომ ლამის ჩვენც გადაგვცოცაონ. ზამთარში კიდევ არა გვიშავს, რადგან იმდენი არ არის, მიწაშიაც თბილა. მაგრამ დათბება თუ არა, ვაი ჩვენი ბოალი. მაშინ ჩვენთვის აუტანელი ცხოვრება იწყება.

— ყური გვიგდე ფესვო! — დეკვირეს ტოტებმა. — მაგრა მოექიდე მიწას, თორემ საცაა საშინელი ქარიშხალი მოვაიდება.

— შავო ფესვო! — ჩამდსჩურჩულეს ფოთლებმა. — მეტი საზრდოც ამ იკვირვებ-

ნე.—ჯერ კარგა ხანი გავა, ვიღრე მთელი ოჯახი გაიზრდება.

ყვავილებმა კი დაილილინეს:

მოდლაულები,
მოქანცულები,
მიწას დაუუყრებთ
თავ-დახრილები.
ფესვო ამაყო,
წუურვილით ვეკვლებით
წყლის ერთი წვეთი
გამოგვიგზავნეთ
გემუდარებით!

—ჰმ! არ გეუბნებოდით?—აღშფოთდნენ ფესვები.—მთელი საქმე ჩვენ გვაწევს კისრად. უნდა ბოლო მოეღოს ამას. ჩვენც გვინდა ზევით, გვინდა წვიმა დაგვდიოდეს, გვინდა მზის მოალერსე შუქი; ჩვენც გვინდა იქ ზევით, ზევით: დეე, ხალხმა დაინახოს, რომ ჩვენც შეგვიძლიან გამოვიყენოთ სინათლე და წვიმა. ეჰეი, თქვე, სულელო ტოტებო! თქვენ ხომ არავითარი სარგებლობა არ მოგიტანიათ. და აი, ეხლა გიცხადებთ, რომ თქვენისთანა მუქთახორებისთვის აღარ ვიმუშავებთ. ჩვენც დასვენება გვინდა. გაფრთხილდით. ამას იქით ისე მოვიტყევით, როგორც გვსურს.

— ჩვენ, მუქთახორები?!—დაიჭრიალეს ტოტებმა.—საიდან მოგივიდათ ეგ აზრი თავში, ტუტუტო ფესვებო?

ჩვენ იმდენივე საქმე გვაქვს, რამდენიც თქვენ.

— თქვენ?—ჰკითხავდნენ გაჯავრებული ფესვები.—არ შეიძლება გკითხოთ, თუ რა საქმე გავქვთ?

— ჩვენ მთელი დღე იმის ზრუნვაში ვართ, რომ მზეს მივეუშვიროთ ფოთლები.—მიუგეს ტოტებმა.—ჩვენ უნდა ყოველის მხრისკენ გავჭიმოთ ჩვენი მკლავები, რომ არავის ვაწყენოთ. შენ რომ

შეგეძლოს ერთი წუთით მაინც ზემოთ ამოხედვა, დაინახავდი, რომ ზოგი ჩვენგანი ბევრი მუშაობისაგან მთლად მოიხარა. არა, თუ ვისმეზე ჯავრის ამოყრა გინდა, ისევ ფოთლები გალანძღე. აი ისინია ნამდვილი მუქთახორებიო. დაფიქრდნენ ფესვები და ბოლოს სთქვეს: ტოტები მართალს ამბობენო.

— კიდევ დიდი ხანი ვიქნები თქვენ ყმად?—დაუყვირეს ფესვებმა ფოთლებს!?

— არხინად ბრძანდებოდეთ, მალე ჩვენს სამსახურზედ ხელს ავიღებთ და მაშინ, ვნახოთ, ზარმაცო ფოთლებო, როგორ გაუძღვებით თქვენ საქმეს!

ტოტებიც ამხედრდნენ ფოთლების წინააღმდეგ და მორთეს ბურტყუნი:—ფესვი მართალს ამბობს. თქვენ თვითონ უნდა გაისარჯოთ და იმუშაოთ; ამას ჩვენ ყველანი ვთხოულობთ. მოგვწყინდა თქვენი ამდენი სამსახური. და რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცათ თავიანთ სიტყვებისთვის, ტოტებმა მორთეს ჭრიალი და ტკაცუნი.

— დამშვიდდი, შავო ფესვო.—ჩამოსჩურჩულეს ფოთლებმა.—თქვენც გრძელო ტოტებო ნუ იკვებით! ეგრე მალლაც ნუ ჰყვირით, თორემ სირცხვილია: ქვეყანას ხომ არ უნდა გააგებინოთ თქვენი სისულელე! ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენც ისევე ვმუშაობთ, როგორც თქვენ?

— აბა, გვიბრძანეთ,—წაიღუღუნეს ტოტებმა და კისრები დაიგრძელეს.

— გვიამბეთ, გვიამბეთ.—ამოსძახეს ფესვებმა და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ებლაუჭებოდნენ მიწას.

— განა არ იცით, ჩვენ საქმელს ვამზადებთ,—ჩამოსძახეს ფოთლებმა.—ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ პატიოსანი ხალხი იმას იმ სახითა სჭამს, რა სახათაც ფესვები გვაძლევენ და ტოტების საშუა-

ლებით გზავნიან ჩვენთან? სრულიადაც არა. როდესაც საქმელი ჩვენამდინ მოაღწევს, ჩვენც ვაგუზგუზებთ ფეხს და ვხარშავთ მზის სხივებით იქამდინ, სანამ კარგათ არ მოიხარშება. ან იქნება თქვენ ესეც საქმე არა გგონიათ?

— აჰა! აი როგორ ყოფილა საქმე! — წაიჩურჩულეს შერცხვენილმა ტოტებმა და თავები ძირს დაღუნეს. — ეს კი გვესმის!

ტოტებმა ყველა ეს ფესვებს აუხსნეს, რადგან მათ თავდაპირველად ვერაფერი გაიგეს. ბოლოს კი ფესვებიც მიხვდნენ ამას და მიჩუმდნენ. მაგრამ რამდენისამე ხნის უკან ფოთლებმა კვლავ დაიშრიალეს: — თუ რომ თქვენ უეჭველად ვისმეზედ გაჯავრება გინდათ, რატომ ყურადღებას არ მიაქცევთ ყვავილებს. ისინი კოპწითა მორთულები წამოსკუბულან კენწეროზედ და შეჰხარიათ მზეს. რას აკეთებენ? ავგისხენით თუ ღმერთი გწამთ, თორემ ჩვენ არ გვესმის.

— სრული ჭეშმარიტებაა, — შეჰყვირეს ერთხმად ტოტებმა, — სწორედ რომ კოპწია ყვავილები არიან მუქთახორები.

— მართალი ბრძანებაა, — ბურტყუნებდნენ ფესვები, — გვეყო ამდენი მუშაობა. ეჭვი, ზარმაცო კოპწია ყვავილებო, რატომ თქვენ თავზედ თქვენ თვითონ არა ზრუნავთ? რა სარგებლობა მოგაქვთ? რისთვის ვმუშაობთ ამდენი ხალხი თქვენთვის? ახლა თქვენ თქვენთვის იმუშავეთ, თუ ბიჭები ხართ!

ყვავილები კი ნელ-ნელა ირხეოდნენ და გარშემო საამურ სურნელებას ჰფენდნენ. რამდენჯერმე კიდევ შეეკითხნენ და ბოლოს ყვავილებმა პასუხად დაადილინეს:

სიტხისაგან მოქანცულნი
მივცემივართ ნეტარ ძილსა.

— აჰა! აი რა. — აშრიალდნენ ფოთლები, — მაგას თქვენ მუშაობას ეძახით?!

ყვავილები კი კვლავ დინჯათ ღიღინებდნენ.

სიტხისაგან მოქანცულნი
მივცემივართ ნეტარ ძილსა;
ძილს ოცნებით გამოწვეულს,
ძილს სსამუნს, მეტად ტკბილსა.
გვესიზმრება სიყვარული,
გვესიზმრება მუედრება,
გვესიზმრება მამავალი
ცხოვრება და სიტკბება.
თავს დავადწევთ რა ღრმა ძილსა,
ტკბილ ოცნებით მოქარგულსა,
სინამდვილე ადარ გვიძიძის
ჭრელად მართულ მოკასმულსა.

— აი სულელები! — დაიშრიალეს ფოთლებმა, — სულელები! — ჭრიალებდნენ ტოტები. — სულელები! — ბუტბუტებდნენ ფესვები.

ყველა ლანძღავდა ყვავილებს; ყველა ბრაზობდა, რომ იძულებულნი იყვნენ ემუშავნათ ამ ზარმაც, სრულიად გამოუსადეგარ ყვავილებისთვის. აღშფოთებულნი ისინი ჭრიალებდნენ, შრიალებდნენ, ირხეოდნენ.

ყვავილები კი ნაზად იღიმებოდნენ და მხიარულად ღიღინებდნენ:

მალე, მალე მოისზება
მითქმა-მოთქმა, ბოროტება,
და ყვავილებს ნაზის ხმითა
ნანას ეტყვის თვით ოცნება.

* * *

გავიდა ზაფხული. დადგა შემოდგომა. ახალგაზრდა ტოტებმა ჩაიცვეს ზამთრის ტანისამოსი. ფოთლებს კი არაფერი სათბილობელი არა ჰქონდათ. საწყლებს შესცივდათ, ავად გახდნენ, გაყვირდნენ და



დაიხოცნენ. მთელი ხროვა ფოთლებისა გადაეფარა ბებერ ბურტყუნა ფესვებს.

ყვავილები დიდი-ხანია განშორდნენ ამ წუთი-სოფელს.

იმათ ადგილზე ისხდნენ უცნაური, ულამაზო „რალაცები“, რომლებიც ქარის ყოველსავე შემობერვაზედ ძლიერ შრიალებდნენ, და როდესაც ზამთრის სუსხიანმა ქარმა დაჰქროლა იასამნის ბუჩქს, ეს უცნაური „რალაცები“ ჩამოცვივდნენ და ბუჩქზედ მხოლოდ ტიტველი ტოტები და ყლორტები და დარჩა.

— ბებერო, შავო ფესვო, — ამოხვრით უთხრეს ტოტებმა ფესვს. — ეხლა ჩვენ დიდის სიამოვნებით გაგიცვლიდით ადგილს: შენ ეხლა მანდ მყუდროდ და თბილადა ხარ!

ფესვებმა არაფერი უპასუხეს, რადგანაც გართული იყვნენ ფიქრებით. საქმე ის იყო, რომ გვერდით ეჯდათ უცნაური „რალაცა“, რა? — ეს ვერას გზით ვერ გაეგოთ.

— საიდან გაჩნდი აქ? — ჩაეკითხა ფესვი, მაგრამ პასუხი არ მიიღო.

— რატომ პასუხს არ იძლევი, როდესაც პატიოსანი ადამიანი გეკითხება? — მკვახედ ჩაეკითხა ფესვი. — ჩვენ მეზობლები ვართ, და საკვირველია, რომ ერთმანეთს ვერ ვიცნობთ.

მაგრამ ეს უცნაური „რალაცა“ სდუმდა. მთელი ზამთარი ფესვები თავს იმტვრევდნენ იმაზედ, რომ გაეგოთ ვინ იყო იმათი მეზობელი. ახლა მათ ფიქრიც შეეძლოთ, რადგანაც საქმე ძალიან ცოტა ჰქონდათ: აი დადგა გაზაფხული. პატარა მეზობელი დღით კი არა, საათობით იზრდებოდა, ძალიან გასივდა და ერთ მშვენიერ დღეს იქიდან ამოხტა მწვანე ღერო.

— გამარჯობათ. — დაუძახეს მას ფესვებმა. — მზეზედ მობრძანდით. იქნება ეხ-

ლა მაინც ინებოთ და მოგვცეთ პასუხი იმ კითხვაზედ, რასაც აგერ ნახევარ წელიწადია გეკითხებით: ვინა ბრძანდებით?!

— მე — ყვავილების ოცნება ვარ, — მიუგო მეზობელმა. — მე თესლი ვარ, შენ-კი ჩერჩეტი.

ფესვი ჩაფიქრდა. მას ჩერჩეტი დაუძახეს — ეს სრულიადაც არა სწყინდა — ფესვმა უნდა ყველაფერი მოითმინოს: დამცირება, გათახსირება. მხოლოდ ერთი რამ ვერ გაიგეს ფესვებმა, რა შუაშია აქ ყვავილების ოცნება. ამიტომაც მოსთხოვა მეზობელს განმარტება.

— მე ვხედავ, ჯერ მიწა იმდენად მაგარია, რომ ზემოთ ასვლას ვერ შეეძლებ, — უთხრა თესლმა, — ამიტომაც შემოძლიან ცოტა ხანს თქვენთან ვიბაასო. საქმე აი რა არის: შარშან, როდესაც თქვენ ყვავილებს ლანძღავდით, იმ დროს მე ყვავილის ფინჯანში ვიწეკი და მესმოდა ყველა თქვენი სიტყვები. გულში ძალიან მეცინებოდა თქვენზედ, მაგრამ ლაპარაკი კი არ შემეძლო: სულ უსუსური ვიყავი.

— ეხლა ხომ გაიზარდე და ლაპარაკი შეგიძლიან. მითხარი, რა გნებავს — ჩაეკითხნენ მას ფესვები.

— დიად, ეხლა იმდენად დიდი ვარ, რომ ფეხზედ დადგომა შემიძლიან, — მიუგო თესლმა და პატარა ფესვი მიწაში ჩაურჭო. — ეხლა მე ჩემი საკუთარი ფესვი მაქვს, შენ-კი, ურცხვო ბებერო, აღარ მინდისარ. ბებერი ფესვი გაკვირვებული შესტკეპროდა და ხმა ვეღარ ამოეღო.

— თუმცა კი, — დაუმატა თესლმა, — თქვენთან თავაზიანობა მმართვეს, რადგანაც, რაც უნდა იყოს, მამად მიმაჩნისართ.

— რაო, მამა?! — გაოცებით ეკითხებოდნენ ფესვები და მედიდური გამომეტყველება მიიღო.

— რასაკვირველია, — მიუგო თესლომა, — იასამნის მთელი ბუჩქი — ჩემი მშობელია. — შენ მიწიდან მიგზავნიდი საზრდოს, ფოთლები კი მზეზედ ხარშავდნენ. ტოტებმა ჰაერზედ და სინათლეზედ გამომიტანეს, ყვავილი სამაჟრად მარწევდა, ოცნებობდა ჩურჩულებდა. ყველა თქვენგანს ჩემთვის რამე ვაგიკეთებიათ და ამიტომაც დიდი მადლიერი ვარ.

ესლა კი ბევრი საფიქრებელი ჰქონდათ ფესვებს. სინამ ისინი ტვინს აამოძრავებდნენ, ნახევარი ზაფხული კიდევ გავიდა. მაგრამ, როცა ყველაფერს მიხვდნენ, მაშინ ძალიან თავაზიანის კილოთი ჩაეკითხნენ ტოტებს, არის თუ არა იმათ გვერდით პატარა, მშვენიერი იასამნის ბუჩქი?!

— არის, არის, — მიუგეს ტოტებმა, — მაგრამ, აბა, ყოჩაღათ იყავი. საშინელი ქარიშხალია და ვინძლო მაგრა მოექიდო მიწას, რომ ძირიან-ფესვიანად არ ამოგვავდოს.

— ნუ გეშინიანთ, — უთხარეს ფესვებმა. — მე მაგრა დაგიჭერთ.

მართლა, კიდევ უნდა გვეთქვა, რომ ეგ იასამნის პატარა ბუჩქი — ჩვენი შვილია.

— ჰა, ჰა, ჰა, — დაჰკვირნეს ტოტებმა. — ნუთუ მაგისთანა ბებერ შავ ფესვებს ამისთანა მშვენიერი შვილი ჰყავს? იგი ისეთი ნაზია, ისეთი ნორჩი, ისეთი მწვანე, რომ შენ ვერც კი წარმოიღგენ.

— მაინც — ჩვენი შვილია, — ამაყათ გაიმეორეს ფესვებმა.

აქ მათ უამბეს ტოტებს ყველაფერი,

რაც თესლისაგან გაიგეს, ამათაც თავიანთ მხრივ გადასცეს ეს ფოთლებს.

— ეს კი გვესმის, — დაიყვირეს ყველამ ერთხმად. ესლა-კი მიხვდნენ, რომ ყველა ერთად შეადგენდა დიდ ოჯახს, სადაც მუშაობა განაწილებულია თითოეულ წევრთა შორის.

— ჩუმათ, ჩუმათ, — ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს, — ნუ უშლით ყვავილებს ოცნებას.

ყველაზე მეტად-კი მუშაობდა ბებერი ფესვი. ის მთელი თავისი ძალ-ღონით სცდილობდა მეტი საზრდო მიეცა დანარჩენებისათვის; იგი ისე გულ-მოდგინეთ, მუყაითად მუშაობდა, თითქოს ამაში ვინმე ფულს აძლევდესო; ტოტებიც სწორდებოდნენ, იჭიმებოდნენ, იზნიქებოდნენ, სცდილობდნენ მეტი საზრდო ეშოვნათ ჰაერიდან და სინათლიდან; ფოთლები-კი ირხეოდნენ, შრიალებდნენ ცელქი სიოს წამობერვავზედ; იმათ შეხედვავზედ ადამიანს ეგონებოდა, რომ არაფერს აკეთებენ, ნამდვილად-კი ყველა მათ ურიცხვ პატარა საკუქნაოებში იხარშებოდა და დულდა საჭმელი. ხის წვერზედ-კი ისხდნენ ყვავილები და ოცნებაში გართულნი ნაზად ლილინებდნენ:

გაზაფხულია. მინდორი, ვედი, ვიშ, რა ჯამაზათ ამწვანებულა, გადაფურჩქნიალან ხის კოკრები, ევაფით საშეფოც ყვავებულა. იდიმებიან ნორჩი ბუჩქები, ირგველივ სდგას სუნი ყვავილების, უური დაუგდეთ! გესმით ქუხილი, ქუხილი ჰირველ გაზაფხულისა!!

კატო ბაქ — ძე.



გაუჩარხავი ლექსები

ა

გულის კბილის ტკივილი.

— რა არის სიყვარული-ო—ჰკითხულობს ჰაინე და უპასუხებს,—ეს გულის კბილის ტკივილიაო.

თქვენი არ ვიცი და ჩემის მხრით-კი არ შემძლიან საესებით არ დავეთანხმო მგოსანს, ვინაიდან თვით ვიწვნიე მისი „სალ-მოზა“.

სრულიად სახტსალამათი კაცი მომღვედა და ჩამომადნო სანთელივით.

გულ ამოსკვნით მაქვითინებს, თხილის ოდენა ცრემლებს მაფრქვევინებს და უყურეთ ქალის კერპობასა და გულ-ქვაობას— არა ჰსურს, ერთის წუთითაც არა ჰსურს დამიყუჩოს ტკივილი.

ნეტავი მცირე რამ მაინც არა მჭირდე-ბოდეს.

ტკივილს უებარ მაღამოდ დაედებოდა და ძირ ბუდიანად მოსპობდა ერთი, მხოლოდ ერთი მისი კოცნა, რომლითაც ისე მდიდარია იგი, მაგრამ წუწურაქიცაა ზღაპრულ ძუნწივით.

ვაი, ვაი როგორ მიელავს, როგორა მტებს და ის ჩემი ცოდვით სავსე კი იცინის... იცინის ისეთის სიამით, თითქოს ჩემს ცრემლებს კი არა ჰხედავდეს, არამედ ფერიების ხელჩართულს ცეკვას...

ბ

გაზაფხული.

— გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათ— ჩამოგვეკიკიკა კულ-მაკრატელა მერცხალმა და გვახარა გაზაფხულის მოახლოვება.

მადლობა ღმერთს!.. გვეშველა... ეხლა

კი ამოიძუებს კულს კელამწუტა ბებრუხანა ზამთარი და ადგილს დაუთმობს მარად ნორჩს, მარად სიცოცხლის ციაგით შეეღფერებულს გაზაფხულს.

მართალია, მას ვარდებთან ერთად მოაქვს ეკლებიც... სიცილთან ქვითინიც... გიჟმაჟ ნიაფთან ცოფიანი გრიგალიც,— მაინც საყვარელია და სანატრელი...

ათასჯერ მიჩრჩენია გაზაფხულის ქარიშხალიც. ფრთა-მკვეთრი ეღვით განგმირვა, ვიდრე შეფური სვე-სვიანობა უქმურ ზამთარში...

მო, გაზაფხულო, მოცქრიალდი კისკის-ქათქათით... სიცოცხლის წყურვილით ძალ-კვეთილი დავეწაფები შენს აზარფეშას და შევსვამ ზრომდის თუნდა იყოს სამსალით სავსე...

გ

ბორკილები.

სწორეთ უცნაურნი ვართ აღამიანები...

მთელს სიცოცხლეს მონობასთან ბრძოლაში ვატარებთ, ვღეწთ ხუნდებს, რომელნიც გვისპობენ წმინდა თავისუფლებას და როდესაც ვიქანცებით, როდესაც ვუძღურდებით უთანასწორო ბრძოლაში, მყის სიკვდილს მივმართავთ, რომ ღამაში აღსასრულით, „უგნური სიმამაკით“ ერთხელ კიდევ შევებრძოლოთ მონობას, ერთხელ კიდევ გავიცადოთ ნეტარი თრთოლა გამარჯვებისა...

მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს რომელიმე ქალი, შემოგვანათოს ვარდის ფერი შუქით, გაგვიღიმოს ნისლოვანი ღიმილით და მორჩა... აღსრულდა... ჩვენ უკვე

დამონებულნი ვართ... ჩვენ სიამტკბილო-
ბით ვეგებებით მისს ხუნდებს...

აბა შეჰხედეთ აიმ გოგონას... ისა სჭე-
დავს ჩემთვის ფოლადზე უმაგრეს ბორკი-
ლებს... ის მიმზადებს მონობის ხუნდებს
და მე როდი მწყინს, როდი ვედრები
გამძვინვებულს, ჭანგ-გაბასრულს ლომს
მისს შესამუსრად...

პირ-იქით... მიხარიათ... ღმერთო... რა
რიგათ მიხარიათ... მე ნეტარებითა ვართი
და აღტაცებით ვეგებები მისს ბორკილებს,
თუმცა დარწმუნებული ვარ ვეღარასოდეს

ვეღირსებით მისგან განთავისუფლებას...
უცნაურნი... სწორეთ უცნაური ვართ
ადამიანები!..

მე, რომელსაც ისე მძაგს მონობის ბორ-
კილები, რომ უთვალავი სიცოცხლევც
რომ მომცა,—ყველას მსწრაფლ მოვის-
პობდი და ბორკილებს კი არ ვატარებ-
დი,—სასოებით ვეგებები აიმ გოგონას,
რომელიც მართალია ფრიად სუსტია,
მაგრამ ისე მძიმე, შეუმუსრავ ბორკილებს
კი სჭედავს ჩემს დისამონად...

დ. თურდოსპირელი.

მუნჯის აღსარება

სოტას ვამბობ! განა მისთვის,
რომ სათქმელი ცოტა მქონდეს?
და რაცა მაქვს, სხვა რამ ახალს
გული ჩემი არ ითხოვდეს?!

არ იფიქრო! მხოლოდ სიტყვა,
ჩემი სიტყვა სუსტი არის,
რომ გამოსთქვას და დახატოს
ტანჯვა ბედით განამწარის!..

მე მუნჯი ვარ! მაგრამ მიტომ
კაცობრივი არ მაქვს გრძნობა?
არ მიღელვებს სულსა და გულს
კეთილის და ავის ცნობა?!

თუ ვერ ვიტყვი, განა მიტომ
ვერ განვიცდი მე ცხოვრებას?—
ჯოჯოხეთურ ტანჯვის წუთებს,
ან სამოთხის ნეტარებას?!

და ჰფიქრობთ, რომ თუ ვერ ვგოდებ,—
არ მიწამლავს სიცოცხლესა


მომმისგანვე დაუნდობლად
გულ განგმირულ მოძმის კენესა?!
და თუ ენას რამ შემთხვევით
პირუტყვობის კლიტე მიძევს,—
განა გული უბედურთა
სანუგეშოდ არ მიმიწევს?!

ნუ გგონიათ, რომ მარტო თქვენ
გქონდესთ გრძნობა, გქონდესთ გული
და მარტოდენ თქვენ შეგეძლოსთ
სიძულვილი, სიყვარული!..

... ეხ, ვინ უწყის, ჩემო კარგო,
თუ რაოდენ გულის ზრახვა
საფლავს ჩააქვს მუნჯსა ვინმეს,
რომ არ ძალუძს გამოსახვა!..

ეხ! ვინ უწყის, თუ რაოდენ
ცეცხლი ღვივის ამ მკვდარს გულში,
მაგრამ რამდენ წერტილს დავსვამ
ამ სტრიქონთა დასასრულში!.. . . .

ილ. გოგია.



ს ო ნ ე ბ ი

(თ—კს)

მთვარეს შევეყურებ და შენს სინაზეს
მე მის სინაზეს ვადარებ, ქალო!
მთვარეს შევეყურებ და მსურს რომ თავი
ტკბილ მოგონებით კვლავ დავიმთვრალო!

ერთ ნეტარ ღამეს, როდესაც შენთვის
კიდევ უცხო-ლა ვიყავი ჯერ მე,—
მახსოვს თვალთავან გადმოაფრქვიე
სხივთა კოცონი რამოდენჯერმე!..

და იმ კოცონში ამოვიტრუსე,
მე იმ კოცონში ამოვიდაგე:—
ორ ქორთა ვარდსა, შენს ციურ ბაგეს
გრძნობით ჩავაწან ჩემივე ბაგე!—

და დაგემონე... დღეს მე მონა ვარ,
ვარ ყურმოჭრილი, მორჩილი მონა...
მაგრამ გამოდის ასეთ ნაირად:
მე ოტელო ვარ, შენ დესდემონა!—

და სწორედ ეჭვი, ეჭვი მკლავს მხოლოდ,
ეჭვი მიფლითავს, მისერავს გულსა,—
თორემ მე სევდას არც-კი დავიჩნევ,
თავს მივცემ შევებას და სიხარულსა!

მთვარეს შევცქერი და შენს სინაზეს
მე მის სინაზეს ვადარებ, ქალო!
მთვარეს შევცქერი და მსურს სრულიად
შენ გენაცვალო, შენ გენაცვალო!
ლადო გიგეჭკორი.

უკვდავება

(ექდვინის ნარ—კანს)

ჩემო კარგო! ქვეყანაზე —სამუდამოდ არვინ ჰკვდება,
შემოსილი ახალ ძალით, არც არავინ იზადება...
რა უყოთ თუ: შემოდგომით სევდით ყველა იმოსება.
ოქროს ჰანგად გაზაფხულზე—გაიშლება მიწის ქება...
თუ შენც მოჰკვდი... სახე შენი გაზაფხულზე მოფრინდება,
ვით პებელა გაიხარებს, ვით პებელა, კვლავ დასტკბება...
შენც გინახავს ხის ფოთოლი, შემოდგომით როგორ ჭკნება,
მაგრამ ვიცით გაზაფხულზე ისევ ისე აჰყვავდება...
ჩვენი სულიც—თუ ხანდახან: ღამის სუნთქვით დაიწვება,
განთიადის სარეცელზე, მას აღადგენს დილის შვება...
უკვდავება მარად დაგვდევს... მიწით ცამდის თანა გვყვება
და რა ვქნათ: თუ ხანდახანობით, ახალ სახედ შეიცვლება...
გ. ლეონიძე.



ოცნების წიაღში

ესკიზი

— ვიში რა მშვენიერება სუფევდა ამ დროს... სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა... ამ დროს ჰიპნი დიადი ეფინებოდა ტანჯულსა მხარეს... რა სევდიან მელოდებს ვალობდა დილის მგოსანი.

ცელქი სიო გაზაფხულის ეშხით ჰკოცნიდა ტრფობის ყვავილებს... დაწვებზე აკრავდა მძლავრ გაზაფხულის კოცნას... ყვავილი კი მორცხვით თავს ხრიდა, წითლდებოდა, სიოს კალთებში თავს იფარავდა... ამ დროს ჩიტუნამ ერთხელ კიდევ მიიკრა გულზე თავის სატრფო და ჩაჰკოცნა, ბროლის გულ-მკერდი კოცნით დაუწვა, მერე კი გრძნობით დამტკბარმა ცის სივრცეში გაისრიალა.

— ბაღში კი საოცრად გრილოდა. დილის სიო თმას უწინადა დილის მგოსანს. სავსე სხვა და სხვანაირი ხეხილებით და ყვავილებით გულ-წარმტაცათ დამშვენებული აყვავებულიყო.. თვალაუწვდენელი ალვის ხეები ალყასავით შემორტყმოდნენ ბაღს და მნათობთ მეფის მონათებულ სხივებს, მოწინავე ჯარსავით წინ უხვდებოდნენ, უკუ აბრუნებდნენ. მაგრამ სხივები უსხლტებოდათ და ოქროს ზოლებს ატარებდნენ ბაღის გულზე. ოქროს ბალები სრიალდებოდნენ... ცეცხლის ბურთი უფრო მალა იწვედა, გაელვარებულ ისრებს სტყორცნიდა მწვანე მანტიაში შემოსილ კოლხიდის მთებს.

— რა მშვენიერი და სიცოცხლით სავსე იყო ეს ბაღი ედემი. მერცხალთ ჭიკჭიკი, ფუტკართ ბზუილი, ემბლემა ჰარმონიისა, ციურ ჰანგებით შეზავებული ოცნების სამთავროსკენ მიგაქანებდათ

ელვის უსწრაფეს. ყველა ესენი ერთმანეთში არეულიყვნენ და რაღაც ინსტიქტს ადამიანი აღტაცებაში მოჰყავდა.


* * *

მე განუძრველივ ერთ წერტილს მივჩერებოდი. თითქოს მასში დამეტოვებინა ჩემი სულის კვეთება. თითქოს მასში ჩამარხულიყო ის, რასაც აედგერებინა ჩემი გული. თითქო ის იყო მგოსნის ლამპარი, თითქოს იქ მეფობდა ცხოვრების ღმერთი, იქ ყოფილიყო დასამარებული ადამიანის პირველი სიყვარული. იქვე მისვე გვერდით ესვენა მგოსნის იმედი... ადამიანთა იმედები...

იქ ხომ ნეტარება იყო. აქ, აქ ხშირად დავდივარ, ყურს უგდებ ნაკადულის ლიკლიკს. მე მესმის ყვავილების ფურჩული. ვიცი თუ, თითოული მათგანი რითი არის გამსჭვალული; რას ფიქრობს ხოლმე;... რას ჩაფურჩულებს სატრფოს...

— მე ვიცი რაზე დაღვრემილა ეს ვერხვი... ვიცი ხოლმე რატომ აფრქვევს ცრემლებს გარიჟრაჟისას... მე ყურს უგდებ ხოლმე მის გულის ფეთქას...

— ვიცი რა საიდუმლოებას ინახავს ეს დაღვრემილი ტყე... რათ წამოიხურავს ხოლმე მზის ჩასვლისას შავ მანტიას... ვიცი, ვიცი... მე ვიგრძენი მისი სულის კვეთება... აქ ხშირად, ძალიან ხშირად დაიარება ახალგაზდა მგოსანი. მას ხელში ოქროს ქნარი უჭირავს. გარიჟრაჟისას დაუკრავს და იმღერს ხოლმე თავისუფლების სიმღერას... ის დარდს



უქარვებს ამ ტყეს... მას ერთი ადგილი აქვს ამორჩეული. ვერხვების ქვეშ უყვარს მას სიმღერა...

— მე მესმის ხოლმე, თუ რაზე ფურჩულობენ აქ დილას და საღამოს ბინდზე ორი ახალგაზდა შეყვარებული...

ღიახ! ყველა ეს ვიცი მე...

* * *

ოცნებებმა გამიტაცეს. მოგონებას თავი მივეცი. ზღვის ტალღებში შევცურდი და თითქოს ვლამობდი სატრფოს ქარტახილიდან დახსნას.

მომავონდა ის დრო, როდესაც ჯერ კიდევ ბალღი ვიყავი; საოცნებოთ, მომავლისათვის ტოკავდა ჩემი გული... ის გამხდომოდა მხოლოდ და მიზნათ, რომ მაშვრალთათვის ცრემლი მომეწმინდა. ხელში მიმეცა ცოდნის ლამპარი და გზა გამეკაფა. მერე კი თვით მიავნებდა ალტქმის ქვეყანას. მაშინ მე ბავშვი ვიყავი. ყველაფერი თვისკენ მიწვევდა. თითოეული ყვაილი, თითოეული ბალახი მომძახოდა: „ისწრაფე, ჩვენსკენ, აქ ბედნიერება სუფევს. დაეწაფე მას“. მეც დავეწაფე მას. მოვსწყვიტე პირველი ყვაილი და სიცოცხლე დაუბზე.

ვიმ რა მშვენიერი დრო იყო: რა ნეტარი და სანუკველი ჩემთვის. მე მიყვარდნენ ყველანი, ადამიანები... ახლა კი, ახლა?.. მაგრამ არა, დე ეს გამოცანა მომავალმა ახსნას!..

* * *

გავიდა ხანი. დღემ დღე შესცვალა. წელიწადმა წელიწადი. მე გავიზარდე. სხვა აზრმა და მისწრაფებამ დაიკავეს ჩემს გულში ფართო ადგილი. ჩემი წმიდათა-წმინდა გრძნობები აქ... აქ გულში ჩავმარხე და ზედ მძიმე ლოდი დავადევი

თავს. დეე, იყოს იქ, სამარადისო განისვენოს... მანამდი მხოლოდ... სანამ თვით ჩვენი მრავალტანჯული ერი მას არ მიაღწევს...—მაშინ კი, მაშინ ძალა-უნებურად იფეთქებს იღუმალი ნაპერწკალი ჩემს გულში, ადგილს დაამჩნევს, ნაპირებს გადალახავს. მინდოდა უძლურ მონებისათვის ჰიმნი მეფრქვია, ჰიმნი დიადი.

— ვხედავდი მათ ყოფას და თვალები ცრემლებით მევესებოდა. ვხედავდი რა მწვავე, მწუხარე აზრები უტრიალებდათ თავში, რა მაღალი იდეალი და გრძნობები იყო ჩამარხული მათ სულსა და გულში და არ ძალუძდათ მათი განხორციელება. რა ჯოჯოხეთურათ, შეუბრალებლათ ეპყრობოდნენ, ხუნდებს უკეთებდნენ და შორეულ ცივ ქვეყნებში უზუზობდნენ გრძნობებს. ატოვებდნენ ახალგაზდას თავის სატრფოს... ატოვებდნენ მშობლებს, დებს, ძმებს, და ყველა ეს რისთვის? რისთვის? მომავონდა ბევრი, ძალიან ბევრი გულ შემატყვიარი ამბები... მომავონდა, თუ როგორ ამოდრავდა ხალხი, მაგრამ როგორ მალე, ძალიან. მალე გაასწორეს მიწასთან... აგუზგუზებული კოცონი ჩაფერულდა...

ღიახ!.. ის ჩაფერულდა, მაგრამ იმედის სხივი ჯერ კიდევ ბჟუტავს.

ეს ახსოვს მშობელ მხარეს.

ახსოვს ყვაილს, აი გუშინაც, დღესაც მოავონდა წარსული ბედნიერება და თვალთავან მარგალიტების ცრემლები გადმოსცივდა, რომელიც სატრფოს დაეცა გულ-მკერდზე.

— ჰკითხეთ აი ამ ტირიფებს, ამ ვერხვებს... რაზე ოცნებობენ განთიადისას. რათ უხარიანთ მზის ოქროს სხივები და როდესაც მათ მზე სხივებს ჩააკვებს,

ისინი მაშინ გამოუთქმელ ნეტარებას იგრძნობენ...

ჰკითხეთ აი ამ ნაკადულს, ამ მოლიკლიკე ნაკადულს-რას ბუტბუტებს?.. რატომ შესჩივლებს ხოლმე მის ნაპირებზე მდებარე ლოდებს?.. ჰკითხეთ, ის ყველაფერს გეტყვის. მას უყვარს ადამიანთან საუბარი, მაგრამ ადამიანები ჯერ ვერ მიხვდნენ მის იღუმალ, ფარულ გრძნობებს...

— იქ კი, იქ ცის ტატნობზე ოქროს-ნავი ცეცხლით ნაქედი დასცურავდა... მისრიალებდა...

ნაზი ზეფირი ყვავილთ ბუჩქებს ეაღერებოდა, ბაგეებს უკოცნიდა.

ღმერთების შიკრიკი, დუმილის ნისლი პატარა ნაკადს ჩახლართოდა, ჩაჰკონებოდა.

იქ დილის მგოსანი ოქროს ქნარზე აკვნესებდა ტკბილ მელოდიებს...

ტრფობის ჩიტუნა მარად მღეროდა! პიტალო ჩამონაქროლი ნიაფი მთა ბარს ურბენდა, ტყეს ეღიმებოდა ყველაფერი გათავდა!..

ს. ტაიფუნი.

მშვენიერი ღამე

რა მშვენიერი ღამეა, გამოუთქმელი ენითა! ვუმზერ და გული მეცვება სიამითა და ღხენითა. მთვარის ეს ნაზი ნათელი რა რიგ უზღება არესა! როგორი მყუდროებაა, რა ტკბილად სძინავს მხარესა! არცერთი შავი ღრუბელი არ ეღობება მთვარესა, ნაზი ღიმილით შესცქერის ვარსკვლავებს მოელვარესა. ცა თავზე გადმოგხურვია, ცა უსახლვრო, ცა უძირო... თვალეები მაღლა იწევენ, სულ გინდა იმას უმზირო. ცაო, ამ შენსა ჭვრეტაში რამდენი კითხვა შობილა! მსოფლიო იღუმალობა დასაბამითვე ყოფილა. რაა სამყარო, სად მიდის, ვისაგან წარმოშობილა? ჯერ ვერ ახსნილა, სიცოცხლე თუმც ბევრი ამოშრობილა.

გამოვფრკვიე რულისგან... სხვა ხმებსა ყური მივაპყრე: შორს სერს გადღმით ქარი ჰქრის, იმას ბანს აძლევს ტყე და ღრე. უფრო ვერკვევი... აწ მესმის ხევში მდინარის ხრიალი; ნიაფმაც დაიქიქინა, ფოთლებმა იწყეს შრიალი; ჩრდილებმა ცეკვა გამართეს, წაღმა უკულმა ტრიალი; ბალახზე ნამი ვარდება, ტოკავს, გაუდის ცქრიალი! დაბრუნდა აზრი და გრძნობა ისევ ამ ქვეყანაზედა. აქ მესმის ქებათა ქება ბუნების გაჩენაზედა. ამ წამს ვარ შეუღრეკელი, აღარ მაქვს გულის დარდები! ნაცვლად ნორჩ გულში გზნებულში მიყვავის ია ვარდები! სულის სიმტკიცით, ძალ-ღონით ბაყბაყს არ დაუვარდები! და მაღლა ვიფრენ სულ ასე, სანამ არ ჩამოვვარდები!..

ს. აბულაძე.

„ეს უკანასკნელია!“

შავიდასთან ღრმად ჩაფიქრებული კალმით ხელში მეცნიერი სწერდა მის შესახებ, თუ რამდენად უღირსნი არიან ადამიანნი ერთი მეორის ხელის სასიკვდილოდ შეხების დროს...

— „ეს არ უნდა იყოს!.. ეს ცოდვაა!.. ეს გარდურეცხავი ლაქაა კაცობრიობის გულ-მკერდზედ დაჩნეული!.. უნდა მოისპოს ადამიანის ხელით მკვლელობა!..“

ვერ დაასრულა სიტყვები მეცნიერმა, რომ უეცრივ შემოიჭრა ოთახში მისი მეგობარი და შეშინებული ხმით მიჰმართა: — „არიქა!.. შვილი მოგიკლეს!.. ძმა დაგიჭრეს!.. მეგობრები დაგიხოცეს!.. გადაუხადოთ იმ მხეცებს იმათ!..“

— „ვინ მოჰკლა?.. სად არიან?!. საით წავიდნენ?!.“ — შეეკითხა ზეზედ წამომდგარი მეცნიერი და სახე მრისხანედ შე-

კმუხვნილი, ხელებ გაკაჩებული გავარდა მეგობართან ერთად ჯავრის ამოსაყრელად!..

... ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა მეცნიერი კვლავ თვის ოთახში მთლად სისხლით შემურულ ხელებით, სახის მხეცურ გამომეტყველებით და საჩქაროდ ეცა კალამს...

სინიღისის დასამშვიდებლად მან მხოლოდ რამოდენიმეჯერ განიმეორა: — „ეს უკანასკნელია!.. თავის დღეში ჩემი ხელი არ შეეხება სასიკვდილოდ სხვა პიროვნებას!..“ — სთქვა და კვლავ განაგრძო სისხლიან ხელით წერა, რომ ერის მომავალ შვილებისთვის გადაეცა სახსოვრად, თუ ადამიანს არავითარი უფლება არა აქვს შეახოს სასიკვდილოდ ხელი ადამიანსავე...

მ. ჭრელაშვილი.

ორი სიძლარა

1.

როდესაც ჰანგი, ვით ხმა ციური, მესმის იღუმალ სიმთა ჟღერისა; მასში ისახვის ამ ქვეყნიური სულის კვეთება მიწიერისა. როდესაც ჰიმნი ჰიმნს აიტაცებს ვით ნათლის სვეტი ცად აზიდული, — გრძობას უმონებს ამ გრძნეულ ჰანგებს გული კაემნით გარემოცული და მაფიწყდება მწარე წუთები, ტანჯვის წუთები აღშფოთებული — და რა მისწყდება ციური ხმები, კვლავ ძველ ვაებით ივსება გული!..

2.

ხოლო როდესაც ზეშთაგონებით გულში იფეთქებს ჰანგი ციური; მასში არაა სულის კვეთება და გულის ზრახვა ამ ქვეყნიური, — კვლავ სანეტაროდ ოცნების მხარეს სულს ეზიდება ციური ხმები, — გულს განშორდება მწველი ნაღველი და ეფინება შვების სხივები!..

... და როცა უფსკრულს ჩაინთქმის კვალად ნაზი აკკორდი იმ ტკბილ ხმებისა, გულში უკვდავად იცოცხლებს მარად განცდილი წუთი ნეტარებისა!..

ილ. გოგია.

„ჭეშმარიტ გზაზე“

შელლერ მისაილოვიდან

(თარგმანი)

ძვირფას ხალით დაფენილ ფართო კიბეზე აღიოდა გაცვეთილ ტანისამოსიანი ყმაწვილი კაცი, მოკლე შარვლიანი, ძველ-დამტვერიანებულ ფეხსაცმლით— იმნაირი მოკრძალებულის ნაბიჯით, როგორც მიდიან ხოლმე უმნიშვნელო, ბედისაგან დაჩაგრული კაცუნები— უმაღლეს პირებთან. როგორც მოიკუზა და უფრო დაბალი ტანის შეხედულება მიიღო, როცა გაჩერდა მდიდრულ სახლის კარების წინ და ხელით შეეხო ბრინჯაოს ზარის დასარეკს. გაუელვა ფიქრმა, რომ, შესაძლოა ის მთხოვარათ, ან მაწანწალათ ჩაეთვალათ, აქედან გაეგდოთ; დამუქრებოდენ პოლიციისადმი მიმართვითაც— კი; ასეთი შემთხვევა არა იშვიათათ შეხვედრიათ თვით გენიოსებსაც, როცა ვერ მოუსწვრიათ ახალი ტანისამოსის შეძენა.

ლაქიამ გააღო კარი და ხმა ამოუღებლივ შეიყვანა დიდ-ნათელ ოთახში. ეტყობოდა ჩვეული იყო ამ გვარ ღარიბულად ჩაცმულ ადამიანების მიღებას. მგონია, ამ ყმაწვილს არაოდეს არა სცმია ასეთი ლაზათიანი ტანისამოსი, როგორც იყო გამოწყობილი ეს ლაქია, და, ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, რომ ამნაირი ოთახი მასაც ჰქონოდა. დარცხვენით, სიჩქარით გაიხადა პალტო, რომ ლაქიას არ შეესწრო თვალი პალტოს დაგლევილ ადგილებსთვის, საიდანაც აქა-იქ ბამბა გამოსჩანდა; საჩქაროდვე შევიდა კარებ გაღებულ მეორე ოთახში.— ეს ახალგაზდა ვიყავ თვით მე—ალექსანდრე

ნიკოლოზის ძე არისტიდოვი,— მოსული აქ— არა მოწყალების, ან ადგილის სათხოვნელად— უფროს მოხელესთან, უმაღლეს პირთან,— არამედ, მოველ რედაქციაში, პირველი ნაწილით— ჩემ მიერ დაწერილ რომანით ხელში, შევდიოდი ჩემსავე მსგავს მწერლის სახლში, ივანე ივანეს-ძე ტერეშინთან. ისიც ოდესმე ჩემებრ დახეულის სახელოებით დადიოდა, ახლა კი მდიდარი იყო, ჰქონდა საკუთარი ეტლი, ძვირფასი ავეჯი, რაიცა იქნება იყო ნაყოფი გაიძვერაობისა, მოხერხებულობისა, ან და, ნაყოფი ჯაფისა, მრავალჯერ უძილოდ გატარებულ ღამეებისა, ასს და ათასს ჩემისთანების მსგავსთა, რომელთაც მოჰქონდათ ახლა იმასთან თავიანთი ნაწარმოები მისაყიდათ და რომელთაც ის გამოიყენებდა. ყველა ეს შეგნებული მქონდა და, მაშ. უნდა შემძლებოდა ამ სახლში თამამად შესვლა, სადაც ჩემი ნაშრომი მიმქონდა მისასყიდლათ, სარგებლიან პირობებაში, მაგრამ მაინც შევეკრთი: სიმდიდრე რა გზითაც უნდა იყოს შეძენილი, მაინც იჯაბნის ღარიბს. მრავალ ხელ-ნაწერ ქალღებობით მოფენილ მაგიდის წინ იჯდა კაცი მომეტებულის სისუქნის, წითური,— კმაყოფილის, თანაც მზრუნველობითი აღბეჭდილის სახით: ასეთი გამომეტყველება სჩვევიათ საზოგადოთ სეკრეტრებს, მდივნებს, აღიუტანტებს, „განმგებლებს“, განსაკუთრებულ თანამდებობის აღმსრულებელთა, და საზოგადოდ მათს მსგავს ბატონებს,— რომელთაც



მიუღიათ კარგი-პატარა ადგილები, ვინმე პირთა „შემწეობით“ და შემდეგში იღებენ ისეთ სახის მეტყველებას, ვითომ კისრამდის საქმეში ჩაფლულნი არიან.

ეს ვაჟბატონი ალბად მოყვარული იყო სასმელებისა, ლოკოკინებისა, და ჰქონდა თან დაყოლილი ეს ღირსება, რომ იცოდა ქლესაობა სუბუქ გონებიან ქალბატონებთან და ქედის მოხრა უფროსებთან. ამ ვაჟბატონის წინ იდგა სუსტი აგებულების, ჭაღარა თმიანი—მოტუტუცო თვალთა გამომეტყველებიანი მოხუცი კაცი, გაწითლებული სახით. საცოდავად მოღიმარე,—ვით შეშინებული ბავშვი მასწავლებლის წინაშე. გამხდარი ხელით ხან ამოიღებდა დახეულ ჯიბიდან გულ-მოღვინეთ დაკეცილ ქალღმერთებს, ხან ისევ ჩაილაგებდა; თანაც მალ-მალ პირში რაღასაც აცოდვილებდა, ალბად ერთადერთ უკანასკნელ მონძრეულ კბილს.

ეს ოპერაა „ჯალმა—ანუ ღვთისაგან განდგომილი და შემდეგ მოქცეული“. ხუთ მოქმედებათაა. წინასიტყვაობაში ჯოჯოხეთია გამოყვანილი, ეპილოგში—ზეცა. მუსიკაზე მინდა გადაღება, თუ კრმპოზიტორი მოიძებნა.“—საჩქაროდ და მორიდებულის—ვედრების კილოთი ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— ოპერებს არ ვღებულობთ—გადაწყვეტით უპასუხა და არც შეუხედავს, ისევ განაგრძობდა ქალღმერთის თვალთვრებას. ყოველთვის ასე იქცევა გამოცდილი ადამიანი, როცა უნდა გამოიჩინოს, რომ საქმეში არის ჩაფლული და მცირე ქრთამებს არ იღებს.

— ცენზურისაგან ნება დართულია. მხოლოდ ოთხი ლექსია წაშლილი. ნიშანიც დაეუსხი ორივე მხრიდან... ასოთ ამწყობთათვის, მოგვხსენებთ...

— გეუბნებით, არ ვღებულობთ—
რებს.

— სამწუხაროა!—ამოიოხრა მოხუცმა. საუცხოვო რამაა, ბევრმა გავლენიანმა პირმა მოიწონა... აი, ეს კი დიდაქტიკურს გემოვნებაზეა.—მგონია თან წამოვიღე. „ოდა აღექსანდრე ნეველის გამარჯვებაზე, ანუ ფიქრით განსჯა შემოქმედის სიბრძნეზე—გამოწვეული მდინარე ნევის მდებარეობის მიხედვით“.—მოხუცმა იწყო ჯიბეების ჩხრეკა.

— ბ-ნო შენვიც—როლზევიჩი, ტყუილად იწუხებთ თავს,—უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა, მრისხანედ: ისედაც თავზე საყრელი გვაქვს ლექსები.

— პროზაც მაქვს, პროზაც!—სწრაფლ მიაგება სიტყვა—მოხუცმა.

— თქვენი თხზულებანი არ შეეფერებიან ჩვენი ჟურნალის მიმართულებას. მოხუცმა გაცემით შეხედა:

— რით არ შეეფერებიან? თუ შეიძლებოდეს ამისხენით და შევიძლებ ყოველნაირი მიმართულება მივსცე—ძნელი არაა. ახლა მეადვილება წერა, ხელი გავიმართე.

— უკაცრავად. მელოდებიან.—მოუჭრა სიტყვა და მე მომმართა კითხვით: რა გნებავთ?

მოხუცმა ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და უმატა კბილის ცოდვილს.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, არ შეიძლება რედაქტორის ნახვა?—დავეკითხე მორიდებულის კილოთი.

— რა გინდათ?—ახლა კი ამათვალღიერ-ჩამათვალღიერა და ისევ იწყო ქალღმერთის ფათური. ისე უკმეხად იყო ეს კითხვა მოცემული, რომ უნებლიედ გავიფიქრე: ალბად გენიოსი არაა ეს კაცი, მაგრამ ყოველს შემთხვევაში, არა მცირე ჩინის პატრონი უნდა იყეს!—მეთქი,

და უფრო მივუახლოვდი მაგიდას, რომ არ შეენიშნა ზოგ ადგილას დახეული ჩემი ტანსაცმელი და, მივუგე, — ხელთ ნაწერი მაქვს მეთქი.

— დასტოვეთ. პასუხს ორი კვირის შემდეგ მიიღებთო, — ჩაიბუტბუტა და თანაც თითქო ძირიანად დაუპირა ქალღმერთს გადაქოთება.

— უფრო ადრე არ შეიძლება? — ხელნაწერი ვრცელი არაა, და მე კი... ის იყო დავაპირე თქმა „საქმელი არ გამაჩნია“ — მეთქი, რომ, მკაცრად გამაწყვეტინა სიტყვა:

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს და არავისთვის არ შევცვლით.

— აჰა, ასეთ საქმეებში თქვენ მკაცრი ბრძანდებით! მივუგე დაცინვით, მაგრამ მე რედაქტორთანა მაქვს საქმე, იმასთან მესაჭიროება მოლაპარაკება.

— რედაქტორს არა სცალიან.

— დღეს ხორ მიღების დღეა!

— პასუხისთვის როცა მოხვალთ, მაშინ მოელაპარაკებით.

— მაშინ არც მოსალაპარაკებელი მექნება.

— ეგ ჩემი საქმე არ არის.

თან და თან გული ამემღვრა.

— ნება მომეცით ვკითხოთ ვისთანა მაქვს პატივი ლაპარაკისა? — შევეკითხე.

— რედაქციის სეკრეტართან.

— აჰა! — გაზვიადებით წარმოვსთქვი და გავიფიქრე: ჩიტი პატარაა, მაგრამ ბრჭყალები ბასრი აქვს. შორს წავა — მეთქი! — და, ხმა მაღლა დაუმატე:

— მიხვდით, რომ ელაპარაკობდით არა მწერალთან, არამედ რედაქციის კანცელიარიის მოხელესთან! სეკრეტარი გაწითლდა და წამოხტა სავარძელიდან ყვირილით: შეურაცყოფას მაყენებთ! დაიკარგეთ აქედან!

სისხლი ამივარდა თავში და ერთი

წუთით გადამავიწყდა, რომ ქართული ვიყავ. — ხომ არ გნებავთ გაზნეში შენიშვნის მიღება? — ვუთხარ დაცინვიდ და გაბედულად გავხდე გვერდზე. სწრაფლ ჩაჩუმდა, კილოც შეიცვალა. ალბად მართო აქლა შენიშნა ჩემი მაღალი ტანი, ფართო ბეჭები და ბურსაკული მუშტი.

— თვითვე დამეთანხმებით, რომ — დაიწყო ახლა კი მშვიდობიანად.

— არა, ჩემი თქვენთან შეთანხმება კი არაოდეს არ მოხერხდება, მაგრამ ცოტა ზრდილობით კი იყავით, თორემ, ხომ შესაძლოა კიდევ შევხვდეთ სადმე ერთ-მანეთს და ეს უხერხული იქნება თქვენთვის...

შევზებრუნე ზურგი და გამოველ ოთახიდან.

მომესმა, ბერმა კაცმა როგორ იწყო ხელ-ახლავ ვედრების კილოთი სიტყვების შეპარება: ამიხსენით როგორა გსურთ ვწერო და ვეცდები იმნაირად შევადგინო.

— როდის მოგვასვენებთ? — შესძახა სეკრეტარმა რედაქციისა; —

არ მოგვეშვებით! გინდათ, რომ ძაღლს მივმართო! შემებრალა ქკუაზე მწყრალი და სწრაფლ გამიარა ფიქრმა: „რა იქნება, რომ მეც?...“ არ დავასრულე ფრაზა, სიჩქარით შევეუდექ დახეულ პალტოს ჩაცმას. თითქო განგებ, მკლავი სახელოში არ ჩადიოდა, ჩაქდო ამონახვევ პალტოსა და სარჩულ შუა. ამ დროს ჩემმა თვალებმა შეასწრეს ძაღზე წითელ — გაოფლიანებულ პირი-სახეს, საცოდავად და ტუტუცურად მოლიმარეს, აჩხრულს ჩემს ცხვირ წინ. დიდი ხანია აღარ დავმტკბარვარ იმის დანახვით — ხარკის უქონლობის გამო, მაგრამ უმაღ კი ვიცან: ეს იყო ჩემი გადაშლილი პირი სახე, — ფართო შუბლით, ოდნავ დამცინავი — გა-



მომეტყველი ლურჯი თვალებით, ქერა ხუჭუჭა—ქუდივით ჩამოფხატული თმით. ამ სამი წლის წინედ ვაჭრის ქალები ამ სახეს თვალს ადევნებდნენ, სობოროს კლიროსზე რომ გამოცხადდებოდა ხოლმე: ახლა კი, თვით ამ სახის პატრონმა სწრაფლ ზურგი შევებრუნე სარკეს, რომ თვალი მომერიდებია ჩემს—ასე საცოდავად შეშინებულად გამომცქერაღ ფიზიონომიისათვის. სიანჩხლე—ამ უზრდელ მიღებაზე, შიში—თუ რა ბედი მოელოდა ჩემს ნაწერს, დარცხვენილობა დახეულ პალტოს გადამკიდე—ყველა ეს ერთად არეულიყო ჩემ პირი სახეზე და მაძლევდა კომიკურ—ბედითი შეხედულებას, ისე, რომ ვერავინ—ჩემი დამნახველი სიცილს ვერ შეიმაგრებდა, თუ არ მხოლოდ „ბევრი რამ სანახავების მნახველი“ პეტერბურგელი ლაქია, როგორიც იყო ლაქია ტერეშინისა. გულ-გრილად იცდიდა სანამ მოვრჩებოდი პალტოს ჩაცმას და არც ცდილა მოხმარებას. ხსნიდა ქურქებს და პალტოებს მხოლოდ „ბატონთ“, მე კი ვიყავ მხოლოდ ახლად დამწყები მწერლობისა. ვერა მოუხერხებრა ჩემს პალტოს, გამოვიღე ჯერ მკლავი სახელოდან, მოვიგდე ბეჭებზე და გავიბრინე კარებში, დავაღწიე თავი იქაურობას!

ტერეშინს აგონდება ნეტა, როდისმე, რომ ოდესმე თითონაც უვლია ამ გზით?

II

გავრბოდი შარა გზაზე, თითქო გასაჩხრკათ მომსდევდა ვინმე, ხომ არა წავიღია—რა იმ საუცხოვო სახლიდანაო. ამაზე უმეტესად რომ შევმკრთალიყავ ხომ უარსის ლანძღვით ამიკლებდა რედაქციის სეკრეტარი, მეთქი, ფიქრობდი. დაწესებული გვაქვს პასუხის მიცემა ორი კვირია შემდეგო; მაგრამ, ისეც წე-

სად აქვსთ, რომ უდიერად მოექცნენ ადამიანებს? თუმცა, ერთის მხრით, ეს არც ცუდათ მოხდა... ისე რომ არ მოქცეულიყო, იქნება გარეგანი შეხედულებით საქმის კაცად ჩამეთვალა, ლიტერატორათ, და აზრადაც არ გამეჭარბინა, რომ არის მხოლოდ ქალაქების გადამწერი.

ან რამ შემაკრთო? ბავშვი ხომ არა ვარ! თითქო არ ვიცოდე, რომ ტანისამოსის უქონლობის გამო დარცხვენა, სასაცილოცაა. ეს ხომ ჩვენივე გამოუსვლელი ბრაღია, შეუგნებლობისა! სდგენარ გამდიდრებულ რეგვენის წინაშე, იცი, რომ თავხედიან, უვიცი და მაინც წითლდები ძველი ტანისამოსის გადამკიდე. კიდევ კარგი, რომ გამაანჩხლა უგვაწო მოქცევით, თორემ ხომ იმ აზრით დარჩებოდა, ვითომ ვიღაც უგუნური კაცი დაამარცხა თავის უზრდელობით. თხუზულემათა მიმტანთ ის ალბად ისე უყურებს, როგორც მთხოვნელებს და თავის სიცოცხლეში არ დაეკითხება თავის თავს-თუ, ბევრს იმათგანს როგორი წილი უდევთ იმის უფროსის გამდიდრებაში, არც წარმოიდგენს, რომ მათივე წყალობით უჭირავს თვითონაც ადგილი რედაქციის კანცელარიაში. ალბად მას თვითონ ხშირად მოხვდება ხოლმე თავის უფროსისაგან...

როცა ადამიანი მიუჩვეველია ტუქსვას, ის თვითონაც სხვას იშვიათად დატუქსავს; თუ თითონ სხვის მონობასაა ჩვეული,—სხვასაც ადვილად თავის მონად მიიჩნევს...

გზას კი მაინც გაიკვლევს,—ისეთი ადამიანები შორს მიდიან...“
ამ ფიქრებში წასული, თან და თან დავ-შოშმინდი, ზომიერი ნაბიჯით განვაგრძე გზა. კარგს გუნებაზე მოვდივარ, როცა

კი მომიხდება ხოლმე დაქერა ამა თუ იმ ადამიანის პიროვნების კომიკურ მხარისა. ახლაც მეცინება იმაზე, პალტოს რომ ვებლაუჭებოდი სახე აწითლებული ლაქიის წინაშე. ხომ საკმაო იყო, თამბის კილოთი, მკაცრად მეთქვა: „მომართვი პალტო“—და, მაწანწალა გადიქცეოდა იმის თვალში, ბატონად. ცხადათ მესატებოდა სურათი, თუ როგორ პირქუშათ მომაწოდებდა ჩემს დახეულ პალტოს—ფრანტათ გამოწყობილი ლაქია.

„თავხედობა არ შემწვევს, არც გამბედაობა და უამისოთ კი, შორს ვერ წახვალ... ქვეყნად საჭიროა ყვირილი, ან სხვისი ყვირილის მოსმენა, ან თვისი ზურგის სხვის მუშტებისთვის დათმობა.

ეს ყველა-ყველა, მაგრამ რით ვისაზრდოვო ამ ორი კვირის განმავლობაში? —გამიელვა სწრაფად თავში. (კინალამ დავწერე „კუჭში“—მეთქი); რადგან, უნდა ვსთქვა, თავი ფიქრობდა ყველა ფერზე, მხოლოდ სადილზე კი არა; ეს უკანასკნელი ფიქრი მართო კუჭს ეკუთვნოდა, რომელმაც თვითონ გაახსენა თავის სავალალო არსებობა—ძრიელ მშიერი იყო...

ორი კვირა სახელის მოსახვეჭად არ არის ხანგრძლივი დრო, ორი კვირის უსაზრდოობა კი, მთელი საუკუნეა.“

იქნება ორი კვირის შემდეგ, ჩემს რომანში აღებული ფული მოხმარდეს შიმშილისაგან გარდაცვლილ რომანის ავტორის ძეგლს. და ეს ხომ მეტის-მეტი ბოროტი ოხუნჯობა იქმნებოდა ბედისა, რომ მართლა ორ კვირაზე მოგვკვდეს, როდესაც მეტი ნაწილი რომანისა და თავებულიცა მაქვს და რედაქციაშიაც მიტანილი! ეს ოხუნჯობა მით უფრო ბოროტ-სვიანი იქმნება, რომ, სამი წელიწადი ვიცოცხლე, სანამ ვთხზავდი და

ვწერდი რომანს, როდესაც ნაყოფი ჩემი შრომისა და აზრებისა ჯერ ისევ დაუშვითფებელი იყო, როცა ჯერ შეუძლებელი იყო გამოცნობა—როდის დადგებოდა დრო მომკისა... და ახლა, ახლა უნდა მოგვკვდეს?!

თუმცა, რატომაც არ ოხუნჯოს ჩემზე ბედმა? ხომ ოხუნჯობდა წინედ!

ჩემი წარსულის მოგონებანი მიხატვენ ხოლმე თვალწინ ბედის მრავალნაირ ოხუნჯობას.—თითქო იცოდა, რომ მიყვარს ცელქობა და მართობდა ლალ ყმაწვილს.

მამა ჩემი იყო დიაკვანი სოფელ „ცივწყაროს“ ეკლესიისა და უნდა მოეცა ჩემთვის მაგალითი თავმდაბლობისა, თავშეკავებისა, სათნოებისა; და ის კი, მუდამ ბედსა სწყევლიდა, რომ ქვრივი იყო, ეჩხუბებოდა მახლობლებს, მუდამ ეძინა და უყვარდა მხოლოდ ერთად-ერთი ღვინომე დაუდგარი, თვით ნება და მოჩხუბარი ვიყავ და მიმცეს კი სასულიერო—სემინარიაში, რათა მომზადებულვიყავ მომავალ სულიერ მწყემსათ. მცემდენ და მცემდენ მაშინაც კი, როცა მათრახებ ქვეშ მოისპო სრულიად ჩემში მიდრეკილება ჩხუბისადმი, გავხდი თან და თან მორჩილი, წყნარი; როდესაც შევეჩვიე ყოველ კაცის წინაშე ძრწოლას—ვისაც კი ჩემზე მეტად მოჰქონდა თავი. გამომორიცხეს სასწავლებლიდან ლათინურ ენის უცოდინრობის გამო. უმეტესად კი, საერო წიგნებისადმი გადამეტებულ სიყვარულისთვის, რომელთაც საერთო არაფერი აქვსთ სემინარიის სწავლასთან, და ამასთანავე, გაზეთში მოთავსებულ ერთ სახელ მოუწერელ სტატიის გამო, რომელსაც საერთო ძრიელ ბევრი ჰქონდა სემინარიის ცხოვრებასთან.

სათქმელად აღვილია სიტყვა გამოორი-



ცხვა, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის—ჩვიდმეტი წლის ყმაწვილისათვის შარაზე დარჩენა, როდესაც შევიგნე, რომ ქვეყანაზე ერთ მოხუც დეიდას ვაბრდა არავინა მოიძეოდა, რომ დაფიქრებულიყო აღექსანდრე ნიკ—ძე არისტიდოვის ბედსა და მიმავალზე. და თითქო საგანგებოთ, იმ დროს ჩემს თავში იმდენად მოთავსებული იყო გეოგრაფიულნი ცნობანი, რომ მქონდა წარმოდგენილი ამა ქვეყნის სივრცის მიუწდომლობა და მასში მყოფ ადამიანთა სამძიმო მდგომარეობა, ადამიანისა, რომელიც არავისთვისაა საჭირო, და წარმოადგენს სხვას არას, თუ არ მუშაობს—ჭიან.

მაგრამ პირველ ყოვლისა ჭამა მინდოდა. ამ საკითხზე კი წინედ არაოდეს არ დავფიქრებულვარ და კიდევ დიდ ხანს ვიქმნებოდი უმეცარი, თუ არ არსებულიყო ლათინური ენა ქვეყნად; სემინარიის მიერ ათვალწუნებული საერო წიგნები და, ის მამხილებელი პატარა სტატია, რომლის ავტორად მე შემიცნეს. თუ არ ეს მიზეზები, უთუოდ გამოვიდოდი სულიერ მამად—და ვწყესავდი შეძლები-სა დაგვარად—ჩემს ფარას. ლათინურ ენას, რომელიც იყო გამოცხადებული უმთავრეს მიზეზათ ჩემი გამორიცხვისა, უნდა გავეცნობებიე კლასიკურ პოეზიასთან, მაღალ იდეებთან და მოხდა კი ისე, რომ სწორედ ამ ლათინურის გადაძიდე დამტოვეს შუა გზაზე. და გავეცან ნამდვილ პროზას, მეტად არა მაღალ იდეებს;— მომიხტა ტალახში ცხოვრება, მარტო საზრდაზე ფიქრი და მისვლა იმ დასკვნამდის, რომ ადამიანმა ყოველს შემთხვევაში უნდა თავისით ეძიოს ლუკმა. და აბა, სცადეთ იმნაირის მოწმობით, რომლითაც არსად არ მივიღებენ,—საზრდოს შოვნა, წმ. მამების თხზულებათა, ღვთის მეტყველებისა და ფილისოფიის

ცოდნით და, იმავე დროს, ახალ მეცნიერთა ნაწარმოების არ ცოდნით! მოჯამაგირეთაც არავინ დაგიყენებს, რადგან გლეხი არა ხარ და გლეხის საქმის კეთება არ იცი. ნოქრათაც არ მივიღებენ, რადგან ვაჭრული საქმის—დაწვრილებით შესწავლა თავიდანვეა საჭირო. ამასთანავე, თავიანთი მუქთა მჭამლებიც არ იციან სად წაიყვანონ. ლაქიათ არ გლეხობენ იმიტომ, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც სასულიეროთაგანი ხარ, განათლებული—და, მასთან ყველა „ბურსელები ლოთები არიან.“ ხელოვნათ ვერ შეხვალ, რადგან ხელობა არ იცი, ქალღმერთების გადამწერათ იქნება მოხერხდებოდა შესვლა სადმე, ხუთ თვეს გამოსაცდელად და შემდეგში შესაძლებელი იქნებოდა თვეში ხუთ მანეთიან ადგილის შოვნა. რკინის გზაშიაც მოხერხდებოდა, იმ დროს რომ ჩვენს ქალაქშია არსებულიყო რკინის გზა და ყოფილიყო ისეთი ვინმე, ვინც შეიძლებდა საპროტექციო წერილის მიწოდებას მის მფლობელებთან. ისევ „თავისუფალ მხატვრად“ უნდა გამხდარვიყავ ე. ი. ფართო გზას დავდგომოდი,—გამხდარვიყავ ადამიანთა ჭკუის დამრიგებელი,—მასწავლებელი, ან მწერალი.

ჩემს გარშემო მყოფ წრის გავლენით ისეთი შეხედულებანი მივიღე, რომ შეუძრწუნებლად ვერ წარმოვიდგენდი ჩემს თავს ქურდის ან ავაზაკის როლში, და იმავე დროს, ვოცნებობდი კი გავმხდარიყავ მასწავლებელი, ან მწერალი. ე. ი. შემეგონებელი და მასწავლებელი იმისა—რაც თვით მე არ ვიცოდი.—და, ამ გვარად ხომ მათი გონების მკვლელი ვხდებოდი!

ცხადია, ბედი ოხუნჯობდა ჩემზე.

5. გიგაურის ასული გაბაევა-გაბაონელისა.

(შემდეგი იქნება)

დიოგენის კვალით

(ხაღსონით)

მეცა აღვანთე ლიფლიფი და მის ოქროსფერი
შუქით მიდამო გამოვანათე, ნისლით მოსილი,
ბილიკებსა და შარა გზებზე ვიარებოდი,
იმისი შუქით საგანგებოდ წინ წაძლოლილი.
ყველგან ვიყავი: სოფლის კერპთა კვარცხლ-ბეკისა წინ,
გავეცან ბევრს გყამს პატივცემულს, ნასწავლს და ჭკვიანს,
მოძულეებული მონებისა ჭერქვეშაც გახლდით,
ყველგან ვეძებდი გულმოდგინედ მე ადამიანს.
ნისლი უსაზღვრო და პირქუში დედამიწასა
სამარისებურ აჩრდილივით ეფინებოდა,
და აჩრდილები სისხლით სვრილი ნისლის საფარსქვეშ
საზარელ სახით ხან აქ, ხან იქ ევლინებოდა:
გამხდარ-ფერმკრთალნი, მძიმე ჯაჭვით შებორკილები
გზად მოდიოდნენ ძნელის ჯაფით შეწუხებულნი,
დაღლილ ხელებით მოათრევდნენ ოქროს ხბორებსა
შავისა სევდით მოცულნი და დამარებულნი:
ვთქვათ ორსა ვისმეს მოუვიდა რამ კინკლაობა,
ფიცხელსა ბრძოლას დაიწყებენ მსწრაფთ დვიძლი ძმები;
იღვრება სისხლი და ჩუხჩუხებს ნაკადულივით
და ბრბოსა თავზე წყევლა-კრულვის ისმის სიტყვები.
ამაოდ მსურდა გაშველება უგუნურების,
ღვთის და სიმართლის შესახებ მათ ვუქადაგებდი,
მაინცა დუღდა ქვეყანაზე ფიცხელი ბრძოლა,
და ძმების მტრობას ვერცა ვსპობდი, ვერც ვანელებდი.
ყრუ სიბოროტით აღვსებულის მტრულის ღიმილით
თვისი კვარცხლბეკის სიმალღეზე წამოსკუპული
მეფობდა გარყვნილ ბრბოსა ზედა იგივე აჩრდილი,
ბრმა ბაალისა სრულის ძალით თავაშვებული.
სადღაა, სადღა, მაშ, მარქვით მე, ადამიანი?
ვერსად ვხედავდი უანგარო მე სიყვარულსა,
ვერცსად აღერსსა... მხოლოდ დაღლილ მიწისა პირზე
ვისმენდი კვნესას ტანჯვისასა გახშირებულსა.
ყველგან ღზინისა და ქეიფის ხმა გაისმოდა,
იმას თან ახლდა უგუნური დროს გატარება...
სად არს სიცოცხლე?! ნუ თუ წყვიდადს, იდეალისა
სხივსა მოკლებულს, ეს სახელი შეეფერება?..

და ბაალისა შესაზარი საბრძანებელი
 უკვე დავტოვე, გამოვბრუნდი მძებნელი შვების.
 მსურდა შემეტკობო მოსვენება ველთა სივრცეზე
 შემდეგ დიდის ხნის უნაყოფო კვლევა-ძიების,
 იმის შემდეგ, რაც მე ვიგემე დაღუპულ კაცთა
 სიბოროტე და გარყვნილება აღუწერელი
 და გამოვცადე სიავესთან ფიცხელი ბრძოლა,
 გულის აღმრევი და ცრემლების გამომწვეველი.
 ჩემ წინ ეფინა ნისლიანი შორეული გზა,
 დედამიწაცა ყველგან ტკბილის ძილით სტკებოდა
 და თანამგზავრი ჩაფიქრების, ყრუ სიმწუხარე
 ჩემს სულსა და გულს როგორცა ქვა ზედ აწვებოდა.
 გარშემო მეფობს მხოლოდ სევდა და ვერვის ვხედავ,
 რომ განმიქარვოს შეგროვილი გულის ტანჯვები;
 რომ თანამიგრძნოს ესრედ ძნელის ბრძოლისა ჟამსა,
 გამომიწოდოს მეგობრულად შველის ხელები.
 ძმებო კაცებო! ბაალისა კვარცხბეკისა წინ
 ნეტავი როდის დასრულდება ბრძოლა საზარი?!.
 და დაღლილს მიწას ნეტავ შუქსა როდისა მოჰყენს
 იდეალისა ოქროს ფერი დილის ცისკარი?!.
 ილ. ფერაძე.

ოჰ, შემეძლოს!..

სევდის ბაღში დაბადებულს, გულსა მიღრღნის ფიქრი მწველი
 სიყრმის დღიდან უღვთოთ ჩაგრულს, არ მიხილავს დღე-ნათელი!..
 ვხედავ დემონს დაუპყრია მთლად სამყარო, მთა და ველა,
 შვების კვარცხლბეკს დასწოლია შავ-წყვედიადის ნისლი ბნელი!..

ოჰ, შემეძლოს მიწის მკერდზე დავამსხვრიო ის ბორკილი,
 რომელსაც რომ შეუბოჭავს ტანჯული და შრომის შვილი!..
 და მიწის შვილთ ვაგრძნობინო შვების წამი ყოვლად სრული,
 მიმოვფანტო ტანჯვის სიო, გავამეფო სიყვარული!..

მაგრამ ვხედავ, რომ ტლანქ ძალას გაუშლია ირგვლივ ფრთები,
 არსით ისმის საიმედო, წრფელი სიტყვა, წრფელი ხმები!..
 სათნოებას და სიმართლეს ავსულთ ბრჭყალში კვალად სძინავს
 და ჩემს წადილს, მისწრაფებას კვლავ იჭვები თავს დაჰფრინავს!..

ბ. ვარდლოშვილი.

მოდი, კარგო!..


მგოსნის ხელმა დაამწვენა,
ყოფნის ია ბაღში დარგო,
გულს იმედი ჩაესვენა—
გელოდები, მოდი, კარგო!..

ტბის ზედა-პირს, სარკედ ქცეულს
მთვარის შუქმა ღებნით არგო,
მე შენს სახეს დაამებულს
გელოდები,— მოდი, კარგო!..

მარგალიტი, მზის მარცვლები
მინდა ვკრიფო, არ დავკარგო,
შენ მოგიძღვნა გრძნობის თვლები,
ნუ, ნუ მტანჯავ, მოდი, კარგო!..

გელა.

ასტრახანი.



ლადო გვანაღს

(პასუხად)

ვასუხს თხოულობს სალამი—
საკაცობრიო წესია—
მადლობას გიძღვნი, მუშაკო,
ანის გამო ვსთქვი ლექსია.
მასწავლებლის ბედზედა
მრავალჯერ დამიკვნესია,
ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,
თესლი კეთილი ხატია!

თანა-მოდმენიც გიცოცხლოს
ვინაც გიდგანან გვერდშია;
რა უყოთ მასწავლებელი
ღღეს არა ფასობს ჩვენშია.
თუმცა ხსნა ჩვენის ერისა
მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია,
სული გასუქდეს ბევრით სჯობს
ვიდრე გასუქდეს ლეშია!

ვაჟა-ფშაველა.



მაშინ, როცა შენს სამშობლოს
ჩახვეოდა ღამე ბნელი,
და არსაით არა სჩანდა
დამხმარე თუ მისი მხსნელი,

მაშინ, როცა მიძინებულს,
დაჩხაოდა თავზე ყვავი,
სისხლს წუწნიდა, აწვალებდა,
უმადლარი, ბილწი სვავი,

მაშინ, როცა ყვავილებში
დაცოცავდა შავი გველი,
შხამს ანთხევდა, სისინებდა
უკუეგდო თვისი ხვრელი,

მაშინ, როცა... მაგრამ რა ვსთქვა,
სულს ღაფავდა შენი ერი,
სიხარულით ხარხარებდა
მოწოლილი კარზე მტერი...

აი ამ დროს შენც გამოჩნდი,
ჩამორეკე მაგრათ ზარი,

ძილი უფრთხე, განაღვიძე
შენი ხალხი, ცოცხალ-მკვდარი.

და ამცნე მათ: კაცს არ შეგენის
ცოცხლობდეს და იყოს არა,
სალათა ძილს გამოერკვით,
რაც იძინეთ ისიც კმარა.

და გაცოცხლდა შენი ერი,
ხელთ აიღო ნათლის ხმალი,
ახალ ძალით გაიკაფა
ცხოვრებისა გზა და კვალი.

და დღეს, თუმცა სამარეში
განისვენებ, თითქო მკვდარი,
იმავე გმირებს კვლავ უყვივს
მძლეოთა მძლევი შენი ქნარი.

და მივდივართ... იქ მივდივართ,
სად არ ხვდება მზისა სხივი...
ამირანის ასაშვებათ
წინ მიგვიძღვის შენი გივი...

ლ. ძიძიგური.

აკაკი—მოწაფე და იმ დროის სკოლა

თქვენი არ ვიცი, ჩემო მკითხველო,
და მე კი გული ბოლპით და სევდიან მევ-
სება, როდესაც ა. ფრონელის თბულე-
ბებს ვკითხულობ: ყოველ გვერდზე, ყო-
ველ სტრიქონზე გხვდებათ სისასტიკე,
დამცირება და აბუჩათ ავდება ეროვნულ
წმიდათა-წმიდასი; გონების თვალწინ გააქვს
ზუზუნის ტყვიას, გესმით როზგების ტყლა-
შენი, ხედავთ თავ-ჩაქინდრულ ქართველს

ციმბირისაკენ გამგზავრებულს; და თქვენ-
და უნებურათ ამოცურდება დიდრონი,
შავი ასოებით დაწერილი რომაელთა
თქმულება: Vae victis!

მაშინ, როდესაც უხეში ძალა შეეხა
ენას, სასამართლოს და ეკლესიას, განა
სკოლას კი კარგი დღე დაადგებოდა?
ხელთა მაქვს აკაკის „თავგადასავალი“ და

მინდა ვესაუბრო მკითხველს იმ დროის სკოლაზე.

წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც სულ მუდამ დარბის, დასდევს პეპელებს, ჰკრეფს ყვავილებს, უცინის მზეს, ეალერსება და ეტიტინება ხეს, ბუჩქს, ჩიტს. მას თავი მეფეთ წარმოუდგენია. ოხ! რა კარგია მისთვის ცხოვრება! რა ბედნიერია ის! მაგრამ აი მოახწვია საშინელომა დრომ: ის სკოლაში შეიყვანეს. მოსწყვიტეს ბუნებას, მოაკლეს მხიარულებას და თავი უკრეს ოთახში, სადაც ერთათ შეუკრებიათ ორმოცი ორმოცდაათი ბავშვი. შეხუთული ჰაერი, სულ მუდამ გულ-მოსული, დაღრეჯილი მასწავლებელი, მოსაწყენი ანბანი, მკვდარი სიჩუმე, სიმშლილი—ყველა ესენი შეერთებულან, რომ მოსტაცონ მას, ლაღ ბუნების შვილს, ნეტარება. აი ჩვენი მგოსნის სიტყვებიც: „წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორს საათამდე მშვიდმწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავ ბრუ ეხვევოდა და ეცემოდნენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა“.

უბედურება აქ არ თავდება. სკოლაში ახლად შესულმა რუსულად უნდა ილაპარაკოს. სად შეუძლიან მერე მას ასე უცხათ რუსულათ ლაპარაკი? და ბავშვიც დამუნჯებულია. მაგრამ, აი შეხედა სასიამოვნო ნივთს, სახე გაუბრწყინდა, გაურბინა მხიარულომა აზრმა, გადაავიწყდა ქართულად ლაპარაკი რომ აღკრძალულია და ამხანაგს გამოესაუბრა. მსწრაფლ სურათი იცვლება, იშხამება წუთის სიამოვნება და სცენაზე გამოდის საძაგელი „მარკა“. ვალაპარაკოთ თვით მგოსანი: „იმ დროს შემოდებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“

ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩნებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს—სახანავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმ რიგადვე ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერთყმია ხელის გულზე. ამ გვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში“.

ამ იეზუიტურ საშუალებაზე უარესი მეთოდი უცხო ენის შესასწავლოთ განაკიდევ იქნება? თითქოს იმას სცდილობდნენ მოწაფეებისათვის შეეძლებინათ სწავლა და სკოლიდან გაერეკათ. საგნების სწავლას არ იტყვიოთ მერე როგორი იყო! ვინლა ფიქრობდა ინტერესის გაღვიძებაზე, აზრის გაგებასა და გონების განვითარებაზე? მიღებული იყო ზეპირობა და საფუძვლად ამას ასეთი დებულება ჰქონდა: დამწერზე უკეთესს მოწაფე ვერაფერს იტყვისო: აი ფაქტიც: „ერთი რუსის შვილი იყო—ვოლკოვი და იმას საღმრთო წერილიდგან გაკვეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირად არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით მშვენივრად ახსნა. მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა:—შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორედ გაიყვანა, როდესაც გაეზვიარებინა და სულ-მოუბრუნებლად, სულ სხაპა-სხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა. მოუწონა: „აი როგორ უნდა დაისწავლოო!“ და კარგი ნიშანიც დაუსვა.

ყველას არ შეეძლო ეს ზეპირობა, აგრეთვე ყველა ვერ ემორჩილებოდა იმ საშინელ წესებს, რომელიც გიმნაზიაში იყო გამეფებული. ბავშვი უსულო საგანი—ტიკინა ან საათი—არ არის, რომ იმ



დონეზე დააყენო, რომელზედაც შენ მოი-
სურვებ. მოუსვენარი ბუნება ბავშვისა
ველარ ითმენს, ის ცელქობს, თამაშობს
და ამისათვის მასწავლებელმა განა სულ
მუდამ საშინელ სასჯელს უნდა მიჰმარ-
თოს? რასაკვირველია არა! მაგრამ ეს ასე
არ ესმოდათ „ველურ“ ქართველების გა-
სანათლებლათ რუსეთიდან ჩამოსულ პე-
დაგოგებს...


ძველს რუსულ სახელმძღვანელოებში
ხშირად შეხვდებით ასეთ სურათს: დახატუ-
ლია მრისხანე მასწავლებელი, რომელსაც
წაუქცევია მოწაფე და „როზგებს“ უშენს.
აგრეთვე ხშირად შეხვდებით წინასიტყვაო-
ბის ნაცვლათ ამგვარ ლექსს:

„Въ предисловія мѣсто сіе полагаемъ:
Розгою Духъ Святыи дѣтище бити велить,
Розга убо ниже мало здравія вредить.
Розга разумъ во главу дѣтямъ вгоняеть,
Учить молитвѣ и злыхъ всѣхъ встѣяеть.
Розга родителемъ послушны дѣти творить,
Розга Божественнаго писанія учить.
Розга аще и біеть, но не ломить кости,
А дѣтище оставляетъ отъ всякія злости...
და სხვა და სხვ...“

ეს „როზგი“ მთელი თავისი სიძლიერით
გადმოვიდა ჩვენს სკოლებშიც. „როტა-
ში“ არ უნდებოდათ იმდენი წკებლა,
რაც თვითველ კლასში — სწერს აკაკი —
„სტოროჟებს ურმებით მოჰქონდათ ყო-
ველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლეს გალახ-
ვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწ-
ყებული, სტოროჟებამდე... ხშირად მოხ-
დებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგი-
ვე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში
სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვა
და სხვა უფროსებისაგან: ერთი რუსის
ბავშვი იყო — კრიჟანოვსკი, — ძლიერ მოუ-
სვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარგი იყო.
ერთხელ ნახევარი საათით დაავიანდა

კლასში მოსვლა და დირექტორმა „გა-
აროზგინა“; იმ დღეს გაკვეთილი არ
იკოდა და მასწავლებელმა „გააროზგინა“:
სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა
„გააროზგინა“; სახლში გიცელქნია და
ბავშვისთვის ქვა გისროლია — გიჩივლესო!
ამითაც ველარ გადარჩა. ყველამ ერთად
დააბეზლეს ინსპექტორს და იმანაც მოუნ-
დომა „გაროზგვა“... კრიჟანოვსკიმ, ტან-
ჯვა რომ ველარ აიტანა, იშვირა ხელი
და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ
შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი
მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცუ-
რავი, დაიღუპებოდა“...

აქ ვერ ხედავთ თქვენ ნამდვილი პედა-
გოს, რომელსაც ბავშვი უყვარს ისე
ვით საკუთარი შვილი. ბრაზ-მორეული
ადამიანი შეპყრობილია მხოლოდ ერთი
აზრით, დაიმონოს ბავშვის სული, სტან-
ჯავს უსუსურ ბავშვს. მერე რა საშინე-
ლი შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე ასეთ
მოპყრობას! „ერთხელ რომელღაც მოწა-
ფემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლა-
ტარიაში ჩაავდო თითო კაპეიკად. ყვე-
ლამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და
მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლე-
ბელი და იწყინა, როგორ გაგიბედიათ
ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველე-
ბელი „ლინეიკა“ ხელში. თვითო-თვი-
თოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები. ჰკი-
თხავდა: რომელი ხელით მოაწერეო? და
პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლ-
მე რაც ძალი და ღონე ჰქონდა!.. იმ
განყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო-
მე ვიფიქრე, რომ თუ მარჯვენა ხელი
მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი
მარცხენას გავიმეტებ მეთქი. მეც, რასა-
კვირველია, მითხრა: აბა დამნაშავე ხელი
გამოაშვირეო! მე მარცხენა გაუშვირე.
ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა, რა-



საკვირველია განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოვუტყუდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა... ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“ — უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!.. ის დღე იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი. არ იქნა, ველარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვეველად ვწერ; ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტინქტიურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა“ — აი ნაყოფი სისასტიკისა.

გადახედეთ ეხლა მასწავლებელთა სურათების გალერეიას. აი რუსული ენის მასწავლებელი საპეგა, რომელიც სულ ჯავრობდა, ცხვირი ჩამოუტიროდა და სხვა რომ ენახა მომცინარი, გადაირეოდა. გაიხსენეთ ის სურათი კ...ლ...ს... უკანდან რომ მივბარა, როცა ეს მოწაფე პასუხზე შეფიქრიანდა, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: რას უცდი კითხვაზე ჩქარა მიპასუხეო!

აი, პოზანოვნსკიც... ყმაწვილმა ჰკითხა — „პუშკინი უკეთესი მწერალია თუ გერცენიო? წამოვარდა ზეზე შემინებულნი, დაიცვა თითები ყურებში და გააბა ყვირილი: აქ, აქ არ ვყოფილვარ, არ გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო... და ამ გვარად გავიდა კარში“.

ნუ დავივიწყებთ ბუზიდგან დაშინებულ ლათინური ენის მასწავლებელსაც. „თუ რომელიმე მოწაფეთაგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცბად მახარობელას და ჩუმად გაუშვებდა კლასში;

მასწავლებელი დაფრთხებოდა, მასწავლებლები წამოვარდებოდნენ ზეზე, ზოგი სტოლზე შეხტებოდა, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა ვითომ და კლასიდან გამოდენას; ხან ერთ კუთხეში მიაგდებდნენ, ხან მეორეში და ამასობაშიც კლასი თავდებოდა.“

ინსპექტორი... „ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოედლო. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა“; ერთი მიტომ, რომ თმა წამოგზდიოდა და მეორეც მიტომ, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო!“.

განა ასეთი ადამიანების ადგილი სულით ავადმყოფთა თავშესაფარი არ არის? მაგრამ დახეთ ისტორიის ირონიას! ისინი გვევლინებიან როგორც აღმზრდელები მომავალი თაობისა. ძალა-უნებურად უნდა წამოიძახო ცეზარის სიტყვები: „O tempora, o mores!“

იწამლებოდა ახალგაზდათა სიცოცხლე, უმეტესობა ველარ იტანდა, თავს ანებებდა სკოლას და შორდებოდა განათლებას. დანარჩენი კი სულით მახინჯდებოდნენ, ჯანით სნეულდებოდნენ და ავადმყოფნი უბრუნდებოდნენ თავიანთ სამშობლოს.

ბევრი სამსალა შეასვა იმ დროის სკოლამ ჩვენს მგოსანსაც... მაგრამ საერთო სიბნელეში იყო ერთი მნათობი, რომლის სხივებმა ძლიერათ ჩანათა მგოსნის სულში... ის იყო პოლონელი როდზიევიჩი. დაჩაგრულმა სამშობლოს შვილმა იცნო მეორე ასევე დაჩაგრული სამშობლოს შვილი. სულმა მონახა მონათესავე სული...

გიმნაზიის უკანასკნელ კლასს თავს ანებებს მგოსანი და ოთხი თვის განმავლობაში როდზიევიჩის აღარ შორდება. რას ასწავლიდა ამ ხნის განმავლობაში



16 03 57 11

როდზიევიჩი, ჩვენ არ ვიცით, მგოსნის სიტყვით კი, „ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო მისთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში მყოფობის დროს“... ვინ იცის იქნებ სამშობლოს ასეთი ღრმა სიყვარული ჩვენს მგოსანს ამ პოლონელმა ჩაუნერგა!.. ერთში ძალიან სჩანს იმის გავლენა. აბა გაიხსენეთ ის პოლონელი მოწაფეს რომ ეუბნება: „ჩამოუარე ლეკური! როგორ თუ შენ ნაციონალური

ცეკვა გეზიზდება? არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი სული და გული იხატება?“ სიცოცხლის გაზაფხულზე ჩანერგილმა აზრმა აკაკის გულში ნაყოფიერი ადგილი მონახა. გაღვივდა და შემოდგომის მიწურულში მგოსანს ანდერძათ დაატოვებინა: „არ მინდა გვირგვინები, მისი საფასურით ზეპირ-სიტყვაობის ფონდი შეადგინეთო“.

პროკლე ტაბიძე.

სევდის შვილი

გუძღვნი ი. გოებაშვილის სამაჟდაისო ხსოვნას

ჩემო კარგო! შენ ვსურს ამ მწუხრის ჟამსაც მხოლოდ სიყვარულის დაუსრულებელ ზღაპრებს ვიამბობდე? მაშ უცქირე, უცქირე მზის მკრთალ სხივებით გაბრწყინებულ, ყვავილის ყლორტზე მოციმციმე ცვარს, მე კი დაწყლულეზულ სხეულს მოვაყრდნობ შენს მკერდს და ოხვრით ვიამბობ ისტორიულ ზღაპრებს.

— გოლიათზე გამარჯვებულ დავითს არას დროს არ უკრთოდა გული ბრძოლის კიჟინში, მაგრამ ლბილ სარეცელზე ისე თრთოდა ვნებით, ვით ნამი ყლორტზე. მოხიბლა ვირსავიას მშვენიერებამ და დაავიწყა მცნება მრისხანე იელოვასი: მოხუცებულ დავითის სხეული ვერ გაათბეს მონებმა თბილ სამოსელით; შემდეგ მოგვარეს სუმიანტიელი ახალგაზდა მშვენიერი ქალი ავისაგა. ავისაგა თვისი სხეულით ათბობდა მოხუცებულის გვამს. ნეტარებას გრძნობდა დავითი, როდესაც დაეყრდნობოდა უძლური ზელით ავისაგას მხარს და უახლოვდებოდა მის ნახ ტუჩებს.

პოეზიის სულის ჩამდგმელი, თვითვე სულით ძლიერი ბაირონი არვის წინაშე არ იხრიდა ქედს, მშვენიერ ქიოლის ფერხთა წინ კი განერთხოდა და ეუბნებოდა:—ნუ მეტყვი „ჩემო სიცოცხლე“— სთქვი „სულო ჩემო“ სული უკვდავია ვით ჩემი სიყვარული!—

ეჰ, მომწყინდა ეგეთ ზღაპრების სიმღერა, ეხლა ვიამბობ ერთს მეგობრის ცხოვრების რვეულის შინაარსს...

წაგიკითხავს მოკლე; მაგრამ გრძნობით სტრიქონები სამგლოვიარო დეპეშეებში? „ჩემი ცრემლიც, ცეცხლად ფრქვეულნი, უერთდებიან უკვდავ მოძღვრის გარდაცვალების გამო შექმნილ გუბეს“. სევდი-შვილი.

ეს ადამიანი ძლიერი იყო სულით, იმედით აღვსილი უშიშრად ებრძოდა ქვეყნად გამეფებულ მონობას, ლალატს, მაგრამ ვიდრე ძალ ღონით აღიჭურვებოდა, დაამარცხეს ცხოვრების ველებზე და ცხოვრებისავე უფსკრულ წუმბეში გადაი-სროლეს. ეხლა ის მიაგავს იმ ფრთა გაუ-



იაკობ გოგებაშვილი.

გარდაცვალებიდან სსში წლის შესრულების გამკ.



ზრდელ არწივს, რომელიც ვიდრე გამოი-
ცდებოდა, გაუმძღარ ყვავის მსხვერპლი
გახდა.

ჩვენ ბავშვობიდანვე ვიცნობდით ერთ-
მანეთს ჯერ კიდევ სკოლაში, როდესაც
მონებად გარდაქცეულნი თუთიყუშით
ვიმეორებდით უცხო ენაზე გაუგებარ
„ფრაზებს“. ის არწივივით მგზნებარ თვა-
ლებს არ აშორებდა საყვარელ „დედა-
ენას“. გვიკრძალავდნენ, მაგრამ ის უში-
შრად „დედა-ენის“ საშუალებით ითვისებ-
და ყოველსავე დიად მცნებას და ამიტომ
თუ ჩვენთვის მოუხეშავი და ტლანქი
იყო გონებრივი ვარჯიშობა, მისთვის
ყოველივე ნაზი და მომხიბლავი იყო.
უყვარდა „დედა-ენა“ და ის ვისაც ამ
წიგნზე თვისი ძალ-ღონე არ დაეშურებია
სათაყვანებელ კერაზე ჰყავდა მიჩნეული.

ჩვენ ვიზრდებოდით სულიერად დამა-
ხინჯებულნი, მასში კი ლალად შლიდა
ფრთებს ძლიერი სული. ჩვენ გონებით
დაავადმყოფებული გამოვცილდით სკო-
ლის დარბაზს, ის კი სალი და ნათელ
მფრქვეველი დარჩა.

როდესაც მოვიხვეჭეთ გამბედაობა და
ვიკრიბებოდით საიდუმლოდ, რომ გავგე-
ზიარებინა ერთმანეთისთვის ჩვენი გულის
თქმა, ფარულად გვეამბნა ერთმანეთის-
თვის რაც იზიდავდა ჩვენს სულს, ამ
დროს ის იყო ჩვენი წინამძღვარი, თვალ
წინ გვიშლიდა თუ რა რიგ დაბეჩაფე-
ბულნი ვიყავით ცხოვრების კლანჭებში
და გვიწვევდა საბრძოლველად, გვიზრდი-
და გამბედაობას, რომელიც ოდნავ, ოდ-
ნავ გამოკიაფებდა ჩვენს დაავადებულ
არსებობაში!

ჩვენს წრეში ასულნი იყვნენ, გულ
განგმირული ვიყავით მათ თვალთა ის-
რით, მაგრამ იმის გულს ვნებით ვერვინ
აღელვებდა. შემოვიღოდა თუ არა, გა-

დმოგვაველებდა არწივივით მგზნებარ თვა-
ლებს და იკარგოდა მაცდურების ღიმი,
ასულთა ეშხით სავსე, საკოცნელად გა-
პობილი ბაგენი იკუმშებოდენ მის თვალ-
თა გამომეტყველებით.

მაგრამ მძლავრ ვნების ნდომის მონე-
ბას ვერც ის გაექცა. ამაყ მედიდურის
შეუდრეკელი გულიც განგმირა ასულის
თვალემა, რომლის სიღრმეში მბრწყინა-
ვი შუქი გამოჰკიაფებდა.

შეუყვარდა ლილა მთელი გრძნობით
მთელი სულით. ლილა შეიქმნა საწმისი
მისი სიყვარულისა. უძლეველმა სტიქიურ-
მა სიყვარულმა ვერ გადაახრვეინა იმ
გზიდგან, რომელზედაც სვლა მიზნად
დაესახა სიყრმიდგანვე. გრძნობის სიყვა-
რულმა ვერ დაჩრდილა, მასში ჩაგრულ-
თადმი სიყვარული...

ბრბომ კი გაჰკიცხა მისთვის მებრძოლი,
სატრფომ გესლი ჩაპარა ნექტარების
ფილაში, ღალატით დაამარცხა უძლევე-
ლი ვნების სურვილი...

როდესაც იღუმალებით სავსე ფერი
შეუკრთებოდა ღამეს, ისე ვით ქორწი-
ნების სარეცელზე გამოღვიძებულს ასულს,
როდესაც ცის ჰორიზონტს ნაზი მოწი-
თალო სხივები ეტმანებოდა, ვარსკვლავ-
ნი იცრიცებოდნენ, ის ვით ჭოტი იძუ-
ლებული იყო უღრან ტყეში დამალული-
ყო. რადგან ბრბო უგუნური ჩაქოლვას
უქადდა და განრისხებით გუგუნებდა,

— სიკვდილი! სიკვდილი! ანათემა! ანა-
თემა!

სიკვდილით დასჯას ემუქრებოდნენ, რა-
დგან ამსხვრევდა უგუნურ ბრბოს მიერ
აღმართულ კერას. ამსხვრევდა სიმბოლოს
ბოროტებისა და გარყვნილებისას. თვით
მშობელი დედაც, რომლის მკერდზე ის
პირველად დაეწაფა სიცოცხლის წყაროს,
მისდევდა ბრბოს და გაიძახოდა:

— სიკვდილი! პირველად მე ვესვრა ლოდს. თვით სატრფოც ამ დროს უცხო უმას ეჭურჩულებოდა:

— სიამოვნებით ამოგვლეჯ მკერდს ჩემის ხელით. და ამ ბრბოს მრისხანე გრგვინვამ, მწუხრის შარავანდედი მოჰფინა მის სულს, ბრბო უგუნური ქმნიდა კერას, ის კი ამსხვრევდა...

მაგრამ ჩემო კარგო! ამბობენ დროთა მსვლელობაში მზეც ჰკარგავს სიმხურვალესო და მისმა მგზნებარე თვალეზმაც დაჰკარგეს ამაყი გამომეტყველება, დასუსტდნენ, მიილულენ, ტანჯვა ვაებამ წელში მოხარა შეუზოვარი ყრმა.

უკანასკნელად ის მე სოფლად ვიხილე, როდესაც დაღლილ დაქანცული წაველ იქ ბუნების წიაღში განსასვენებლად, გარს გლენობა შემოხვეოდა; ის შათვისის მოძღვრის „ბუნების-კარს“ უკითხავდა. პირველ დანახვისთანავე შევამჩნიე მის თვალეზმში მგზნებარე ცეცხლის ნაცვლად სევდა გამოჰკართოდა. უკანასკნელი მისი სიტყვები, რომელნიც სამუდამოდ გულს დამშთენია იყო: „მიყვარს სევდის კუბო, რომელშიდაც საუკუნოდ განისვენებს ჩემი გული, მიყვარს სევდის ბალი, სადაც

სამარადისოდ ფარფატებს ჩემი სული, მე სევდის შვილი ვარ“.

აჰ, მოსწყდა ყვავილს ცვარი? შენს უმანკო ტუჩებსაც დაეკარგა მკრთალი ღიმილი?

მითხარ! გებრალვის მწუხრის შვილი? მე ვიცი დედაკაცის გული ცივია ვით ქვა, რომელიც მხოლოდ იმ დროს ისვრის მხურვალე ნაპერწყმებს, როდესაც მაგრად სცემენ გრდემლს. მითხარ, გებრალვის მწუხრის შვილი?

ჩემო კარგო! დაუგდე ყური? გესმის გლოვის ზარი? გესმის რა გულ-ჩათხრობილად გაიხმაურა მთამ? ამჩნევ რა რიგ ათრთოლდნენ ფოთოლნი? რა რიგ ქვითინებს ლალი ნიავი? ეხლა მიასვენებენ სასაფლაოზე დიდებულ ადამიანის გვამს. წავიდეთ! წავიდეთ, ჩემო კარგო! ჩვენც შევეურთდეთ მწუხრის ბურუსში გახვეულ ერს, ჩვენც ბანი მივსცეთ მათ მწარე მოთქმას. წავიდეთ იქ, თვის მოძღვარის გვამთან ჩვენ ვიხილავთ ცეცხლის ცრემლების მფრქვეველ სევდის შვილს.

წავიდეთ! წავიდეთ, ჩემო კარგო!..

მის. ბოკორი შვილი.

ძვირფას მასწავლებლის ნიკო ლომოურის ხსოვნას

წეცა განრისხდა, ბედი გვალაატობს!.. სხვა ათასგვარ გაჭირვებასა და უბედურებასთან ერთად თანდათანობით გვშორდებიან, ხელიდან გვეცლებიან ჩვენი მწერლობის ქურუმნი და საზოგადო მოღვაწეთა ბელადნი. ბედაურნი გვეხოცებიან!..

ვინც გასცნობია ნიკო ლომოურის საგულისხმიერო ნაწერებს და ერთხელ მაინც დამტკბარა მისი მომხიბვლელი ქართულით, იმას კარგად მოეხსენება, რომ

განსვენებული ჩვენი საზოგადოების ერთი ასეთი ბელადთაგანი იყო.

ნიკო ლომოური დიდი შვილია იმ თაობისა, რომელმაც მესამოცე წლებში დაიწყო მოღვაწეობა და ჩვენ მწერლობასა და საზოგადო ცხოვრებაში ახალი ხანა შეჰქმნა. განსვენებული მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა მშობელი ხალხის გამოფხიზლებისა და აღორძინების საქმეს.



ნიკო ღრმათ განათლებული ადამიანი იყო, ახალგაზრდობაშივე ჰქონდა შემაჯავებელი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და თავიდანვე „ხალხოსნათ“, ანუ „ტეტიათა მოტრფიალედ“ იყო ცნობილი. სოფლის შვილი, იგი ზედმიწევნით იცნობდა მდაბიო ხალხს, მისს ცხოვრებას და სწორედ ამიტომაც მისი ნაწერებში ასე მშვენივრად არის დახასიათებული ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება.

ჩვენს ლიტერატურაში მეორეს ვერ შეხვდებით, რომ ხალხის ჭირვარაში ნიკოსავით გრძობით მომხიბვლელი ქართულის ენით აეწეროს. მისს ნაწერებს ყველა—დიდიც და პატარაც, ყრმაც და მოხუციც დიდის ხალისით ჰკითხულობს და სტკბება. რომელი წიგნის მკოდნე ქართველი იქნება, რომ მისი „ქაჯანა“, „ალი“ და „ყოველ მხრიდან“ არ წაეკითხოს, ჩვენი ხალხის უმწეობასა და სიბეზღეს მისთვის გული არ აეკვნესებოს და გაჭირვებულ მოძმეების ბნელ ცხოვრების განათების სურვილი მაინც არ აღძვროდეს, რომელი სკოლა იქნება, სადაც ნიკოს „ვედრება პატარა გლეხისა“ და „ყინვა და პატარა მოწაფე“-ს არ ასწავლიან. ხოლო ნიკოს ამაგი სამშობლოს წინაშე მარტო მწერლობით არ განისაზღვრება. დიადი და ფასდაუდებელია მისი ღვაწლი, როგორც მომავალი ქართველი დედებისა და სახალხო მასწავლებელთა აღმზრდელ-მასწავლებლისა. ნიკოს არა ერთი მომავალ სახალხო მასწავლებლის ბუნებაში ჩაუნერგავს კეთილი გრძობები, ღვთიური ცეცხლი აღუწთია და მამულის საღი სიყვარული გამოუწვევია.

შეუძლებელი იყო ნიკოს გასცნობოდით, მისი ენატკბილი საუბარი მოგესმინათ და მისდამი რაღაც იღუმალი სასოებით და ღრმა პატივისცემით არ გამსჭვავ-

ლულიყავით სწორედ ასეთი მასწავლებლისცემას გრძობდენ ნიკოსადმი გორის სამასწავლებლო სემინარიის ქართველ მოწაფეებთან ერთად სხვა ეროვნებათა შეგირდებიც.

სემინარიაში ქართული ენა „ქალაღზე“ ისეთივე სწორ უფლებიან საგნათ ითვლებოდა, როგორც მაგალითად, რუსული და კვირაში ყოველ კლასში სამსამი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. ოთხი წლის განმავლობაში გაკვეთილების ასეთ რაოდენობასთან და ისეთ მასწავლებელთან, როგორც იყო ნიკო, მეტად ბევრის გაკვეთება შეიძლებოდა—მთელი ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის ზედმიწევნით შესწავლა მოხერხდებოდა, ხოლო სამწუხაროთ, ქართული ენის ნაყოფიერების გასაქარწყლებლად, როგორც მოსალოდნელი იყო, იმ თავითვე ყოველივე ღონე იხმარეს და ეს გაკვეთილები ლამის ფიქციათ აქციეს. სემინარიაში ქართული ენის სახელმძღვანელოთ მხოლოდ „ბუნების კარი“ და ხუცური წიგნები იყო ნებადართული და სასწავლო მასალაც ამ წიგნებით იფარგლებოდა. ეს წიგნები, ცხადია, დამაკმაყოფილებელ სულიერ საზრდოს ვერ მოაწვდიდა ყრმა მოსწავლეებს და ნიკოც ცდილობდა ზეპირი საუბრებით შეევესო ეს ნაკლი. მაგრამ ნიკოს აქაც არ შეეძლო ფრთები თავისუფლად გაეშალა, რადგან ხშირად საუბრის შინაარსი „უფროსების“ ყურამდი მიალწევდა ხოლმე და მასაც წყრომა და რისხვა არ ასცდებოდა. კანონით სემინარიის მოწაფეებსაც უნდა ესწავლათ ერთად-ერთი ადგილობრივი ენა და ზოგი მათგანი ქართულს სწავლობდა. „თითო მახინჯი ყოველს ოჯახშიაო“ ნათქვამია და იმათშიაც გამოერეოდენ სულმდაბალ-

ნი, რომელთაც ნიკოს მზვერაობას დააკისრებდნენ ხოლმე.

ნიკოს სდევნიდნენ სემინარიის გარედაც, თვალყურს ადევნებდნენ კრებებზე, საზოგადო დაწესებულებებში, ეკლესიაში და ყოველი მისი სიტყვაში სახელმწიფოებრივ ღალატს ხედავდნენ. ამიტომ მოწაფეებს მასთან ოჯახში სიარულიც გვიძნელდებოდა და დიდის გაჭირვებით იშვიათ შემთხვევაში თუ მოვახერხებდით მისვლას.

ამნაირად ნიკოს მოქმედება სავესებით შებოროკილი იყო და არ აკეთებინებდნენ იმის მცირე ნაწილსაც კი, რისი გაკეთებაც შეეძლო და სურდა. მიუხედავად ამისა ღირსეული მასწავლებელი მაინც ახერხებდა თავის მოწაფეებზე ღრმა წარუშლელი კვალი აღებეკდა: მშობელ ხალხის მხურვალე სიყვარულის გაუქრობელი ცეცხლი აღენთო მათში და თავისი ქვეყნისადმი ცხოველი ინტერესი აღეძრა. ყველამ უწყის, რომ სასწავლებელს საზოგადოთ, რაც უნდა რიგიანათ იყოს იქ დაყენებული საქმე, არ შეუძლია სავესებით ამოსწუროს ამა თუ იმ სასწავლო საგნის მასალა. სასწავლებელი თავის და-

ნიშნულებას სავესებით მიადწევს, თუკი შესძლებს სწავლება ისე დააყენოს, რომ მოწაფეებში თვითოეულ საგნისადმი ინტერესი აღიძრას და დამოუკიდებლად მათი შესწავლის და მიღებული ცოდნის გაფართოების და გაღრმავების ხალისი გამოიწვიოს. ამას კი განსვენებული ნიკო შეუდარებლად ახერხებდა. მისი საუბრები, ეს ის ბრწყინვალე წამებია თვითოეულ მის მოწაფის ცხოვრებაში, რომელთა ტკბილი, ნეტარი მოგონება ყოველთვის კუბოს კარამდე დაუვიწყარი იქნება. მუდამ დაუვიწყარი იქნება ის გაკვეთილები, როდესაც თავდავიწყებით ხარბათ ვისმენდით ნიკოს ყოველ სიტყვას და მხოლოდ ზარის ხმა გამოგვარკვევდა სანეტარო მდგომარეობიდან და უკმაყოფილების გრძნობას გამოიწვევდა ასეთ საოცნებო წამების დარღვევისათვის.

განისვენე მშვიდათ, ჩვენო ტკბილო უებარო მასწავლებელო. შენი ნამოწაფარნი ვეცდებით შენგან დათესილ თესლს შესაფერი ნაყოფი გამოვადებინოთ. ეს იქნება საუკეთესო ჯილდო განსვენებულ ნიკოსათვის.

მ. კაკაბაძე.

კ. ჰობედონოსცევის აზრი მასწავლებელზე *)

თავის პედაგოგიურ შენიშვნებში განსვენებული კ. ჰობედონოსცევი სკოლის სულად სთვლის მასწავლებელს, მაგრამ არა მასწავლებელ „ხელოსანს“ და „მასწავლებელ—ჩინოვნიკს“, არამედ მასწავლებელ-მოღვაწეს. „მასწავლებელი“ „ხელოსანი“ და „ჩინოვნიკი“ არ ვარგა ცოცხალი საქმისათვის. მასწავლებელი უნდა იყოს თავისი საქმის მოღვაწეთ;

მას უნდა ჰქონდეს ყოველთვის სული და გული გადადებული სწავლა-აგიზრდის საქმისათვის. მასწავლებელი სკოლის უბრალო კუთვნილება კი არ არის, არამედ შინაარსია იმისი და ის შექმნილი უნდა იყოს სკოლისათვის. მასწავლებლის შექმნა რომელსამე სასწავლებელში არ შეიძლება. იტყვიან: „დავარსოთ სპეციალური სასწავლებლები მასწავლებელთა მოსამზადებლათო“, მაგრამ ასეთი ცოც-

*) კ. ჰობედონოსცევი იყო უწმ. სინოდის ობერ-პროკურორად.



ხალი საქმისათვის საჭიროა ცოცხალი მასწავლებელი, ცოცხალი ხელმძღვანელი. ამაოდ ფიქრობენ, რომ გახსნან მარტო ასეთი სასწავლებლები; ეს არ კმარა. გაიხანება ახალი სასწავლებლები, მაგრამ ცოცხალი სული ამ სასწავლებლებში არ იქნება, სანამ მათთვის არ შექმნიან ცოცხალ მასწავლებლებს.“

რასაკვირველია, ასეთი შეხედულება მასწავლებელზე გვიჩვენებს, რომ ის უნდა იყოს ყველაზედ უწინ აღმზრდელი თავისი მოსწავლეებისა და ცოცხალი მაგალითი იმისი, თუ როგორი უნდა გამოვიდნენ ბოლოს მისი მოწაფეები. აი უმთავრესნი მოთხოვნები, რომელთაც უნდა ემორჩილებოდეს და ასრულებდეს მასწავლებელი, თუ სურს მას, რომ იქმნეს ნამდვილი მასწავლებელი:

1) „მასწავლებელი ცდება, თუ ფიქრობს, რომ იმის საქმეს შეადგენს მარტო გაკვეთილების მიცემა კლასში. ბევრად საყურადღებოა გაკვეთილებს შუა და გაკვეთილების შემდეგ მეცადინობა ბავშვებთან: ამ დროს იკრიბება მდიდარი მასალა აზრისა და გონების ასამოძრავებლად და სხვა და სხვა ცნებათა შესასწავლად.

2) თუ გინდა, რომ შენი კლასი იქმნეს წყნარი და თვალ-ყურის მადევნებელი, შენ თვითონ იყავი მშვიდობიანი და ყურადმღებელი. ახალგაზდა ცხენი კარგად გრძობს და სცნობს თავის გამოუცდელ მხედარს და იწყებს ეშმაკობას და ტლინკაობას.

3) უნდა იცოდეს თვითოეული მოსწავლის სახელი და ყოველთვის სახელი უნდა დაუძახო მათ. ცუდი და გულგრილი მასწავლებელი უსახელოდ და მოუძახებს თავის მოსწავლეებს. კარგ სკოლაში მე მინახავს კეთილი მასწავლე-

ბელი, რომელიც უგვაროდ უძახდა ბავშვებს მოფერებითი სახელებს: „ვანო, საშა და სხვა...“

4) არაოდეს არ დაივიწყო, რომ შენ გყავს კლასში ბავშვები: ეცადე იქმნე მათთან ჭაბუკი და ისინი ამას იგრძნობენ.

5) ნუ გახდები მონა მეთოდისა, როდესაც აძლევ კითხვებს მოსწავლეს; როდესაც შენ იცნობ მას და მისჩერებიხარ თვალებში, თვითონ ის ჩავიჩურჩულებს, რაზედ უნდა ჰკითხო.

6) როდესაც რვეულებს ასწორებ, იყავი მომთმენი და დაკვირვებული: ნუ მოელო და ნუ მოითხოვ ყოველივეს ერთად და თვითოეულისაგან ერთნაირად. იფიქრე, რამდენად ნიჭიერია იმ დროს შენი მოსწავლის თავი: რაც ვერ გაიგო მან დღეს, შეუძლია გაიგოს სხვალ—ნუ გაუფუჭებ მას სიხარულს თვით შევნებისას, როდესაც ხედავ, რომ ისიც სცდილობს გაიგოს და მუშაობს თავით.

7) ნუ იქვეწილო წარმატებაში, როდესაც აკეთებ შენ საქმეს იმ აზრით, რომ ის არ უნდა იქმნეს უნაყოფო, და მუშაობ მტკიცე ნებით, რომ მოსწავლემაც სინამდვილით შენგან შეისწავლოს.

8) ნუ განრისხდები წვრილმანებით და ნუ მისცემ მათ მნიშვნელობას. ბავშვმა დახატა მაგიდაზე შენი ფიგურა და კიდევ თან ქვეშ მოუწერა; მშვიდობიანად მოშალე ის, ან და უბრძანე მეორე მოსწავლეს მოშალს. თუ გაჯავრდი და გამოძიებას შეუდექი, მაგალითი გადამდები შეიქნება.

9) როდესაც ზიხარ კლასში და ხედავ შენს წინაშე 30—40 ბავშვს, ნუ დაივიწყებ, რომ ოდესმე შენც იყავი ასეთი.

10) მე ვიცნობდი მასწავლებელს, რომ-

მელიც მოსწავლეებს უყვარდათ და თან ერიდებოდნენ მას იმიტომ, რომ ენდობოდნენ მას, და ისიც იყო ამაში დარწმუნებული. ის არ შეძრწუნებულა ერთხელ ეთქვა მოსწავლეთათვის; „აი თქვენ გადათარგმნეთ სწორედ, მე კი მომივიდა შეცდომაო“. ბავშვები გრძობენ სიმართლეს.

11) იყავ ბუნებრივი: უნდა ილაპარაკო ისე, რომ ყველამ, რასაც ელაპარაკები, ყოველივე ცხადათ გაიგოს. როდესაც ლაპარაკობ, შენს თავზე კი ნუ ფიქრობ. არამედ—ვისაც ელაპარაკები.

12) მოერიდე განყენებული ფრაზების ზმარებას, ერიდე კანონების კანონებზე ასხმას, გზას, განყენებულებითა და კანონებით მოკირწყლულს, მიყავს ადამიანი დაჩლუნგებისაკენ.

13) მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის აკეთებს დიდებულ საქმეს, რომელსაც არ უნდა ეკიდებოდეს დაუდევნელობით.

14) როდესაც მუშაობა შემოდებულია სკოლაში სასჯელის მსგავსად,—ეს ცუდი მაჩვენებელია, და იმას ნიშნავს, რომ ასეთი მუშაობა მოსწავლეთათვის სამიზმო და მოსაწყენია.

15) ყოველ მოწოდებაში ადამიანი უნდა უკვირდებოდეს თავის თავს, რათა სული და მხნეობა არ ჩაიქროს.

16) აგრეთვე გახსოვდეს: რასაც შენ თხოულობ თვითთველ მოსწავლისაგან, თვითონ შენც უნდა იცოდე იმისი გაკეთება და შესრულება. ყოველივე სამუშაო, რომელსაც შენ მისცემ მათ, ჯერ შენ თვითონ გადათვალე და გააკეთე, რამდენადაც შესაძლებელია უკეთესად, ამაშია სიმართლე, და უსიმართლოდ კი რას ვარგა მასწავლებლობა!“

ვინც დაუკვირდება ზემო ჩამოთვლილ

მოთხოვნებთანა მუხლებს და კარგად ჩაუფიქრდება, უსათუოდ დაეთანხმება ბევრში ავტორს. ვინც შეასრულებს ამ დარიგებათა რამოდენიმე ნაწილს, დიდ სარგებლობას მოუტანს სკოლას, ააცილებს მას მშრალ ფორმალიზმებს და დაირქმევს მოღვაწე-მასწავლებლის სახელს. როდესაც კ. პობედონოსცევი ასე მაღლა აყენებს მასწავლებელსა და იმის შრომას, თხოულობს ამავე დროს, რომ მასწავლებლის შრომა დაფასებული და პატივცემული იყოს ყოველთვის მისი უფროსების მიერ. მათ აძლევს დარიგებას, თუ როგორ უნდა ექცეოდნენ ისინი თავის მასწავლებლებს. „შენ დაგაყენეს მეთვალ-ყურედ,—ელაპარაკება ის უფროსს—როდესაც მიდიხარ სკოლაში, მარტო რვეულებისა და მოსწავლეების ნიშნების გადათვალეობით ნუ განსაზღვრავ შენს მოვალეობას; ვალდებული ხარ ახლო გაეცნო მასწავლებელს, მოეპყრო მას ადამიანურად და ამხანაგურად; უნდა იცოდე, რომ ის უმთავრესი იარაღია სკოლისა. შენი მოვალეობაა, გაამხნეო ის და ხელი შეუწყო, თუ რამე უჭირს და სწუხს. თუ სცივა, შიან, და სცხოვრობს გაჭირვებულად. გულგრილად ნუ შეხედავ, თორემ ღვთის-წინაშე პასუხის მგებელი იქნები.“

„ფორმალისტა და ჩინოვნიკ“ მეთვალ-ყურე—ინსპექტორებს ის აფრთხილებს და წინადადებას აძლევს არავითარი ვნება არ მისცენ მოღვაწე მასწავლებელს, თუ მეთოდი მისი მაცადინობისა არ ეწყობა და არ შეესაბამება მეთვალყურე—ინსპექტორების მიერ შედგენილ პროგრამას. „როდესაც ხედავ ისეთ მასწავლებელს, რომელიც სულითა და გულით მისცემია მოსწავლეთა სწავლა აღზრდისა და განვითარების საქმეს, ფრთხილად



იყავ, რომ ხელი არ შეუშალო მის შენი სახითა და მოთხოვნილებებითა. სკოლა კანცელარია არ არის,—და თუ კანცელარიის წესები გაამეფე შიგ, სკოლა დაიღუპება,—მასწავლებელი მანქანაა სკოლაში, როდესაც ის თავისი უფროსების დავალებითა და ბრძანებით ფორმლის მისდევს და სახელმძღვანელო წიგნებსა და პროგრამას ვერ გასცილება. “

ჩვენს სამწუხაროდ ჩვენში მოიძებნებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ამართლებდეს კ. პობედონოსცევის შეხედულებას; მათში 80% „ხელოსანი“ და „ჩინოვნიკი“ მასწავლებელია, რომლებიც უსულო მანქანასავით მოქმედებენ ინსპექტორ-მეთვალყურეების ვავლენის ქვეშ.

ლადო ზვანელი.

ჩვენი დროის გმირი პედაგოგები

(ზასუხად ბ. ბ. ვ. ჯაფარიძეს და ი. ზედგინიძეს)

პამპულაი შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილითა, უნდა ქალაქსა მივადგე ამოვნოცოა შიმშილითა... ხალხური.

ჩვენში თავიანთი მიმართულებით კარგად ცნობილმა პედაგოგებმა ბ. ბ. ვ. ჯაფარიძემ და იაკობ ზედგინიძემ სერიოზული ომი გამოგვიცხადეს. მათ „შადრევანის“ № 18-ში დასტამბეს ინსინუაციით სავსე წერილი პირადად ჩემს წინააღმდეგ. მართალი მოგახსენოთ, ასეთი წერილი პასუხის ღირსიც არ არის, მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია ზოგიერთმა „შადრევანის“ გულუბრყვილო მკითხველმა მართლა დაიჯეროს მათი ნათქვამი, როგორც ეს მოუვიდა ჟურ. „კლდის“ ერთს თანამშრომელს ბ. ნ. გ—ახ—ელს, მეც იძულებული ვარ პასუხი გავცე, რადგანაც გაზეთ „შადრევანის“ სკოლა-რედაქციის რედაქციაც კი ნიშნის მოგებით ისეთს შენიშვნას უკეთებს წერილს, თითქოს დავიწყებია, რომ ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგინიძის წერილი საპირადაო და სრულიად არ ეხება საკამათო საგანს; „შადრევანის“ რედაქციას კი წინადასაგანი მიაჩნდა საყურადღებოდ,

ახლა-კი პიროვნების უსამართლოდ შებღალავა გაუხდია საგნად, რადგანაც, როცა საგანს ვერ სწვდება, მეტი რა ღონეა, თუ პირადობაზე არ იჯერა გულის ბოღმა. თავდაპირველად ბ. ბ. ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე უსაყვედურებენ „შადრევანის“ რედაქციას, რომელიც „გულუბრყვილობას იჩენს, როცა იმედოვნებს, რომ შემოდინიწული დავა, პრინციპიალურ დავას გამოიწვევს და ჩვენი პედაგოგები საგანს არსებითად შეეხებიან და გააშუქებენ, ვიდრე არ გაიწმინდება ის სულის შემხუთველი ატმოსფერა, რომელიც კარგა ხანია ტრიალებს ჩვენში პედაგოგაური საკითხების გარშემო“. (ხაზი ჩემია). თუ ბ. ბ. ვ. ჯაფარიძე და ზედგინიძე ჰტიქობენ, რომ მართლა დღევანდელი ატმოსფერა ქართულს მწერლობაში სულს უხუთავს ნიჭიერსა და რიგიანი მიმართულების პედაგოგების აზრს, რასაკვირველია, ასეთი მოვლენა დასაგმობია და გასაკიცხი; ვინც ნიქს გზას არ აძლევს და ძა-

ლად ახშობს, არავინ მოიწონებს ასეთს საქციელს და კიდევ გაჰკიცხვენ ამისთვის, მაგრამ თუ კი ვინმე შემცდარს გზას ადგას პედაგოგიურს საკითხებში და სიტყვით თუ საქმით ღალატობს საღ პედაგოგიურს პრინციპებს, ყველანი მოვალენი არიან ასეთს პირს ამხილონთვისი ცდომილებანი, რადგან ნათქვამია „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდები-სო“. სწორედ ჟურნალი „განათლება“—და თქვენი უმორჩილესი მონა ამ უკანასკნელ გზას ადგას და შეძლებისა-დაგვარად კიდევ იცავს საღ პედაგოგიურ პრინციპებს, რომელიც, რასაკვირველია, დაშორებულია ჯაფარიძე—ზედგინისებურ პედაგოგიურს აზრს.

ბ. ბ. ჯაფარიძე და ზედგინიძე ამბობენ: „თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პედაგოგიურ საკითხებში პირდაპირ ტერორია გამეფებული ჩვენი მოღვაწეების მიერ, რომელსაც დღეს მეთაურობს ბ. ბოცვაძე. ვაი იმას, ვინც ბ. ბოცვაძის „საღ პედაგოგიურ“ აზრებს არ იზიარებს და მისებრ არ აზროვნობს! მას ასტრაკიზმი მოეღის“ და სხვა და სხვა... დიდ ძლევა-მოსილ უფლებას მანიჭებენ ბ. ბ. ჯაფარიძე და ზედგინიძე, მაგრამ ერთი მიბრძანონ, ვინ ყოფილა ისეთი, რომლის წინააღმდეგაც უსაბუთოდ ამხედრებულვიყავი; თუ თავიანთ თავზე იტყვიან რასმე, მეც იძულებული ვარ განვმარტო, რადგანაც ძალაუვნებურად მიწვევენ და მოვავაგონო ბ. ბ. ზედგინიძესა და ჯაფარიძეს, რომ 1913 წლის „სახალხო გაზეთის“ № 1033-ში დაწყებული და შემდეგ გაგრძელებული ვეება მათი საისტორიო წერილები „კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე“, რომელშიაც განსვენებულს გოგებაშვილს სრულიად უსაბუთოდ ცილი დასწამეს, ვი-

თომც იგი ოდესმე გალაშქრებული იყვნ მათი სახელ-მძღვანელოების წინააღმდეგ, მტკნარი სიცრუე იყო და არც მე მოვეუწონე. (იხ. ჩემი „მცირე შენიშვნა“ „სახ. ფურც.“. № 1045 და 1047 1913 წ.) თვითონ მათი, წერილი „კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე“ ნათლად ხატავს, თუ რა პატივით იხსენებენ ისინი მოპირდაპირის პიროვნებას და სხვას კი უკიჟინებენ „მოპირდაპირის სახელის გატეხას საზოგადოებაში.“

მოვავაგონებ აგრეთვე ბ. ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს მათი ნაცოდვილარ რუსულ სახელმძღვანელოების შესახებ გამოთქმულს საზოგადო აზრს საზოგადოებაში და პრესაში, რომ ხსენებული წიგნები მუნჯურ მეთოდზე აგებულად და უვარგისად ცნობილი იქმნა პრესაში და საზოგადოებაში. გაიხსენეთ სახალხო გაზეთის“ 1913 წლის № 1014-ში მოთავსებული ბ-ნი კორდელის წერილი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, „პედაგოგიური თაღლითობა“ არჩილ ჯაჯანაშვილისა (№ 1051), „პედაგოგიური პასუხი თუ თავის ნაწარმოების რეკლამა“ (№ 1054, 1055, 1058, 1061 „სახალხო გაზეთისა“, ბ-ნ „სიტყვას“ წერილი „ძალად დარაჯები“ (№ 1040 სახ. გაზეთი) და ბოლოს „ჩემი დასკვნა“ გამოცდილისა და ნიჭიერის სახალხო მასწავლებლის ლადო ბზვანელისა, რომელმაც მთლად დაასამარა ბ. ბ. ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგინიძის ნაცოდვილარი სახელმძღვანელოები, რომელნიც სამართლიანად სცნო მუნჯურ მეთოდზე აგებულად და ქართულ სკოლებისათვის უსარგებლო წიგნებად. ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძემ, წინააღმდეგობის ნაცვლად მხარი დაუჭირეს იმ უკულმართ მიმართულებას, რომელიც გამეფებულია



რუსული ენის სწავლების შესახებ ჩვენს სკოლებში და ბ. „სიტყვას“ თქმისა არ იყოს, ამით ფიქრობენ „ასეთი სახელმძღვანელოს შედგენა დიდ მოღვაწეობად უნდა ჩაგვეთვალოს“. ან შეიძლება კერძოდ ბ-ნ ჯაფარიძეს ისიც „დიდ მოღვაწეობად“ მიაჩნია, რომ რუსულ ჟურნალ „Кавказ. Школа“-ში მოღვაწეობს და სოფლის მასწავლებლებს ურჩევს ამ ჟურნალის გამოწერას, სადაც, როგორც ბ-ნი ვასილი ზელენკო ზრდილობიანად შენიშნავს, ბ-ნი ვ. ჯაფარიძე ათავსებს პლაგიატურს წერილებს: „Есть въ ней нѣскольکو такихъ мѣстъ, около которыхъ должны бы, справедливо говоря, быть кавычки, потому что они принадлежать не всецѣло Г. Джапаридзе“ (იხ. Русская школа № 2—გვ. 53).

იქნებ ბ-ნ ჯაფარიძეს ჰგონია, რომ ქართველ საზოგადოებას დავიწყებული ექნება 1911 წელს მის მიერ ჩადენილი ოინები თელავის კურსებზე, როცა დირექცია პირველ განყოფილებაში არითმეტიკის გაკვეთილების მიცემას ქართულად ავალედა 81 წლის გეგმის მიხედვით და თვითონ კი მეტის გულმოდგინებით სანიმუშო გაკვეთილებს რუსულ ენაზე აძლევდა დამსწრე მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ. და ამ საქციელით რაღაც მცირე უფლებასაც კი სთელავდა ქართულად სწავლების შესახებ. იქნება ბ-ნ ჯაფარიძეს მივიწყებული ჰგონია ის სამედიატორო სამართალი, რომელიც გაიმართა მისსა და ბ-ნის დ. შემოქმედელს შორის თელავის კურსების გამო (იხ. ამის შესახებ ვრცელი ოქმი სასამართლოსი, დაბეჭდილი ჟურნალ „განათლების“ 1912 წ. თებერვლის ნომერში“. და ნუ თუ ყველა ამ საქციელი-

დან ვინმე დაინახავს ბ. ვ. ჯაფარიძის „სად პედაგოგიურს მოსაზრებას“, რომლის დამყარებასაც იგი დაჟინებით სცდილობს.

ან სხვა რაში გამოიხატა ბ-ნი ვ. ჯაფარიძის მოღვაწეობა ქართველთა სასარგებლოდ, კულტურულ საზოგადოებათა წევრობაში, ქართულ სკოლებში სამსახურში, ქართველ მოზარდთაობათა აღზრდაში, თუ რუსული ენის მუწჯური მეთოდით სწავლების განმტკიცებაში, რასაც გვაძხვრენ საქმენი მისნი. და როცა ასეთს მიმართულებას ეწინააღმდეგებია ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წევრნი, ბ-ნი ჯაფარიძე ნიანგის ცრემლებსა ღვრის და ისევ თავის ღუბჭირ პედაგოგიურს აზრებს ებლაუტება, რომელსაც ლილახანა კარგი ხანია გაუცვდა.

ახლა ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ კერძოდ ბ-ნ ზედგინიძის შესახებაც. ეს განსვენებული იანოვსკის სკოლის მოხელე პედაგოგიც სჩანს სრულად იზიარებს ბ-ნი ვ. ჯაფარიძის აზრს და ხელს აწერს ცილისწამებით სავსე წერილს ჩემს საწინააღმდეგოთ. მისგან კი უფრო მეტს სიღინჯეს და დაფიქრებას მოველოდით, რომ ვისიმე პიროვნების შეურაცხყოფისათვის ცხოველი ფაქტებია საჭირო და არა მიკიბულ—მოკიბული უსაბუთო აზრები, რასაც ქვემოთ უფრო ნათლად დავინახავთ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ ბ-ნს ზედგინიძეს, რომ მასაც არა ერთი ცოდვა მიუძღვის განსვენებული გოგებაშვილის „დედაენის“ წინაშე. აი ამისი ფაქტი. მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბ-ნი ი. ზედგინიძე გულ-მოდგინედ მუშაობს „განათლების“ საზოგადოებაში და ამბობენ დიდი ღვაწლიც მიუძღვის ამ საზოგადოების სკო-

ლის წინაშე. მაგრამ პედაგოგიურს საკითხებში აქაც თურმე ზოგჯერ კოჭლობს. საქმე ის არის, რომ ამ ვაჟბატონმა დაჟინებით მოითხოვა „განათლების“ საზოგადოების სკოლიდან „დედაენის“ განდევნა და ნაცვლად ი. როსტომიშვილის „ნერგის“ შემოღება და რომ სკოლის პედაგოგიური საბჭო ფხიზლად არ დახვედროდა და სასტიკი წინააღმდეგობა არ გაეწია, იგი თავისას გაიტანდა და „დედაენის“ ნაცვლად „ნერგის“ შემოაღებინებდა სკოლაში. ახლა გავკანდიერდებით და ვკითხავთ ბანს ი. ზედგინიძეს რომელ „სალი პედაგოგიური“ მოსაზრებით ჰსურდა მას „დედაენის“ განდევნა და გამხმარი „ნერგის“ წამოსკუპება მის ნაცვლად?! ან როგორ უინაურ მოკეთეთ მიაჩნიათ თავიანთი თავი ბ. ბ. ჯაფარიძესა და ზედგინიძეს, როცა ისინი გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს სდევნიან და სხვებს კი მისს ნამდვილს დამცველებს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების უინაურ მტრებად ჰსახავენ.

აი რა სიტყვებით გვამკობენ ეს სწორუპოვარი პედაგოგები: „ბ. ბოცვაძეს ყველგან ი- გოგებაშვილის მტრები ელანდება. ჩვენ კი გვგონია, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს უინაურებში მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს და **ეს მტერი ბ. ბოცვაძეა** (ხაზი მათია), რომელსაც ჰგონია, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელონი რაც უფრო დაძველებიან და ხელშეუხებელნი დარჩებიან, მით უფრო მოსაწონი და სასარგებლონი იქნებიან ჩვენი მოზარდი თაობისათვის. ეს ბ. ბოცვაძის **სალი** (ხაზი მათია) პედაგოგიური შეხედულობაა „და სხ. (შადრევანი № 18). ამ ამოწერილ ადგილში, რაც სიტყვაა, ყველგან ბოროტი ცილის-წამებაა, განძრახ შეთითხნილი, რომ

მოპირდაპირეს მკითხველის თვალში სახელი გაუტეხოს და მტრად დასახოს. მაგრამ ასეთის საშუალებით ჩვენი მოკამათენი შორს ვერ წავლენ, ფონს ვერ გავლენ და თვითვე ჩაიხრჩვებიან თავის-სავე წუმბეში. „ბოცვაძე ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების უინაური ერთად ერთი მტერიაო“ ხაზ გასმით და ლაღად გაიძახიან ჩვენი მოკამათენი ზედგინიძე—ჯაფარიძენი. თუ როგორი მტერი ვარ განსვენებულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა, ამის შესახებ ლაპარაკი ზედ მეტად მიმაჩნია, ეს კარგად უნდა იცოდეს ფართე საზოგადოებამ და იმ მასწავლებლებმა, რომელთაც თვალ-ყური უდევნებიათ საზოგადოთ ჩემი ნაწერებისა და კერძოთ განსვენებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შევსებულ-შესწორებულ გამოცემათა შესახებ, რაშიაც უმთავრესი შრომა თქვენს უმორჩილეს მონასხვდა წილად. ამას ნათლად ჰმოწმობენ თვით საქმენი და არა მარტო სიტყვები, მაგრამ განა ეს საიდუმლოებაა თვით ჯაფარიძე—ზედგინიძისათვის, რომელნიც განძრახ გაურბიან სინათლეს, რომ მოპირდაპირეს მეტი ჩრდილი მიაყენონ! დიად, ვისიმე მტრად დასახვა და ისიც ხაზ გასმით, ცოცხლად დამარხვას მოასწავებს, მაგრამ მოწინააღმდეგენი ასეთის საშუალებით, თავისივე ხელით თვითონ ითხრიან სამარეს.

„ბ. ბოცვაძის აზრით გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ძალიან მოუხდებათ ანაბიოზი, ივინი უნდა გაიყინონ და ასე გაყინულნი იყვნენ ქვეყნის დასრულებამდისო“. (შად. № 18) საიდან გამოჰყავთ ეს უცნაური დასკვნა ჩვენს სიმართლისა და სინათლის მოყვარე პედაგოგებს? აი საიდან, შარშან „განათლე-



ბის, № VIII-ში ერთმა სახალხო სკოლის გამოცდილმა და დაკვირვებულმა მასწავლებელმა კოტე სენხიაშვილმა პატარა შენიშვნა დაჰბეჭდა „დედაენის 1 და 2 ნაწილის სწავლების შესახებ. მან გამოსთქვა თავისი დაკვირვება, რომ ზოგიერთი მასწავლებლები ხსენებულ სახელმძღვანელოს ღირსებას კარგად არ იცნობენ, არ აქვთ შესწავლილი და შეთვისებული ისე, როგორც მას საქმე თხოულობსო; შიგ მოთავსებულ სასაუბროებს და საპასუხოებს ხელაღებით სტოვებენ იმ მოსაზრებით, რომ ეს ბავშვებმა იციანო, ან ამას ბავშვები ვერ გაიგებენო. მოთხოვნებისა და ლექსების შესწავლასაც ესევე ემართება. სტოვებენ ზოგიერთ მოთხოვნებს და ლექსებს თითქმის ყოველი ორი გვერდის ან სამი გვერდის შემდეგ. ბევრჯელ რამდენიმე ფურცლის შემდეგაც გადახტებიან და მიდიან ასე უზო-უკვლოდაო“ და სხვა და სხვა „განათლება“ № VIII—1914 წ. გვ. 429). ამის შემდეგ ბ-ნი სენხიაშვილი თხოულობდა, რადგანაც ყოველს მასალას სახელმძღვანელოში, ლექსებს თუ მოთხოვნებს ერთი ერთმანეთზე დიდი კივირი აქვთ, შეხორცებული არიან ერთმანეთზე და ერთს მთლიანს ორგანიზმს წარმოადგენენ, ამიტომ გამოტოვებაც ბუნებრივი და პედაგოგიური კანონების დარღვევააო“ და სხ. და რადგანაც ამ წერილს მე შენიშვნა არ გავუკეთე, ბ. ბ. ვ. ჯაფარიძესა და ზედგინიძეს ის დასკვნა გამოჰყავთ, თითქოს „დედაენაში“ პირადად ყველაფერი მომწონდეს და მის ანაბიოზსა და ხელ-შეუხლებლობასა ვქადაგებდე, რასაც არც ერთი სახელმძღვანელო არ განიცდის, თუ იგი კვალდაკვალ მისდევს აწინდელ პედაგოგიურ საკითხების ევოლუციას,

რაც განსვენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსაც არა ერთხელ განუცდიათ და განიცდიან კიდევ.

ამას წინაღობა მასწავლებელთა ერთს კრებაზე ქალაქის სკოლის ერთმა გამგემ საჯაროდ წარმოსთქვა „დედაენის“ ორივე ნაწილს ჩემს სკოლაში ერთს წელიწადს ათავებენო. ორივე წლის კურსი რომ ერთ წელიწადს ასწავლო, რამდენი მასალა უნდა გამოტოვო წიგნიდან და ამაში ბ-ნი კოტე სენხიაშვილიც მართალია. გარდა პირადი რჩევისა, რაც არა ერთხელ საყურადღებოდაც მიუღია განსვენებულს გოგებაშვილს, მწერლობაშიაც კი შევხებივარ სახელმძღვანელოების საკითხს და მათ შორის გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსაც. ოცდაერთის წლის წინადადებულს გოგებაშვილს ვურჩევდით შეედგინა მეთოდური სახელმძღვანელო „დედაენისათვის“, „რადგანაც ის ასწავლიდა მასწავლებელს და მოუშალებელს ოჯახს წიგნის საუკეთესოდ ხმარებას და ამასთან ასეთს მეთოდურს სახელმძღვანელოში შეიძლება მოქცეული იქნას ისეთი სავარჯიშოები, მაგალ. ვრცელი „სასაუბროები“, რომელიც განუმარტებლად აზნევს ბევრს მცირედ მომზადებულს მასწავლებელს. მე მარტო ერთი არ მინახავს ისეთი მასწავლებელი და სკოლა, სადაც „დედაენაში“ მოთავსებულს სასაუბროებს ისე აკითხებენ მოწაფეებს, როგორც რომელსამე სტატიას იმავე წიგნიდან“ (იხ. „მწყემსი“ 1894 წ. № 17, გვ. 10.)

რასაკვირველია, არ შეიძლება ყველა ის მასალა ზედ მიწევნით საუკეთესო იყოს, რაც მაგ. „დედაენაშია“ ამ ჟამად და რომ ამ მასალებსაც გაცხრილვა და შევსება ესაჭიროება, ამის წინააღმდეგ არაოდეს არ ვყოფილვართ, მაგრამ ვიდ-

საქართველოს
რომელიც

რე გაიცხრილებოდეს, უკეთესი იქნება მასწავლებელი იმ გზას ადგეს, რასაც ბ-ნი კოტე სენიაშვილი ურჩევდა იმ მასწავლებლებს, რომლებიც „დედაენიდან“ „უდიერად სტოვებენ მასალებს და ამით ნამდვილს ბრძოლას უცხადებენ ჩვენს ენას, სახელს უტეხენ სკოლებს და სამარცხვინოდ ჰხდიან ხალხის წინაშე“ („განათლება“ № VIII 1914 წ.)

გამოცდილსა და საქმეში ჩახედულს სახალხო სკოლის მასწავლებელს, რომელსაც მრავალ-წლობით ხელში სჭერია გოგებაშვილის წიგნები და თავისი დაკვირვებანი აღუნიშნავს, უფრო მეტი დაეჯერება, ვიდრე ბ. ბ. ვ. ჯაფარიძესა და ზედგინიძეს, რომელთაც გოგებაშვილის წიგნები ერთხელაც ხელში არ აუღიათ და თავისნი სიყმაწვილის დღენი თათრისა და სომხის სკოლებში მუნჯურის მეთოდით რუსული „აზბუკას“ სწავლებისათვის შეუწირავთ.

მეორე საზიზლარი ცილის წამება, რომელიც თავს მოგვახვია ჩვენმა ზრდილობიანმა მოკამათებმა ის არის, როგორც თვითონ თავისივე სიტყვებით აღიარებენ:

„ბ. ბოცვაძესა ჰგონია, რომ მთელი (ი) საქართველოში მოიძებნება მხოლოდ ერთი საღი პედაგოგიური შეხედულობის მქონე მასწავლებელი და ეს მასწავლებელი ბ. ბოცვაძეა, დანარჩენნი მასწავლებელნი კი სულ ყველა წყალ-წადლებულნი უვაცნი და ზნეობა დაცემულნი არიან! („შადრ. № 18). (ხაზი ჩემია).

ტყუილად ჰგონიათ ბ. ბ. ჯაფარიძე-ზედგინიძეებს, რომელნიც ამ შემთხვევაში ნახევრად „შადრევანის“ რედაქციის აზრს იმეორებენ, რომ ბოცვაძეს თავისთავი მარტოდ მარტოდ მიაჩნდეს იმ პედაგოგიურს საკითხებში, რომელსაც თვითონ აღიარებს ჟურნალ „განათლება-

ში“. თანამოაზრეთა რიცხვი, რომელიც ნიკ განიზიარებენ ჩვენი ჟურნალის მიმართულებას, მრავალზე მრავალია, მას არ იზიარებენ მხოლოდ ჯაფარიძეები, ზედგინიძეები, „კოლხიდის“ ცნობილი „პედაგოგი“ და თითო ოროლა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი. მაგრამ ეს განდგომილნიც, თუ კარგად ჩაუკვირდებიან საქმეს, უმრავლესობის ბანაკისკენ მიიქცევიან და ყოველს შემთხვევაში მარტოდ მარტო ლელოსმინც ვერ გაიტანენ და ჩვენს გამოფხიზლებულს ხანაში ვერც ბევრს თანამოაზრეს იშოვნებენ, რადგანაც როგორც მოგახსენეთ ჯაფარიძისა და ზედგინიძისებური მიმართულება პედაგოგიაში დასაგმობია, დაგმობილია და სამარდისოდაც უნდა დაიგმოს. ამაში ღრმად დარწმუნებულნი ვართ. რაც უნდა ღობე-ყორეს მოედვნენ ზედგინიძე-ჯაფარიძეები თავიანთი მრუდე მსჯელობით ვერავის დაარწმუნებენ ჩვენს მტრობაში პედაგოგიურის საკითხების შესახებ და ვერც იმაში, თითქოს მე სადმე გამომეთქვას ისეთი აზრი, რომ სახალხო მასწავლებლები „ლატაკნი არიან გონებრივად და ზნეობრივად“. ვიცით რა განზრახვით მოგვაწერს ეს ფრაზები ბ. ბ. ჯაფარიძემა და ზედგინიძემ, მაგრამ ჩვენი მკითხველებიც ადვილად მიხვდებიან იმას თუ, რა არა საკადრის ღონისძიებას მიმართავენ ჩვენი მოპირდაპირნი. ვინც იმ წერილს ჩაუკვირდება, საიდანაც ეს ფრაზაა ამოღებული, დარწმუნდება, რომ ავტორს ყველა მასწავლებლები არ ჰყოლია მხედველობაში, მაგრამ მაინც მოკლედ მოვაგონებ, რომ ეს პოლემიკა აღიძრა ორ სახალხო მასწავლებლის ბ. ტიტო კრიხელისა და გ. ანს შორის. პოლემიკა დაიწყო გაზეთ „თემის“ წარსულ წლის № 192,



სადაც ბ-ნ ტიტოს დამნაშავედ გამოჰყავდა სოფლის მასწავლებელი და მღვდელი, რომ ისინი თავიანთ დანიშნულებას პირნათლად არ ასრულებენო და სხვა... ამაზე ჟურნალ „განათლებაში“ (იხ. № IX 1914 წ. გვ. 709) პასუხი გასცა ბ-ნმა გ. ა—ნმა. ამ ორივე სახალხო მასწავლებლის შენიშვნები იმდენად მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნდა რედაქციას, რომ მისს შესახებ კამათი არ იქნებოდა საზოგადო მნიშვნელობას მოკლებული, ამიტომ ამ წლის „განათლების“ № 1 რედაქციამ, წარმოდგენილ საბუთების განხილვის შემდეგ, ადგილი მისცა ჟურნალში ტიტო კრიხელის პასუხსაც! „რანი ვართ“, მაგრამ ამით პოლემიკა არ დასრულებულა. ბოლოს რედაქციამ „განათლების“ № IV-ში ადგილი მისცა გ. ანის პასუხის პასუხს—**აი, რანი ვართ!** ამით მოსპო რედაქციამ კამათი თავისის შენიშვნებით, რომლიდანაც მკითხველი მიხვდება ჩვენს აზრს სახალხო მასწავლებლებზე და არა იმას, რაც ინებეს ბ. ბ. ზედგინეძემ და ჯაფარიძემ და ჩვენ მოგვაწერეს. მათ აღბად არ ინებეს გაეთვალისწინებიათ პოლემიკის დედა აზრი და ბოლომდის ჩაჰყოლოდნენ, რადგანაც ეს მათთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა და მიზეზსაც ხომ ვერ გვიპოვიდნენ რასმე.

ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე სახუმაროდ არ გამოდიან ბრძოლის ველზე, მათ უნდათ „თავისებური სალი ატმოსფერის შექმნა“ პედაგოგიურს საკითხებში, მაგრამ დაეკითხნენ მაინც თავიანთ

თავს თუ რამდენად „სალი პედაგოგიური აზრები“ უტარებიათ მათ დღემდის და რამდენი აბები გადულლაპავთ მათი ვითომდა „სალი პედაგოგიური აზრები“ სათვის“.

ტყუილად გვწამებენ ბ. ბ. ჯაფარიძე და ზედგინიძე ტერორის მეთაურობას. თუ ვინმე საბუთიანად დაგვიგმია ლალა-ტისათვის, უექველად ღირსიც იქნებოდა. ღირსეულთან და ქვეყნის მოკეთებთან ყოველთვის ღმობიერება და მოკრძალება გამოგვიჩენია. ესე იგი მოექცეულვართ ისე, როგორც უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც თავის ქვეყნის მომავალი აინტერესებს. უექველია ჩვენ მიერ გაკაცხულნი ჩვენთან კეთილ განწყობილებით აღჭურვილნი არ იქნებიან და შეიძლება მათ შორის ბ. ბ. ვ. ჯაფარიძე დმ ი. ზედგინიძეც იყვნენ. მაგრამ ყველას უფლება აქვს ღირსეულის ღონისძიებით თავი იმართლოს და ცილის წამება იარაღად არ გაიხადოს.

როგორც სჩანს ბ. ბ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის წერილი, „შადრევანის“ № 18-ში დაბეჭდილი, შესავალია იმისი, რასაც მომავალში გვპირდებიან. დეე, ასე იყოს, მხოლოდ აქედანვე ვაფრთხილებთ ბ. ბ. ჯაფარიძესა და ზედგინიძეს, როცა პიროვნებას ეხებიან მეტი უტყუარი საბუთია საჭირო და არა ისეთი მიკიბულ-მოკიბული აზრები, რასაც ისინი ხშირად მიჰპირთავენ ზოლმე. არც ჩვენ გავექცევით. ვნახოთ!

ლ. ბოცვაძე.





„Яковъ Гогобашвили. „Русское слово“ для грузинскихъ школъ, Часть первая, изд. 24-ое. Общества распространения грамотности 1915 г.*) Часть 1915

სულ ერთი არაა, რომელი მეთოდის საშუალებით ასწავლიან ქართველს ბავშვებს რუსულს, მათვის უცხოა, არა მშობლიურს ენას... განსვენებულმა, დიახ ფრიად დამსახურებულმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა, დავიტოვა ჩვენ ერთი თავის მიერ მრავალ წელთა განმავლობაში შემუშავებული მეთოდი ქართველთათვის რუსული ენის სწავლებისა. ეს მეთოდი გახლავსთ თვალსაჩინო **თარგმნითი** მეთოდი, რომელიც თავის შორის შეიცავს სხვა ორის მეთოდის, თვალსაჩინოების და თარგმნითის, საუკეთესო ღირსებებს. ეს ღირსებანი არიან: **თვალსაჩინობა, ცოცხალი საუბარი** უცხო ენაზე, რომლის ჟამს სავალდებულოა თავისუფლად ისარგებლოს მასწავლებელმა მოწაფეთა მშობლიური ენით, და **თარგმნა** რუსულიდან მშობლიურ ენაზე და მშობლიურიდან რუსულს ენაზე. ამ ღირსებათა მეოხებით ქართველი ბავშვების რუსული ენის ცოდნას შეგნებული საძირკველი ედგმის, და მათ მიერ ცოდნათა შედეგის შეძენა მომავალში უზრუნველყოფილია. საღი პედაგოგიური მეთოდი, მიმართული ბავშვის სულიერი ბუნების თავისუფალი განვითარების მოთხოვნილებათა მიხედვით, არ სჩაგრავს, არ სტუქსავს, არ ამახინჯებს მის სულიერს ძალთა და ნიქთა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი მოთხოვნილებათა განხორციელებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართულს სკოლებში, სადაც ქართველი ბავშვი პირველი დღიდანვე ხვდება სიძნელეს, რომე-

ლიც უნდა სძლიოს. ეს სიძნელე გახლავსთ მის მიერ უცხო, არამშობლიური რუსულის ენის შესწავლა, იმ ენისა, რომელიც თავისის ლექსიკონით, გრამატიკული აგებულობით და მართლწერით ძირითად განსხვავდება ქართული ენიდან... რამდენი ქართველი მოწაფე ცუდის მეთოდის და სწავლების მეოხებით უდროვოდ წელში იხრება, ვერას იგებს რუსული ენისას, სხვა მეცნიერებისას და ეთხოვება სამუდამოდ სკოლას გულდაწყვეტილი. „არ უნდა დავივიწყოთ—ამბობს ბ. სებასტიანე, ფორი—რომ ბავშვის ტვინი ძლიერ პატარაა, და ამის გამო ბევრი ცოდნის შეთვისება არ შეუძლია. უფრო კარგია ადამიანმა ცოტა რამ იცოდეს, მაგრამ საფუძვლიანად. მეტად უნდა ვაფასებდეთ ცოდნათა ვითარებას, სანამ რაოდენობას. ისა სჯობია, რომ ბავშვის ცოდნას სიღრმე ჰქონდეს, სანამ სიგანიერე“. (Своб. воспит. 1914—1915 г. № 6). ნუ დავივიწყებთ, რომ ამას ბ. ფორი ამბობს საფრანგეთის სკოლების შესახებ, სადაც სწავლება მშობლიურს ენაზე სწარმოებს. რაღა უნდა ვთქვათ ჩვენი სკოლების შესახებ, სადაც ორს ენას სწავლობენ მოწაფენი: მშობლიურს და რუსულს? ცხადად სჩანს, რომ კარგი მეთოდი რუსული ენის სწავლებისა ჩვენს სკოლებში დიდი თანაგრძობის ღირსია. მხოლოდ ერთს მტკნარ უვიცობას და სავალალო ზიარე-ქვარელობას ძალოდს ვაილაშქროს ასეთი საღი მეთოდის წინააღმდეგ.

თვალსაჩინო თარგმნითი მეთოდი ცნობილია შეგნებულ პირთა მიერ რუსული ენის შესწავლისათვის არა

*) ვბეჭდავთ ამ წერილს გაზეთ „თემიდან“ ბ-ნი „ძველი პედაგოგის“ საყურადღებოდ.



რუსთა სკოლებში საუკეთესო მეთოდად, რომლის მეოხებით მოწაფის ბუნებრივი განვითარება დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს. ქართველი ბავშვები ამ მეთოდის მეოხებით სწავლობენ რუსულს ენას ხალისით და შეგნებით... არაფერი არაა ისე მავნებელი და მომაკვლინებელი, როგორც სწავლების ჟამს თუთიყუშური ზეპირობა სიტყვებისა და წინადადებათა, მათის შინაარსის შეუქნებლად. საზოგადოდ თუთიყუშური ზეპირობა თითქმის დღესაც კი გამეფებულია სკოლებში, დღესაც უთხრის ის ახალთაობას სამარესა. ამის მეოხებით, ვიტყვით რუსთა პედაგოგის ი. გორბუნოვ-პოსადოვის სიტყვით: „ჩვენი ერთფეროვანი თაობანი გარინდებულნი მოსდევენ ერთმანეთს; მათი სულიერი ფრთები შეკვეცილია; მათი ტვინი და ნერვები ან გამოფიტული, და ან დამახინჯებულია; მათს გულში საღმრთო ცეცხლი არაა; მათ არ შეუძლიათ მედგარი შემოქმედება და ახალ ცხოვრების შექმნა“ (იხ. Свободное воспитание 1914--1915 г. № 3).

ასეთს მდგომარეობაშია საზოგადოდ დღეს სკოლა რუსეთში, თუმცა სასიამოვნო ნიშნები მისის მომავალის გაუმჯობესებისა აქაიქ კანტი-კუნტად მოსჩანს. უფრო სატირალ მდგომარეობაშია სკოლა ქართველთა შორის ჯერ ერთი საზოგადო საერთო რუსულ მიზეზთა გამო და შემდეგ იმის მეოხებით, რომ ქართველმა ბავშვებმა უნდა შეისწავლონ მათთვის უცხო, არა მშობლიური, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი რუსული სახელმწიფო ენა... არც ერთს ზემოდ ჩამოთვლილი მეთოდის მიერ არაა უარყოფილი მშობლიური ენის დახმარება არა რუსთათვის რუსული ენის სწავლე-

ბის ჟამს... ასე წარმოიდგინეთ, რომ თვით შელცელი, ეს მუნჯური მეთოდის მესვეურიც კი, სთვლის სასარგებლოდ მშობლიური ენის დახმარებას რუსულის სწავლების ჟამს, მაშინ, როდესაც მასწავლებელი საჭიროდ დაინახავს... მაგრამ ამის და მიუხედავად, მისი მეთოდი არსებითად მაინც მუნჯური მეთოდია. მშობლიური ენის დახმარება მის მიერ **სავალდებულო პრინციპად არაა აღსარებული**... ბ. შელცელს სურდა მშობლიური ენისთვის რუსულის შესწავლის ჟამს მავნელი როლის მიკუთვნებით თვისი მუნჯური მეთოდი გაესაღებინა და მისთვის მეტი მომხრეები მოეპოვე ბინა... ი. გოგებაშვილის მეთოდში კი მშობლიური ენის დახმარება თვალსაჩინოების შემდეგ **მეორე სავალდებულო პრინციპადაა აღსარებული**... მაგრამ ამასთანავე იგი აფრთხილებს იმის შესახებ, რომ მათ **ბოროტად არ მოიხმარონ** ეს პრინციპი და მიმართონ მას მაშინ, როდესაც მათის აზრით, ეს საჭიროების მიერ იქნება გამოწვეული... მშობლიური ენის დახმარების სავალდებულო პრინციპად აღიარება — მაჩვენებელია ამ ენის უფლებით მოსილობისა, მისი დიადი როლისა მოწაფის განვითარების საქმეში! ეს საკითხი სახუმარო საკითხი არაა. აღრე იქნება თუ გვიან, ცუდი მეთოდების მეოხებით ქართველს ერს გონებით დამახინჯებული შვილები გაუმრავლდება, თუმცა მათი რიცხვი დღესაც საკმაოდ საგრძნობია... ი. გოგებაშვილმა სხვათა შორის დაგვიტოვა თავის რუსული სახელმძღვანელო: „Русское слово“. ეს სახელმძღვანელო უანდერძა საკუთრებად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ამ წიგნის წინამდებარე

გამოცემა ეკუთვნის ამავე საზოგადოებას. ამ გამოცემის შედარებამ წინანდელ გამოცემებთან დაგვარწმუნა, რომ გამოცემელს მოუხდენია წიგნში ზოგიერთი ცვლილება, რომლის მოხდენაც აუცილებლად საჭირო იყო. უნაკლოდ არა არის რა ქვეყნად. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსაც თან ახლდათ ნაკლულეფანება, რომელთა შესწორებას დიდ დროს ანდომებდა პედაგოგი. ამ ნაკლულეფანებათა შესწორება მისი გარდაცვალების შემდეგაც აუცილებლად საჭირო იყო. ახალს გამოცემელთ ეს საქმე, შეძლებისადაგვარად, შეუსრულებიათ. ობიექტიური, მიუკერძოებელი და სპირადო ანგარიშებს განშორებული შედარება „Русское слово“-ს პირველ ნაწილის 24 გამოცემისა წინანდელს, თუნდა 21 გამოცემასთან, ცხადად დაარწმუნებს ადამიანს, რომ ფრიად საყურადღებო ცვლილებანი შეუტანიათ გამოცემოებს ახალს გამოცემაში. ჩვენ აქ განძრახ არ აღვსუსხავთ ამ ცვლილებათა. თვით მკითხველი, და უფრო კი დაინტერესებული პირველ დაწყებითი სკოლის ქართველი მასწავლებელი, ცხადად შენიშნავს ამ ცვლილებათა, უკეთეს სიწრფოების და ჭეშმარიტების სათვალეებით განიხილავს ახალს გამოცემას და ძველს გამოცემებთან შეადარებს.

კარგის მასწავლებლის ხელში, რომელსაც მეთოდის უმთავრესნი დებულებანი შეგნებული აქვს, „Русское слово“-ს პირველი ნაწილის მეოხებით შეუძლია რუსული ენა ძალდაუტანებლად და საფუძვლიანად შეასწავლოს ქართველს მოწაფეს. ჩვენ აქ არ გვსურს შეგვხოთ „Русское слово“-ს მეორე ნაწილს. ჩვენს ყურადღებას უმთავრესად იპყრობს ამ სახელმძღვანელო წიგნის პირვე-

ლი ნაწილი, რომელიც მიგვანიშნავს ორიგინალურს, განსხვავებულს მოვლენად საპედაგოგიო მწერლობაში. იმის მეოხებით შეიძლება ჩაიდვას რუ ული ენის შესწავლის მტკიცე საფუძველი. ეს ჩვენს ღრმა რწმენას შეადგენს, რომელიც დაშვარებულია 1896—1907 წლების განმავლობაში ჩვენს პირადს დაკვირვებასა და გამოცდილებაზე: სამაგალითო სკოლაში და ხუთი საზაფხულო სამასწავლებლო კურსების ჟამს წარმოებულს მუშაობაზე... ვალდებულნი ვართ მოვიდრიკოთ თავი საღი პედაგოგიური ჭეშმარიტების წინაშე, რომელსაც შეუძლია, ჩვენის ფიქრით, ნამდვილი სარგებლობა მიანიჭოს ქართველს ახალ თაობას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრზე, რომ „Русское слово“-ს პირველი ნაწილის 24 გამოცემა ყოვლად უნაკლოა. ფხიზელი თვალი მასშიც გამოძებნის ნაკლულეფანებას... ყველა მასწავლებელი, ვისაც კი ღრმად შეგნებული აქვს ი. გოგებაშვილის მეთოდის დიადი მნიშვნელობა ჩვენის სკოლებისათვის, **ზნეობრივად ვალდებულია** თვისი შენიშვნები და მოსაზრებანი გამოცემის მომავალი გაუმჯობესებისათვის მიაწოდოს წერილობით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულს სასკოლო სექციას. დაოწმუნებული ვართ, რომ ყოველი სამართლიანი შენიშვნა და დასაბუთებული მოსაზრება კომისიის მიერ სახეში იქნება მიღებული. განსაკუთრებით ძვირფასი დარჩება სოფლის გამოცდელ მასწავლებელთა აზრი ამ წიგნის შესახებ, — აზრი დამოუკიდებელი, მოუფერებელი, მიუკერძოებელი, ობიექტიური. ამ მეთოდის არსებობის გასამტკიცებლად ი. გოგებაშვილმა მრავალი იმღვავა. ცნობილს ვოსტორგოვს სურა



და, რომ ი. გოგებაშვილს თვისი წიგნიდან განედევნა ქართული სიტყვები, და ეს უკანასკნელი მოეთავსებინა ან ცალკე წიგნაკში, ან წიგნის ბოლოში და ან, უკიდურეს შემთხვევაში, სტრიქონების ქვემოლ შენიშვნებში... მაგრამ განსვენებული პედაგოგი მედგრად წინააღმდეგა მედროვე დეკანოზის მზაკვრულის სურვილს და ქართული სიტყვების თარგმანი თავ-თავის ალაგას დასტოვა. ახალს გამომცემელსაც არ უღალატნია ი. გოგებაშვი-

ლის შეხედულებათათვის, და ქართული სიტყვები ისევ თვით ტექსტში დაუტოვებია. წიგნის ბოლოში დართულია ცნობები იმის შესახებ, თუ მასწავლებელმა როგორ უნდა შეადგინოს და მოაწყოს სასკოლო მუზეუმი იმ საგანთა კოლექციისათვის, რომელთა სახელებს სწავლობს რუსულად ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიხედვით.. ამ მუზეუმის შედგენა არც ისე ძნელია. („თემი“)
ი. ფერაძე.

მოწერილი ამბები

წერილი მეჯვრისხევიდან *)

შინ არ იცის, თუ რა დიდი ზასუნსაგები მოვალეობა აქვს დაკისრებული სახალხო მასწავლებელს საზოგადოდ და კერძოდ კი ისეთ ერდგინების მასწავლებელს, როგორც არის ჩვენი მზავალ-ტანჯული ქართველი ერი. ვინ არ იცის, თუ რანაირი ფრთხილი და დაკვირვებული შრომა ესაჭიროება მასწავლებელს, რომ მოზარდთა აღზრდა-განვითარების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს და სწორ გზაზე ატაროს, რათა ამ მსგეულობაში დანიშნულს მიზანს მიახწიოს და სასურველი ნაყოფიც გამოიღოს. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩვენებურ მასწავლებელს საკმაოდ ვერ შეუგნია ეს სახანაო ტემპირიტება თავისი მოღვაწეობისა. ეს კიდევ არაფერი. ასეთი მასწავლებელი თან და თან შეიგნებს და განვითარდება, უკეთუ მას ღვთიური ნაპერწკალი უღვივის გულში. სამწუხაროდ და საგადასაწყვეტად ის არის, რომ ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებში ისეთ ქაღალტონვაჟბატონებსაც შეხვდებით, რომლებიც, ჩვენდა სურბედურად, მაჯლაჯუნასავით თავზე დასწოლიან მოზარდ თაობის აღზრდა-განვითარების საქმეს, და რომელნიც ყოველთვის მზად არიან ჩასწიხლან ყოველივე სვინდისი და ზატოხსნება, უკეთუ ამას „სამსახური“ მოითხოვს და რომელთა წმიდათა-წმიდასაც მხოლოდ და მხოლოდ ერთად ერთი კარიერა შეადგენს. ამათ არავითარი მადლი მისწრაფება არ უღვივის გულში, სამასწავლებლო მოღვაწეობას მოხელის თვალთ უცქერანს, ცოდნა-განვითარებაზედაც მწერადად არიან, სამაგიეროდ, უფროსების წინ ლაქუცი მათი ხელობაა, თვით განვითარებაზე სრულებით თავს არ იწუნებენ და განათლებას მხოლოდ იმით ჭზომავენ, თუ რამდენად მესწონხარ შენ უფროსს, ან და რამდენად ხარ მასთან დახლოვებული ამა თუ იმ „წარჩინებულ“ გვამის საშუალებით; უკეთუ უფროსთან რაიმე „ნათლიმამური“ ან ნათესაური კავშირიც გაქვს, მაშინ ხომ შენს ბედს ძაღლიც ვერ დაჭყეფს. ასეთია ამ ხალხის ფსიხოლოგია, და ვაი იმ მოზარდ ემასწავლებლის ბედს, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეც ამ ჯურის მოღვაწეობის ხელში ჩავარდება...

რუსული ანღზა ამბობს: „ოჯასში ერთი მახინჯი წევრი მაინც გამოერევა“, და ეს

*) ვებქდავო ამ წერილს მცირე შემოკლებით, რომლის სრული პასუხის მგებელია წერილის ავტორი.

რედ.

სრული სიმათლესა. მხოლოდ ჩვენი მოკლევობას ასეთ მახინჯებს შიბობდე ავხადოთ, მათი სახე საზოგადოებას დავანახოთ, საჯაროდ დავგმოთ მათა „საქმენი საგმირობნი“ და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ. დე, ამ ქაღალტან-ვაჟბატონებმა იცოდენ, რომ ქვეყანას ჩაღით დახურული არ არის... და არც მეჯვრისხევის დახურული... ამ წერილში მსურს პატივცემულს მკითხველ საზოგადოებას გავანრო მეჯვრისხევის ორკლასიან სამინისტრო სკოლის მასწავლებლები: ბ-ნი ივ. მთიულშივილი და ქ-ნი ეკ. გიორგობიანი. აქვე უნდა აღვიარო, რომ მე ამ წერილის დაწერის დროს მხოლოდ შიშობელი ხალხის სიყვარულით ვხელმძღვანელობ და არა რაიმე შიშადის სიძულვილით. მხოლოდ ამ სიყვარულმა ამაღებინა კლავში, რათა მთიულშივილებმა და გიორგობიანებმა კარგად გაიგონ, რომ სამშობლო ქვეყნის ინტერესების თვის ქვეშ გათელვა და შიშობელი ხალხის მისწრაფებთა აბუხად ატლებს არც ისე ადვილია გასაბედი საქმეს, როგორც მათ ჰგონიათ.

მთიულშივილი და გიორგობიანი გასულ წლის შემოდგომაზე მოკვლენენ მეჯვრისხევის სკოლას. ამ სკოლის წინანდელ მასწავლებელთაგან ორი დაითხოვეს და ერთი ბაკურიაში გადაიყვანეს. აქ კადმოსვლამდე მთიულშივილი ს. ლამისუანაში მსახურებდა, ხოლო გიორგობიანი კი ერევნის გუბერნიის ერთ-ერთ სომხურ სოფელში. შირველს ორი წლის პრაქტიკა აქვს, მეორეს ოთხის. მეჯვრისხევის სკოლაში შირველი მეIV-ე განყოფილებას მასწავლავდა, მეორე კი მხოლოდ შირველ განყოფილებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთიულშივილის და გიორგობიანის კარდა ამ სკოლაში სხვა მასწავლებლებიც არიან.

როგორც ვიცით, 81 წლ. შრომის თანხმად, ჩვენებურს სკოლებში შირველ წელიწადს სწავლა მხოლოდ სამშობლო ენაზე უნდა სწავრებოდეს. რუსული ენის სწავლება

ამ განყოფილებაში მხოლოდ იანვრის დღეებში, რასაც უნდა მხმარდეს კვირაში 5 ან 6 ნახევარ საათიანი გაკვეთილი. სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო ქ. გიორგობიანიც. მაგრამ მან ეს ნამცეცი შელავთიც კი ვერ გაიმეტა თავის თანამოძმე შეგირდებისათვის და სულ სხვა კილოზე დაიწყო მღერა. თუმცა ინსპექტორს სრულებითაც არ უთქვამს, რომ შირველ განყოფილებაში რუსული ენაზე შემოდეთო, მაგრამ ქ. გიორგობიანმა ამ განყოფილებაში ოქტომბერშივე დაიწყო რუსული ენის სწავლება, რასაც კვირაში ცხრას თუ ათ გაკვეთილს ანდობებდა. კარდა ამისა, ანგარიში სწავლებაც რუსულად დაიწყო. დაინგრა ქართული ენა, ის ტკბილი და ნაწნარი ენა, — „რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა“, დაინგრა ისევე ქართველისაგან... ვაი, სირცხვილო! უფალამ კარგად იცის, რომ მასწავლებელმა ან-ბანის შესწავლას ორ-სამ თვეზე მეტი არ უნდა მოანდომოს. ქ. გიორგობიანმა კი ამას ხუთი თვე მოანდომა, იანვრის დამკვამდე ძლიავს გაათავებს ან-ბანი. ქ. გიორგობიანმა „დედაენის“ შირველ ნაწილის გათავება მარტამდე ძლიავს მოასწრო. კარდა ამისა, მისი მოწაფენი კითხვის დროს თათქმის მუდამ ხმის ასამღლებელს სიტუვს ბოლოში უკეთებენ, გეგონება სომხურს ან ფრანგულს კითხულობენ. ქ-ნი გიორგობიანი ასეთ ერთგულ „სამსახურისათვის“ უფროსისგან რაიმე განსაკუთრებულ მადლობას ან უკრადლებას მოელოდა, მაგრამ ვერაფერი მიიღო...

ბ-ნი მთიულშივილი მოკვლანა თუ არა სკოლას, მაშინვე თავისს მოწაფეებს ქართულ ენაზე ლაპარაკი აუკრძალა, ერთგვარი „ბილეთი“ შემოიღო (თათრული ფული და რომელი მოწაფეც ქართულად დაილაპარაკებდა, მას ამხანაგი ბილეთს ჩასწრდა სკოლაში; ახლა ამას უნდა ეძებნა ისეთი ამხანაგი, რომელიც ქართულად გაჭებავდა ლაპარაკს, რომ ეს წიგნული ბილეთი მისთვის გადაეცა; გაკვეთილების გათავებისას, ვისაც ბილეთი



შეჩებოდა, ის უსაღილოდ უნდა დარჩენი-
ლიყო. უნდა გენახათ დასვენებების დროს
ეს საცოდავი ბავშვები როგორ დამუნჯებული
იდგნენ და ერთმანერთს შესტკეპდნენ. სა-
წყაღ ბავშვს უნდა გაუზიაროს თავის ამხა-
ნავს თავისი აზრი და სულიერი განცდანი,
მაგრამ რუსულ ენაში ვერ არის საამისოდ
გაგარჯობებული, ხოლო სამშობლო ენაზე
დაზარაკი კი აკრძალული აქვს, და ამიტო-
მაც თავის სურვილს გულშივე იკლავს. ან
კი რა უნდა ჭქმნას საბრალდომ, როდესაც
მასწავლებლის რისხვისა ეშინიან... ამავე
მათ— ის კლასში ქართულ ენას უკანასკნელი
ადგილი ეჭირა, მთელი წლის განმავლობაში
მეწაფეებს მხოლოდ ორიოდვე ლექსის გარ-
და სხვა ანაფერი უსწავლიათ; ან კი რას
მთავრობდნენ, როდესაც კვირაში მხოლოდ
ორი გაკვეთილი და ჭქმნდათ. თუმცა ეს
ასე იყო, მაგრამ იმინც მთიულში იდგა რუ-
სულ ენაშიაც ვერაფერი გააკეთა. ანგარიში
ხომ ვეფლავებ ცუდად არის დაეყენებული:
მე IV განუ. შეგირდებმა გამრავლება—გა-
ყოფის ტაბულაც კი არ იცინა პირველ
ასეულის ფარგლებში. მე-V განყოფილებაში
ანგარიში სრულებით არ უსწავლებია, მარტო
გემეტრიას ასწავლიდა, თუმცა კი ამ გან-
ყოფილებაში, პრაგმატის თანხმად, როგორც
გემეტრიას, ისე არითმეტიკის სწავლებაც
სავადლებულა.

რამდენადაც ვიცით, ჩვენებურ სკოლების
მე-IV და V განყოფილებებში, სხვათა შო-
რის, სამშობლო ქვეყნის მოკლე გეოგრაფია
და ისტორიაც ისწავლება. ბევრი ისეთი ერთ
კლასიანი სკოლაც კი ვიცი, სადაც მასწავ-
ლებელი მესამე განყოფილების ბავშვებს აც-
ნობს სამშობლო ქვეყნის აღწერას და თავ-
გადასავადს. ბ. მთიულში იდგის კლასში კი
სამშობლო შესწავლას სრულებითაც ადგილი
არა ჭქმნდა. ბავშვები წიგნიდან თუთაყუში-
ვით იზუპირებდნენ სხვა ქვეყნის ისტორია-
გეოგრაფიას, ხოლო თავიანთ საყვარელ ქვე-
ყნის შესახებ კი ანაფერი ცოდნა არ მიუ-

ღიათ. თუ რამდენად შეესაბამება სწავლების
ასეთი წესი საღ შედაგოგიურ პრინციპებს,
ამისი გარკვევა—დაფასება პატრიოტულ მკი-
თხველ საზოგადოებისათვის მიმინდვია;


31 იანვარს ადგილობრივი წვრილი
კრედიტის დარბაზში შეიკრიბა საზოგადოე-
ბის შეგნებული ნაწილი. ამ კრებაზე მსჯე-
ლობა იყო იმის შესახებ, თუ როგორი
პატივი ეცათ ახლად გარდაცვალებულ მგო-
სნის და სამშობლო ქვეყნის სიამაყის
დიდებულ აკაკის ხსოვნისათვის. ბ. მთიუ-
ლიში იდგის და ქ. ეკ. გიორგობიანიც
აქ ბრძანდებოდნენ. კრებამ, სხვათა შორის,
დაადგინა ფული შეეკრიბნათ პატივის სახე-
ლობის ფონდის სასარგებლოდ და მასწავ-
ლებლებს ქ. ქ. ნ. არსენაძეს და გიორგო-
ბიანს სთხოვა, რათა ფულის შეკრება მათ
ეთავსათ. პირველმა სიამოვნებით მიიღო ასე-
თი დავალება, ხოლო მეორე კი დიდს
უარზე დადგა. ქ. გიორგობიანს საზოგადოე-
ბამ მანინც კიდევ განუყოფა თავისი თხოვნა.
ამ დროს წამოდგა ბ-ნი მთიულში იდგის, არც
იცოვს, არც აცხელა და იქ მეოთხე ასეთის
სიტყვებით მიმართა:

— „პატონებო! ერთი რამ ქ. გიორგო-
ბიანს მაგისთვის მოცდება არა აქვს და
მეორეც ის უნდა მოგასხენოთ, რომ ინს-
ტრუქციის ძალით მასწავლებელს
აწავითარი უფლება არა აქვს, რომ
რომელიმე ს. ქველმოქმედო მიზნით
ფულის შეკრებაში მონაწილეობა მი-
იღოს!“

ამ სიტყვებმა საზოგადოება მეტად გააღრა.
დე, მეთხველმა საზოგადოებამ დასდოს
მსჯავრი და შესაფერისად დაფასოს მათი
მოქმედება. აქვე უნებლიედ მოგონდება ერთი
ქართული ანდაზა: „ხეშ სთქვა: ეს რკინის
ცუდი შეგონას დამაკლებს, რომ ჩემივე ძმა
შიგ არ ეჩებოდეს!“...

ბაგრატ ბეთანელი.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.



სნობუბი

ქ. შ. წერა-პითხვის გამავრსელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ზუგდიდის განყოფილების 4191 წლის
ანგარიში

1. გამგეობის შემადგენლობა და მისი სხდომები.

გამგეობა საანგარიშო წლის დაწყებიდან 15 მარტამდე შესდგებოდა 6 წევრისაგან. საანგარიშო წლის 15 მარტს განყოფილების წლიურმა კრებამ აირჩია კიდევ ორი გამგეობის წევრი—ბ. ბ. ანდრია პატარაია და ბაგრატუგულავა, -და გამგეობის წევრთა რიცხვი ავიდა 6-დან 8-მდე. გამგეობის მდივანი ბ. ნიკო ბუკია სამსახურის გამო საანგარიშო წლის დაწყებიდანვე გადაიყვანეს ზუგდიდიდან, და მის მაგიერად გამგეობამ მდივანად აირჩია ბ. სოკრათი კეშელავა. შემდგომ, აგვისტოს პირველ რიცხვებში გამგეობას გამოაკლდა კიდევ ორი წევრი. ა. პატარაია (ომში გაიწვიეს) და გამგეობის ხაზინადარი გ. ხერხეულიძე (გადავიდა ქუთაისში); ამავე თვის უკანასკნელ რიცხვებში გამგეობას გამოაკლდა მდივანი ს. კეშელავა, რომელიც გაემგზავრა რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად. ამ რიგად, გამგეობის წევრთა რიცხვი შემცირდა 4-მდე, რომელთა შორის ბ. უგულავა არჩეულ იქმნა ხაზინადრად და მასვე მიენდო მდივნობა დროებით, ხოლო წევრთა შესავსებად გამგეობამ მოიწვია ერთ-ერთი კანდიდატთაგანი, რომელსაც კრებაზე მეტი ხმა ამოუვიდა; სახელდობრ. გრ. რეიკინი. 26 ოქტომბერს გასული წევრების სამაგიეროდ განყოფილების საგანგებო კრებამ აირჩია 4 წევრი: ქ-ნი მარიამ ჟორდანიას ასული, ბ. ბ. მიხეილ პატარაია. ილარიონ მიქელაძე და ივანე ოსიძე; უკანასკნელი გამგეობამ აირჩია მდივნად. ამ რიგად, საანგარიშო წლის ბოლოს გამგეობაში შედიოდნენ: 1) გამგეობის თავმჯდომარე აქვსენტი ფაღავა, 2) მისი ამხანაგი ძლიმენტი ლორთქიფანიძე, 3) ხაზინადარი ბაგრატ უგულავა, წევრი: 4) ქ-ნი ეკატერინე კვიციას ასული, 5) ქ-ნი მარიამ ჟორდანიას ასული,



6) ბ. მიხეილ პატარაია, 7) ბ. ილარიონ მიქელაძე და 8) წევრი-მდივანი ივანე ოსიძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა სულ 17 სხდომა.

II განყოფილების კრებები:

ა) განყოფილების წლიური კრება.

განყოფილების წლიური კრება მოხდა საანგარიშო წლის 15 მარტს. ამ საზოგადო კრებამ განიხილა რა 1913 წლის ანგარიში და გამგეობის მოქმედება და მოისმინა რა მომავალი 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, ყოველივე რიგიანად სცნო და დაამტკიცა. ამასთან, კრებამ აირჩია თავიანთ შორის ორი გამგეობის წევრი, ერთი სარევიზიო კომისიისა და მიიღო 58 ახალი წევრი.

ბ) განყოფილების საგანგებო კრება.

26 ოქტომბერს განყოფილების თავმჯდომარის თ-დი აქვსენტი ფალავას მოწოდებით მოხდა განყოფილების საგანგებო კრება. რომელმაც თავიანთ შორის აირჩია 4 გამგეობის წევრი, ერთი კანდიდატი და მიიღო 23 ახალი წევრი.

III გამგეობის მოქმედების უმთავრესი მხარეები.

ა) გამგეობამ თავისი წევრებისა და წარმომადგენლების დახმარებით გააძრავლა განყოფილების წევრთა რიცხვი და შესძინა მას 57 ახალი წევრი.

1913 წელს განყოფილებას ყავდა 102 წევრი.

1914 „ „ „ მიემატა 57 „ „

ამ რიგად, განყოფილების წევრთა რიცხვი საანგარიშო წლის განმავლობაში 102-დან 159 მდე ავიდა. ამ რიცხვიდან გამოსაკლებია 11 წევრი, რომელნიც, თუ სამსახურისა და თუ სხვა მიზეზების გამო, გადავიდნენ სხვა ქვეყნებში და მომავალი 1915 წლის წევრებად აღარ ჩაითვლებიან. მაშასადამე წლის ბოლოს განყოფილება შესდგება (159-11) 148 წევრისაგან.

განყოფილების წევრებზე საანგარიშო და იშვიათად (ორი-სამი) 1913 წლების გადასახანადი ვალად ითვლება 174 მანეთი.

ბ.) 1914 წელს 27 მარტს გამგეობამ დაადგინა — შიკრიბოს ადგილობრივი მცხოვრებნი, იქონიოს მასთან მსჯელობა სააღდგომო დარბაზობისა და სუფრის გამართვის მანებლობაზე და შესცვალოს ეს არასიმპატიური ჩვეულება სხვა სასარგებლო საქმეთი. გაიმართა ხელის მოწერა მცხოვრებთა შორის „სააღდგომო სუფრის“ ნაცვლად და შეგროვდა 54 მ. 50 კ., რომელიც გადავიდდა მომავალი შკოლის სასარგებლოდ.

გ.) საანგარიშო წლის 25 მაისში გამგეობამ გამართა ქართული შკოლის სასარგებლოდ დ. ზუგდიდში საჯარო სეირნობა ბედის კასრით, რისთვის წინდაწინ მოაგროვა სხვა და სხვა პირთაგან ნივთიერი შემოწირულება და აგრედვე სხვა და სხვა პირთაგან კომისიის თავმჯდომარემ ქ-ნ. რ.

ტ. ჩერნოვისამ, რომელსაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ სეირნობის გამართვაში, მიიღო შემოწირულება ფულად სეირნობამ წმინდა შემოსავალი დასტოვა 709 მ. 50 კ., რომელიც სააღდგომოდ ხელის მოწერით შემოსული 54 მ. 50 კ.—იანათ შეადგენს სკოლის გასახსნელ და მოსაწყობ ფონდს.

2) სახალხო წიგნთსაცავ სამკითხველოების გახსნა.

საანგარიშო წლის პირველ იანვრიდან ზუგდიდის განყოფილების მზრუნველობაში იმყოფებოდა მხოლოდ დ. ზუგდიდის წიგნთსაცავ-სამკითხველო. წარსული 1913 წლის ბოლოს დადგენილი იყო გახსნილიყო ორი სამკითხველო—ერთი დ. ხობში და ერთიც ს. ქვალონში. ეს სამკითხველოები საანგარიშო წლის პირველ თვეებშივე გაიხსნა. ხობის სამკითხველო დღეს უკვე ნორმალურად მოქმედობს და უკეთესობა ემჩნევა; ხოლო ს. ქვალონის სამკითხველოს მისი გამგის გულგრილობა აფერხებს, და გამგეობაც ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას, ვინაიდან დ. ზუგდიდზე ს. ქვალონი მეტად დაშორებულია და საერთოდ არეულ დროებმაც ხელი შეუშალა. ამათ გარდა 1914 წლის განმავლობაში გამგეობამ გახსნა კიდევ ორი სამკითხველო—ერთი ს. წალენჯიხაში და მეორე ს. დარჩელიში. ამ რიგათ, საანგარიშო წლის ბოლოს გამგეობის მზრუნველობაში იმყოფება სულ ხუთი წიგნთსაცავ-სამკითხველო: 1) დ. ზუგდიდში. 2) დ. ხობში, 3) ს. დარჩელიში, 4) ს. წალენჯიხაში და 5) ს. ქვალონში ყველა ამ სამკითხველოებს, გარდა უკანასკნელისა, საკმაოდ აქვს გამოწერილი ქართულ-რუსული ჟურნალ გაზეთები მხოლოდ, ქართული საკითხავი წიგნებით, სამწუხაროდ, მეტად ღარიბია. თითქმის მარტო ზუგდიდის ბიბლიოთეკაში თუ იპოვნი ქართულ წიგნებს, თორემ სხვა ბიბლიოთეკებში ჯერაც არ არის. გამგეობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს შეავსოს სამკითხველოები ქართული წიგნებით, გაუღვიძოს ხალხს კითხვის სურვილი და მით ხელი შეუწყოს მის განვითარება—შეგნებას.

3) წიგნთსაცავ სამკითხველოებისათვის ნიკთიერი სწრუნვა.

გამგეობას 1914 წლის განმავლობაში განყოფილების მზრუნველობაში მყოფი წიგნთსაცავ-სამკითხველოებისთვის ნიკთიერი დახმარება არ აღმოუჩენია, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ახალ გახსნილი წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, დაუმზადა საქმის წარმოებისათვის საჭირო წიგნები და საკვიტანციო წიგნაკები რომლებიც დაუგზავნა უფასოდ. ხოლო წლის ბოლოს გამგეობამ დ. ხობისა, ს. ს. დარჩელი და წალენჯიხის სამკითხველოებს გამოუწერა 1915 წლის ქართული ჟურნალ-გაზეთები, რაზედაც ერთად გამგეობას დაეხარჯა 26 მ. 25 კ.

4) სკოლის საკითხი.

გამგეობის მზრუნველობის საგანს, განყოფილების დაარსების დღიდანვე შეადგენდა ქართული სკოლის გახსნა დ. ზუგდიდში, სადაც ქართული—ადგი-



ლობრივი მკვიდრთა—დედა-ენა, სამწუხაროდ, მეტად დაბეჩავებულია ქართული შკოლის გახსნა, მისი მოწყობა და კარგ ნიადაგზე დაყენება თითქმის მიზნად გარდაექცა გამგეობას. არ გვიზოგავს ჩვენი ძალ-ღონე მივღწევოდით ამ მიზანს. ყველასათვის ცხადია, რომ შკოლის გახსნა და მისი შენახვა დიდ თანგას თხოულობს. გამგეობის გამოანგარიშებით შკოლას მისი არსებობის პირველ წლებში (სანამ ერთი მასწავლებელი იქნება საკმარისი) წლიურად ასი თუმანი უკანასკნელი უნდება. განყოფილების თანხა ამისთვის სულ უღონოა. გამგეობა არ შეუშინდა ასეთ მდგომარეობას. მან მიმართა მთავარ გამგეობას და სთხოვა დახმარების აღმოჩენა. მთავარ გამგეობისაგან მივიღეთ ცნობა, რომ ის დ. ზუგდიდის ქართული შკოლის მასწავლებლისათვის გაიღებს წლიურად 400 მანეთს. გამგეობამ, ამას გარდა, გამართა საჯარო სეირნობა, რომლის მოსაწყობად მოუწოდა ადგილობრივი გავლენიან პირთ. სეირნობამ დასტოვა წმინდა შემოსავალი 709 მ. 50 კ.—აქ რომ თითქმის შკოლის გახსნა საიმედო შეიქნა, ამის შემდეგ, გამგეობამ აიღო მთავრობისაგან ქართული შკოლის გახსნის ნებართვა,—და ენკენისთვეში ნახდ იყო გახსნა შკოლა, რომ ომიანობას არ შეეშალა ხელი. ბოლოს, 27 XII-ს გამგეობამ იმ იმედით, რომ, როგორც განყოფილების წევრნი ისე დ. ზუგდიდის და მისი მაზრის მცხოვრებნი, ერთის სულით და გულით შეუწყობდნენ ხელს ამ ფრიად კეთილ საქმეს,—გაბედა და დაადგინა გახსნას 1915 წ. 7 იანვრიდან შკოლა და კიდევ შეუდგა საქმრო თაღარიგს.

IV 1915 წლის სავარაუდო შემოსავალი.

1915 წლის განმავლობაში გამგეობა მოელის შემდეგ შემოსავალს.

- 1) 1915 წ-ს საწევრო ფული 148 წევრიდან . . . 444 მ.
- 2) წინა წლების შემოუტ. საწევრო ფული 55 წევრიდან . . . 165 მ.
- 3) წარმოდგენები, სეირნობა, შემოწირულება და სხვა წყაროები 300 მ.
- სრულად 1915 წ. შემოსავალს მოველით 909 მ.

V 1915 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

- 1) 1914 წ. ანგარიში და კრებებისათვის მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვა 20 მ.
- 2) კანცელიარიისათვის შკაფის შექმნა 15 მ.
- 3) დეპეშებისათვის 10 მ.
- 4) დერბის მარკები თხოვნებზე 10 მ.
- 5) შკოლის შენახვა 500 მ.
- 6) დახმარება ნივთიერი საშუალებებზე 100 მ.
- 7) მოულოდნელი ხარჯები 45 მ.
- სრულიად 1915 წ. ხარჯებისათვის 700 მ.

VI მომავალი მოქმედების ბეგმა.

1915 წლის განმავლობაში გამგეობას აქვს განზრახვა გაამრავლოს განყოფილებას წევრთა რიცხვი; გამართოს წარმოდგენები, სეირნობა და სხვა გასარ-

თობები და ამით გააძლიეროს განყოფილების თანხა, გახსნას წიგნთსაცავ-სამუკურთხევლოები ს. ყულისკარში, ცაიში და სხვაგან; უმეტეს ყოვლსა კი გამოიხოს წყარო ადგილის შესაძენად შკოლისათვის საკუთარი სადგომის ასაგებად.

VII სარევიზიო კომისიის მოხსენება.

1915 წლის 18 თებერვლის დღესა ჩვენ სარევიზიო კომისიის წევრებმა განვიხილეთ რა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ზუკდიდის განყოფილების დღიური თავი და საკვიტანციო წიგნები მასთან შევამოწმეთ. შემოსავალ-გასავლის ჯამი მათი გასამართლებელ საბუთებით, ყოველავე ვსცანით, სწორად. ვსთხოვთ საზოგადოებას გამგეობის მიერ წარმოადგენილი 1914 წ. ანგარიში და 1615 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცოს. მოქმედობა და შრომა გამგეობისა ამა 1914 წლის განმავლობაში ვნახეთ წარმატებულად; მასთან უნდა მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება იმ მორზდილ თანხას, რომელიც დასტოვა საჯარო სეირნობამ და ამისათვის უნდა მოვახსენოთ საზოგადოებას, რომ საჭაროთ, მიგვაჩნია მან მაღლობა გამოუტახდოს გამგეობას და მასთან გაუგზავნოს მაღლობის წერილი ქ-ნ რ. ტ. ჩერნოვისას, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო სეირნობის მოწყობაში.

1914 წ. შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

შემოსავალი:

	მან. კაპ.
1914 წ. დამდევს განყოფილებას ჰქონდა	583—00
საწევრო ფული 1913 წლისა	45—00
„ „ 1914 წლისა	276—00
ფულის პროცენტი 1914 წლისა	13—82
სააღდგომოდ ხელის მოწერამ	54—50
სეირნობიდან	709—50
	ჯამი . . 1681—82

გასავალი:

დებეშებისთვის	4—50
ანგარიშის დასაბეჭდათ	9—00
მისაწვევი ბარათების დაბეჭდვა	1—70
ფოსტის ხარჯები	4—37
კრების ფურცლების დაბეჭდვა	1—50
მარკები თხოვნებისათვის	4—50
საკანცელარიო ხარჯები	5—00
წვრილმანი ხარჯი	4—00
გაზეთების გამოწერა	26—25
სასოფლო ბიბლიოთ. წიგ. დაბეჭვ.	5—00

65—92

შემნახველ-გამსესხ. ამხანაგ. კასაში ინახება 1615—90

სულ . 1681—82

გამგეობის თავმჯდომარე აქსენტი ფაღვა.

გამგეობის ხაზინადარი ბ. უგუჯავა.

მ ქ მ ი

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების საზოგადო კრებისა 1914 წ. 15 მარტში.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე თ-დ. აქსენტი ფაღვას თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ შემდეგი ხმის მქონი საზოგადოების წევრნი: 1) ა. ფაღვა, 2) კატო კელია, 3) კ. ლორთქიფანიძე, 4) ს. კეშილავა, 5) კნ. ესმა ფაღვა, 6) ი. ოსიძე, 7) ა. პატარაია, 8) ნ. გეგელია, 9) ლ. დარასელია, 10) პ. ნადირაძე, 11) ზ. ჟორდანი. 12) გ. რეიკინი, 13) ა. ჯიქია, 14) პ. კელია, 15) მ. პატარაია, 16) ა. ხაბურზანია, 17) გ. ხერხეულიძე, 18) მ. ჟორდანი, 19) ა. მაკალათია, 20) მ. გოგოხია, 21) ს. დგებუაძე 22) ნ. დავითაია.

კრება, რადგინაც მას დაესწრონ მეოთხედზე მეტი საერთო ხმის მქონი წევრთა რიცხვი თანახმად წესდების მე 17 მუხლისა, კანონიერად ჩაითვალა. მოწონებულ და მიღებულ იქნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რიგი განსახილავ საგნებისა: 1) ახალი წევრების მიღება, 2) წარსულ 1914 წლის შემოსავალ-გასავალის ანგარიშის დამტკიცება, 3) მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მიღება, 4) დ. ზუგდიდში ქართული სკოლის გახსნის საკითხის განხილვა. წინადადება შესახებ იმისა, რომ აღრძეული იქნას მთავარ გამგეობის წინაშე შუამდგომლობა რათა არ მოგვთხოვონ წელს წმინდა შემოსავლის

20% ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმ პირთა, რომელთაც სურვილი განაპყრობდა ცხადეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. წევრობისა: ამისთანები აღმოჩნდნენ: 1) ივანე ქავთარაძე, 2) ნესტორ ცანავა, 3) ბლალ, ევ. შენგელაია, 4) ბლალ. სამ. თათარიშვილი, 5) ბაგრატი უგულავა, 6) ლავრენტი საბახტარიშვილი, 7) ქეთევან ხერხეულიძე, 8) ნადეჟდა ტყეშელაშვილი, 9) ნინა მღებრიშვილი, 10) იოსები კედია, 11) ალექსი ბერიძე, 12) ივანე ბერიძე, 13) თევდორე ძიგვაია, 14) ჩაგუ ბოჯგუა, 15) ე. გამრეკელი, 16) გრიგორი გვაჯავა, 17) დავით დადიანი, 18) დავით დავითია, 19) ბლალ. სამსონ თვალთვაძე, 20) თეოდოსია თვალთვაძე, 21) მიხა იოსავა 22) პეტრე კალანდია, 23) ყარამანი კვარაცხელია, 24) პარმენ კობორძანიძე, 25) დოროთე კიტია, 26) თენგიზ კორტავა, 27) ილარიონ კუხალაშვილი, 28) ვასილ კუტალია, 29) ქეთევან მარგველაშვილი, 30) გრიგორი მუჟავენიძე, 31) ალექსი ნოდია, 32) გაბრიელ ოგანეზოვი, 33) ბიკტორი პაჭკორია, 34) ერასტო პაჭკორია, 35) ბიკია ჟვანია, 36) მუხრანი რეკვაია, 37) გრიგორი სამელია, 38) ევგენი სიკინავა, 39) ილარიონი ტოლანიძე, 40) ათანასე ფიფია, 41) ივლიან ფილიპია, 42) ესტატე ქუჩულორია, 43) იოსები შანავა 44) გრიგორი შანავა, 45) პავლე შეილია. 46) შირინ-ოღლი-ხუსეინ-დურსუნ-ალა, 47) გვანჯი ჩიქვანი, 48) ელადიმერ ცინდავა, 49) პავლე ცქირია, 50) გრიგორი ჯიქია, 51) ეკატერინე ჰედიასი, 52) ბარდლე ქოჭუა, 53) პავლე ხარჩილავა, 54) თომა ხარჩილავა, 55) სპირიდონ ხუბულავა, 56) ივანე ჯალაღონია.

კრებამ ყველა ზემოხსენებულნი პირები სიამოვნებით და ერთხმად მიიღო წევრებად და ვინც იმათგანი კრებაზე აღმოჩნდა მიიწვია მონაწილეობა მიეღოთ დანარჩენ კითხვების გარჩევაში. ამ რიგად ახალი წევრების მიწვევის შემდეგ კრებაში მონაწილეობას დებულობდა სულ 32 პირი, სახელდობრ: 1) ა. ფალავა, 2) ეკ. კედია, 3) კლ. ლორთქიფანიძე, 4) ს. კეშელავა. 5) ესმ. ფალავასი, 6) ი. ოსიძე 7) ა. პატარაია, 8) ნ. გეგელია, 9) ლ. დარასელია, 10) პ. ნადირაძე, 11) ზ. ჟორდანი, 12) გ. რეიკინი, 13) ა. ჯიქია, 14) კ. კედია, 15) მ. პატარაია, 16) ა. ხაბურზანია, 17) გ. ხერხეულიძე, 18) მ. ჟორდანი, 19) ა. მაკალათია, 20) მ. გოგოხია, 21) ს. დგებუაძე, 22) ი. ქავთარაძე, 23) ნ. ცანავა, 24) ზლ. ე. შენგელაია, 25) ბ. ს. თათარიშვილი, 26) ბ. უგულავა 27) ლ. საბახტარიშვილი, 28) ქ. ხერხეულიძე, 29) ნ. ტყეშელაშვილი, 30) ნ. მღებრიშვილი, 31) ი. კედია და 32) ნ. დავითია.

შემდეგ კრებას მოხსენდა წარსული წლის შემოსავალი-გასავლის ანგარიში აღმოაჩნდა რომ, წარსულ წელს განყოფილებას ყოლია 102 წევრი, ხოლო მათგან საწევრო ფული შემოსულა სულ 243 მ., ზუგდიდის ბანკს შემოუწირავს 100 მ.პ გამგეობის მიერ გამართულ სეირნობა და საღამოდან შემოსულა 150 მ. 88 კ., აფრიკიონის სავაჭ. სახლს შემოუწირავს 50 მ., სხვა და სხვა პირისაგან შემოსულა 15 მ. 13 კ. ხაზინიდან ფულის სარგებელი ყოფილა 4 მ. 99 კ. და დარჩენილა 1912 წ. 7 მ. 50 კ. სულ—608 მ. 50 კ. დახარჯულა წლის გინმავლობაში მხოლოდ 25 მ. 50 კ. ასე რომ განყოფილებას ეხლა ქონია კასაში ნაღდათ 583 მ. ეს ანგარიში კრებამ ერთხმად დაამტკიცა.



შემდეგ ამისა ბ. ბ. ჰ. კელიამ შემოიტანა წინადადება, რომ ვეგეტულები საფოსტო კასიდან გატანილ იქნას შესანახად წვრილ კრედატას საამაჩანაგო ბანკში, მაგრამ ამის გადაწყვეტა კრებამ მიანდო გამგეობას.

რაც შეეხება მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, მაგალითად წლიური ანგარიშის და საზოგადო კრებისათვის მისაწვევი ბარათების დასაბეჭდათ-კანცელიარიისათვის შკაფის და ქაღალდების საყიდლოთ, მისალოცავ დეპუტების გასავზაფნად და სხვა და სხვა, კრებამ ერთმანდავ გადაწყვიტა მიეცეს გამგეობას სავარაუდო ხარჯათ ასი მანეთი.

ამის შემდეგ ბ. სოკრ. კეშილაფას მიერ წაკითხულ იქნა გამგეობის მინდობილობით შედგენილი და მისივე მიერ მოწონებული მოხსენება ზუვდიდის მაზრაში სახალხო სკოლებში ქართული ენის უმწეო მდგომარეობის და დ. ზუვდიდში ქართული სკოლის გახსნის საჭიროების შესახებ. კრებამ მოიხსენა რა დასაბუთებული მოხსენება და აგრეთვე კრებაზე მყოფ ვანგებ ამ კრებისათვის თბილისიდან მოწვეულ ჩამოსულ ქართული სკოლების ზედამხედველი ბ. გრიგოლ ბურჭულაძის განმარტება დ. ზუვდიდში ქართული სკოლის უსათუოდ გახსნის საჭიროებაზე. ერთმანდავ გადაწყვიტა ყოველი ღონე იღონოს, რომ მომავალი ენკენისთვის გახსნას ზუვდიდში ქართული სკოლა. პრაქტიკულად ამ საქმის ასრულება კი მიენდოს განყოფილების გამგეობა ს. მხოლოდ რადგანაც განყოფილების თანხა ძლიერ ცოტაა ამ დადი საქმის ასრულებისათვის, მით უმეტეს თუ ამ თანხას გამოაკლდა 20% რომელიც უნდა გაეკზანოს მთავარ გამგეობას, კრებამ დაადგინა ეთხოვოს მთავარ გამგეობას 1) არ გამოადგებიოს ზუვდიდის განყოფილებას ვეგ 20% წმინდა შემოსავლის და 2) საჭიროა დახმარება აღმოუჩინოს განყოფილებას სკოლის გახსნის საკითხში.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ დახურული კენჭის ყრით აერჩიათ სარევიზიო კომისიის ერთი წევრი, ნაცვლად ბ. ფარნა ფიჩხაიასი, რომელიც სამსახურის გამო გადაიყვანეს დ. ოჩამჩირეში. და გამგეობის ორი ახალი წევრი. კენჭის დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ექიმი ა. პატარაია (28 თეთრით) და მასწავლებელი ბაგრატ უგულაფა (12 თეთრით). ხოლო სარევიზიო კომისიის წევრად ივანე ქავთირაძე (17 თეთრით) ბოლოს ბ. ბურჭულაძის მიერ გამოირიქვა სურვლო, რომ განყოფილებას ჰქონდეს თავისი ხელუხლებელი ძირითადი თანხა, რასაც კრება დიდი სიამოვნებით დაეთანხმა და გადაწყვიტვა წელს შენახულ იქმნას წმინდა თანხად, თუ კი მთავარ გამგეობამ დაკვიტოა ვეგ ფულები, ის 20% წმინდა შემოსავლისა, რომელიც უნდა გაიკზანოს თბილისის. საერთოდ კი ყოველ წლიურად უნდა გადაიდოს ხელ-უხლებელ თანხად 10% წმინდა წლიურ შემოსავლის. კრება დაიხურა 11 საათს.



მ ქ მ ი

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზუკდიდის განყოფილების საგანგებო კრებისა 26 ოქტომბერს 1914 წ.

კრება გაიხსნა დღის 1 საათზე ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს დარბაზში განყოფილების თავმჯდომარე თ-დი ავქსენტი ფალავას თავმჯდომარებით. კრებას დაესწრნენ შემდეგი ნამდვილი მწევრები 1) თ-დი ა. ფალავა, 2) თ-დი ლ. ჩიჩუა, 3) კ. ლორთქიფანიძე, 4) ა. ხაბურზანია, 5) ფ. კობახიძე, 6) მ. პატარაია, 7) ა. ჯიქია, 8) პ. კელია, 9) ნ. გეველია 10) კნ. ე. ფალავასი, 11) ა. მაკალათია 12) მ. გოგოხია, 13) მ. ჟორდანია, 14) ე. კელია. 15) ი. ოსიძე და 16) ბ. უგულავა. კრება კანონიერად იქმნა ცნობილი ვინაიდან ეს იყო მოწვეული მეორჯერ ნაცვლად 18 ოქტომბერს არ შემდგარისა.

კრებამ მოიწონა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რიგი განსახილავ კითხვებისა: 1) ახალი წევრების მიღება 2) მოხსენება დასაწყისი შკოლის გახსნის საკითხის მდგომარეობაზე დ. ზუგდიდში 3) მოხსენება თეატრის დაწვაზე თბილისში და მე 4) არჩევანი გამგეობის 4) წევრისა და ერთი კანდიდატისა. ნაცვლად თავის ნებით გასულებისა.

გადავიდა რა მორიგ საკითხთა განხილვაზე, კრებამ ერთ ხმათ მიიღო ნამდვილ წევრებათ შემდეგი მსურველი პირნი: 1) ლ. გვასალია, 2) ს. მესხია, 3) ი. სანიკიძე, 4) ი. პიტახია. 5) მ. საჯაია, 6) დ. მოლარეშვილი, 7) თ-დი ვ. ანჩაბაძე, 8) თ-დი ა. ჩიჩუა, 9) ა. დეისაძე, 10) ტ. თოხაძე, 11) გ. კელია, 12) ი. ქობალია, 13) ი. დგებუაძე. 14) დ. კარტოზია, 15) კნ. პ. ლორთქიფანიძისა, 16) ა. ალანია, 17) პ. ლიფონავა, 18) ვ. თოფურაძე, 19) გ. კელია, 20) ს. თოფურაძე, 21) ი. ბუკია, 22) მღვდ. გ. ჯიქია და 23) მიხ. ჟორდანია და შემდეგ ერთი მათგანი კნ. პელაგია ლორთქიფანიძისა, რომელიც კრებაზე აღმოჩნდა, მიწვეულ იქმნა დანარჩენ კითხვების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად; ამ რიგად დანარჩენ კითხვების გარჩევაში გარდა ზემოხსენებული მწევრებისა მონაწილეობას იღებდა მე 17 წევრი კნ. პელაგია ლორთქიფანიძისა.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას შკოლის გახსნის საკითხის მდგომარეობაზე, რომლიდანაც გამოიკვავა, რომ განყოფილებას უკვე ეწყენისთვის მეოცე რიცხვებში მოსვლია ნებართვა დასაწყისი შკოლის გახსნის სათანადო მთავრობისაგან, რომლის მასწავლებლის ჯამაგირს (400 მ. წელაწადში) კისრულობს მთავარ გამგეობა, მაგრამ განყოფილების გამგეობას მიუღია სახეში ახლანდელი არეული მდგომარეობა, რომლის მიზეზითაც ზუგდიდი შეიძლება გახდეს საომარ ასპარეზად და დაუდგენია, რომ შკოლის გახსნა გადაიდოს მოხვალ წლის იანვრამდე ამ საკითხზე კრებამ დაადგინა მიენდოს გამგეობას, რომ შკოლის გახსნაზე იქონიოს თადარიგი გარემოების მიხედვით მასთან ეცადოს, რომ ვადა არ გაუვიდეს ღირეკციის მიერ მიცემულ ნებართვა და აგრედვე არ დაკარგოს განყოფილებამ მთავარ გამგეობის მიერ დაპირებული მასწავლებლის ჯამაგირი.

შემდეგ თავმჯდომარისვე წინადადებით კრებამ მსჯელობა იქონია იმ ზარალ



ზე, რომელიც მოუვიდა ქართველ საზოგადოებას თეატრის თუ წ. გ. ს. მთავარ გამგეობას გადღობის ქონების დაწვით და დაადგინა მიენდოს გამგეობას ხელის მოწერით შეაგროვოს ფული სათეატრო ფონდისათვის და რა კი რამოდენიმე წევრმა განაცხადა, რომ შეიძლება მთავრობამ ხელი შეგვიშალოს ნება დაუთველად ხელის მოწერის გამართვაზედაო, გამგეობა უნდა დაეკითხოს ამაზედ თუ საჭიროდ დაინახავს წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობას.

ბოლოს თავჯდომარემ თხოვა კრებას, რომ ბარათებით დაესახლებინათ ხუთი პირი, 4) გამგეობის წევრად და ერთიც მათ კანდიდატათ, ნაცვლად გასულლებისა (ა. პატარაია გაწვეულ იქმნა ომში, ნ. ბუკია და გ. ხერხეულიძე სხვაგან იქმნენ გადაყვანილნი სამსახურში, სოკ. კეშილავამ განაგრძო სწავლა უნივერსიტეტში, ხოლო კანდ. იუსტ. კობახიძე ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად) ბარათების დათვლის შემდეგ აღრჩეული აღმოჩნდნენ გამგეობის წევრებად 1) მარ. ჟორდანიას, 2) მ. პატარაია, 3) ი. მიქელაძე 16 ხმით და 4) ივ. ოსიძე 15 ხმით. ხოლო კანდიდატათ პ. კელია 14 ხმით. კრება დაიხურა 3 საათზე.

ნამდვილთა სწორაია

მდივანი ი. ო ს ი ძ ე.



ს ი ა

ზუგდიდის განყოფილების 1914 წლის წევრთა.

- * აღამია აკაკი
- აღანია ანტონი შამილის ძე
- ალექსანდრია ნესტორი ბახვას ძე
- ალშიბაია ვლადიმერი კონსტანტინეს-ძე
- ანჩაბაძე გრიგორი მანუჩარის-ძე
- ანჩაბაძე ვარლამი
- ბერიძე ალექსი ნიკოს-ძე
- ბერიძე ივანე ალექსის-ძე
- ბერიძე ნიკო ალექსის ძე
- * 10. ბერიძე ნიკო კონსტანტინეს-ძე
- ბესელია პავლე სიკოს-ძე
- ბიგვავა ილარიონი
- ბუკია ბარნაბა კონსტანტინეს-ძე
- ბუკია იონა საბას-ძე
- * ბუკია ნიკოლოზი საბას-ძე
- ბოჯგუა ჩაგუ ლუკას-ძე

- გაბუნია ალექსანდრე გიორგის-ძე
 გვასალია ლუკა
- * გვაჯავა ალექსანდრე ივანეს-ძე
 20. გეგელია ნინო თედორეს ასული
- * გოგობია მარიაში მიხეილის-ასული
 გურალია ავქსენტი გუთის-ძე
 დადიანი დავითი ნიკოს ძე
 დადიანი გრიგოლი პლატონის-ძე
 დადიანი მიხეილი მელიტონის-ძე
- * დავითაია დავითი
- * დავითაია ნესტორი ზაალის-ძე
 დარასელია ლიუბა კონსტანტინეს-ასული
 დგებუაძე ანდრია კონსტანტინეს-ძე
 30. დგებუაძე იასონი სპირიდონის-ძე
- * დგებუაძე სევერიანი გიორგის-ძე
 დვისაძე ალექსი ბეჟანის ძე
 ზაქარაია რაჟდენი იაგორას-ძე
- * ზიგვავა თედორე
- * ჟვანია ბიჭია
 ჟვანია ლავრენტი შარვანის-ძე
 ჟორდანია ზინაიდა ივანეს-ასული
 ჟორდანია მიხეილი გიორგის-ძე
 40. თელია გიორგი გაბრიელის-ძე
- * თვალთვაძე სამსონი დეკანოზი
- * თვალთვაძე თეოდოსია. მაქსიმეს ასული
 თათარიშვილი სამსონი ეგნატეს-ძე
- * თოდუასი ანა კირილეს-ასული
 თოფურაძე სანდრო ბეჟანის-ძე
 თოფურაძე ვლადიმერ ბეჟანის-ძე
 თოხაძე ტრიფონი ბუჭუას-ძე
 იოსავა მიხა გვაჩილიას ძე
- * კალანდია პეტრე
 50. კანკავა ესტატე ქაქუჩას-ძე
 კარტოზია დავითი ლევანის-ძე
 კედია გრიგოლი გვადიას-ძე
 კედია ეკატერინე მალხაზის-ასული
 კედია იოსები მანუჩარის-ძე
 კედია პეტრე მანუჩარის-ძე
 კედია ფილიპე გვადიას-ძე

- * კეკელიძე დიომიდე ანტონის-ძე
კეშელავა ვლადიმერი ივანეს-ძე
კეშელავა სოკრათი ივანეს-ძე
- * 60. კვარაცხელია ყარამანი
კიკიანი ყათრანი გიორგის-ძე
- * კიბორძანიძე პარმენი
- * კიტია დოროთე
- * კობახიძე თეოდოსია დავითის-ასული
- * კობახიძისა იუსტინა
- * კობახიძე კალისტრატე
- * კორტავა თენგიზ
- * კუტალია ვასილი
- * კუხალაშვილი ილარიონი
70. ლეფონავა პახვალა როსტომის-ძე
ლორთქიფანიძე კლიმენტი დავითის-ძე
ლორთქიფანიძისა პელაგია გრიგორის-ასული
- * მაკალათია აპოლინარია იოსების-ასული
- * მარგველაშვილი ქეთევანი
მაშია კონსტანტინე ივანეს-ძე
- * მაღლაკელიძე სარდიონ ნიკოლოზის-ძე
მეუნარგია იონა მიხეილის-ძე
მესხია სანდრო
მგელაძე ბეგლარ ასალოს-ძე
- 80. მირცხულავა ვლადიმერ პახვალას-ძე
მიქელაძე ილარიონ ვატას-ძე
- * მჟავანაძე გრიგორი
მოლარიშვილი დავითი
- * მუჯირი იასონ ნიკიფორის-ძე
- * მუჯირისა ნინო ნიკოს-ასული
მღებრიშვილი ნინა სტეფანეს-ასული
- * ნადირაძე პავლე დიმიტრის-ძე
ნიჟარაძე სპირიდონ გიორგის-ძე
ნოდია ალექსი ბახვას-ძე
- * 90. ოგანეზოვი გაბრიელ

- ოსიძე ივანე ივლიანეს-ძე
 პატარაია ანდრია პეტრეს-ძე
 პატარაია მიხეილ პეტრეს ძე
- * პაჭკორია ბიკტორი
 - * პაჭკორია ესტატე
- პიტახია ილია იაკობის-ძე
 რეიკინი გრიგოლი ტრიფონის-ძე
- * რეიკვაფა მუხრანი
- საბახტარიშვილი ლავრენტი თემურაჯის-ძე
 100. სამელია გრიგოლი
 სანიკიძე იაგორა
 საჯაია მიხა
- სიხარულიძე ალექსანდრე აღმასხანის-ძე
- * სიჭინავა ვეგენი ალექსის-ძე
- ტყეშუჩავა ვლადიმერი კონსტანტინეს-ძე
 ტყეშელაშვილი ნადეჟდა ერეკლეს-ასული
 უგულავა ბაგრატ კონსტანტინეს ძე
 ფარულავა გრიგორი ხარიტონის-ძე
 ფაღავა ავქსენტი ხახუას-ძე
 110. ფაღავასი ესმა მანუჩარის-ასული
- * ფილიპია ივლონი
- ფიფია ათანასე ბახვას-ძე
- * ფიფია მათე ასლანის-ძე
- ფიჩხაია ფარნაოზი ნიკოლოზის-ძე
 ქავთარაძე ივანე იოსების-ძე
 ქირია იორდანე
 ქობალია იოსები ტოტიას-ძე
- * ქუჩულორია ესტატე
 - * 120. შანავა გრიგოლი
 - * შანავა იოსები
 - * შელია პავლე მიქელის-ძე
- შენგელაია ვეგენი გიორგის-ძე დეკანოზი
- * შუშანია ანასტასია იაკობის-ასული
 - * ჩიქოვანი გვანჯი ალექსის-ძე

- ჩიჩუა ანტონი ბახვას-ძე
 ჩიჩუა ლევანი ივანეს-ძე
 ჩხოლარია ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე
 ძეფიშვილი ალექსანდრე
 წულეისკირი ბათუ როსტომის-ძე
 წულეისკირი ვლადიმერი კონსტანტინეს-ძე
- * ქაქია გიორგი
 - ქედია გიორგი მელიტონის-ძე
 - * ქედია ეკატერინე
 - * ჭოჭუა ბარდღუ
 - ცანავი ნესტორი სიკოს-ძე
 - * ცინდავა ვლადიმერი მოსეს-ძე
 - ცქირია პავლე ჯათუს-ძე
 - ხაბურზანია ანტონი სტეფანეს-ძე
 - * ხარჩილავა პავლე
 - * 140 ხარჩილავა თომა
 - * ხოქოლავა კალისტრატე
 - * ხუბულავა სპირდონი
 - ჯიქია სოლომონ ნესტორის-ძე
 - ჯიქია აპალონ გაბრიელის-ძე
 - * ჯიქია გრიგოლი
 - ჯიქია გაგრიელ მღ.
 - * ჯალაციანი ივანე

ვანსკვლავით აღნ. 1914 წ. საწ. ფელა გადაუხ. აქვთ.



განცხადება



ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებული სასკოლო
სექცია, რომელიც ასწორებს განსვენებულის იაკობ გოგება-
შვილის სასელმძღვანელოებს, სთხოვს სახალხო სკოლის
მასწავლებლებს და საქმის მცოდნე ჰიროთ მიაწოდოს სასკო-
ლო სექციას თავისი შენიშვნები ი. გოგებაშვილის ამა თუ
იმ სასელმძღვანელოს შესახებ. დღემდის სექციის მიერ შეს-
წორებულია და შევსებული რუსული სასელმძღვანელოები —
ორივე ნაწილი „Русское Слово“-სი. ამ უმად ასწორებს
„დედა-ენის“ ჰირველ ნაწილს და შეძღვე შეუდგება „დედა-
ენის“ მეორე ნაწილისა და „ბუნების კარის“ გადასინჯვას.
ყოველს სამართლიანს შენიშვნას გამოცდილ მასწავლებლისას
სასკოლო სექცია ღიად მიიღებს მხედველობაში შეს-
წორების დროს. დაწერილი შენიშვნები უნდა გამოგზავნოს
წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში სასკოლო სექ-
ციის სასელსე.

სასკოლო სამსახური.



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარ-
გებელიდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუ-
კეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრა-
ფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოდ შესახებ. ლო-
ლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე
დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოადგენილ იქნას რუ-
სულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.
2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტო-
რიული გრამატიკა ქართული ენისა — ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი
გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო

ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი; ე) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წირსული ცხოვრებისა ან რომლის სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1916 ჯლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1912 წელზე ადრე გამოცემული.



ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛЬ

„СЪВЕРНЫЯ ЗАПИСКИ“

ПЕТРОГРАДЪ

(3-й годъ изданія)

Вышелъ № 3 (Мартовскій)

Содержаніе: 1. Сонеты: 1. свѣтильникъ; 2. Разлука; 3. Учителя; 4. Домъ.—А. Герцыкъ П. Сердце ANNE. Разсказъ. (окончаніе).—Н. Бромлей. III. Стихотворенія, 1, Нѣжно поднятіе вѣкъ; 2, Смерть и прекрасное; 3, Блаженны.—Константина Липскерова. IV Три встрѣчи съ пушкинымъ.—Бориса Садовского. V. Драма крестьянина (Окончаніе) Іоханеса Линнаикоски. VI. Шіпоны. Разсказъ.—Н. Киселева. VII. Литературная лѣтопись.—А. Гвоздева. VIII. Къ исторіи произведеніи Л. Н. Толстого.—П. Бирюкова. IX. О современномъ скульпторѣ.—Ник. Машковцева. X. Парижъ во время великихъ событій)—М. Павловича. XI. Типы національной культуры.—Н. Шапиръ. XII. Трагедія Гр. С. Ю. Витте—Я. Санера. XIII. Гитте и Бунге, какъ министры финансовъ.—Проф. М. Туганъ-Аарановскаго. XIV. Къ психологіи переживаемаго вмени. Судьбы Германіи.—Георга Зиммеля. XV. Философія отчаянія.—Б. Яковенко. XVI. Библіографія.

Продолжается подписка на 1915 г.

	годъ.	6 мѣс.	3 мѣс.
съ достав. и пересылкою	4 р.	2 р. 50 к.	1 р. 25 к.

Подписка принимается: въ Главной конторѣ журнала Петроградъ, Загородный пр., 21, въ крупныхъ книжн. магаз. и во всѣхъ почтовыхъ учрежденіяхъ.

Отдѣльные номера продаются во всѣхъ крупныхъ книжныхъ магазинахъ и высылаются изъ главной конторы журнала за 60 к., наложеннымъ платежомъ 80 к.

Издательница С. И. Чацкина.



„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი მერვე)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივ უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლ წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „**მრავალუამიერ**“ სიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვართა გუნდისათვის. **პესტალო ჰერბერტ სპენსერის**, რუსსოს და კომენსკის **სურათებს**, რომელთა მაგიერ წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლი“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ კვარტი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ დაქვიაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** წიგნის მაღაზია „**Новая рѣчь**“ **კიკნაძესთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიდიში“, **სამტრედიაში** წიგნის მაღაზიაში **მ. კობაღიშვილთან**, ამ სამ ადგილას იყიდება ცალ წიგნებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველკვარტ დონისძიებს სმარობს ჟურნალის თანდართან გასაუძღვრებლად.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназия. Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.